

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევობით

ფასი 1,50 ლარი

27 აპრილი 2007

№9 (35)



გურამ ოდიშარიას დიპლომატია  
ნინო ზაალიშვილის ნოველები  
როცა სიკვდილი სიცოცხლეა  
დოს პასოსი და საქართველო  
მზის ლოტოსები

## შინაარსი

<b>პრეფასი</b>	<b>2</b>	<b>საბა სულხანიშვილი ბრიტანული გემოვნება და ჯიინ ოსტინი</b>
<b>ექსკურსი-ინტერვიუ</b>	<b>4</b>	<b>დაუმარცხებელი მონატრება</b> (საუბარი გურამ ოდიშარასთან)
<b>ჩვენი ყოფა, ნუთისოვლი</b>	<b>5</b>	<b>ლელა ოჩიაური როგორ „აღმოვაჩინა“ ნუგზარ მუზაშვილი</b>
<b>გამოსაუბრება</b>	<b>7</b>	<b>ნინო ვახანია გიჟვარდეთ კაცნო, ერთმანეთი</b>
	<b>9</b>	<b>მარიამ ლანდია როცა სიკვდილიც სიცოცხლეა</b>
<b>პროზა</b>	<b>10</b>	<b>ნინო ზაალიშვილი სხვისი დასაწერი ამბები</b>
<b>პოეზია</b>	<b>14</b>	<b>ლია სტურუა ადაპტირებული ცხოვრება და სხვა ლექსები</b>
<b>უხსოვლის თვალთ</b>	<b>18</b>	<b>ჯონ დოს პასოსი ნითელი კავკასია</b> (თავი წიგნიდან „გასაბჭოებული კავკასია“)
<b>ღიალოგი</b>	<b>24</b>	<b>რა მანძილია მსახიობიდან მწერლამდე?</b> (ივანე ამირხანაშვილს ესაუბრება გოგი ხარაბაძე)
<b>ღებუქივი</b>	<b>29</b>	<b>ჟან რიშპენი სანიმუშო დანაშაული</b>
<b>ერი და გეინწერა</b>	<b>35</b>	<b>როსტომ ჩხეიძე მზის შვილები</b>
<b>რეპორტაჟი</b>	<b>42</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი ჰეროიკული საბა, ბალადა შეთქმულებაზე და... ქრონიკები თეატრის ცხოვრებიდან</b>
<b>ინტერვიუ</b>	<b>44</b>	<b>ჟაკლინ სირაძე ინტელექტუალის სოლფეჯიო</b>
<b>ფიქრები</b>	<b>46</b>	<b>ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა</b>
<b>ქართვლო, სანაგ გვირა ქართვლი</b>	<b>50</b>	<b>დეკავა თურქეთიდან</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>51</b>	<b>მაია ჯალიაშვილი მზის ლოტოსები</b>
<b>პენსიონა</b>	<b>54</b>	<b>თორნიკე თევზაძე რა არის ღირებული</b>
	<b>54</b>	<b>თამარ გენაძე „ქარაგმა“ არ უნდა ჩაიკარგოს</b>
<b>პოეზიის მერიღიანაგი</b>	<b>55</b>	<b>აქამენიღურ წარწერათა ფრაგმენტები</b>
<b>უხსოვრი ნოველა</b>	<b>59</b>	<b>მარიო ბენედეტი ორი ნოველა</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>აღარაგდნენ თომას მანს და დოსტოვესკის</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა ტეგი“  
საბეჭდო, თბილისი, საჯაროებო 17  
ბეჭდო: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოსაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯინიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: პერსეპოლისი, მეფე დარიოსის სასახლე

ლია სტურუა

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 11 მაისს

საბა სულხანიშვილი

## ბრიტანული გემოვნება და ჯეინ ოსტინი

როდესაც ჩაათვალიერებთ „ჩვენი მწერლობის“ წლებ-  
ვანდელ მე-7 ნომერში გამოქვეყნებულ სიას „100 ყველა-  
ზე პოპულარული წიგნი“, ჯერ იმას გაიფიქრებთ: არის კი  
სანდო გამოკითხვის ეს შედეგები?

და თუკი „მსოფლიო წიგნის დღის არჩევნებზე“ შედეგ-  
ნილი ეს სია უყოყმანოდ ვალიარეთ, ასე თუ ისე, პირუთ-  
ვნელი ძიების ნაყოფად, ახლა უკვე ბრიტანული საზოგა-  
დოების გემოვნება გავგვარცხვებთ თავისი უცნაურობითა და  
პარადოქსულობითაც კი.

ცხადია, პოპულარობა უმეტესწილად ნაკლებ წარმოა-  
ჩენს ქვემარტივ ფასეულობებს და სიღრმეების ნაცვლად  
ზედაპირზე ტივტივი ურჩევნია, მაგრამ მაინც ვერ ეგუები  
გემოვნების ასეთ სიჭრელეს, სწორ და საეჭვო შეხედულე-  
ბათა არეგას ერთმანეთში.

ამ ასეულში დიდი სახელები ტრიალებს, ყოველ შემ-  
თხვევაში, სახელგანთქმული მწერლები უფრო მეტია,  
ვიდრე ნაკლებ თვალსაჩინონი, მაგრამ ვერ დაგიჯერებია,  
რანაირად შეცვლილა ასე ბრიტანული გემოვნება, რომ ას  
ყველაზე პოპულარულ წიგნთა შორის ვერსად გიპოვნია  
მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტი“, დანიელი დეფოს  
„რობინზონ კრუზო“, ჯონათან სვიფტის „გულივერის  
მოგზაურობა“, უოლტერ სკოტის „აივენჰო“... არსადაა  
ონორე დე ბალზაკი, სტენდალი, არსადაა ფრანც კაფკა,  
თომას მანი თუ უილიამ ფოლკნერი... არსადაა... რომელი  
ერთი ჩამოვთვალათ... და ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“  
ზედ ზღვარზეა – მესაყა, როგორღაც მოუკიდებია ფეხი...  
სამაგიეროდ, ჯეიმზ ჯოისის „ულისე“ ძალიან წინაც არ  
არის, მაგრამ 75-ე ადგილი მოუპოვებია და... ნუთუ ეს ურ-  
თულესი წიგნი ასეთი პოპულარულია? თუ... სნობური გე-  
მოვნება განსაზღვრავს მის აუცილებელ მოხვედრას ჩა-  
მონათვალში?

ბიბლიას მე-6 ადგილზე რომ ვხედავთ, რა უნდა გაგ-  
ვიკვირდეს – რატომ უსწრებენ ჯეინ ოსტინი, ჯ.რ.რ.  
ტოლკაინი, შარლოტ ბრონტი, ჯ.კ. როულონგი და შარპერ  
ლი თუ... კიდევ უფრო ქვემოთ რომ არ არის ან სულაც ჩა-  
მონათვალის მიღმა არ აღმოჩნდა?

ჭრელი და უცნაური გემოვნებისაგან განა ესეც მოსა-  
ლოდნელი არ იყო?

და მაინც –

განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს ქართველი  
მკითხველის თვალში ჯეინ ოსტინის რომანის „სიამაყე და  
წინასწარწმენა“ მოქცევა ჩამონათვალის სათავეში.

და კიდევ ის, რომ ჯეინ ოსტინის სახელი სამჯერაც გა-  
მოჩნდება სიაში:

34-ე მისი „ემაა“.

35-ე მისი „მრწამსი“.

54-ე მისი „გრძნობა და განცდა“.

ამ მხრივ მხოლოდ ჩარლზ დიკენსი უსწრებს, ვისი  
თხზულებანიც ექვსჯერაა დასახელებული ჩამონათვალ-  
ში, თუმც პირველად... მე-10 ადგილზე გამოჩნდება და  
მხოლოდ ამთავრებს იმ ათეულს, რომელიც ჯეინ ოსტინ-  
მა გახსნა.

ოდესღაც აუხირდებოდა მარკ ტვენის ჩარლზ დიკენსის  
აჩრდილს, გარშემო აღარავინ ეგულებოდა თავისი ფარდი  
და სწორი და „ოლივერ ტვისტის თავგადასავლის“ შემოქ-  
მედს გადაწვებოდა ქილიკით:

– იუმორის გრძნობა სრულიად არ გამაჩნია. ამის და-  
სამტკიცებლად (ერთგვარი აღიარების მიზნითაც) უნდა  
მოგახსენოთ, რომ თუ „პიკვიკის კლუბის ჩანაწერებში“  
არის თუნდაც ერთი სასაცილო ადგილი, მე ის ვერ აღმო-  
მიჩენია.

ადვილი მისახვედრია, ამერიკელი მწერალი მხოლოდ  
ერთ რომანს კი არა გულისხმობს, არამედ „პიკვიკის  
კლუბს“ დიკენსის მთელს შემოქმედებაზე განაზოგადებს.  
ფიქრობს, ჩემი ხელოვნებით მისი პოპულარობა ჩავძი-  
რო, და ნიშნსაც უგებს.

საუკუნეზე მეტი გასულა და ბრიტანულ საზოგადო-  
ებრივ აზრს ისე გადაუწყვეტია, რომ სადაც დიკენსის  
ექვს ქმნილებას ჩამოთვლის, იქ მარკ ტვენისას ერთსაც  
არ აჭაჭანებს. ვერც „ტომ სოიერის თავგადასავალს“  
ნააწყდებით და ვერც „ჰეკლბერი ფინის თავგადასა-  
ვალს“.

კი მაგრამ, ერნესტ ჰემინგუეი რომ ირწმუნებოდა: ახა-  
ლი ამერიკული პროზა „ჰეკლბერის ფინიდან“ მოდისო?  
ნუთუ ამ შეხედულებისთვისაც არ გაუწევიათ ანგარიში?  
გაუწევიათ კი არა, ჰემინგუეიც ზედ მიუყოლებიათ, და  
ისიც არაფრად ჩაუგდიათ, რომ იყო ჰემინგუეის სრული  
მეფობის ხანა მსოფლიო ლიტერატურაში, პოპულარობით  
ახლო-მახლოც რომ ვერავინ მიეკარებოდა.

ასეა თუ ისე, „მსოფლიო წიგნის დღის არჩევნების“ სი-  
ას ორი გმირი ჰყავს – ჯეინ ოსტინი და ჩარლზ დიკენსი,  
და თუ დიკენსი, შესაფერისად კი ვერა, მაგრამ მიახლოე-  
ბით მაინც ცნობილია ქართველი მკითხველისათვის –  
„დავით კოპერფილდით“, „ნიკოლას ნიკლბითა“ თუ „პიკ-  
ვიკის კლუბის ჩანაწერებით“, მასზე ბიოგრაფიული რომა-  
ნიც ხელმისაწვდომია, მონოგრაფიაც, ცალკეული ლიტე-  
რატურული ნარკვევებიც, ოსტინის ბელეტრისტიკიდან  
არაფერია ამეტყველებული ქართულად.

სიისათვის დართულ განმარტებაში ჟურნალისტი ნიგელ რეინოლდსი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ფილმად გადაღება ზრდის მხატვრულ ქმნილებათა პოპულარობას; და ნიშანდობლივია, რომ პირველი ათი თხზულება კინოეკრანისა თუ ტელესერიალთა სცენარებად გამოიყენეს.

ოსტინის რომანის განსაკუთრებულ პოპულარობასაც იმით ხსნის, რომ „სიამაყე და წინასწარწმენა“ 18 თვის წინათ გამოვიდა კინოეკრანებზე და ელიზაბეტ ბენეტის როლს კეირა ნაითლი ასრულებს... მაგრამ ისიც ხომ თვალნათლივია, რომ ყველა სხვა ფილმსა თუ ტელესერიალს – თუნდაც ამ ათეულიდან – მაინც ოსტინის სახელმა გადაასწრო.

რაკილა ამ მწერლის ქმნილებანი და, მათ შორის, ეს რომანიც უცნობია ჩვენი მკითხველისათვის, შესაძლოა იფიქრონ, რომ ჯეინ ოსტინი ამ სიის სათავეში შემთხვევით მოხვედრილა, არაბული ზღაპრისა არ იყოს – „ხალიფა ერთი საათით“.

მაგრამ... აი, ვირჯინია ვულფისათვის, ევროპული – და არა მარტო ინგლისური – მოდერნიზმის თავისებურებანი რომ განსაზღვრა (თუმც მისი ადგილი ამ სიაში არ აღმოჩნდა!), ჯეინ ოსტინი გამორჩეული სახელია, და დაბეჯითებით მიაჩნია:

– ყველაზე ჭეშმარიტ ხელოვანად ქალთა შორის, მწერლად, ვისი წიგნებიც უკვდავია.

ამ სიტყვებით მთავრდება მისი ესეი „ჯეინ ოსტინი“, რომელიც 1988 წელს ქართულადაც ითარგმნა და სხვა ჩვიდმეტ კრიტიკულ-ესეთიკურ ნიმუშთან ერთად ცალკე წიგნადაც გამოიცა „ნაკადულის“ მეოხებით (ვირჯინია ვულფი, „ესეები“).

როგორც ვულფს სჩვევია, ამჯერადაც დიდი ოსტატობითაა წარმოსახული ესეის გმირის ლიტერატურული პორტრეტი, მის ბელეტრისტულ ქმნილებათა სიახლე, მნიშვნელობა და მწერლის ხასიათის ისეთი შტრიხები თუ დეტალები, რაც ასე ფასეულია შემოქმედებითი ფსიქოლოგიისათვის.

ოსტინმა თხუთმეტი წლისამ უნდა დაწეროს „განსაცვიფრებელი და არაბავშვური“ მოთხრობა („სიყვარული და მეგობრობა“) თანაკლასელთა და დაძმების გასართობად, თვითონვე უკითხოს ყველას ხმამაღლა და აცინოს და ახარხაროს.

– და მაინც, არაფერია იმაზე უფრო თვალნათლივი, რომ სასტუმრო ოთახის ჩვეულ კუთხეში მიმჯდარი ეს თხუთმეტი წლის გოგონა დაძმების გასაცინებლად ან ოჯახის საჭიროებისათვის კი არ წერდა, იგი წერდა ყველასათვის, არავისთვის, ჩვენი საუკუნისათვის, თავისი საუკუნისთვისაც.

წერდა ყველასთვის და არავისთვისო...

მკითხველს ძალდაუტანებლად გაახსენდება ფრიდრიქ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარათუსტრას“ ქვესათაური: წიგნი ყველასთვის და არავისთვის. პარადოქსული სიტ-

ყვათნყობით გამოხატული ტკივილიც და იმედიც – ერთმანეთში აზელილი. ვირჯინია ვულფს თვითონ ეს მარჯვე ფრაზა მოსწონებია და წიგნისა და მკითხველის ურთიერთობის ერთ ყველაზე სახიერ სიმბოლოდ მიუჩნევია, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამ სიტყვებს ყველა მწერალი და ყველა მხატვრული ქმნილება ვერ ათქმევინებდა, და გაიმეტებდა მხოლოდ მისთვის, ყველა ხელოვანი ქალისათვის ვინც დაემჯობინებინა.

იქვე იმასაც აღნიშნავს: სიცოცხლე, სიმსუბუქე, მხიარულება, სრულ უაზრობამდე მისული სილაღე – ეს ყველაფერია „სიყვარულსა და მეგობრობაში“, მაგრამ რა არის ის ნოტი, დანარჩენში ჩაძირული, გარკვევითა და მძაფრად რომ ისმის მთელს წიგნშიო?

და პასუხიც გაუმზადებია:

– ეს სიცილის ხმაა. თავის კუთხეში მიყუჟული თხუთმეტი წლის გოგონა მთელს მსოფლიოს დასცინის.

ამასთან, ყველაზე უფრო თანმიმდევრულ სატირიკოსადაც მოიხსენიებს მთელს ლიტერატურაში, განსხვავებულ ნაწილთა გამამთლიანებლადაც გამორჩეული გენიალობის წყალობით, გონება-მახვილობისა და დახვეწილი გემოვნების საუკეთესო შერწყმადაც, და გულისტკივილს ვერ ფარავს, ასე ნაადრევად რომოცდაორი წლისა რომ აღესრულა.

რომ დასცლოდა, ახალ მეთოდსაც შექმნიდაო, – ირწმუნება ვირჯინია ვულფი, – ნათელსა და გამოკვეთილს, მაგრამ უფრო ღრმასა და შთამაგონებელს არამარტო იმის გადმოსაცემად, რაც თვითონ არიან, არამედ იმისაც, რაც ცხოვრებააო.

და კიდევ:

მისი სატირა უფრო დამაჯერებელი და მკაცრი გახდებოდა და ჰენრი ჯეიმზისა და მარსელ პრუსტის წინამორბედი იქნებოდაო.

ვულფს ოდნავადაც არ გააკვირვებდა ჯეინ ოსტინის მოქცევა პოპულარულ მწერალთა სათავეში და სულაც არ მოჰყვებოდა მტკიცებას: კინოფილმი შეეშველაო.

არც ის გაუკვირდებოდა, თვითონ მისი – ერთდროს ძალიანაც განთქმული – რომანები არსად რომ არ გაიქვებეს ამ ჩამონათვალში. ჩინებულად მოეხსენებოდა წუთისოფლის ბრუნვა-ტრიალი და ერთნაირი სიმშვიდით შეხვედებოდა მარცხსაც და წარმატებასაც, პოპულარობასაც და თითო-ოროლა მკითხველის არსებობასაც.

...ნეტა 101-ე რომელი მხატვრული ქმნილება იყო ჩამონათვალში ან რამდენი ხმა დააკლდა, „საბრალონისათვის“ რომ გადაესწრო?

ვინ იცის, ისიც ჯეინ ოსტინისა ან ჩარლზ დიკენსის თხზულება აღმოჩნდეს.

ყოველ შემთხვევაში, მეორე ასეულშიც ალბათ არაერთხელ გახშიანდებოდა ოსტინის სახელი, რაკილა დღესდღეობით ასე წყალობს მას ბრიტანელთა ლიტერატურული გემოვნება.

დღესაც ასეა და ყოველთვისაც ასე იქნებაო, – ოდნავადაც არ დაეჭვებოდა ვირჯინია ვულფი.



ჯეინ ოსტინი

# დაუმარცხებელი მონატრება

\*

საუბარი  
გურამ ოდიშარიასთან

– ბატონო გურამ, ინარჩუნებს თუ არა მწვავე სიფხიზლეს სიტყვა ლტოლვილი იმ ადამიანებში, ვინც გამოიარა და განიცადა „გზა გოლგოთისა“ წლების წინათ! ვისაც სიზმარივით ახსოვს ყველაფერი და ვისაც უყვებიან – რაც იყო. ანუ თანაბრად ღვივის სამივე თაობის გულში განცდა „გასაკვირველი?“

– რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირია მამულის განცდა. ასეთი გახლავთ გამოდევნილი კაცის ბედისწერა. ხან „ლტოლვილად“ რომ მოიხსენიებენ, ხან „დევნილად“, ხანაც „იძულებით გადაადგილებულად“, ანდა „დროებით იძულებით გადაადგილებულად“.

ახალი თაობა მტკივნეულად განიცდის, ზოგიერთი მალავს კიდევ, ლტოლვილი რომ არის. რატომ? ზედმეტი დაბრკოლება რომ არ შეექმნას და საქილიკოდ არ გაუხდეს საქმე. ამას წინათ მოვისმინე სამეგრელოში, სუფრაზე თქმული: „ჩვენს მტერს შეუვიდეს ლტოლვილი სახლშიო“...

ერთხელ, ერთმა მოსწავლემ, ლტოლვილი ოჯახის შვილმა, თავის სკოლაში შეხვედრისას გაფიცებულად მომივით: „დაგვალა ჩვენი ტრაგიზმისა და ჩვენი გმირობის გაუთავებელმა შესხენებამო“. ამნაირი ბავშვების წინაშე დამნაშავენი ვართ. ოჯახებზედაა დამოკიდებული მათი გამხსნევა, მათი გამძლეობა.

ლტოლვილობა ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის, ცხადია, არ არის დასაფარავი. სოხუმელ მწერლად რომ მომიხსენიებენ, ლიტერატურულ კომპლიმენტად მიმაჩნია, მე ისე მიყვარს იქაურობა. იქ ვარ დაბადებული და გაზრდილი. 1993 წლის 27 სექტემბერამდე სხვაგან არც მიცხოვრია.

– ქართველ-აფხაზთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისადმი სახელმწიფოებრივ-სამთავრობო დონეზე ზრუნვა, წლებია, გაცხადებულია. საქმიანი ვარიანტები თუ ვარაუდები შექდება ხოლმე პრესითა და ტელევიზიით. თუ არსებობს სხვანაირი, უფრო გაცხოველებული შიდა დინება ურთიერთობისა? საერთოდ, ფიქრობენ უბრალო მოქალაქენი, იქითაც და აქეთაც, „ბენჯის ხიდი“ მათი გასავლელი რომ არის?

– უეჭველია ეს პრობლემა სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა მოგვარდეს, რადგანაც განუზომელია დიდი იმპერიების ხვედრი თუ ინტერესი ამ კონფლიქტისადმი, მაგრამ დაიმედება იმით, რომ ბუში ეტყვის პუტინს და პუტინი დაგვიბრუნებს აფხაზეთს... ხელმოწერილ ქალაქებად დარჩება, თუკი ორ საზოგადოებას შორის სიძულვილი იქნება.

ათი წელია, აფხაზეთში დავდივარ სახალხო დიპლომატიის ეგიდით. ვხვდები ჩემს სოხუმელებს. ცალმხრივი

რომ იყოს ჩემი სიყვარული, ეს შეხვედრები ველარ გაგრძელებოდა.

ჩამოვყალიბე „მთხრობელთა კლუბი“. რეგულარულად, თვეში ორჯერ ვმართავთ შეხვედრებს. ხან „კავკასიურ სახლში“, ხან მწერალთა სასახლის დარბაზს გვითმობენ. შესაბამისად, ხან ქართველი მთხრობელი, ხანაც აფხაზი – ვისაც ვინვეთ ხოლმე, მოგეხსენებათ, ნოსტალგიური მონატრება სუფევს ქართველსა და აფხაზს შორის. ჩვენთან ისინი ერთმანეთს უსმენენ, ამ შეხვედრებზე არ ხდება მტყუნ-მართლის გარკვევა, თუ ვინ დაიწყო ომი და რატომ... აქ ადამიანურ, პირად ტრაგედიებზეა გულწრფელი ლაპარაკი. ყველა თავის ცხოვრებაზე ჰყვება. ამგვარ შეხვედრაზე აღმოაჩინა ერთმა აფხაზმა ბიჭმა თავისი ქართველი დედა და უმცროსი და, სამტრედიაში დასახლებულნი. ომმა დააშორა ისინი ერთმანეთს და დაანგრია მათი ოჯახი. მერე ძმამ ჩაიყვანა და სოხუმში მამასთან. ქალიშვილი აჩვენა... მოკეთებებს, ოჯახის ნევრებს ერთმანეთს რომ აპოვინებ, ამაზე დიდი აღტაცება რაღამ უნდა მოგვგვაროს.

ერთია, რომ მე მათზე ვწერ და მცირეა, როგორც ადამიანი, ვცდილობ მათ სამსახურში ვიყო.

აფხაზური საზოგადოების შეხედულებანი იცვლება ყოველწლიურად, ყოველთვიურად, ყოველდღიურადაც. სახალხო დიპლომატიას დიდი გამოცდილება დაუგროვდა. ჩვენ მათი მაჯა გვიჭირავს, საერთო ისტორიული მახსოვრობა იღვიძებს, მაგრამ არავის უნდა ეს ყურად ილოს... (ოფიციალურ წრეებს ვგულისხმობ).

– ბ-ნო გურამ, მკითხველი გაცნო თქვენს გულწრფელ წიგნებს აფხაზეთზე. პოპულარული პროზაიკოსი ბრძანდებით, წარმატებული აღმოჩნდით, როგორც დრამატურგი. იქნებ თქვენს შემოქმედებაზეც გათქვამთ ორიოდ სიტყვა?

– თავის ქებად ნუ ჩამომერთმევა, მაგრამ ჩემმა წიგნებმა გამიხსნა გზა აფხაზეთისაკენ. პირველი პროზაული ნაწარმოებები რუსულად ითარგმნა და ასე გავრცელდა იქ. მე რომ ტკივილი მანერინებს და დიდი სიყვარული, გრძნობენ და მენდობიან კიდევ ჩემი სოხუმელები.

პიესა „ზღვა... რომელიც შორია“ თემურ ჩხეიძემ დადგა სამეფო უბნის თეატრში, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ლტოლვილი დასის მონაწილეობით. აქვე მინდა მაღლიერებით აღვნიშნო, ბედნიერებაა თემურ ჩხეიძესთან თანამშრომლობა. მის გვერდით ნამდვილი სკოლა გავიარე დრამატურგიაში. დიდი რეჟისორი და დიდი პიროვნებაცაა. თანაც, კარგად ესმის ქართულ-აფხაზური ურთიერთობანი.

პიესა სამი წლის წინათ დაინერა ქართულად. რეჟისორმა: რაც შეიძლება რეალისტური იყოსო, – და სპექტაკლი რუსულად წარმართა, უფრო ზუსტად, სოხუმური



ჟარგონით. ამან რომ გაამართლა ბევრი რამის გამო, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

შვეცადე მეთქვა, ორი სიმართლე რომ არსებობს. ქვეტექსტებიც ბევრია. თუ როდის გაიბზარა საქართველო, ყურად უნდა იღოს ორივე მხარემ.

წარმოდგენა ნახა მრავალმა აფხაზმა. შარშან გასტროლები გვექონდა ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში, გადმოდიოდნენ აფხაზები, გახმაურდა, რომ თბილისში აფხაზს ათქმევინებენ თავის სიმართლეს. სპექტაკლი ჩაიწერა და დივიდის მეშვეობით ვრცელდება აფხაზეთში.

არც თბილისში აკლია ამ სპექტაკლს მაყურებელი და არა მხოლოდ ქართველი, არამედ სომეხი და აზერბაიჯანელიც ინტერესდება. ჩვენი პრობლემა – სამხრეთ კავკასიელებისა – ერთია. ამიტომაც, სპექტაკლის მერე, ცხარე კამათიც გაგრძელებულია სამეფო უბნის თეატრის გაჩახჩახებულ კედლებში. ბ-ნ მერაბ თავაძის მასპინძლური დიდსულოვნება ამის გამოც დიდია...

– ბოლო შეკითხვა მომავალზე – შემოქმედებითი გეგმები მწერლისა. რას გვეტყოდით?

– ახლახან დავამთავრე წიგნი-დღიური, რომელსაც 10 წლის განმავლობაში ვწერდი. მხატვრულ- დოკუმენტურ

ნოველებივითაა. მალე გამოვა ქალბატონ ნაირა გელაშვილის თანადგომით – ქართულად და რუსულად.

აგრეთვე დავასრულე რომანი „პრეზიდენტის კატა“. თუმცა იგი არც პრეზიდენტზეა და არც კატაზე. ეძღვნება კოლორიტულ სოხუმელ კაცს მიხეილ ბლაჟბას. დედით ქართველი გახლდათ. დიდი მონდომებით ცდილობდა ორი ერის დაახლოებას. ომის დროს ველარ გაუძლო ამდენ უბედურებას და გული გაუსკდა. ის იყო სიყვარულის კაცი...

ბ-ნი როსტომ ჩხეიძეა ამ რომანის პირველი მკითხველი და შემფასებელი. რას მეტყვის, ველოდები მის ავტორიტეტულ სიტყვას.

ვწერ რომანს თბილისზე. ბევრი დამიგროვდა სათქმელი...

აღბათ, ძალიან მალე დაინწყებს ბ-ნი რეზო ჩხეიძე ფილმის გადაღებას ჩემი კინოსცენარის მიხედვით... ფილმი აფხაზეთზე უნდა იყოს. ასე რომ, თავადების გარემოცვაში აღმოვჩნდი.

– თანაც მეტად მდიდრულ გარემოცვაში ერთი ჩხეიძე კახეთის შტოს ეკუთვნის, ერთი – ქართლის, ერთი – იმერეთის – ასე რომ, საქართველო გიდგათ მხარში...

ესაუბრა  
ნიმეო ჯეჯანიძე

ჩვენი ყოფა, წუთისოფელი

ლელა ოჩიაური

როგორ  
„აღმოვაჩინა“  
ნუგზარ მუზაშვილი

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ „ჩვენი მწერლობის“ თითქმის ყველა ნომერს ვკითხულობ და ამისთვის რაიმე „განსაკუთრებული“ მიზეზი არ მჭირდება (არც ის, რომ რედაქციასთან თავადაც ვთანამშრომლობ და არც ის, რომ „ჩემ“ ჟურნალად მიმაჩნია). ვკითხულობ, რადგან როსტომ ჩხეიძისა და მისი გუნდის გამოცემაა; რადგან ყოველთვის საინტერესო და მრავალფეროვან მასალებს შეიცავს კულტურის სხვადასხვა სფეროდან; ვკითხულობ, თუნდაც იმიტომ, რომ ამით მეც და ბევრიც, ჩემს მსგავსად, „ომეგას“ დანაკლისს ივსებ და ა.შ. მაგრამ ჟურნალის ეს (2006 წლის 14 აპრილის) ნომერი, პირველ რიგში, ყდაზე გამოტანილი სათაურის – „ტელესერიალების მაცდური ხიბლი“ – გამო ვიყიდე (არა იმიტომ, რომ სერიალები მიყვარს, პირიქით, მაგრამ დამაინტერესა, რას ფიქრობენ ადამიანები იმ მოვლენის შესახებ, საიდანაც „დღეს ჩვენში ერი და ბერი სულიერ საზრდოს იღებს“) და მაშინვე (როგორც ყოველთვის ვიქცევი ხოლმე) გადაფურცვლა – მიზიდულობის „მთავარი ობიექტის“ ძიება – დავიწყე.

ვფურცლე და ვფურცლე, მაგრამ მასალა, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო, ვერსად აღმოვაჩინე. ვიფიქრე,

როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე ბეჭდვით მედიაში, „ტექნიკური მიზეზით გაპარულ შეცდომასთან“ მქონდა საქმე და ყდაზე სათაური კი გავიდა, მაგრამ შიგნით წერილი არა-მეთქი. კარგა ხნის წვალების შემდეგ, როგორც იქნა, სასურველ სტატიას მივაგენი, რომლის სახელწოდებაც სხვა ყოფილა (ოლონდ მეტყველი და მრავალწახნაგაიანი), აი, შინაარსი კი ზუსტად ის, რასაც გარეკანი იუწყებოდა და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე წარმომედგინა.

სამი ფურცელი (ექვსი გვერდი) სულმოუთქმელად (ან, ერთი ამოსუნთქვით) წავიკითხე და თავიდან კითხვას შევუდექი. ყოველი ფრაზა თუ აბზაცი ისეთ ალტაცებას (გამონწვეულს სხვადასხვაგვარი ემოციით) ინვევდა, ზოგჯერ რამდენჯერმე იქვე გადავიკითხავდი ხოლმე და ტექსტში, როგორც ძალიან საინტერესო მხატვრულ ნაწარმოებში, ვეფლობოდი. აღბათ, ასეთი შეგრძნება (კრიტიკული სტატიით ტკბობით მიღებული) მაშინ მქონდა, როდესაც პირველად წავიკითხე გურამ ასათიანის „საუკუნის პოეტები“ და ფრანგი მკვლევარის ანდრე ბონარის „ანტიკური ცივილიზაცია“ (და განსაკუთრებით, ამ წიგნის ის ნაწილი, სადაც საუბარია სოფოკლეს დრამატურგიის შესახებ).

როგორც ყოველთვის, როდესაც რაღაც მოგონს, გინდა, ის სხვასაც გაუზიარო და როდესაც ახლობლების წრე „გავარღვიე“, ჟურნალი ჩემ სტუდენტებს (კინოჟურნალისტიკის სპეციალობას რომ ეუფლებიან, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში) მივუტანე.

ოთხსაათიანი ლექცია ნუგზარ მუზაშვილის სტატიას ვუძღვენი, ნაშრომი სიტყვა-სიტყვით განვიხილეთ, ერთად ვაღიარეთ, რომ „ასე“ მხოლოდ გამორჩეული ინდივიდუალური უნარით დაჯილდოებული ავტორები წერენ (რისი სწავლაც და გამეორებაც შეუძლებელია) და ცოტა

არ იყოს, შეგეგმურდა; რომ თურმე ქართული კრიტიკის ტრადიცია „არ მომკვდარა“; რომ თურმე დღესაც შესაძლებელია შექმნა თანამედროვე ფორმაში მოქცეული ანალიტიკური სისტემები და ახალი სტილური მიმართულება განსაზღვრო და თვით ყველაზე ზარმაცებშიც კი ნაკითხვის სურვილი აღძრა.

ეს ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ დაგვეგმილის ნაცვლად საკურსო ნამუშევრების თემად ტელესერიალები ავირჩიეთ და მომავალი კინოჟურნალისტები აქტიურად შეუდგნენ „ტელესერიალების მაცდური ხიბლის“ არსის გარკვევას, ოღონდ მუშაშვილის „მაცდური ხიბლის“ ტყვეობისგან მაქსიმალურად თავისუფლად (ჩემი მკაცრი მითითებით და იმის მინიშნებით, რომ ხსენებული და იმპულსისმომცემი სტატია სულაც არაა მხოლოდ ტელესერიების სპეციფიკის ანალიზის შემცველი, არამედ კიდევ ბევრი რამისა და ბევრად მოცულობითი, ვიდრე სერიული და თუნდაც ტელევიზიის).

არც ვიცი, რატომ გამომრჩა მხედველობიდან (შეიძლება ბედისწერა იყო, რომ ეს შეხვედრა მომხდარიყო და რაიმე ახალთან შეხვედრის ბედნიერება განმეცადა, რასაც, სამწუხაროდ, ბოლო დროს, მოკლებული ვართ), მაგრამ სტატიის „...და ვინ ხარ შენ?“ (რუბრიკაში – „ჩვენი ყოფა, წუთისოვანი“) ავტორი – ნუგზარ მუშაშვილი, გამოვტყდები, ჩემთვის უცნობი აღმოჩნდა და „მკითხაობა“ დავიწყე – ვინ, რამდენი წლის, რა პროფესიის შეიძლება იგი ყოფილიყო.

ერთი პირობა, ვიფიქრე, ფსევდონიმი-მეთქი და ეჭვი როსტომ ჩხეიძეზე ავიღე. თუმცა წერის მისი სტილი (რომელსაც საკმაოდ კარგად ვცნობ და ვიცნობ), წინამდებარისგან აშკარად განსხვავებულია. სხვა კანდიდატურებიც მყავდა. ავტორის გვარიც „გამოგონილი“ მეჩვენა და თავს კიდევ დიდხანს ვიმტკრევედი, ისევე როსტომ ჩხეიძეს (რომელსაც სტატიით აღფრთოვანება გავუზიარე და დიდად ვასიამოვნე), რომ არ ჩავეგდე გონში და არ აესხნა, რომ ნუგზარ მუშაშვილი სავსებით რეალური პიროვნებაა, ცნობილი მკვლევარი, ძალიან საინტერესო ავტორი და, რასაც იგი სტატიაში საკუთარ თავზე წერს, სრულიად შეესაბამება სინამდვილეს.

როდესაც „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორს ისიც ვუამბე, რა რეაქცია და შედეგები მოჰყვა სტუდენტებისთვის სტატიის გაცნობას, მან გამოხმაურების დაწერა შემომთავაზა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურულ-თეორიული სამეცნიერო ჟურნალის „სჯანი“ მე-6 ნომერი მომცა, როგორც მითხრა, „წარმოდგენის უკეთ შესაქმნელად“.

ამ გამოცემაში ნუგზარ მუშაშვილი სრულიად სხვა ხარისხის, სპეციფიკის, ძალიან სერიოზული სამეცნიერო-მოცულობითი თეორიული გამოკვლევით – „ანალოგიები“, ანტიკური და თანამედროვე ხელოვნების შესახებ, წარდგა მკითხველის წინაშე, მაგრამ საკუთარი არაორდინარული, მსუბუქი, იუმორითა და უჩვეულო სახეებით, მეტაფორულ-

ლი აზროვნებით, „ანალოგიებით“, ასოციაციური ინტელექტუალური შრებით გაჯერებული მწერლური სტილისთვის, ხელწერისთვის მაინც არ უღალატია.

ახლა ვზივარ და ვფიქრობ, როგორ „გამოვეხმაურო“. მაგიდას „ჩვენი მწერლობის“ ზემოხსენებული ნომერი მიმშვენებს და წერის ნაცვლად, მინდა ვიკითხო. რაღაც მომენტში თავს ვიჭერ, რომ კითხვა მითრევს და მშვენივრად ვგრძნობ თავს, როგორც რაღაც დადებითთან შეხებით, ზუსტად ისე, როგორც „...და ვინ ხარ შენ?“ პირველი გაცნობისას. მეორე მხრივ, ეს ყველაფერი იმდენად მხიბლავს, რომ „ჩემი სტილი“ ბანალური მეჩვენება და გრძნობებისა თუ აზრების გამოსახატად სათანადო სიტყვები ვერ შემირჩევია. თუმცა ძალიან გულწრფელი ვარ და ეპითეტები, რომლებიც თავში მიტრიალებს, აღმატებულად სრულიადაც არ მეჩვენება, მაგრამ ისიც ვიცი (სტუდენტებსაც ხომ ამას ჩავჩიჩინებ), რომ, როდესაც რაღაცას ფიქრობ, იმას დამტკიცებაც სჭირდება. მე კი, არაფრის



ნუგზარ მუშაშვილი

მტკიცება არ მინდა. მინდა უბრალოდ ვთქვა, რომ რასაც ვკითხულობ, მომწონს. მორჩა და გათავდა!

მართლაც არ ვიცი, ყველაზე მეტად რა მომწონს ამ წერილში – თემა, რომელსაც ნუგზარ მუშაშვილი მეტად არაორდინარული ფორმითა და დამოკიდებულებით უდგება და ასევე, არაორდინარული, არატრადიციული ფორმით ხსნის?! თხრობის, პოზიციის გადმოცემის უჩვეულო მანერა – სერიოზულზე, აქტუალურზე მსუბუქი და ლალი სტილით, ძალიან ნატიფი იუმორით (რომელიც, მე მაგონი, ყოველ მარცვალში, არათუ სიტყვაში გამოსჭვივის) საუბარი თუ ზოგადად, ანალიზის (ასევე თავისებური) უნარი?! მსჯელობის ძირითადი ნაკადი და პარალელური დინებები, პატარა შენაკადები თუ ასოციაციური ხედვები, რომლებიც მოულოდნელად გაიდება ხოლმე, ხან აქ, ხან იქ და საბოლოოდ, ერთ მთლიან მოცემულობაში იყრის თავს?! თუ ის მთავარი, რასაც ეს ყველაფერი ემსახურება – იმ „მოვლენის“ ანალიზს, რომელსაც ტელევიზია, ტელესერიალი, მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება და მისი, საზოგადოების აზროვნებაზე, ცნობიერებაზე, ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედება ჰქვია?!

ყველაფერი კი განსაკუთრებით საინტერესო და არსებითი იმიტომ ხდება, რომ ვითარებას აფასებს და აანალიზებს ადამიანი, რომელიც სიტუაციას შიგნიდან უყურებს, ვინაიდან იგი „საპნის ოპერებად“ მონათლული, იგივე ლათინურ-ამერიკული სერიების მთარგმნელია“, „სერიების უღრანში ერთხელ შესული და უკან აღარ დაბრუნებული, ასე ვთქვათ, შინმოუსვლელი კალმოსანი“ და ამდენად, კარგად იცის და იცნობს თემას, რაზეც წერს. და რაც, ფაქტობრივად, გამოუკვლევია და შეუფასებელია.

ამდენად (და კიდევ ბევრი სხვა მიზეზით), განსაკუთრებით ღირებული ხდება დასკვნა, რომელსაც ნუგზარ მუშაშვილი აკეთებს: „...საქმე ის გახლავთ, რომ სერიული მთელი თავისი სტრუქტურით ხორცს ასხამს უძველეს ზოგადადამიანურ და მასებში დღემდე ძალიან პოპულარულ

სურვილს, საკუთარი არცთუ იდეალური გონებით იდეალურად ზუსტად ახსნას ეს სამყარო.

მე-20 საუკუნის დასავლურმა კულტურამ დაასკვნა, რომ ეს შეუძლებელია. მან არა მარტო თვითონ თქვა უარი ჭეშმარიტების ძიებაზე, არამედ ძველი, კანონიკური „ჭეშმარიტებების“ ფიქტიური ხასიათიც გამოააშკარავა. მაგრამ ასეთი გაურკვეველობა და ქაოსი მასობრივი ცნობიერებისთვის ყველგან და ყოველთვის აუტანელი იყო.

აუტანელია დღესაც.

წარმოიქმნება ერთმნიშვნელოვანი, მარტივი სამყაროს ნოსტალგია.

ნოსტალგია კი არა, ნამდვილი შიმშილი, რომელიც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად კმაყოფილდება.

ჩვენში ამ შიმშილის დასაკმაყოფილებლად ყველაზე ფართოდ გავრცელებული და საყვარელი საკვები სერიალი აღმოჩნდა.

„...ვითარცა უდაბნოს სასტიკი ხორშაკებით გულგანყლებული ყარბი მოგზაური ენაფება ოაზისის მაცოცხლებელ ნესტსა და სიგრილეს, ზუსტად ასეთი თავდავიწყებით ენაფება ჩვენი მაყურებელი სერიალის ერთმნიშვნელოვანი, მარტივი სამყაროს იდილიას. სამყაროს, სადაც

სიკეთე და ბოროტება მკვეთრადაა ერთმანეთისგან გამიჯნული და სადაც ადამიანური გონებისთვის ბოლოს და ბოლოს გასაგები ხდება სამართლიანობის პრინციპის მოქმედების მექანიზმი.“

ახლა, მას შემდეგ, რაც ჩემთვის ნათელი გახდა, ნუგზარ მუხაშვილის აზროვნების მოქმედების მექანიზმი, მის ნამდვილ „ფანად“ ვიქეცი და თუ ამ გვარს სადმე მოვკრავ თვალს, წინასწარ ვიცი, რომ გინდა კარგი მოთხრობა თუ ნოველა ნაგიკითხავს და გინდა „იმ კაცის, ყველაფერზე მსჯელობის მავნე ჩვევა რომ აქვს“, ნაწერი და რომ ეს ჩვევა, ხანმოკლე (ნაწერის მცირე ფორმატიდან გამოდინარე), მაგრამ ძალიან სასიამოვნო წუთებს მიქადოს.

**P.S.** ცოტა ხნის წინათ, ნუგზარ მუხაშვილის კიდევ ერთი თავყანისმცემელი აღმოვაჩინე. მოქანდაკე გოგი ოჩიაურმა თანამედროვე ავტორებზე საუბრისას, უცბად ნაცნობი გვარი – მუხაშვილი ახსენა. რომ ჩავეკითხე, მითხრა, ბევრს დაუნერია და ბევრიც წამიკითხავს, მაგრამ, ისე, როგორც იგი ხედავს, აზროვნებს, აფასებს და წერს, ძალიან იშვიათად. ისე გამეხარდა, თითქოს შინაურ, ჩემს უახლოეს ადამიანზე ეთქვას.

გამოხმაურება

ნინო ვახანია

ბიყვარდით კაცნო, ერთმანეთი

„ჩვენი მწერლობის“ 16 თებერვლის (მე-4) ნომერი კიდევ ერთი საუკეთესო საჩუქარია ამ ჟურნალისგან საჩუქრებით განებივრებული მკითხველისათვის. მთელი ნომერი არაბულ კულტურას ეძღვნება, ძველი და ახალი არაბული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს გვაცნობს, ქართველ აღმოსავლეთმცოდნეების ფასდაუდებელ ღვაწლს წარმოაჩენს და სიყვარულის ხიდს დებს ჩვენსა და ასე შორეულ და იმავე დროს ასე მახლობელ აღმოსავლეთთან. რედაქტორის მიმართვაში შესანიშნავადაა ჩამოყალიბებული ამ და მსგავსი გამოცემების მიზანი და დანიშნულება, რასაც სიამოვნებით გაეცნობა მკითხველი.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის, მთელი მსოფლიოს ერთიანობის თვალსაზრისით საყურადღებოა ნობელიანტი მწერლის, ნაჯიბ მაჰფუზის სიტყვა, წარმოთქმული პრემიის გადაცემის ზეიმზე. იგი ამბობდა: „განვითარებული მსოფლიო“ და „მესამე მსოფლიო“ სხვა არაფერია, თუ არა ერთი ოჯახი, სადაც თითოეულ ადამიანს ამ ოჯახის მიმართ თავისი პასუხისმგებლობა აკისრია საკუთარი ცოდნის, სიბრძნისა და ცივილიზებული დონის შესაბამისად“. და ასე მიმართავდა განვითარებულ, ცივილიზებულ კაცობრიობას: „ნუ იქნებით ჩვენი ტრაგედიების შორიდან მაყურებლები! თქვენ მასში ღირსეული როლი უნდა შეასრულოთ, თქვენი შესაძლებლობების შესაფერისი. თქვენ

თქვენი აღმატებულობის პოზიციიდან პასუხისმგებლნი ხართ... ადამიანზე, ქვეყნიერების რომელ კუთხე-კუნჭულსა და დასალიერშიც უნდა იმყოფებოდეს იგი!“ (თარგმან დარეჯან გარდავაძემ).

აქვე, ამავე ნომერში დაბეჭდილია მაფჰუზის ნოველა „ყისმათი და ნასიბი“ (თარგმან რუსუდან კვიციანიძემ), რომელიც უამრავ საფიქრალს აღძრავს. არ შეიძლება მკითხველი არ ააღელვოს, არ შეძრას დედის ხვეწნა-მუდარამ: – შეიყვარეთ ერთმანეთი, მხოლოდ სიყვარული გადაგარჩენთ.

ყისმათი და ნასიბი ძმები არიან, ტყუპები, თანაც – სიამის. წელსქვევით ერთი ბავშვია, წელსზევით – ორი. ღმერთმა სრულიად განსხვავებულები სამუდამოდ მიაჯაჭვა ერთმანეთს. განსხვავება კი მათ შორის დიდია, სულაც დაპირისპირებულები არიან ყველაფერში. პატარაობიდანვე სხვადასხვა მიდრეკილებებს ამჟღავნებდნენ. როცა ერთს ეძინა, მეორე გაჰყვიროდა. ერთი ლაპარაკს ცდილობდა, მეორე – სირბილსა და მტვრევა-მსხვრევას. მოზრდილებმაც ვერ მონახეს ერთმანეთთან საერთო. ყისმათი გულმოდგინედ სწავლობდა, ნასიბიმ კი წიგნი შეიძულა და მთელ ჯავრს ძმაზე იყრიდა. ყისმათი მთელი გულით მოეკიდა ღვთისმსახურებას, ნასიბი კი აინუნშიც არ აგებდა უზენაესის არსებობას. ყისმათის სისუფთავე უყვარდა, ნასიბის დაბანაზე ფიქრიც კი ზარავდა. ყისმათის მგრძობიარე სიმღერები მოსწონდა, ნასიბის – ხმაურიანი მუსიკა... დაბნეული და შეშფოთებული მშობლები ცდილობდნენ, შვილებში ერთმანეთისა და ღვთის სიყვარული ჩაენერგათ, უფლის ნებით ხსნიდნენ მათ უცნაურობას და მოთმინებით ასწავლიდნენ: – თქვენ ხომ ერთნი ხართ, არ გაიყოფით. სიყვარულის გარეშე შეუძლებელია. ერთმანეთი უნდა გიყვარდეთ. როგორც კი სიყვარული გაჩნდება, გასაჭირსაც მოეველება.

ჭირვეულ ბავშვებს კი ისე როგორც მთელ კაცობრიობას არაფრის გაგონება არ სურთ. არა აქვთ რა გაცნობიერებული თავიანთი განსაკუთრებული მდგომარეობა და ურთიერთზე დამოკიდებულების გარდაუვალობა, ცდილობენ მეორის დამორჩილებას და საკუთარი ნების თავზე მოხვევას. ძალადობა, უსულგულობა, სხვისი დამონების დაუოკებელი სურვილი ძმებს (ისე როგორც მთელ კაცობრიობას) ხელს უშლის ერთმანეთის გაგებასა და პატივისცემაში. დაირღვა სამყაროში არსებული ჰარმონია, ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცათ. აგრესიამ, უმონყალო ცემა-ტყეპამ დაარღვია მშვიდობა. ამოდ ცდილობს მამა შვილების შერიგებას – გონივრული იქნება, თუ თანხმობას მიაღწევთ: არ შეიძლება, რომ ერთმა მეორე დაჯაბნოს, დინჯად ურჩევს ყამ მუჰსინი, მაგრამ მისი რჩევა შეუსმენელი რჩება (ისე როგორც ღვთის სიტყვა მთელი კაცობრიობისთვის).

ტყუბი ძმების ანალოგია ჩინებულად გამოიყენა საქართველოს ერთიანობის საქადაგებლად აკაკი წერეთელმა. მე-19 საუკუნეში დიდმა ქართველებმა დამპყრობლის „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკას ერთმანეთის თანადგომა და სიყვარული დაუპირისპირეს. საცილო და საკამათო აღარავისთვის არ იყო, რომ საქართველო თავისივე კუთხეების ერთობლიობაა და ერთი მათგანის ჩამოშორებაც კი გარდუვალად გამოიწვევს მთელი ქვეყნის დაშლა-განადგურებას. სამწუხაროდ, გვჭირდებოდა მწარე შეხსენება:

**გვაგინებდა, რომ ძმები ვართ ერთმანეთის განაყარი. ერთის სისხლით მორწყული გვაქვს მინდორი, ტყე, მთა და ბარი... ჩვენ ძმები ვართ ტყუპის ცალი, საქართველო – დედა ერთი... ცალი ძუძუ რომ ჩამოჭრან და სიკვდილმა მოკლას ერთი, ცალ ძუძუს და მეორე ძმას რაღა შევბას მისცემს ღმერთი!**

ასე აკაკი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოუწოდებდა ერთიანობისაკენ, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად ბრძოლისკენ. ამ თხუთმეტიოდე წლის წინ საბედისწეროდ დავივინყეთ, რომ ერთი ძირი, ერთი ფესვი, ერთი საცხოვრებელი – სამშობლო – გვაქვს, დავივინყეთ, რომ სიამის ტყუპებით ორიც ვართ და ერთიც, ერთმანეთს ვერ მოვშორდებით... და რაღა შევბას ველით ღვთისგან?

ადამის შთამომავლები, ადამის ტომისანი ყველანი ერთმანეთის ნათესავეები ვართ. საერთო წინაპარი გყავს. ღვთის წინაშე ყველანი თანასწორნი უამრავი რამით განვსხვავდებით ერთმანეთისგან და ხანდახან პატივმოყვარეობით შეპყრობილებს გვგონია, შეუმცდარი, წმინდა, მართალი და პატიოსანი მარტო ჩვენა ვართ. სხვა, სხვა წესისა და ადათის მქონე, სხვა რწმენის, სხვა სწრაფვისა და მიდრეკილების, სხვანაირად მოფიქრალი უცილოდ უგზური, ბოროტი და კაცობრიობის მტერია. „ჩვენ ვიტყვით, კაცნი

ჩვენა ვართ“... მაგრამ ყველანი რომ ერთნი ვართ და რომელიმე ფერის დაკლება (მოსპობა) აღარბებს და აკინებს ამ უთვალავი ფერით მოცემულ სამყაროს?

ურთიერთდაპირისპირებული საზოგადოება, სხვადასხვა რეალობები, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ადამიანები, ოპოზიციური წყვილები – ეს ჩვენი ცხოვრებაა. ყველას თავისი სიმართლე აქვს, თავისი სურვილები და მისწრაფებები, ღმერთიც – თავისი. და რა ადვილია, თანაც რა ძნელი (ხანდახან შეუძლებელი) გაუგო „სხვას“, შეიყვარო „სხვა“. უტყვ, უენპირო, შავჯანდომობურულ კლდეს ერთხელ, ერთადერთხელ ამოაღებინა ხმა ვაჟაფშაველამ იმისთვის, რომ მედიდურად, წარბშეუხრელად, მოურიდებლად, უძრძალავად ექადაგნა: გიყვარდეთ კაცნი, ერთმანეთი!

არაბი მწერლის ნოველაში მოთმინებადაკარგული მამა ასე აფრთხილებს ყისმათისა და ნასიბის: – მორიგდით ერთმანეთში, სხვაგვარად შეუძლებელია, ერთად ყოფნა თქვენი ხვედრია. კაცობრიობის გაჩენის დღიდან ზეციური მამა გვაფრთხილებს და ერთმანეთის სიყვარულს გვასწავლის. პირველივე ძმებმა დაარღვიეს, არად ჩააგდეს მამის დარიგება. მას შემდეგ უფალი გვსჯის ჩვენი ცოდვებისათვის, თან გამუდმებით გვნვრთნის და ურთიერთგაგებისკენ, ერთმანეთის მოსმენისკენ მოგვინოდებს. ერთად ყოფნა ჩვენი ხვედრია – აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ქართველებისა და აფხაზების, თეთრისა და შავის, ყველა ადამიანისა ეროვნების, სარწმუნოების, სქესისა და ასაკის მიუხედავად.

სიძულვილით ცხოვრება ნახევრად ცხოვრებაა. საკუთარი უბედობის სხვაზე გადაბრალება და ბოღმის გადმონთხევა, სამაგიეროს მიზღვის წყურვილი საკუთარი უძლურებაა. სხვისი უბედურებით ვერავინ გაიხარებს, ხოლო მოკვეთილი თუ გარდაცვლილი სხეული ტვირთად აეკიდება ცოცხლად დარჩენილს და დავდივართ ასე ნახევრად ცოცხლები... და იმას ვაკეთებთ, რისი ძალაც შეგვწევს... სიკვდილს ველოდებით...

კაცობრიობამ ჯერ ვერ მიაღწია სრულ ზნეობრივ განწმენდას, არსებობის იდეალურ, სრულყოფილ ფორმას. იმას, რომ „აღარავინ იტანჯებოდეს და აღარცვისა ჰშიოდეს“. მიაღწევს კი ოდესმე?

**მინაწერი:**

ჟურნალის გარეკანის მესამე გვერდზე ულამაზესი ნაწერი სიმეტრიულად, პროპორციულად განლაგებული სიტყვები, წინადადებები. არაფერი საერთო ჩვენებურთან, არაფერი მშობლიური. წერა მარჯვნიდან მარცხნივ. მარჯვენა მხრიდან დაწყებული და დაუმთავრებელი სტრიქონის ბოლოს წერტილი. იმავე მხარეს აზზაცი. ყველაფერი უჩვეულო, განსხვავებული და მიმზიდველი. უნებურად აღძრავს პატივისცემასა და მოკრძალებას ამ ანბანის შემქმნელი და მისი მატარებელი ხალხის წინაშე.

ღირს, რომ კაცმა თუნდაც მარტო ამ ტექსტის ნასაკითხად ისწავლოს არაბული. ნეტავი იმას, ვინც ორიგინალში კითხულობს ნაჯიბ მაჰფუზის, მეი ზიადას, ნიზარ კაბანის, ხადარ მაქისა და სხვათა ნააზრევს. მადლობა მათ, შესანიშნავ მთარგმნელებს, ვინც ჩვენამდე ცოცხლად მოიტანეს აღმოსავლეთის სიბრძნისა და სილამაზის ნაყოფი, ვინც „კაცობრიობის წყურვილის მოსაკლავ წყაროს“ ქართველიც დაანაფა და დიდი კულტურის თანაზიარი გახადა.

მარიამ ლანდია

# როცა სიკვდილიც სიცოცხლეა

სიკვითთა და სიყვარულით სავსე, მომხიბლავი სისადა- ვით აღბეჭდილი არაერთი მოთხრობა წამიკითხავს ქართველი თუ უცხოელი მწერლისა. მათ რიცხვს დავამატა თეა თოფურიას „პირაქეთა საიქიო“ („ჩვენი მწერლობა“, 7), რომელ- მაც ყოფიერების „ასატანი“ სიმსუბუქე შემაგრძობინა.

არ ვიცი, საზოგადოდ, რას და როგორ წერს ეს ავტორი, ამ მოთხრობით კი დავასკვენი, რომ მწერლის გემი და გუმა- ნი აქვს, დეტალების შემჩნევისა და ამონერის ნიჭი, შუქ- ჩრდილების თანაბრად განაწილებაც შეუძლია და პერსპექ- ტივის ხელოვნებასაც ფლობს, ერთი სიტყვით, ხედავს, ის- მენს, იმახსოვრებს, გონებით ჩხრეკს, არჩევს და მერე სხვას (მკითხველს) უყვება განცდილ-ნააზრევს. წერის ასეთი მა- ნერა, რომელსაც რომანტიკულ-რეალისტურს დავარქმევ- დი, რა თქმა უნდა, ნაცნობი და მშობლიურია, ამჯერად მხო- ლოდ რეზო ინანიშვილს დავასახელებ. მანამდეც და მას შემ- დეგაც ბევრმა შეაგრძობინა მკითხველს სოფლის ჰაერის სიკამკამე, სოფლელების სიალალე, მათი მეტყველების სიმ- დიდრე, სამყაროსთან დამოკიდებულების უშუალობა და უბ- რალო ყოფის მშვენიერება, როცა სიცოცხლე გიყვარს და არც სიკვდილის გემინია, რადგან სიკვდილი არც არსებობს, როგორც ამ მოთხრობაშია, ის, უბრალოდ, პირიქითა მხარეა.

უნდა ითქვას, რომ მოთხრობის სათაურიც შესანიშნავია, ერთი შეხედვით, უბრალო, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი (იქით-აქეთ ოპოზიციები ყოფის ფარდობითობას ამხელენ და წუთისოფლის მთლიანობაზე მიაწინებენ).

ამ მოთხრობას რამდენიმე გმირი ჰყავს, ყველა ხასიათი გამოკვეთილია და ორიოდ შტრიხით მათი სულის მრავალ- ფეროვნება წარმოჩენილი. ისინი ერთმანეთს ავსებენ. მაგა- ლითად, გაბრიელა. ვილაცას ეთქვა მისთვის, სოფლის ტბაში ეკლესიაა ჩადირულიო, მას შემდეგ ჩაცმული შედიოდა წყალში, პირფერის წერით. ეს პა- ტარა დეტალიც კი საკმარისი იქ- ნებოდა ამ ადამიანის სულის წარმოსადგენად. თხრობაში ასე- თი მეტყველი დეტალებია. ჩანს, რომ ავტორს უყვარს ადამიანე- ბი, როგორებიც არიან, ისეთნი, მკითხველსაც სწორედ ამგვარ გრძობას უჩვენს, ცდილობს დაგ- ვანახვოს, რომ მათი სიკეთეც და სიავეც ბუნებრივია, ცხოვრე- ბაც, როგორც ვაჟა ამბობს: „ერ- თფერად მტვირთველი არის საქ- მის თეთრის და შავისა“.

ამ სოფელში ქეთო ბებოც ცხოვრობს, „ღამეებს რომ აუ- თოებს“ უძილობით და ქურდებს აფრთხობს. მეპურე იოსება, ოჯახს დაობებულ პურს რომ აქ-

მეც, ისეთი წუნურაქია. ცხოვრება აბრძენებს თუ ასულე- ლებს, აძუნებს თუ აკეთილშობილებს ამ ადამიანებს, მაგ- რამ არ აბოროტებს, თითქოს იმიტომაც არსებობენ, რომ სი- ცოცხლეს მრავალფეროვნება შეუნარჩუნონ. აქ თითქოს თვითონ ჰაერი მოქმედებს ატმოსფერულად მცხოვრებლებ- ზე და წუთისოფლისთვის განსხვავებულად შეახედებს. ამ სოფლის ახალგაზრდა მეგრელი რძალი წვრილმვილიანობას ასე „ამართლებს“: „ოჯახში იმდენი უნდა იყოს, სააქაოსაც ეყოს და საიქიოსაც“. ცალ-ცალკე ხომ ძალიან საინტერე- სონი არიან ეს ადამიანები, ავტორი იმასაც ახერხებს, რომ მთელი სოფელი დაგვიხატოს, მისი სული, თუ შეიძლება ასე ითქვას. ხმა დაირხა, გაბრიელას სახლს ჯადო აგური აქვს, ცოტას თუ ჩამოაფშვნი და წყალში გარეულს დაღვევ, დიდი კაცის გულს მოიგებო. ავტორის მოსწრებული თქმით: „იმის ფშვნით და სმით მთელ სოფელს ფალარათი გაუჩნდა“.

გაბრიელასა და იოსებას გოგოს სიყვარულის ამბავიც ლამაზად არის ჩანწული ამ პასტორალში; „ვინ თქვა, რიცხვი არა აქვს ვარსკვლავებსო, გადათვლილი ჰქონდათ მთელი ზეცა“. ეს ადამიანები გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ პერ- სონაჟებსაც ჰგვანან. გაბრიელა, უბირი და ხალასი, ისეთ სიბრძნეებს აფრქევს, ფილოსოფოსებს ტვინის საჭყლეტად რომ გაუხდიათ: „აი, ღმერთი ხომ სინათლეა, სინათლე მზის- გან მოდის, ღამე და სიბნელე კი არაფრისგან, მიზეზი მაგას არა აქვს და დასაბამი... „სადაც არაფერი არ არის, იქ არის ღამე“. და გაბრიელას ურჩევნია, ჯოჯოხეთში მოხვდეს, სა- დაც ხალხი მაინცაა და ეშმაკის თვალები ანათებს, ვიდრე უღმერთო ღამეში, რომელსაც არც ფსკერი ექნება, არც და- საწყისი და არც დასასრული. მაინც საიდან უჩნდებათ ამ უბ- რალო ადამიანებს ასეთი დიდი რწმენა: „სანამ ერთი ციციწა- თელა მაინც დაფრინავს და სანამ ჰაერი ადამიანის ხმას ატა- რებს, არ დაბნელდება“.

სინათლე, მეტი სინათლეო – სულის ამოსვლისას დაუკ- ვნესია გოეთეს, სიკვდილის კარიბჭეში შემავალს. თეა თო- ფურიას ამ მოთხრობის გმირები ამ დიდი სინათლით არიან სავსე, სიცოცხლეს და სიკვდილს საზღვარს რომ უშლის. მოთხრობაში იუმორის ნიავი დაქრის. უცხოელი, შემთხვე- ვით რომ დაესწრება დაკრძალვას, გაოცებულა, ანსამბლი შემხვდა გზაში, მაგრამ კუბო რალად უნდოდათ, ვერ გავი- გეო. მერე ალბათ ნაიკითხავდა ეს უცხოელი სადმე ქარ-

თველთა დიონისური ბუნების შესახებ, მაგრამ ახლა აქ, სო- ფიკოსთვის უნდა ესმინა, ოქ- როს სანმისის შესახებ ისე რომ ლაპარაკობდა, თითქოს ახლა ხდებოდა ის ცნობილი კოლხუ- რი მითიო.

მკითხველს ასე მსუბუქად, იყო და არა იყო რას სტილში მო- უყვებ ცხოვრების ამბავს, დაა- ფიქრო წუთისოფლის წარმავა- ლობასა და მარადისობაზე, ქართველი კაცის გონებამახვი- ლობასა და ამოების თამაშით დაძლევაზე, სიბრძნე-სისულე- ლის პირობითობაზე, ვფიქრობ, კარგი საქმეა, რომელიც თეა თოფურიას შესანიშნავად გა- მოსდის.

სამშაბათს, 1 მაისს  
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში გაიმართება  
განხილვა  
ნათელა არველაძის  
ნიგნისა  
„ახმატელაზი ანდლიან ომში“  
მომხსენებელი  
იოსებ ჭუმბურიძე  
დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის №41

ნინო ზაალიშვილი

# სხვისი დასანარი ამბები

საუპი

ანტონ ნორიოელის ამბავი

მარტყოფელი დიდებაშვილების რძლის პაპაზე, ნორი-ოელ ანტონაზე ახლაც ყვებიან ნაირგვარ ამბებს – როგორ იფარავდა სახლში იმ დიდი, ძველი რე-ვოლუციის წინ კობას, მერე ლამის ნახევარი მსოფლიოსხელა სახელმწიფოს მმართველი რომ გახდა, როგორ მოიკითხა ერთხელ „იმან“ და მადლიერების ნიშნად უზარმაზარი მოვერცხლილი ყანნები გამოუგზავნა..

კარგა ხანს მეტყვევებდნენ მუშაობდა, შიშის ზარს სცემდა ვინც „მის“ ტყეს უბატო-ნოდ შეეხებოდა.. უცნაური კაცი-აო, ძალიან უცნაური, ამბობდნენ ანტონაზე მე-ზობლები..

ზღაპრად დადიოდა ამბავი ანტონას მაგარი ბიჭობის შესახებ. კარგი ვაჟკაცი იყო ახალგაზრდობაშიო, ადასტურებდნენ სოფლის მოხუცები – თავის დროზე ერთ ჭამაზე თითო ცხვრის გათავება შეეძლოო, ზედ კიდე ერთ ოც ლიტრა ღვი-ნოს ისე დააყოლებდაო ვითომც არაფერი-აო – ამატებდნენ სხვები. არც ახლააო ნაკლები – წყინდა სიყრმის მეგობარს.

თანასოფლელებს ყველაზე მეტად კი მისი ერთი ახირებული ჩვეულება დაამახ-სოვრდათ..

ყოველი წლის ბოლოს, საახალწლოდ ბერიკაცი საგანგებოდ გამოიპრანჭებოდა, თმას გადაივარცხნიდა, უღვაშებს გადაიგრეხდა, გამოიტანდა ეზოში ორ სკამს, გადებდა მათ შორის თავისივე გამოთლილ კომბალს, შორიდან გამოქან-დებოდა, აინეოდა, სკუპო დაიძახებდა და გადაახტებოდა ხარისხს, მერე ისევ გა-დაიგრეხდა უღვაშებს, თმაზეც ხელს გადაისვამდა, მედიდურად მიმოიხედავდა, ჩაილიმებდა და ირგვლივ მყოფთა გასაგონად დააყოლებდა:

– იმ წელს მოვეკვდები, როდესაც ვერ გადავტყუებო!

სანამ ცოლი ცოცხალი ყავდა, ამ სიტყვებზე აკვილდებოდა:

– ჩაკვდი, რას ამბობ, კაცო ღმერთს ნუ ცოდავო!

ანტონა გახედავდა და მკაცრად შესძახებდა

– გაჩერდი, დაოკდი დედაკაცო!

საიდან მოიფიქრა, ან რატომ გადანწყვიტა თავისი სიცოცხლისთვის ამგვარი საზ-ღვარი დაედო, არავინ უწყობდა. ისე ამბობდნენ, რა უცნაურიც იყო, ისეთივე დარჩაო..

ყოველწლიური რიტუალი რომ დამთავრდებოდა, მომავალ წლამდე ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში დგებოდა.

ანტონა ხან კარმიდამოში საქმიანობდა, ხან სოფლის სხვა მოხუცებთან ერთად სახლის წინ სკამზე ჩამოჯდებოდა, მზეს ეფიცებოდა და ძველ ამბებს იხსენებდა. ახალი წლის მოახლოებისას კი ისევ თავისი სკუპის გასაკეთებლად ემზადებოდა.

მრავალი წელი ამ ჩვეულებისთვის არ უღალატია.

ყოველ წელს რალაცას ამატებდა ცერემონიას,

ტანსაცმელსაც სხვადასხვანაირს იცვამდა. უყვარდა წელზე ვერცხლის ქამრის შემორტყმა. უფრო ხშირად კრემლის ყოფილი ბინადარი თავისი „ძმაცაცის“ ფრენჩის ყაიდაზე შეკერილ კიტელს ამჯობინებდა. ქუდეზსაც იცვლიდა – ხან ბოხოსს დაიხურავდა, ხან კახურ ან სვანურ ქუდს მოიხდენდა, ხანაც თავზე მეტყვევის კოკარდიან ქუდს დაიმხოზდა და მზად იყო.. იმდენ ხანს იპრანჭებოდა, რძალი ხუმრობით ეტყოდა ხოლმე – რა იყო პაპა საქორწილოდ ხომ არ ემზადებო. ისიც შეიფერებდა ხუმრობას, უფრო პენიანად გაისწორებდა უღვაშებს, რატომაც არაო დააყოლებდა. ერთხელ ორდენიც კი გაიკეთა, მაგრამ მაშინვე მოიხსნა, ახალგაზრდების თვალში დაცინვა რომ შენიშნა.

ამ ამბავს, ანუ სკუპის ცერემონიას თავიდან მხოლოდ ოჯახის წევრები ესწრებოდნენ ხოლმე. მერე დამერე სხვებმაც მოინდომეს სეირის ნახვა.. ახალწლის ღამეს ხალხს სამხიარულო გაუჩნდა. ბევრს ეხალისებოდა – ნავიდეო, ვნახოთ ანტონას ცირკიო! (ეს ზურგს უკან, თორემ ისე ვინ გაუბედავდა ბერიკაცს დაცინვას). სხვები უფრო სერიოზულები ამბობდნენ – ნავიდეო ვნახოთ ანტონას სიკვდილთან შერკინება. აბა, წელსაც თუ გააცურებს ცელიან დედაკაცსო!

ყველას ჩუმჩუმად ეცინებოდათ მის დაჟინებაზე – თუ ვერ გადავტყუებო, მოვეკვდებიო! მერე მთელი წელი იგონებდნენ-ეს რა სეირი ვნახეთო.

მრავალ წელი ერთიდაიგივე მეორდებოდა – გადებდა ანტონა კომბალს, გადა-ახტებოდა და მერე მთელი წელი კმაყოფილი აგრძელებდა ცხოვრებას..

ოთხმოცდამეცამეტე წელს ისე მიაღწია, თითი არ ნამოსტკენია. ცოტა სია-რული უჭირდა, თორემ ისევ მხნედ და ვაჟკაცურად იყო. ძველებურად რიხიანად უყვარდა საუბარი. იჯდა სახლის წინ და ახალახალ კომბლებს თლიდა, ალამაზებდა, საახალწლოდ ემზადებოდა.

იმ წელსაც მოემზადა ჩვეული ცერემონიის ჩასატარებლად. კარგა ხანს დაყო სარკის წინ, „აზიაცკებიც“ თვითონ ჩაიცვა, დიდ ხანს ეძებდა საყვარელ ვერცხლის ქამარს, მერე გაახსენდა შვილიშვილმა რომ სთხოვა და აღარც დაუ-ბრუნებია. აკურატულად გაიკეთა გაცვეთილი ტყავის ქამარი. რძალმა წაიხემსეო შეახსენა.

– მერე, მერეო! – ხელი აუქნია.

თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო, მაგრამ დაკვირვებული თვალი შეამ-ჩნევდა რომ ჩვეულებრივზე მეტად ღელავდა.



იმ წელს სეირის საყურებლად შარშანდელზე მეტი ხალხი შეგროვდა. ზოგი სხვა სოფლიდანაც მოვიდა. დეკემბრისთვის უჩვეულო თბილი ამინდი იდგა. შიდა ეზო ცოტა რომის კოლიზეუმს დაემსგავსა (ასე თქვა ანტონა პაპას ყველაზე გა-ნათლებულმა შვილიშვილმა, რომელმაც ამხანაგებიც ჩამოიყვანა ამ მოვლენაზე დასასწრებად). ეზო არენის, აივნები ტრიბუნების როლს ასრულებდა., სეირის მომლოდინე მაყურებელიდან ზოგი ეზოში ეძებდა კარგ ადგილს, სხვები აივანზე მოკალათებულიყვნენ, ზოგი ხეზეც კი იყო ამძვრალი უკეთ რომ დაენახა ყველა-ფერი. მოკლედ ჰურიც იყო და სანახაობაც. გლადიატორის როლი ანტონა პაპას უნდა შეესრულებინა. არ ჩანდა მხოლოდ ის, ვისაც შეეძლო ცერა თითის მოძრაობით ანტონას სიცოცხლე გადაერჩინა ან პირიქით გადაეჭრა სიცოცხლის ძაფი.

ბიჭები ეხუმრებოდნენ ბერიკაცს, ბავშვები ანცობდნენ, დარბაისელი კაცები ერთმანეთში მუსაიფობდნენ, გოგოები მზესუმზირას აკნატუნებდნენ, ოჯახის დიასახლისები ცალითვალთ ამბავს აკვირდებოდნენ, თან ღმერთს ევედ-რებოდნენ, ღმერთო გვიშველე, ნეტა გადახტესო, ანტონას ქალიშვილი თავ-საფრის კიდეს არ უშვებდა ხელს, გადამწყვეტ მომენტში სახეზე რომ აეფარებინა, ქალები ყაყანებდნენ, თან პატარა სუფრას ამზადებდნენ, უხერხულია ხალხია მოსული ხომ უნდა გავუმასპინძლდეთ, რალაც მივართვათო, კიდევ ერთხელ დავლოცოთ ანტონა პაპაო. მოკლედ ყველაფერი ისე იყო როგორც ჩვეულებრივ.

ბერიკაცმა ცოტა გაახანგრძლივა პაუზა, თითქოს სიამოვნებდა ყველა მას რომ უმზერდა. მიდი, მიდიო! აქეთიქიდან ტალღასავით გადაუვლიდა ხალხს მოუთმენელი მაყურებლის შეძახილები. ანტონა კი ისევე წამდაუნუნო ისწორებდა ხალხს, იგრებდა ულვაშებს, დიდხანს ცვლიდა სკამებს შორის ხარისხასავით გადებული კომბლის ადგილს, დადებდა, აილებდა, ისევე დადებდა, თვალთ ეზომებოდა. ბოლოს როგორც იქნა გაასწორა. გარშემომყოფები ისევე ამხნევებდნენ – მიდი! მიდიო!

ბოლობოლო ანტონა პაპამ მაყურებლები მინიმონია, ადგილი გაათავისუფლა.. ყველა გაირინდა, რალაც მნიშვნელოვანის მოლოდინში.. პატარა ბავშვებმაც კი შეწყვიტეს ჟივილხივილი. ანტონა მოემზადა, გამოქანდა, წამიც და გადაეც-ლებოდა ხარისხასავით გადებულ კომბალს და კიდევ ერთი წლით გაიხანგრძლივებდა სიცოცხლეს.. გამოქანდა კიდევაც.. სკუპ.. და ყველა გაოგ-ნებული შეს-ცქეროდა ჩამოვარდნილ ჯოხს..

– უუუუჰ! ამოიგმინეს მაყურებლებმა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მოხუცი თითქოს უცებ მოტყდა, ცარცის ფერი დაედო, წელში მოიხარა, წლების სიმძიმე ერთბაშად დაანვა მხრებზე. პაპა ანტონმა ხელი განწირულად ჩაიქნია და უხმოდ სახლისკენ შებრუნდა. შვილებს, შვილიშვილებს, სოფლის ლაზლანდარა ბიჭებს გასამხნეველად შეხუმრება უნდოდათ, რა მოხდა, ვის არ მოსვლია იაღლიში, კიდევ ერთხელ სცადეო, მაგრამ მისი სახის გამომეტყველების შემხედვარეებს ენა მუცელში ჩაუვარდათ. ხალხი უხმოდ დაიშალა. მასპინძლების ყასიდად თქმულ შეთავაზებაზე – დარჩით, რა გეჩქარებათ, ერთი დავგილიეთო, არავეინ დათანხმდა.

ამ დღის შემდეგ ანტონას ხმა არავის გაუგია. ერთი-ორი დღე იჯდა აივანზე და არემარეს გასცქეროდა, საჭმელიც აიკვეთა და მუდარის მიუხედავად ლუკმას არ იღებდა პირში.

მერე უმცროს ბიჭს სთხოვა დამაბანინეო. შვილი საქეიფოდ ეშურებოდა და სიტყვა ბანზე აუგდო – საახალწლოდ ხომ იბანავეო, რა გეჩქარებაო.. მაგრამ მერე უარი ვერ უთხრა და უკან მობრუნდა. ბერიკაცი გასუფთავდა, გაკრიალდა, ულვაშებიც შეიკრიჭა, თმაც შეისწორა, ჩაიცვა ცოლის მოქარგული პერანგი, მე-რე სხვა სოფელში გათხოვილი ქალიშვილის მოყვანა მოითხოვა:

– აუცილებლად მოვიდეს, ყურში რალაც უნდა ვუთხრაო!

შინაურები დაფეთდნენ, ნეტა რა უნდა უთხრასო. სულო ცოდვილო, ისიც იფიქრეს არსენასავით სადმე კლდეში განძეული ხომ არა აქვს დამარხულიო..

ქალიშვილიც სასწრაფოდ მოვარდა გულამოვარდნილი – რა იყო მამი, რა გინდოდაო?

ანტონა ტკბილად შეხვდა ქალიშვილს. შვილიშვილები მოიკითხა, ნაჩხუბარი სი-ძეც არ დაივიწყა.

როდესაც ქალიშვილმა კიდევ ერთხელ იკითხა, მამი რაზე დამიბარე, რა უნდა ჩამჩურჩულო ყურშიო უპასუხა – ახლა ცოტას დავიძინებ და მერე გეტყვიო. არ ნახვიდე, უსათუოდ დამელოდეო. რამდენჯერმე გაუმეორა შვილს, ოთახში შევი-და და კარი მიიხურა..

რამდენიმესაათიანი გულისგამანვრილებელი მოლოდინის შემდეგ ქალიშვილმა თავად ვერ გაბედა და პატარა შვილიშვილს სთხოვა – შედი, ნახე პაპა რას აკეთებსო, რალა იქმსო.

ოთახში შეცუნცულებული ბავშვი მაშინვე შეშინებულნი გამოვარდა. პაპას ვაღვიძებ და არ იღვიძებსო, მგონი არ სუნთქავსო..

ყველანი ოთახში შეცვივდნენ – შუა ოთახში მდგარ ჭრელხალიჩა გადაფარებულ ტახტზე გულხელდაკრეფილი პაპა ანტონი დაინახეს. ისე იწვა, გეგონება ძინავსო. ატყდა ერთი აურზაური, ვაივიში, მოცვივდნენ მეზობლები. ანტონა კი იწვა და ალბათ უკვე იმ ქვეყანას იყო..

სიტყვის პატრონი იყო ნორიოელი ანტონა! ნაილულულულა ქელებზე სოფლის ერთმა ლაზლანდარა ბიჭმა – აკი თქვა, რომ ვერ გადავხტები, ნავალო და ნავიდა კიდევცო..

აბაო, დაეთანხმნენ სხვებიც და ნაუქციეს ჭიქა პაპა ანტონს.

### ანა, არტაშესი და ელზა

– მამაჩემი?  
– მამაჩემი ისეთი ლამაზი კაცი იყო, ისეთი სიმპათიური, ნამდვილი კრასავეცი!

ის რომ ავლაბარში გაივლიდა, გოგოები თვალს ვერ აცილებდნენ, სულ მოდაზე იცვამდა, კობტად!

წინათ ხომ იცი როგორ იყო-საღამო ხანს ყველა თავიანთი სახლის წინ გამოდიოდა, ნარდს გააგორებდნენ, მუსაიფობდნენ, ამ ქვეყნის, იმ ქვეყნის ამბებს ყვებოდნენ.. მამაჩემიც, მისი ბიძაშვილიც ხშირად ერთობოდნენ ასე.

– აუფ, რა მამა მყავდა, რა მამა, ნამდვილი კრასავიცი! ისეთი მიხვრა მოხვრა ჰქონდა, გრაფი გეგონებოდა!

ერთ სალამოსაც, ნარდს რომ თამაშობდნენ, ვილაცამ შუა თამაშში დაფაზე კაკლები ჩამოუყარა, თვალიც ვერ შეეველეს–ვინ იყო კაცი, ქალი, ბავშვი.. დაყარა და წავიდა, დატოვა სახტად დარჩენილი ბიჭები..

მეორე დღესაც იგივე განმეორდა. ბიჭები ახლა უფრო ფხიზლად დახვდნენ. იმის დალანდვა მაინც მოასწრეს, რომ კაკლები ლამაზმა გოგომ დაუყარა.. რატომ დაყარა, რისთვის არ იცოდნენ.. გოგო კი მოეწონათ–შავ-გვრემანი, წელწვრილა, ლამაზ თვალწარბიანი, აშოლ-ტილი, ნამდვილი კრასავიცი, მზეთუნახავი!

ესაო ისაო და ბიჭები შეთანხმდნენ– თუ კიდევ მოვა და კაკლებს დაგვიყრის, გავეკიდოთ და ვინც დაიჭერს იმისი იყოსო.. მოკლედ, როგორც ზღაპრებში გამიგონია, ისე..

მესამე დღეს უკვე გულისფანცქალით ელოდნენ მზეთუნახავის გამოჩენას. გავიდა ერთი საათი, მეორე, ის კი არ ჩანს.. გული გადაელიათ. როდესაც უკვე ეგონათ რომ აღარ მოვაო, ისევ ჩუმად მიეპარა. ამათ ვითომ ვერ ვხედავთო, თავი მოიკატუნეს, გააგრძელეს თამაში. დაყარა თუ არა კაკლები, დაკრა ფეხი და გაიქცა. ბიჭები წამოხტნენ და მარდად გაეკიდნენ. მირბის გოგო შველივით, ესენი კი სადაცაა დაენევიან.. მამაჩემმა იმარჯვა, სანამ გოგო თავის სახლში შეასწრებდა, მკლავში წვდა, დაიჭირა, ხელები მოხვია და უთხრა–ჩემი ხარო..

არ ვიცი ასე უცებ რა ქსელი გაიბა, რა ცეცხლი დატრიალდა მათ შორის, რომ მამაჩემი კვირის თავზე ხელის სათხოვნად მივიდა. საქმეც გაიჩარხა და ქორწილით დაგვირგვინდა. ეს გოგო დედაჩემი ანა იყო, მამაჩემს კი არტაშესი ერქვა.

ბებიჩემს სარძლო თავიდანვე არ მოეწონა, სასტიკ უარზეც დადგა. რად მინდა განათხოვარი ქალი, თანაც ასეთი ახტაჯანაო! მაგრამ მერე შვილს ხათრი ვერ გაუტეხა და დათანხმდა. მთელი სიცოცხლე რძალ-დედამთილი უბრად იყვნენ. ბებიჩემის აზრით, ანა არც კარგი ცოლი აღმოჩნდა, არც დედად ვარგოდა. ვერა და ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს. ბებიჩემი სულ იმეორებდა–ეს იქნება ჩემი სიკვდილის მიზეზიო. არავინ უჯერებდა, აწყნარებდნენ, ამშვიდებდნენ, მაგრამ არაფერი შველოდა. ბოლო ბოლო მაინც ასე გამოვიდა.. ერთ დღეს დედაჩემი მულთან ტორ-

გისნში წავიდა. ტორგისნი ხომ გაგიგიათ? რალაც რალაცები იყიდეს. გახარებულები სახლში რომ დაბრუნდნენ, დედაჩემმა ეზოდანვე მეორე სართულის აივანზე მდგარ დედამთილს მიახარა –კარგი რამეები მოვიტანეო (აღბათ შერიგება უნდოდა). ამ დროს სკამზე შემდგარი ბებია სარეცხს ფენდა. მის დაძახილზე გადმოიხარა, თავი ვერ შეიკავა და შუა ეზოში დაენარცხა.. ორი დღე ინვალა, ინვალა და მოკვდა.. რომ არ დაეძახა ბებიაც არ გადმოვარდებოდა, რა ვიცი..

იმას ვამბობდი – ბებიას დედაჩემი არ მოსწონდა. თავისი შვილის ღირსად არ თვლიდა, ქმარი კი ანაზე გიჟდებოდა. ძალიან უყვარდა. იცი რა მამა მყავდა, რა ლამაზი, რა ჭკვიანი! რა კოხტად იცვამდა! იცი რა ხალხში ჰქონდა საქმე!

სახლში ერთი „ვეფხისტყაოსანი“ გვექონდა. უძვირფასესი, სულ ნახატებით სავსე, მორთულ – მოკაზმული. მამაჩემიც მონაწილეობდა მაგის აწყობაში. ეს მისი სალოცავი წიგნი იყო! თვალისჩინივით უფროთხილდებოდა. დედაჩემმა კი აილო და გაჭირვებისას გაყიდა. მაგის გაყიდვა შეიძლებოდა?

– არ ესმოდა. წერა კითხვა ძლივს იცოდა. ისიც მამაჩემმა ძლივს ასწავლა. ისე, კაი ოჯახიშვილი იყო. დოქტორი ხუდადოვი ხომ გაგიგია? ტყე რომ გააშენა? მაგის ნათესავი იყო. რა კაცი იყო, ღვთისნიერი! ცოლი რომ მოსტაცეს თუ იცით?

– სახლში მიიღო სპარსეთის პრინცი. დიდი პატივი სცა, ესაო ისაო. სტუმარმა ბოლოს უთხრა შენ ცოლს ეტლით გავასეირნებო. ხათრიანმა კაცმა უარი ვერ უთხრა. ნაიყვანა და ორივე დაიკარგნენ. ვერავინ ვერ მოკრა თვალი, ვერც მის ცოლს, ვერც სპარსეთის პრინცს. მთელი თბილისი ამაზე ლაპარაკობდა.. კაცი დარდისგან დასწეულდა და მოკვდა. ასეთი ცნობილი ნათესავები ყავდა დედაჩემს, მდიდრები, განათლებულები. თვითონ კი სულ სხვანაირი იყო–ცოდნას მაინცდამაინც ვერ აფასებდა..

– ასე, მგონია რომ ნაშვილები ვარ, აყვანილი.. დედაჩემს შვილი არ ეყოლა და ამიყვანეს.. აღბათ გერმანელი ვარ. სულ მახსოვს ერთი თეთრყირმიზა, ოქროსფერთმიანი ქალის სახე. მახსოვს რომ მეფერებოდა.. საიდან მახსოვს, რატომ მახსოვს.. რატომ ჩამრჩა ასე გულში?

– მოკლედ აყვანილი ვარ. კარგა ხანს არ ვიცოდი ეს ამბავი. მერე ერთმა ვითომ კეთილმა მეზობელმა ჩამისისინა



ნახატი ავტორისა

ყურში. ეს რომ ჩემმა მშობლებმა გაიგეს, იმ უბნიდან გადასახლდნენ, სოლოლაკში დაიდეს ბინა.

– იცი რა მამა მყავდა! მეტყოდა ხოლმე, აბა გაემზადეო! მეც დავიბანდი, გამოვიპრანჭებოდი, ახლებს ჩავიცვამდი, სად არ მივყავდი – ეს მუშტაიდიო, ეს ცირკიო, თეატრიო.. მეტყოდა, რა გინდა რომ გაჩუქოო! სულსაც არ დაიშურებდა ჩემთვის, მაგრამ მე იაფფასიან საჩუქრებს ვირჩევდი, რომ არ შემენუხებინა და ძალიან ძვირი არ ყოფილიყო. აბა, ბავშვობიდან ეგრე ხელმოჭერილი ვიყავი.. ალბათ მართლა გერმანელი ვარ, არა? ჰა?

დედა? დედა ძალიან მკაცრი მყავდა. ცემა იცოდა, მწარე ხელი ქონდა. მამა თითისაც არ დამაკარებდა, რაც არ უნდა დამეშავებინა. ძააალიან ვუყვარდი!

სახლში ბევრი კარგი ნივთი გვქონდა, ძვირფასი, ზოგი – მამაჩემის ნაყიდი, ზოგიც დედაჩემის ნამზითვარი. ერთი ისეთი არაჩვეულებრივი ვენეციური მრავალსანთლიანი ჭალი გვეკიდა, რომ აანთებდი მზესავით ბრჭყვიალებდა, სახლი ინგლისის ხელმწიფის სასახლესავით განათდებოდა.

ერთ დღეს შევამჩნიე ბროლის სამშვენისში რო გაიხედავდი, ყველაფერი სხვანაირად ჩანდა, მზის სხივები ტყდებოდა და სამყარო ცისარტყელასავით აელვარდებოდა! დამენანა, ასეთი სილამაზე მართო მე რატომ უნდა ვნახო მეთქი, მინდოდა სხვებისთვისაც მენილადებინა მშვენიერება – მოვყარე სახლში მთელი უბნის ბავშვები, ჩამოვხსენი ჭალს სამშვენისები და სათითაოდ ჩამოვურიგე ყველას. იმ დღეს ჩვენი ქუჩა საოცარი სანახავი იყო – ყველა ბავშვს ხელში ბროლის ნაჭერი ეკავა. ბავშვები მზეს უცქეროდნენ, უხაროდათ, ერთმანეთს უცვლიდნენ ჭალის ნაწილებს.

დედა შინ რომ დაბრუნდა და შემოძარცული ჭალი დაინახა კინალამ გაგიჟდა ძლივს აკავებდნენ. მერე მაინც მომწვდა და ლაზათიანად გამბერტყდა. ყური კინალამ ამახია. მამა რომ არ დაბრუნებულიყო რას დამაწვედა კიდევ არ ვიცი. მამამ დამიცვა, მომეფერა..

– იცი რა მამა მყავდა, რა განათლებული, რა კარგი ნათესავების პატრონი, ეზოს თვალი. არავისთვის უწყენინება არასოდეს – ერთი საკუთარ დედას აწყენინა ანა რომ შეირთო. მეტი არავის..!

დედამ 97 წელი იცოცხლა. მამა უფრო ადრე დავკარგე. ორივეს რაც შემეძლო გაუჟუკეთე, მერე რა რომ აყვანილი ვარ..

ხომ იცი რა მამა მყავდა, რა კეთილი. სანყალი ხელში ჩამაკვდა. როგორ ვეფერებოდი, ვემუდარებოდი მამა არ ნახვიდე, არ ნახვიდე.. მაგრამ ნავიდა.. მიმატოვა..

დედა. დედა ლამის ასი წლის იყო. ბოლომდე მშვენივრად გამოიყურებოდა.. აივანზე უყვარდა დაჯდომა.. გამოიპრანჭებოდა, ამვლელს და ჩამვლელს უსათუოდ გაესაუბრებოდა, მეზობლებსაც ემუსაიფებოდა ხოლმე..

უყვარდა ველიამინოვის ქუჩაზე გასეირნება, სახინკლეშიც შეივლიდა უბნის ბიჭები პატივს მცემენო.. უყვარდა ახალგაზრდებთან საუბარი..

მერე მოკვდა. როგორც შევძელი პატივი ვეცი. მეზობლებმაც დააფასეს.. რაც დამიბარა ყველაფერი შევუსრულე. ლენინი უყვარდა ძალიან, ძალიან. პატარა ბიუსტი ვიშოვე და თან ჩავაყოლე..

რა გაცინებთ! ძალიან უყვარდა მეთქი. რატომ უნდა მენყენინებინა, რაც უნდოდა ის გაუჟუკეთე..

– მეე? ძალიან კარგი ქმარი მყავს. ლამაზი, კარგი ხასიათისაა, ძალიან ყურადღებიანი. მხიარულად ვცხოვრობდით.. სად არ ვყოფილვართ – იქითკენ, აქეთკენ.. სხვა ქალაქში თბილისელებს რომ დავინახავდით მაშინვე ვცნობდით. უცნობებსაც გამოვემცნაურებოდით ხოლმე. რომ დავბრუნდებოდი ისე მიხაროდა გეგონება ასი წელი არ ვყოფილვარ ქალაქში. ხან სად ვქეიფობდით ხან სად.. სტუმრიანობა მიყვარდა, ვინ არ ყოფილა ჩემთან, იცი რა ხალხი დადიოდა! ახლა სადღაა ეგეთები. ახლა არის ეგეთი ხალხი? ხალხის იყო, ხალხისი..

ერთხელ მეზობელთან შევედი. ვხედავ მონყენილები არიან. მამის დაბადების დღეა და არაფერი გვაქვსო.. ცოცხალი მოიცადეთ თქო, დავბრუნდები მეთქი.. ჩემთან გავვარდი. იქვე აივანზე ვცხოვრობდი. ფაცი ფუცით საღამოს კაბა გადავიცვი, მოვირთე, მოვიკაზმე, მძივები ჩამოვიკიდე, თმები მოვიწესრიგე. საჩუქარიც გავამზადე, რალაც საჭმელ-სასუნავიც. ჩემი ქმარი დამდევს და მეკითხება:

– ელზა სად მიდიხარო? სტუმრად მეთქი აბა მეც წამიყვანეო!

წავედით. ზარი დავრეკეთ. ვინ ბრძანდებოდა. სტუმრები ვართ მეთქი. კარი სასწრაფოდ გააღეს და შევრჩი მე საღამოს კაბით და საჩუქრებით!

რა დრო გვითარებია მეზობლებში! რა ხალხი ცხოვრობდა ჩვენს ქუჩაზე, რა დარბაისელი, სიტყვაუხვი, შეხედავდი ერთ სიცოცხლედ ღირდა..

ორი შვილი მყავდა. ნახე სურათები! გოგო ნახე, რა ლამაზი მყავს! სიძე არაჩვეულებრივი! შვილიშვილები ნახე – რა კარგები, რა განათლებულები, როგორი გაზრდილები! ეს ლიზიკოა, ნახე რა გოგოა. აბა სხვებიც ნახეთ, აბა შეხედეთ! ნამდვილი კრასავიცაა!

ბიჭი მყავდა, ბიჭი, მაგნაირი მეორე არ იყო თბილისში! რა ჭკვიანი, რა ლამაზი, რა ამხანაგები ყავდა, როგორ უყვარდა თავისი მეგობრები. ვინ არ იცნობდა! მაგისმა სიკვდილმა ყველას დასწყვიტა გული.. ეგეთი ვაჟკაცი უნდა მომკვდარიყო?

თურმე გული ანუხებდა, მე რა ვიცოდი, მიმაღავდა არ აღელდესო! ასე შეიძლებოდა? რატომ არ მითხრა? რატომ?

იქნებ ვუშველიდი, გადავარჩენდი. რამდენი გადამირჩენია, რამდენს დავხმარებოვარ? შვილს არ მივეხმარებოდი?

ეს მისი უკანასკნელი სურათია. მეგობრებთან ერთად უკანასკნელად იქეიფა, უკანასკნელად აღნიშნა დაბადების დღე. რამ გაუხეთქა გული, რა ადარდებდა?

განა მე ცოცხალი უნდა ვიყო? განა ეს სამართალია? რა ბიჭი, რა ბიჭი დავკარგე!

სად არის ჩემი შვილი, ჩემი ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი ბიჭიკო. ყველაა, ეგ კი აღარ არის.. რა არის 40 წელი ასეთი ვაჟკაცისთვის? ყველაფერი ქონდა ბედნიერებისთვის, ყველაფერი.. რა ნასწავლი იყო, რა ზრდილობიანი, ნამდვილი ჯენტლმენი!

– რად უნდა ვიყო ცოცხალი? მის გარეშე რაღად მინდა სიცოცხლე.. მის გარეშე რა უნდა ვქნა..

## პროზა

– რაო, ექიმი უნდა მოვიდესო? ასე აღქაჯივით ხომ არ დავხვდები, თმა მაინც გავისწორო, იქმებ ჩუსტები გამოვიცვალო.. ეს მაქმანის საყელოიანი კაბა ხომ არ ჯობია? ასე უკეთესია! სარკე მომანოდეთ!

– დავინახე, აივანზე ხალხი ამოვიდა, ვანოც იყო, ქალაქის მერი.. ნეტა რა უნდათ, რისთვის მოვიდნენ მეთქი, გულმა რეჩხი მიყო.. ნეტა ჩემთან არ იყვნენ, ვნატრობდი, ავი წინათგრძნობა არ ამიხდეს მეთქი. .მითხრეს შენი ბიჭი ცუდად არისო. როგორ გავიქეცი მისი სახლისკენ არ მახსოვს.. კიბეზე ავირბინე, შევედი ოთახში და ვხედავ ტახტზე დასვენებულ ჩემს ლამაზ ბიჭს.. ჩემს ლამაზს და ერთადერთს..

– განა მე ცოცხალი უნდა ვიყო და ის მკვდარი?

– რად მინდა ჭამა-სმა.. ღმერთო მაპატიე თუ ხანდახან რამეს ვამბობ შეუფერებელს, ღმერთო მაპატიე.. იქნებ ზეცაში ვნახო ჩემი ბიჭი, ჩემი ლამაზი შვილი.. ღმერთო მაპატიე.. ყველა დაიფარე ასეთი უბედურებისაგან..

ჩანაწერი გაკეთებულია საავადმყოფოში 2000 წლის ნოემბერში. პალატა 2

დამატება: სტუდენტ-პრაქტიკანტის მიერ შევსებული ელზა X ისტორიიდან.

ავადმყოფი უჩივის ტკივილს გულის არეში.. საყოფაცხოვრებო პირობები – კარგი.. ოჯახური მდგომარეობა – კარგი. რისკ ფაქტორი არ ქონდა..

## პოეზია



ლია სტურუა

### დულილი

ნორმალური ტემპერატურა აქვს,  
არ უნდა ეს დულილი!  
კანის შემოფცქვნა  
მეორე ადამიანთან შეხებისას  
და ამისთვის სიყვარულის დარქმევა  
რა ხდება ამ დროს?  
სისხლი, არ შეიძლება, გტკიოდეს  
არა და გტკივა, ძვლებიან-ხორციანად,  
გული ხელმძღვანელობს ამ პროცესს  
დევიზით „ერთგულება კუბოს კარამდე!“  
რა დაუფიქრებელი ნათქვამია,  
როცა სითბოს  
ფოთლების ყავისფერი წუთები-ლა დარჩა,  
თოვლი დანტისტის კაბინეტში მოყავთ,  
წამების იარაღებით და ნიკელისაა,  
ყორნებს ვერ გაათეთრებს,  
დულილსაც ჩააქრობს,  
მაგრამ რამ გაყო სუსხი და სიცხე,  
როცა ორივეს ჭინჭარი უდევს გულში?

### პოპ-არტი

რამდენიმე გირვანქა ხორცი  
გაზეთის ნახევზე:

ახალდაკლული ძროხის, თუ  
ჩემი გულის მიდამოებიდან?  
ლიტერატურული პოპ-არტი  
მშიერ კუჭზე, წყეული სინტაქსი  
ძლომის წინააღმდეგ  
ისეთი თოვლი მელო ამ ხორცზე,  
რომ ჯობდა, ამოეჭრათ,  
ცარიელი ადგილები აუცილებელია რუკაზე,  
Terra incognita-ს დაარქმევენ  
და აღმოაჩენენ,  
ახალი მიწის რანგში გაგიყვანენ  
აბა, სინატიფისგან და სტილების სიმრავლისგან  
რა სახელმწიფოს ააშენებ?  
ხორცი უნდა ჭამო, სისხლიანი,  
თუ შექსპირი იკითხო?  
რომელსაც, ამ გახსენებაზე,  
ყასბობასაც აბრალებდნენ?  
იქნებ, ფრენსის ბეკონობას  
ეს ჯობია? სისხლის სიჭარბე  
მსჯელობას აფერხებს, სამაგიეროდ,  
დროშასავით უხდება პოპ-არტს,  
თუნდაც ლიტერატურულს,  
მოასწარი მასთან შეთანხმება,  
სანამ გულიც არ ამოუჭრიათ...

\* \* \*

ზამთარი, ზაფხული  
მთავარი და მკაცრი დროები  
სილამაზეც, ოდნავ შეკუმშული,  
შეშინებული...  
თუ გინდა, თვალთ ისრიალე  
ამ ყველაფერზე, შეხების, ისედაც,  
მეხუთე გრძნობა, დათრგუნულია  
შუაში პატარა, ნელთბილი შეღავათები,  
როცა კომიდან გამოდინარ  
და ნითელ-ყვითელი ძაფებით  
ისევ ეკერები მინას  
იქნებ, მართლა, კლინიკური სიკვდილია ზამთარი?  
პირველივე კარგი ამინდი

თავის სიმჭიდროვეში შეგიყვანს,  
ხიდს რომ აკეცავენ,  
შიგ ჩიტი მოყვება  
და მისივე ფრენის ტრაექტორია  
დაადგება ძეგლად.  
ამ უნივთობას უფრო ვხედავ,  
ვიდრე რეალური საგნების მოხაზულობას.

**ნავროზი**

სინათლე წაიღეს, ჯერ ელექტრონის,  
მერე – შინაგანი,  
საპირფარეშოზე მისაშუქებლად ჭირდებოდათ,  
მსუქან ბაყვებზე, ოფლიან აქტზე  
რით არაა ლექსის მასალა?  
რალა პლატონზე გაგიშტერდა თვალი?  
რა ესთეტიკა დაგემართა?  
მაინც, რა უხერხული სიტყვაა,  
უნიადაგო, ვადაგასული!  
როგორ მოგწონდა!  
ბრონეულებიანი ნატურმორტივით გინათებდა!  
ისე მოგახალეს,  
წამალზე რომ დამლას ასვამენ:  
ვარგისია 2006 წლის ბოლომდე,  
მერე – სანაგვეზე!  
ვილაცამ ვერ გაგიმეტა:  
– მიუხედავად ამისა, ნერვები უჩანსო.  
როგორც ტანსაცმლიდან სასირცხო ადგილები,  
თუ, თავიდან - რქებივით?  
მაინც გამოსავალია,  
ამ მოწონებულ ნერვებს  
ცოცხალ ტანზე ტოტებივით გამოუშვებ,  
ვილაცას კიდეც, ერთ ამოსუნთქვა  
ჰაერს მისცემ, ლაჟვარდით შელამაზებულს...

**წვიმა**

ვინ არის ეს ქალი?  
ცისფერი, სევდიანი?  
სავარჯიშო პოეტებისთვის  
განურჩეველი?  
ნაკლებად ქალური ეპითეტი,  
მაგრამ ყველაზე შესატყვისი  
მუსიკა ვერ მიუყენეს:  
კლასიკა, პაბსა, ნერვი არ შეერხა  
ლოგიკის შენობა აუგეს  
მკაცრი, სნორკუთხა, არც იქ შევიდა,  
არც ჩუქურთმები მიანებებინა ზედ.  
რა გადაიტანა?  
ღრუბლები რომ ჩაუთეთრდა პირში,  
მერე კბილებივით დააძრეს?  
მოცარტი მოუკვდა ბავშვობაში  
და სადაფის პარიკებზე ლექსი დაწერა?  
რატომ არა საერთო სასაფლაოზე?

მაშინაც ირიდებდა ემოციებს,  
თუ ძალიან ადრე გადაინვა?  
ახლა, მზეც რომ ჩაუბრწყინო პირში,  
გულს ვერ მოუნახავ,  
ლექსის სიგრძეზეც ვერ მიწვდები,  
ის, მხოლოდ, ქალია,  
რომელიც წვიმაში მიდის...

**მაგრამ...**

დროა შევმსუბუქდე,  
სულზე და ძვლებზე გავაკეთო აქცენტი,  
მაგრამ ხორცი, რომელიც მტკიცია?  
მუცელი, სადაც კონსერვატორია მეზრდება,  
გამეზიანი, ვოკალის ფრაგმენტებიანი,  
სულ პატარა სიხარულის დროს?  
ის ბავშვი, ლედვის ნაყოფივით  
ტკბილი რომ უნდა ყოფილიყო?  
ერთნაირი დილები,  
აულაგებენ ლოგინიანი,  
საუზმე – მზიან-ცხიმიანი,  
რაც შეიძლება, ნოყიერი,  
რომ ირბინო საკუთარი თავისგან შორს,  
დიდხანს, სანამ არ დაგიძახებენ,  
მაგრამ ვილა დაგიძახებს?  
აივნის სვეტივით მუდმივი დედა,  
ფანჯარა, თავშეკავებულად მოთვალთვალე,  
მუსიკის მასწავლებელი – ხელები მოამრგვალო?  
იქამდე მოკვდა, სანამ ვიდეოზე  
თითებაპრეხილ პიანისტს ვნახავდი,  
მაინც დაუფჯერებ,  
ოლონდ, ახლა დამიძახებდეს!  
სანვაკი დამაკლდა, მთელი მისი  
ნოყიერების მიუხედავად,  
დავჯდე, მინდა სახლის ტახტზე,  
სახელოსნოს მორყეულ სკამზე,  
შანდლებიან პიანინოსთან...  
არ ვუნდივარ არავის, იქნებ,  
მხოლოდ ადგილის დედას  
კარგი ქართულის წარსულიდან,  
მუსიკალურ ბებრებს  
კონსერვატორიის უკონცერტობიდან,  
არგაჩენილ შვილს  
შავი კრეპდეშინის კაბიდან  
მაგრამ ხორცი, რომელიც მტკიცია?

\* \* \*

ნავთის ლამპა, შაგალის მწვანე კაცი,  
გაზაფხულიც სიმწვანეზე მშობიარობს  
რატომ მინდა ყველაფერში ტკივილი დავინახო?  
იფოთლება ხე, ლამაზია და მორჩა!  
რა წყალივით წერდნენ რეალისტები:  
მოლაპარაკე გვარებს ხან  
მატარებელი გადაუვლიდა, ხან ეკზეკუცია

და არავითარი ცნობიერების ნაკადები,  
შავი და ლურჯი, თუ ცას ირეკლავდნენ,  
პარადოქსები,  
სიტყვას რომ უკუღმა ამოატრიალებ  
და სარჩულის პრიალი შეგშლის,  
მაგრამ პრიალს სიღრმე არა აქვს,  
მარტო სიმაღლე, აქედან თუ ჩამოვარდი,  
ესეც ფრენაა, ოლონდ, უკუღმა...

**ადაპტირებული ცხოვრება**

შექსპირისგან კომიქსებს ხარშავენ,  
მოხუცების თავშესაფრებისთვის.  
ჭრელი კონტიგენტია,  
სალაფავი ჭირდებათ  
და თუ შუაზე გაჭრილ გლობუსში  
ცხოვრობს რომელიმე ოლივიე,  
ან პიტერ ფინჩი?  
ზედ მათ გულზე გადის ეკვატორი,  
ტრაგედიებს და ხელებს უთბობს?  
სადილი პურიტაა გამაგრებული,  
ვანშამს უფრო უხდება სევდის მიყოლება  
აქ არის ოქრო,  
ლაჟღაჟა ვაშლების მასალა,  
ალცჰეიმერის დაავადებამდე  
და დავინყების პასტელი მერე...  
უძრაობა...  
რასაც გინდა დახატავ,  
საგნების სულზეც კი მიანიშნებ,  
შუქზე, რომელიც იხედება  
ჩრდილის რეტუსიდან,  
მოდრაობის გადმოცემა ჭირს,  
რაც უნდა ააქტიურო ფერი და ხაზი...  
არც იცი, რა ურჩევნიათ, მათ,  
ეკვატორით გასერილებს:  
წვრილმანების სირბილი  
ამ ცხელი ღერძის გარშემო,  
თუ უკვდავება –  
მარმარილოს ციტატა მიქელანჯელოდან...

**ტაბულა რაზა**

რას მაძლევს მთელი ეს მითები  
დედალოს – იკაროსებზე?  
ისედაც ვიცი, ცაზე ერთი ოქტავით  
მალლა ბახია, შვიდი ბგერით ლურჯი  
დასანახ სილურჯეზე  
რად მინდა ფრთები, როცა  
თვალეები მაქვს და ყურები,  
გამჭოლი და სიღრმეში ჩახვეული,  
მზე, ისედაც, დამწვავს რომელიმე აგვისტოში,

გახამებულ ყელს ნიკაპამდე  
ვერ ავინე, დარბილდება,  
ჯინებზე ჩასაცმელი გახდება  
ამოსასუნთქად  
ერთი თეატრალური კათარზისი მჭირდება,  
რასაც ტელევიზორით მიცვლიან,  
მუსიკას პროგრამა „მეცო“-ზე მასმენინებენ,  
რად მინდა ეს შავი ბახი,  
საბნებით და ფარდებით დამხრჩვალნი?  
აიღეთ ცა, ფანჯარაში რომ ეტევა,  
იმხელა, თვალებთან ახლოს მომიტანეთ,  
ბავშვობის ფოტოსავით, სადაც,  
თითქმის, ყველაფერი მკვდარია:  
ქარხანა ვარაზისხვეში, უნივერსიტეტის დედობა  
ლათინურ ენაზე, ბიჭები, რომლებიც  
წერდნენ და სვამდნენ, მხოლოდ,  
ცაა იგივე, შემიძლია ერთი ოქტავით  
მალლა ავუშვა თვალი, რასაც ადრე  
არავინ მიშლიდა, ახლა,  
მიკერძოებული მაყურებელი მყავს,  
სუფთა შუბლებით მიტევს,  
ტაბულა რაზებით.

**გუშინ ჩვენი ვახშამი დამესიზმრა**

გვიან დავბრუნდით, წამლის და შიშის  
ლორწოთი მინებებულები ერთმანეთს,  
მარტო ფეხებს ვინმენდდით ცალ-ცალკე,  
ერთი ტელევიზორი ინფორმაციას უჩვენებდა,  
მეორე – სერიალს,  
დედაჩემი რეკავდა,  
პირდაპირ, სისხლძარღვებით კრეფდა ნომერს,  
ხელები გაუცვდა ჩემი შვილის მოვლაში,  
ახლა, მისი ახალგაზრდობა თვალებს ჭრიდა,  
მე უფრო მეგუებოდა, გათლილი ვაშლივით.  
ლიფტი არ მუშაობდა,  
მეთორმეტე სართულის ფანჯრიდან  
შენ არ გამიშვი, დანა აიღე  
და ჩემი ნევროზის დაჭრა დაიწყე,  
როგორც კარტოფილის,  
ხახვი უმად იდო,  
გუმბათებივით, ჩემი ტირილის გამართლებასავით  
გუშინ ეს ვახშამი დამესიზმრა, ისე ტკბილად,  
თითქოს არაფერი უკეთესი  
არ მინახავს ცხოვრებაში.

**თაგაში**

ბოლო შეგუება, შავ-თეთრი ცხოვრების  
ჭადრაკთან გაიგივება, მაგრამ  
რალაც მომენტში, დედოფალს,  
რომელიც, როგორც უნდა, ისე დადის,  
კიპლინგის კატისა არ იყოს,

სახეზე წითელი ტრანსპარანტივით  
კლიმაქსი ეფინება,  
(საბჭოთა დროშია პოლირებული)  
მეფე, ცხენები, პაიკები,  
ნამდვილ ხალხზე კანონმოშიში,  
უკან მიყვებიან  
ბანალური უფსკრულია მათ წინ  
შენ კი ხედავ და შეგიძლია  
სწორი სვლის გაკეთება, მაგრამ  
შავ-თეთრი კანონები აყირავებულია,  
სისწორე – შეფერადებული,  
დასაშვებია სიარული, საითაც გინდა,  
სანთლები აღარ იყიდება  
სარდაფის მაღაზიებში, მხოლოდ,  
დამოუკიდებელი ხასიათი, კიპლინგის წიგნი,  
კაშკაშა ტრანსპარანტი სახეზე, რომლის შედარება  
წითელ კვერცხებთანაც შეიძლება,  
აღდგომა ახლოვდება,  
ადრეული და, ალბათ, გრილი.  
ღმერთო, დამარწმუნე, რომ  
ყველა გასასვლელი კარის იქით  
უფსკრული არ არის,  
სახლის, მაღაზიის, ავტობუსის...

**კიდევ ერთი შეუსაბამობა**

როგორ, ამდენი ხანი ვერ მიპოვეთ?  
მაგიდაზე რომ რვეული დევს,  
იმაში ვარ სუბლიმირებული,  
ჩემი მარტოობიანად  
გამართლა ფსიქოთერაპევტების რეცეპტმა  
ასე ჯობდა, აბებისგან კედლის აშენებას,  
ბავშვის ტირილით შემომნებას,  
რამდენად მაღალია,  
რა კარგად დამიფარავს იმისგანაც,  
რასაც არ ვემალები, მაგ. მზისგან  
სინათლის წყაროს ძებნას ვინყებ:  
ზეწარი, ფაიფური,  
დიდი ხნის ჩაუცმელი წითელი კაბა –  
გაუთოებული რევოლუცია კარადაში  
ის ფართხალი შემანყვეტინეს,  
ჩაყლაპული კაუჭი მუცელს მიფხეკავს,  
მედუზებით ვივსები,  
ზღვის პატარა ნაკეცივით,  
ტექსტი რთულია, კედელი,  
ბავშვის ტირილივით მაღალი,  
მე – ლურჯი, როგორც მაცივრიდან  
ამოღებული ხორცი, ვადაგასული,  
სუბლიმაციის ეშმაკობას თუ არ მივმართე,  
პატარა მონაკვეთს ორ ტკივილს შორის,  
სადაც მწვანეხალათიანი მედდები  
პალმებივით დგანან  
კლინიკური სიკვდილის თოვლში,  
რალაცეებს მპირდებიან, მაგრამ

ზუსტ დროს არ ამბობენ,  
საათზეც აღარ ვიხედები  
ორიენტირია მზე, მისი ჩასვლა,  
ამოსვლა, ზენიტში დგომა...

\* \* \*

მოეში შაკიკიანი თავიდან  
ანალგინის კოშკების ამოყვანას,  
ანუ სპილოს ძვლის!  
ეპატაჟი ფრანგების მოგონილია.  
იცი, რა სამშობლოებია საბნის ქვეშ?  
ოლონდ, ტკივილის ბაცილა არ უნდა შეგყვეს,  
წყალი მოდის, სინათლე ანთია,  
ჩამოიბანე საქმიანი დღე და შედი,  
მოიცვილე შიში სწორი ხაზების  
სიმართლის წინაშე,  
პატარა, მოკუნტული, მაგრამ შენი,  
ებრაელი მხატვრების სიყვარული,  
რომელიც დაგანგრევდა,  
გოიას რომ ერთადერთი მარგალიტი  
არ მოეშუქებინა  
ამ ყველაფერზე ფიქრობ საბნის ქვეშ,  
ლამის, შუადღემდე, ბუების თავშესაფარში,  
რა თქმა უნდა, ეს ქვეყანა ტოროლებსაა,  
მოზომილად მოქმედებენ,  
წკრილის განრიგიც კი აქვთ,  
მაგრამ სუტინს, რომელიც კედელზე გიკივია,  
მშობლიურ სილოგიზმში ვერ ჩატენიან.  
ტკივილი გათენებისას გაღვიძებს,  
საბნისქვეშა სამშობლო გათელილია,  
მზე, თურმე, ამ დროს ადგება სახლს,  
ასეთ უკუთხო გარემოში, თავშესაფარს,  
მითუმეტეს, ვერ იპოვი,  
მას უფრო, რამე მხიარული  
ნატურმორტი მოუხდებოდა, ვიდრე  
სანთლის ძაფივით დაგრეხილი სუტინი,  
ტკივილის შეფუთვას ვანებებ თავს  
და ვტირი,  
ავადმყოფობას თავისი ხედვა აქვს...

**სიმატივის მცდელობა**

ზეპირად ვხატავ ზღვას,  
ულტრამარინის მთელი მარაგი დავხარჯე,  
მომავალი ცის  
და იდეალური სიყვარულის ანგარიშში  
ინტელექტუალები ჯოისობანას თამაშობენ,  
მძივებით თამაში უფრო ღია იყო,  
ლექსიკონების გალავანი არ ჰქონდა  
შემოვლებული, სქოლიოების სარდაფში  
მაშინაც ბნელოდა, მაგრამ  
ვინც ბავშვობიდან იცნობდა  
იმ პირველ მოგზაურს,  
ზღვის ულტრამარინი უნათებდა.

**პლენერი**

რა ჭარბყვავილიანი გაზაფხულია!  
 ყველა საფლავიდან  
 მიცვალებულები იხედებიან,  
 სულ ვამბობდი,  
 თოვლი კინოში მიჩვენია,  
 ან ტელევიზორში,  
 ახლა, მოდი და გაუძელი  
 ამ იასამნისფერ გამოხედვებს!  
 თავის გამხეთქი მზეც მუქთადაა,  
 არავითარი პლენერზე წასვლა!  
 მე რა, მე მაგიდაზეც მაქვს ეს პლენერი,  
 მხოლოდ, გადათეთრება ჭირდება,  
 მხატვრები მეცოდება, ვინც მინაშია,  
 ახლა უფრო, ვიდრე წვიმაში, ან თოვლში,  
 როცა ბუნაგი გატკბილებულია,  
 იასამნის ბუჩქს რომ ცეცხლი წავუკიდო,  
 შუქი თუ არა, რალაც დაუშვებელი,  
 აღმამფოთებელი ხომ ჩამოაღწევს შენამდე,

ბოლო ნახატებისთვის უჩარჩოობა შევუკვეთე  
 და ველარ ვიყიდე  
 ხელოსნები რეალური ადამიანები არიან  
 იასამნისფერზე ფეხი უცდებთა...

\* \* \*

შეიძლება  
 ეკალს სანყალს, შეუხედავს,  
 სულ ნეიტრალური ფონი რომ იყო  
 ვარდის ფენოვანი სილამაზისთვის,  
 პოეტის უკუღმართი ტვინი აღმოაჩნდეს  
 და დაგაჯეროს, რომ ბულბულმა მოკლა,  
 ისეთი გაგარვარებული მკერდით შეასკდა?  
 მისი სიმღერა პირში ჩაგდიოდა  
 ვარდისფერი ღვინოსავით,  
 სისხლი, ცოტა უფრო, მუქი ფერისაა  
 ამ სიმართლესაც შეეჩვევი,  
 ტკივილი პირველივე კლასში გასწავლეს...

**უცხოელის თვალით**

ჯონ დოს პასოსი

**ნითელი  
 კავკასია**

\*

**თავი ნიგნიდან  
 „გასაგჟოჯული კავკასია“**

**I. ნივთებთან განმორჩების მწუსრი**

ფანჯრის დაბზარული, ქალაღდის ლენტებით შენებე-  
 ბული მინის უკან მიტოვებულებს საიდუმლო სერობა გა-  
 ემართათ. შუაგულში მუცელგამობერილი, ოდნავშეჭ-  
 ყლეტილი, დიდი მოელვარე სამოვარი იდგა – თავზე მობ-  
 რეცილი სასტვენითა და დამტკვერილი, ჩუქურთმებიანი  
 სახელურებით. მის ირგვლივ დარჩილულ შავ ხავერდის  
 ნაჭერზე მიეყარ-მოეყარათ ქართული ხმლის ორი ვერ-  
 ცხლის ქარქაში, რამდენიმე ვერცხლის გრავირებული  
 ფინჯანი, ნაქსოვის შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა, დაბ-  
 ზარული მოჩუქურთმებული სურა, საათები, მათ შორის  
 ორი – შვეიცარულ მონადირის გაცვეთილ ყუთში, ერ-  
 თიც, მთლად ახალი, ინგერსოლი, მანათობელი ციფერ-  
 ბლატით, თან რამდენიმე სქელი ანტიკური რეპეტიციით,  
 ერთი ნყვილი დრეზდენული შანდალი, მაქმანი, იაფიანი  
 ნაჭერი საპნების გროვა, ძაფის კოჭები და ქინძისთავების  
 შეკვრები.

მაღაზიის სიღრმეში  
 ყვითელსახიანი მოხუცი  
 თავჩაქინდრული დაყრდ-  
 ნობოდა დახლს, რომელ-  
 ზეც კოლენკორის რამდე-  
 ნიმე დაჩითული ნაჭერი  
 იდო. კედლებთან ოსტა-  
 ტურად დამუშავებული,  
 სადაფით ინკრუსტირებუ-  
 ლი თურქული ტაბურეტი,  
 მაჰოგენის ხისგან დამზა-  
 დებული უსარკო ტუალე-  
 ტის მაგიდა და რკინის  
 პირსაბანები ჩაემწკრივებიათ. მოხუც კაცს წარბებს შო-  
 რის ვინრო ადგილი ღრმად დანაოჭებოდა. თვლებში იმ  
 ძაღლის ბრაზიანი გამომეტყველება ედგა, ნარჩენების  
 ქექვა რომ შეანყვეტინეს. დავინროებული თვალის გუ-  
 გებიდან მზით განათებულ, დანაგვიანებულ ქუჩას გაჰ-  
 ყურებდა, სადაც სახეჩამომხმარი კაცები ქუჩის უსნო-  
 მასნორო კიდეზე ხელებში თავჩარგულები ჩამომსხდა-  
 რიყვნენ. იშვიათად თუ ჩაიხრიგინებდა გაძვალტყავე-  
 ბულცხენებიანი ოთხთვალა. ჯარისკაცები უსაქმოდ და-  
 ეხეტებოდნენ.



ამ მაღაზიის მფლობელი ბერიკაცი იმ ნივთების უკა-  
 ნასკნელი მცველი გახლდათ თავის დროზე მავანთა  
 ცხოვრების მიზანს რომ წარმოადგენდნენ და მათ კეთილ-  
 დღეობას ადასტურებდნენ, თაობები მათ მოსაპოვებლად  
 და ხელში ჩასაგდებად არაფერს რომ არ იშურებდნენ.  
 დღეს კი ღირებულებადაკარგულნი, ფეხქვეშათელილნი  
 ამ მაღაზიაში მიეყარ-მოეყარათ. მშვიერი ადამიანები, და-  
 ოსებულები რომ დააბიჯებდნენ დანგრეულ ქუჩებში, სპე-  
 კულანტთა მაღაზიების ვიტრინებთან ნივთების შესათვა-

ლიერებლადაც კი აღარ ჩერდებოდნენ. არადა, ერთ დროს, ეგებ თვითონაც ფლობდნენ რომელიმე მათგანს. ამ ადამიანებს ეტყობათ, ნივთების არსებობაც კი დავინ-  
ცნოდათ.

ბერიკაცის მაღაზიას ნავსადგურში ჩამომდგარი გემი-  
დან ქალაქში გადმოსული უცხოელი თუ ესტუმრებოდა  
მხოლოდ და ისიც იშვიათად. მას შეეძლო ევროპაში გასა-  
ყიდად ძვირფასეულობა შეეძინა, ან ჩარაზულ კარს მიღმა  
ბენვეული, ხალიჩა, მალულად, მუქთად ხელში ჩაეგდო,  
რათა შემდეგ არცთუ ისე დიდი ქრთამის ფასად კონტრა-  
ბანდული წესით ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაეტანა. ბა-  
თუმში წინა ღამით შემოსულ გემზე მხოლოდ ამის შესახებ  
თუ იყო საუბარი. მსჯელობდნენ, რისი წაღება შეიძლებო-  
და აქედან ჩალის ფასად. ადამიანები ამ მიზნით ისეთი  
გულმოდგინებითა და გონების დაძაბვით ეძებდნენ გზებ-  
სა და საშუალებებს, როგორც მეთევზეები ორაგულის სე-  
ზონის გახსნის წინა ღამეს.

ბათუმის ხევიანი ქუჩებში ჩამვლელი თვალის ერთი  
შეველებითაც შეამჩნევდა სახლებში უმეტესწილად და-  
ცარიელებულ ოთახებს, ზოგან სანოლით ან მაგიდით,  
სამზარეულოში ჯამ-ჭურჭლით, ღია ფანჯარაზე კოლოს  
სანინალმდეგო ბადის ნაჭრით ან მაქმანის ფარდით.  
არეულ-დარეული პირადი ნივთები, პატარა ბრჭყვიალა,  
რბილბენვიანი თუ ფოჩებიანი საგნები, რომლებითაც  
ადრე კედლები იყო დაფარული და მათ ცხოვრებას ასა-  
ხავდნენ, დღეს სადღაც გამქრალიყვნენ. კედლებზე იმ  
ძველი ნივთების კვალიც კი არ ჩანდა, ადრე ბინები რომ  
ჰქონდათ განწყობილი. აქამდე არსებული ქონება ომმა  
ალბათ საკეპ ბორბალში გაატარა. ამათ ხომ დამპყრობე-  
ლი და ოკუპანტი არა დაჰკლებიათ: რუსი, გერმანელი,  
ბრიტანელი, თურქი, ქართველი სოციალ-დემოკრატები  
და ბოლოს წითელი არმია. გაუთავებელი შიშის, სამწლი-  
ანი ტაციობისა და ძარცვა-გლეჯის, სამალავებში სათუ-  
თად მოვლილი ნივთების წამდაუნუმ შეგორება-გამოგო-  
რების გამო, როგორც ჩანს, ეს ხალხი აპათიაში ჩაეარდა.  
ხალხი მთელი დღეები შუა ქალაქში, კენჭებიან პლაჟზე  
კონკრეტულ წამონოლილი მზეზე ისრუკებოდა. დროდად-  
რო თუ ჩაყურყუმალავებოდნენ შავი ზღვის მწვანედ  
მოლივლივე ტალღებში, ანდა ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ  
და სანაპიროს ბულვარში უცნაურ, მოუნესრიგებელ  
ელიზიუმში, პალმების ძირას საუბრობდნენ. შიმშილისა-  
გან დაოსებულებს, კაცი რომ ვერ წარმოიდგენს, ისეთი  
ნეტარება დაუფლებოდათ, რაღაც იმდაგვარი, სასია-  
მოვნო ძილ-ბურანში მყოფი ნარკომანები რომ იღუპები-  
ან შეციებულნი.

საცოდავი ნარჩენები იმისა, ხალხი დაჟინებით რომ  
უნოდებს ცივილიზაციას, აქ გახუნებულნი და დამტყე-  
რილნი უნესრიგოდ ყრია ვაჭართა ნახმარი ნივთების მა-  
ღაზიათა ვიტრინებში. სასარგებლო და გამოუყენებე-  
ლი, ოსტატურად შესრულებული თუ გამოჩორკნილი  
ნივთთა გროვები დოლარების, ლირების, ინგლისური  
თუ თურქული ფუნტების სანაცვლოდ ნელ-ნელა მიაქვს  
ზღვას დასავლეთისაკენ. ვაჭრები – ადამიანები, თვა-  
ლები ნაგვის გროვაზე შემდგარი შეშინებული ძაღლის  
თვალებს რომ მიუგავთ, ღმერთის მეორედ მოსვლას  
ელოდებიან.

## II. ვეფხისტყაოსანი

ცაზე მთვარის ნატეხი ციაგობს. ზღვის ჰორიზონტზე,  
მტრედის გულივით მომწვანოიისფრად რომ ელვარებს,  
უზარმაზარი წითელი მზე ისეა გაბერილი, აგერ-აგერ  
გასკდება. პალმის ტოტები და ჭადრის ფართო ფოთლები  
სიბნელეში ირხევიან. ქართველი ჯარისკაცები ბარაკების  
წინ მტვერში უსაქმოდ შემორკალულან წრედ. გაცვეთი-  
ლი, მონაცრისფრო უნიფორმა აცვიათ. ზოგს მრგვალი  
ბენვის ქუდი, ზოგსაც – წითელი არმიის ნვეტიანი თეპის  
ჩაფხუტი ახურავს. ბევრი ფეხშიშველია. მათგან უსიამოვ-  
ნო ოფლის სუნი მოდის. ერთი მათგანი, მჯდომარე, ხელის  
მტევნების სწრაფი მონაცვლეობით ფეხებშუა მოქცეულ  
პატარა დაფდაფს სცემს. დანარჩენები მანამ უკრავენ  
ტაშს რიტმულად, სანამ რომელიმე მათგანი დაბალ ხმაზე  
წამოიწყებდეს სიმღერას. იგი რამდენიმე ფრაზირების  
შემდეგ ჩერდება და სუფთა ბენვისკეპიანი, კოხტად ჩაც-  
მული ქერათმიანი ახალგაზრდა ცეკვას იწყებს. დანარჩე-  
ნები ტაშს უკრავენ და დაბალ ხმაზე მონოტონურად მღე-  
რიან: ტრა-ლა-ლა, ტრა-ლა-ლა. ცეკვა ელეგანტურია, ფე-  
ხების გასმით, ინდაურივით გაფხორილი და მონადირი-  
სათვის ნიშანდობლივი მოქნილი მიხვრა-მოხვრით. არის  
მასში რაღაც დახვეწილი, აღმოსავლური სარაინდო რო-  
მანტიკა. კაცმა შეიძლება წარმოიდგინოს ვერცხლის  
ხმლები, მზონავი ტყავის ჩანთები და ფერადი აბრეშუმის  
ქამრები ინკრუსტირებული ბალთებით. ეს მოგონებათა  
გამოა, ალბათ, თვალეები რომ უზრწყინავთ, ტაქტს ით-  
ვლიან და თან ახსენდებათ შესანიშნავი ბედაურები,  
გრძელი ინკრუსტირებული თოფები და ყანწებით შეს-  
მული გაუთავებელი სადღეგრძელოები, ვეფხისტყაოსნის  
საქმენი საგმირონის შესახებ მთაში ნამღერი ომახიანი  
სიმღერები.

## III. პროლეტკულტი

კედლებზე რაღაც უსწორმასწორო კვადრატებში შავ-  
თეთრად ჩახატათ წერაქვიანი, ნიჩბიანი და თოფიანი კა-  
ცები. ფონი ისეთი შავი, დიდი ზომისა იყო, ნახატები მოჩ-  
ვენებებს ჰგავდნენ. ამ ნამუშევრის შემსრულებელი, აშკა-  
რაა, მხატვრობისაგან შორს იდგა. თეატრი თუნუქით და-  
ხურულ გრძელ ფარდულს წარმოადგენდა, ადრე კაბა-  
რესმაგვარი სანახაობებისათვის რომ გამოიყენებოდა.  
აუდიტორიას ძირითადად მუშები და თეორკიტელიანი სა-  
ყელოგახსნილი ჯარისკაცები წარმოადგენდნენ. ქალებს  
მიტკლის კაბები ეცვათ. ყველა ბავშვი და მამაკაცთა უმე-  
ტესობა ფეხშიშველი იყო, ზოგიერთ ქალს თუ ეცვა წინდა.  
ფარდის გახსნისთანავე ყოველგვარი ხმაური და ჩურჩუ-  
ლი უმალ შეწყდა. ყველა ცდილობდა სცენაზე წარმოთ-  
ქმული არცერთი სიტყვა არ გამორჩენოდა. პიესა საკმა-  
ოდ სულელური, ძველი ვიქტორიანული, გულის ამარწყე-  
ბელი ამბავი იყო: უსინათლო გოგონას, მისი კეთილი და  
ბოროტი ძმების, ცუდი მარკიზასა და მისი ქალიშვილის,  
გული ხშირად რომ მისდის, შესახებ. პიესაში დაკავებული  
ახალგაზრდები ბათუმში წითელი არმიის შემოსვლამდე,  
რაც სამი თვის წინათ მოხდა, სცენაზე არასოდეს გამოსუ-

ლან. გრძობითა და თავდავინყებით თამაშობენ. ვერავინ დარჩება გულგრილი აუდიტორიის ხმაურიანი ემოციის მიმართ, როცა სუსტ, კეთილ და ბოროტ უფროს ძმას შორის, ბრმა გოგონა მის უნადინოდ რომ წაიყვანა, ხანჯლებით გაიმართება ორთაბრძოლა. ბოლოს ყველა უსამართლობას ბოლო ედება და ბედნიერების მაუნყებელი ფარდაც ეშვება. ისეთი შეგრძნება რჩება, თეატრის წინ, ყოფილი ლუდხანის ნანგრევებში შეგროვილმა ადამიანებმა თითქოს გარკვეული ანაზღაურება მიიღეს იმ მწირი გასამრჯელოსა და გაღლეთილი საცხოვრებელი ოთახებისა და ბარაკების სანაცვლოდ, შინ დაბრუნებულებს რომ ელოდებათ. ის სისასტიკე და ბუნებრიობა, ეს ორი გმირი ერთმანეთს რომ ებრძოდა, ალბათ იმ შეუზღუდავი განცდის ატომია, სადღესასწაულო, რაღაც შემზარავი რიტუალის ნაწილს რომ წარმოადგენს, მათ იმედებსა და ცხოვრებაში განადგურებულ ნივთთა დინასტიის მაგივრად რომ ჩაენაცვლა.

**IV. ფუტკრები**

ბათუმში ახლახან ჩამოყალიბებული სკოლების კომისარიატის მდივანი შავთმიანი, არწივისცხვირიანი, ჩავარდნილთვალეზიანი, წვერაგაუპარსავი ახალგაზრდა კაცი გახლდათ. უჭმელობისა და ზედმეტი მუშაობისაგან თვლები ჩანთილებოდა, რაც უცნაურ, დაძაბულ გამომეტყველებას ანიჭებდა. ქალაქების უზარმაზარი გროვა ეწყობდა. ფრანგულად ლაპარაკი უჭირდა, თითოეულ სიტყვას გონების დაფარულ კუნჭულებში ეძებდა. საუბრობდა აჭარის რესპუბლიკაში, რომლის დედაქალაქიც ბათუმია, ბოლშევიკების მიერ შემოტანილ სკოლის ახალ სისტემაზე. მისხნიდა, თუ როგორ ამუშავდა ზოგიერთ სოფელში ბავშვთა საზაფხული ბანაკები. დიდი ძალისხმევა იყო მიმართული იქეთკენ, რათა სექტემბრის ბოლოსაკენ გაეხსნათ და სათანადოდაც აღეჭურვათ დაწყებითი და საშუალო სკოლები. „მთელი განათლება შრომითი საქმიანობით უნდა წარმართოს, არაფერი უპრაქტიკოდ“. მან მოუქნელი ხელები გაშალა და ისეთი ჟესტიკულაციით შეაერთა, თითქოს გაურკვეველი რეალობა შიგ უნდა მოექციოსო. თითოეული მისი სიტყვა კონკრეტული იყო, თითქოს მინიდან თხრიდა. „თავიდათავი შრომა... ზაფხულში ბავშვებმა უნდა დაამუშაონ ბალები, მოუარონ კურდღლებს, ფუტკრებს, წინილებს, ისწავლონ საქონლის მოვლა. იარონ ტყეში, შეისწავლონ ხეთა ჯიშები, ყველაფერი ხელის ერთი შეხებით შეძლონ. ზამთარში დაეუფლონ მშობლიურ ენებსა და ესპერანტოს... ჩვენთან სკოლები იქნება სომხების, ბერძნების, მუსულმანების, ქართველებისა და რუსებისათვის. უნდა ისწავლონ სოციოლოგიის, არითმეტიკის საფუძვლებიც, აითვისონ დურგლობის, მზარეულობის უნარ-ჩვევებიც. ჩვენს რესპუბლიკაში ყველამ უნდა შეძლოს საკუთარ თავს მოემსახუროს. ეს იქნება დაწყებითი განათლება, რომელიც, როგორც ხედავთ, პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად თეორიის სწავლებასაც მოიცავს. შემდეგი საშუალო განათლება უფრო სპეციალიზებული იქნება, სადაც ხელობასა და პროფესიას დაეუფლებიან. ვინც საშუალო სკოლას და-

ამთავრებს, შეეძლება სწავლა გააგრძელოს უნივერსიტეტში, ან კიდევ იმუშაოს არჩეული პროფესიის მიხედვით. როგორც ხედავთ, ყველაფერი შრომის მიხედვით დაფასდება და არა თეორიებითა თუ გამოცდებით. სწავლების ყველა საფეხურზე ყურადღება მიექცევა მუსიკას, ტანვარჯიშსა და თეატრს. ხელოვნების კარი ყველასათვის ღია უნდა იყოს, ვისაც კი იქ მოღვაწეობა სურს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ბუნება, ბავშვები სულ მინდორში, ტყეში, ხეხილის ბალებსა და იქ უნდა იყვნენ, სადაც ფუტკრებია... მთელი ჩვენი იმედი ეს პატარა ბავშვებია... ხილნარში, სადაც ფუტკრებია“.

**V. კალინჯოზიანი ექსპრესი**

ეს არასერიოზულია, – მაშინ თქვა შევდმა, მე და ლევანტინელი ბათუმში რომ არ ჩამოგვიშვებს, ფეხიც კი არ დაგვადგმევინებს საბიჯელაზე. „Ce n'est pas serio“ იმეორებდა და მიუთითებდა დანგრეულ ნავსადგურზე, მწვანე ხეებში ჩაფლული ქალაქის რუხ და შავ სახურავებზე, სიღრმეში ლურჯ და ძონისფერ მთებზე, ნავსადგურში უსაქმოდ მოხეტიალე ნითელ გუშაგებზე, ნავსადგურის შენობაზე დახატულ საბჭოთა რესპუბლიკის ნამგალსა და უროზე. როცა ბოლოს ვნახე, კვლავ საბიჯელას თავში იდგა, მაღალი საყელოს წვეროებისაგან სქელ ნიკაპზე ვარდისფერი ღრმულები აჩნდა, თავს აქნევდა და ლულულულებდა: „Ce n'est pas serio“.

მასზე ვფიქრობდი გაბღენილ თარჯიმანსა და ვიღაც ხალისიან კაცთან ერთად, ..ლ.-დან(ახლო აღმოსავლეთის დახმარების მისია) რომ იყო და ტიფის გამო წუხდა, როცა თბილისის ექსპრესის წინ ვიდექი და ქალაქების პატარა დასტას ვაფრიალებდი: საშვები ქართულ და რუსულ ენებზე, ბრძანება გადაადგილების შესახებ, საძინებელი ვაგონის ბილეთი, საშვები „ჩეკა“-დან და აჭარის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა კომისარიატიდან. თბილისის ექსპრესი ლოკომოტივის, სამი უზარმაზარი, შეულებავი საძინებელი ვაგონისა და მზისაგან დაბზარული ერთი ფერადი ვაგონ-რესტორნისაგან შედგებოდა. ერთი ვაგონი სამოქალაქო ოფიციალურ პირთათვის, ერთი სამხედროებისა და ერთიც ყველა დანარჩენისათვის იყო განკუთვნილი. მაგრამ უბედურება ისაა, რომ მატარებელი ჩამოდგომამდე დიდი ხნით ადრე გავსებულყო. რამდენიმე ათასი კაცი შესეოდა: თეთრკიტელიანი ჯარისკაცები, ბოხჩეიანი გლეხი ქალები, გრძელლუღვამა და ბოხოსიანი კაცები, სპეკულანტები მენვრილმანის ფუტებითა და პატიოსანი პროლეტარები პურის კვერებით. ასე რომ, ოფლში განურული ხალხი გუნდ-გუნდად, მუჯლუგუნებით ზევით მიიკვლევდა გზას და ისე ანადგურებდა ვაგონებს, როგორც შაქრის ნატეხს მისეული ბუზები. ნემსის ჩასაგდები ადგილიც კი არ იყო სახურავებზე. ჩამოკიდებულნი იყვნენ კარებზე, ისხდნენ ქვანახშირის ტენდერსა და თვით ლოკომოტივზეც. ყველა ფანჯარაში ფეხები იყო გამოშვერილი, რადგან ხალხი შიგ შეღწევას ცდილობდა. ისინი კი, ვინც უკვე შიგნით იყვნენ, ცდილობდნენ გამაგრებულიყვნენ და გასაოცარი „მზრუნველობით“ აგდებდნენ უკან ფანჯრებში მოძრომილალებს. ამ დროს აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ამერიკელი, თავი-

სი ჰიპოპოტამისხელა ჩემოდნით, პლატფორმაზე აღმადამა დარბოდა, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა და პატარა ნიშას ეძებდა თავის შესაფარებლად. საბოლოოდ საჭირო გახდა დასახმარებლად ხელისუფლებისათვის მიემართა. როგორც იქნა ამერიკელი ჰაერში საჯდომით აიტაცეს და ჩემოდნიანად პირდაპირ მაღალჩექმებიანი მამაკაცებით გაჭედული კუპის ფანჯარაში შეაგდეს. შვიდი ჯარისკაციდან, ვისაც მისი ადგილი ეკავა, ექვსი გარეთ გამოჰყარეს. ამის შემდეგ ჩასხდომა დამთავრდა, უცხო ენებზე საუბარი განახლდა, ხალხი წყნარად იჯდა და მატარებლის დაძვრის მოლოდინში ოფლად იღვრებოდა.

ბოლოს და ბოლოს, მას შემდეგ, რაც ჭორებმა ჩამოიარა: მატარებელი დღეს არ გავაო, თითქოს რკინიგზაა აყრილიო, თურმე თბილისი მწვანეების არმიას დაუკავებია და ქოლერის გამო გაგვაჩერესო, შემადგენლობა ყოველგვარი გამაფრთხილებელი სასტვენი ნიშნის გარეშე დაიძრა. მატარებელი ნელა შეიკლავდა შავი ზღვის სანაპიროს მდიდარ ზურმუხტოვან ტევრში, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მაღალი მთებისაკენ, შებინდების გამო ფარშავანგის ფერებში რომ ეღვარებდნენ. კუპეში შავი პურით ვილუკემბოდი, ფრანგული და გერმანული სიტყვებით ვჟონგლიორობდი, რათა საუბარში ჩავრთულიყავი. ერთნი საყვედურს გამოთქვამდნენ სამრეწველო პროდუქციის სიმცირის გამო, საკმარისი არაა საღებავი, ქაღალის წინდები, წამლები, ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები, საპონი, უთო და კბილის ჯავრისებო. მეორენი კი ამბობდნენ, ეს ნივთები საერთოდ არ არის საჭირო, მთები მოგვცემს ხე-ტყეს, მინდვრები საკვებს, ტყე კი სახლებსო; დღეს თვითოეულმა ადამიანმა თავისთვის უნდა გამოაცხოს, დართოს და აიშენოსო; ამ გზით გავბედნიერდებით და დანარჩენი მსოფლიოსაგან დამოუკიდებელნი ვიქნებით, ოღონდ თუ არაფერს დავუთმობთ ინდუსტრიალიზმსო. თუმცა მოსკოვში ფიქრობენ, რევოლუცია მხოლოდ მაშინ გადარჩება, თუ საკმარის უცხოურ მანქანა-დანადგარებს მივიღებთო. ჩვენ თვითონ უზრუნველყოფთ თავს როგორც ფუტკრებით.

რა უცნაურია, როგორ ხშირად გესაუბრებიან ფუტკრების შესახებ. როგორც ჩანს, სკაში აწყობილ საამურ ცხოვრებას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ამ საუკუნის თანამედროვე რუსებზე. თბილისში ხალხი კვლავ და კვლავ ერთგვარი სევდანარევი მღელვარებით საუბრობს ფუტკრებზე, თითქოს მათი გრილი სიცხარე ყოფილიყოს მატონიზირებული სამოქალაქო ომისა და რევოლუციის სისხლით გაჯერებულ შუაგულ ქაოსში.

ამასობაში დაღამდა. ვარსკვლავებით მოჭედული ცის ქვეშ, ზიზილებიან ველს რომ მოგაგონებდათ, მატარებელი უნესრიგოდ მიიწინებდა მთის უღელტეხილზე. ხალხით გაჭედულ კუპეში, სადაც ფეხზე გაეხადათ და დასაძინებლად თავი ერთმანეთის მხრებზე მიედოთ, სამ და ოთხ რიგად დანყობილი ბალღინჯოები მწყობრი ნაბიჯით, როგორც ურდოები, ისე გამოეფინნენ ყველა მხრიდან თავიანთი სურვილის დასაკმაყოფილებლად. მე უკვე დავაფინე გაზეთი და მოვაფრქვია ბალღინჯოს სანინალმდეგო ფხვნილი ზედა სანოლის კუთხეში, სადაც სხვა ადამიანთა მჭიდრო გარემოცვაში ვაპირებდი დაძინებას. ბალღინჯოებმა ეს ფხვნილი ბურნუთივით შეისუნთქეს და ძალიანაც გახა-

ლისდნენ. მე კი ცხვირში შემვიდა, ამინვა კიდევ, თვალბში მეცა და დამიბნელა, ყელში ჩამვიდა და კინალამ დამახრჩო. ერთადერთი გამოსავალი დამრჩა, ავმძვრალიყავი ბარგის დასაწყობ ბადურაზე, რომელიც, საბედნიეროდ, ფართო და მაგარი აღმოჩნდა ბრობდიგენგურ რუსულ მატარებელში. ზემოთ ვიყავი ჩამოკიდებული, სადაც მხოლოდ აკრობატული უნარით დაჯილდოებული ბალღინჯოები თუ აღწევდნენ საკბენად. რკინის სალტე, რომელზეც ბარგის ბადე იყო დამაგრებული ზურგში მქონდა შერჭობილი, მწერების სანინალმდეგო ფხვნილი კი ყოველ შესუნთქვაზე მწამლავდა. ამ ყოფაში მაინც ვცდილობდი საკუთარი თავის დარწმუნებას, რომ ასეთი მანანალური ცხოვრება ჩემი ცხოვრება-მეთქი. თავს ზემოთ სახურავზე მყოფი ხალხის ენერგიული ნაბიჯების ხმა მესმოდა.

დაახლოებით შუალამისას მატარებელი ერთ სადგურში დიდი ხნით გაჩერდა. წყლის ცისტერნასავით დიდი სამოვრებით ჩაი ჩამოატარეს. ერთადერთი სინათლე ამ სამოვრებიდან აღწევდა. ეტყობოდა ხეობაში ქვემოთ მდინარე მიედინებოდა. კედლების სიმშრალისა და ადამიანთა სიბინძურის სუნი ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან შემოდინდა. უზარმაზარი მთების წვერები ვარსკვლავებამდე აღწევდა. ცხელი ჩაით გამოცოცხლებულ-გამხიარულებული ისევ ჩვენს ბუნავებში შევხვხდით. კარებთან თავმოყრილმა ხალხმა ადგილები მოინაცვლა და მატარებელი დაიძრა. მატარებლის სახურავზე მყოფი ადამიანების ხმაურში, ვეება ბორბლების გრუხუნში, კონცერტინოს ხმისა და იმ სიმღერის ნაწყვეტთა ფონზე, დროდადრო მეორე ვაგონიდან რომ აღწევდა, ამჯერად კარგად ჩამეძინა.

დილით, შორს, ქვემოთ, უზარმაზარ ხეობაში, ორ ლომისმაგვარ მთას შორის მოქცეული, ვერცხლისფერი მარყუჟით დახვეული მდინარე დავინახეთ. მატარებელი განთიადის ფონზე უცნაურ შუქს ტოვებდა. მისი ყველა კუთხე ჯარისკაცებს მოესპოთ. სახურავიდან კალათიანი მოხუცი ქალების, მამაკაცების, რომლებიც დგებოდნენ და იზმორებოდნენ, და ზომავი დიდქუდიანი ბავშვების ჩრდილები ირეოდნენ. გვერდით ჩავუარეთ მეორე სატანკო დივიზიის ეშელონს, ახალ შეღებილ ლოკომოტივს, სატვირთო ვაგონების უსასრულო რიგს, რომელთა კარებში ქერათმიანი ახალგაზრდა ჯარისკაცები გაჭიმულები ისხდნენ. ზოგიერთი 18 წლისა თუ იქნებოდა. ფეხზე არ ეცვათ, ტანზე ღარიბული ტილოს ხაკისფერი კიტელები ემოსათ. ბედნიერები ჩანდნენ. სახურავიდან, სატვირთო და საძინებელი ვაგონების კიბეებზე ჩამომსხდარნი ფეხებს არხეინად აქანავებდნენ. მათ შორის ოფიცერს ვერ გამოარჩევდით. აფიშებითა და პლაკატებით გაფორმებული დიდი ვაგონ-კლუბიდან, რომელიც ვაგონ-რესტორანივით გამოიყურებოდა, ბიჭებს თავები გადმოეყოთ და ჩამვლელ მატარებლებს ხელებს უქნევდნენ. გაჭიმულიყო აღჭურვილობით დატვირთული ღია პლატფორმები და ხვლიკისფრად გათხუზული ზოლიანი ტანკების შემადგენლობის გრძელი რიგი. „ბრიტანელთა საჩუქარი“, – თქვა ჩემს გვერდით მდგომმა კაცმა, – „ბრიტანელებმა ისინი დენიკინს მისცა, მათ კი ჩვენ დავგიტოვეს“.

ჩვენმა მატარებელმა, რომლის ფანჯრებში მგზავრობით გატანჯული სახეები ჩანდა და მკბენარებით იყო სავსე, სიჩქარე აკრიბა და გვერდზე გადახრილი მოსახვევში

შევიდა. მწვანე ტანკების დანახვამ ყველა კარგ გუნებაზე დააყენა. ჩემს გვერდით კაცი – თავის დროზე ბანკირი ბათუმში, კვლავაც რომ არ ჰქონდა დაკარგული იმედი, ისევ ბანკირი გავხდებო, მგზნებარედ წამოიძახებდა: „სიტყვებს – ბოლშევიკი, სოციალისტი, მენშევიკი – უკვე აზრი აღარ გააჩნია... ვგრძნობთ ამას თუ არა, ჩვენ უკვე მხოლოდ რუსები ვართ“.

## VI. მშველელი

თბილისში მყოფი მისიის წევრები ფიცს დებენ, ფერმენტებით დამზადებულ გამოსხივებულ სპირტიან სასმელს არ დავლევთო. თანაც იმის გარკვევას ცდილობენ, ბოლოს და ბოლოს, კომუნისტები მშვიერი თუ მადლარი ხალხი გახდებო. თბილისში ყოველდღე ოცი კაცი იღუპება ქოლერით, ორმოცი – პარტიზანთა ტიფით, აქ არ იგულისხმებიან ისინი, რომელთა დაღუპვასაც ვერაფერს გეზულაობს. მისიის შტაბ-ბინაში ყველანი ბრეზენტის საწოლებზე ვიძინებთ, ინფექციისაგან დასაცავად და არყის სუნის მოსაშორებლად პირში ლისტერინს ვივლებთ. შტაბში ირევანი გაუბედურებული ბარონები, გრაფის ცოლები, რომლებიც, ბუნებრივია, ძველ რეჟიმს მისტირიან და პატიოსან მშველელთა მათდამი დამოკიდებულებასაც კი უცვლიან ელფერს. ამერიკელს რა უნდა ჰქონდეს ტიტულების საწინააღმდეგო, მითუმეტეს, თუ ეს ტიტულიანი ლტოლვილი გაჭირვებაშია ჩავარდნილი. ხომ შეიძლება მათ შორის გადაცემული პრინციპს ანასტასია აღმოჩნდეს. ეს ყველაფერი რუსეთის მთავრობას კარგად ესმის, მაგრამ მაინც ბრძნულად ამტკიცებს, ცოცხალი თეთრი ბავშვი სჯობს მკვდარ წითელსო. მშველელებს ამის გამო ხელფები გახსნილი აქვთ, თვითონ წყვეტენ, რომელმა ცხვარმა იცოცხლოს და რომელი თხა მოკვდეს.

ამ დროს მშველელთა მთელი ენერჯია ნივთების საშველადაა მიმართული. შემთხვევითი თვალისთვის თბილისის ნივთებისგან დაცლილია. ვიტრინებში აღარაფერია. სახლები არაბის კარავითაა დაცარიელებული, თუმცა მისიისაკენ მაინც უწყვეტ ნაკადად მოედინება ბრილიანტები, ზურმუხტები, ლალები, ვერცხლის ინკრუსტირებული ხანჯლები, ქართული და ანატოლიური ხალიჩები, ხალიჩები სპარსეთიდან და თურქესტანიდან, საათები, ფილიგრანული ნამუშევრები, მონხული ვერცხლის ჩანთები, ბენვეული, ქარვა, მუსტაფა სარდარის შპალერი, ფოტოაპარატები, ავტოკალმები. ღმერთო ჩემო, რა სარფიანი გარიგებები შეიძლება! რუბლით სავსე ერთი ჩემოდნით მთელი ცხოვრების სამყოფი ალკაზმულობა შეიძლება შეიძინო. როდესაც შინ დავბრუნდები, ვფიქრობ, ჩემები გაოცდებიან, როცა ვეტყვი, თუ რა გადავიხადე ცოლისთვის შეძენილ მზისსხივებგამოსახულებიან საიუველირო ნივთში.

ნივთები მოჰქონდათ სახედაღვრემილ ადამიანებს, მოხუც ქალებსა და კაცებს, საშინლად რომ ეშინოდათ ჩეკასი, ყაჩაღების, ქოლერასი, თავიანთი აჩრდილებისა და დაქვეული სამყაროს ნანგრევების. ნივთებს რამდენიმე დღის სარჩოს სანაცვლოდ ყიდდნენ. ნივთებს, რომლებიც მათი ცხოვრების საზრისს წარმოადგენდა 1917 წლამდე;

მოდიოდნენ ყოყლოჩინა ახალგაზრდები, მომგებიან გუნდში რომ მოხვდნენ და ყველაფრით ხელსაც კარგად ითბობდნენ, პროფესიონალი სპეკულანტები, უმეტესწილად ბერძნები, სომხები ან ებრაელები, კაცები გამჭოლი მზერით, კაკაჩასავით მოკაუჭებული ცხვირებით, გაცვეთილ პალტოებში პატივისცემითა და ზრდილობით მოკუზულეები, ხელების ფშვინით გაუფასურებულ ბანკნოტებსაც რომ ვერ შელეოდნენ, მამაკაცები, მომავალში დიდი ბანკების დამაარსებელი, ფილანტროპები და ინტერნაციონალური ოჯახების დამფუძნებლები. გარიგებები, გარიგებები!

მისიის წევრები, ფიცზე რომ ჰქონდათ ხელი მოწერილი, არ დაელიათ ალკოჰოლური და ფერმენტებზე დამზადებული სპირტიანი სასმელები, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად რომ ებრძოდნენ ბოლშევიზმს, კომუნიზმს, თავისუფალ სიყვარულს, ნაციონალიზმზეულ ქალებს, ანარქიასა და, ღმერთმა უწყის, კიდევ რას, როგორც კი ჩაერთვებოდნენ ვაჭრობაში, მათი სიამაყე და უმნიშვნელო ღირსება იმთავითვე ეწირებოდა დოლარს – გაცვლა-გამოცვლის მეფეს; აქაა მეჩეთებიდან მოპარული ხალიჩები, ეკლესიებიდან გამოტანილი ლამაზები, ჰერცოგის ყელგამოჭრილი მეუღლის კისრიდან ჩამოგლეჯილი მარგალიტები, ბენვის ქურქი ღარიბი დედაბრისა, თავის დაცარიელებულ ოთახში, დარაბის ჭუჭრუტანიდან მშვიერი რომ უცქერის საზარელი ახალგაზრდების სამყაროს – დაკბილულს, ვნებიანსა და უხეშს, რომელსაც თვითონ ვერასოდეს ვერ ჩანვდება, და ფანჯრებს მიღმა იმ კატის თვალებით გაჰყურებს, ეს-ესაა ავტომობილმა რომ გასრისა.

## VII. ფუნიკულიორი

ფუნიკულიორს დღემდე უცვლელად მართავს ბელგიური კომპანია. მგზავრობის საფასურს თეთრებში გამოწყობილ პოლონელ კოხტა ქალიშვილს ვუხდი. ტლანქ ფეხებს წინდების მაგივრად მზისგან მსუბუქად დამწვარი სინითლე უფარავს. წუხს, ტალკი და წინდები რომ არ იშოვება, და არ იცის, რას მოიმოქმედებს, როცა ფეხსაცმელი გაუცვდება. ვაგონები რწვეა-რწვეით მიიწევენ მთის წვერისაკენ. ქალაქის თავზე მუდმივად უბერავს ქარი.

სეირნობის შემდეგ პატარა ქობის წინ მაგიდას მივუჯექი და 66 ნომერ კახურ ღვინოს შევექეცი. ძველი თბილისის მონაცისფრო-მიხაკისფერი სახლები დროდადრო ცისფრად და თეთრად რომ გაილეკებენ, დაუდევრადაა მიმოფანტული ძაბრივით ხეობაში, საიდანაც სპილენძისფერი მდინარე გამოედინება და დაბლობში ივაკებს. ხეობაში – გოგირდის წყაროების თავზე – ორთქლის სვეტია აღმართული. უფრო შორს, ქვემოთ, დაბლობში რუსული ქალაქის უამრავი ნაცრისფერი შენობაა მიმოხრეული. ხეობაში ყვითლად და ზეთისხილისფრად დაშრევეებული გორებია ჩარიგებული, რომლებიც ლურჯდებიან, ვიდრე ჩრდილოეთით მოდარაჯე მალალ კავკასიონის მთებში შეიჭრებოდნენ. აზიიდან მოვარდნილი გიგანტური ქარი ისეთი სისქისაა, მასში მარმარილოსავით შეიძლება ფენების გარჩევა. განფენილობა უსაზღვრო აქვს, ჩემს ჭიქაში ჩაიღმუილებს და ნაფლეთებად აქცევს მექანიკური პიანი-

ნოს გიჟურ ჰანგებს, ზურგს უკან რომ გაისმის. იძულებული ვხდები ბოთლი მუხლებს შორის მოვიქციო, ქარმა რომ არ წამგლიჯოს.

აზიიდან მობერილ ქარზე ვოცნებობდით, ქალაქებს ჩვენსავე გაფეტიშებული ნივთებისაგან: შპალერის, ლარნაკების, ფარდების სამაგრებისა და სხვა უსარგებლო მორთულ-მოკაზმულობებისაგან – რომ გაასუფთაებდა, ყველაფრისგან, რითაც ღარიბი განსხვავდება მდიდრისაგან. ჩვენი ცივილიზაციის მონაპოვარი ხელოვნური სამრეწველო საქონელია, რის შესაქმნელადაც თავდაუზოგავ შრომაში ვხარჯავთ ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს. ადამიანი შიშველი, გამართული ორფეხა არსებიდან განდევნილ კიბოსმაგვარ არსებად გადაიქცა, სქელი ნიჟარის გარეშე ცხოვრება რომ არ შეუძლია და მისი კონგლომერატებია: სმოკინგი, ლიმუზინი, პერკოლატორები, თამბაქოს მაღაზიის კუპონები, კვერცხის სათქვეფი, საკერავი მანქანა. ასე რომ, რაც უფრო სქელია ნიჟარა, მით მყიფეა თვითმყოფადობა, ადამიანი უფრო დიდ კაცად და მილიონერად ითვლება. ამ ქარმა დაასუფთავა რუსეთი, სადაც რამდენიმე წლის წინათ ნივთები გაფეტიშებული იყო, დღეს კი ნაგავივითაა მიყრილ-მოყრილი კუთხეებში. ათასობით სიცოცხლე შეინირა (სადაც მე ვზივარ, აქედან შემოძლია გავარჩიო ჩეკას კვადრატული შენობები, რომლებიც გადაჭედებულია თაღლითობის საბაბით დაჭერილი საბრალო ხალხით), ისე მოასწორა თაობა, როგორც ხრეში ორთქლის სატკეპნის ქვეშ, რათა ნივთების, პირველადი მოთხოვნილების საგნების, სამრეწველო ცივილიზაციის ტირანია დაემსხვრია. ამჟამად ბრძოლის შემდეგ ჩამოვარდნილი დროებითი სიმშვიდე სუფევს. ღმერთები და დემონები გამარჯვებულებზე ქოლერიითა და შიმშილით იძიებენ შურს. შედეგი ალბათ ისევ უბედურების კვლავ დაგროვება ანდა რწმენა, ისლამს ან ქრისტიანობაზე გაუთავებელი საუბარი, ან კიდევ რაიმე შეუძლებელი, ახალი, მოუახრებელი, ცხოვრება – ლატაკი, მაგრამ ენერგიული და არა ულმობელი, ცხოვრება შიშველი და ღმერთის გარეშე, სადაც ქონება და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ადამიანის სამსახურში იქნება და არა პირიქით, ადამიანი ნივთების სამსახურში არ დაიფქვება და ნაცრად არ იქცევა.

მძიმედ, გაცილებით მძიმედ უბერავს ქარი აზიიდან. ქარმა ამირია მაგიდა, წამართვა სკამი, რომელზეც ვიჯექი. ერთ ხელში ბოთლით და მეორეში ჭიქით ვცდილობ გავუმკლავდე მას და ქარით გამოწვეულ პანიკას არ მივეცე.

## VIII. ინტერნაციონალი

აღმოსავლეთში გასამგზავრებელ ამერიკელს სადილად ხიზილალა, პომიდორი, ქართული მწვადი და საზამთრო ჰქონდა. ყელი დიდებული კახური ღვინით ჩაიკოკლოვინა ისეთ სასიამოვნო გარემოში ბალი პატარა ველზე, სადაც არავინ ფიქრობს ვოლგისპირეთში არსებულ ქოლერაზე, პარტახტიან ტიფსა თუ შიმშილზე. ჩაბნელებულ ქუჩებში სეირნობისას ვერსად დაინახავ მოხუცებს, ხვდები მხოლოდ მუქ ტილოს შარვლებსა და მუნდირებში გა-

მონყობილ – ზოგ ფეხშიშველა – ვაჟთა ჯგუფებს, წინდებისა და თავსაბურავების გარეშე თეთრ კაბებში ჩაცმულ მოსიერნე ბედნიერ ქალიშვილებს, სამინი-ოთხნი ერთად, ჯგუფებად რომ ავსებენ ფართო, ცარიელ მოასფალტებულ ქუჩებს.

თბილი ღამე იდგა. მშრალი ქარი მტვერს ატრიალებდა. გრუზინსკი ბალი, ადრე თავადაზნაურთა კლუბი, სავსე იყო ახალგაზრდებით. ხმადაბლა იცინოდნენ. ორკესტრი „მსუბუქე კავალერიას“ უკრავდა. მოშრიალე ხეებს შორის ფერადი ნათურები გაებათ. განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. მიუხედავად შიმშილისა, ქოლერისა და პარტახტიანი ტიფისა ყველას უზრუნველი და უდარდელი მხიარულება ეტყობოდა. კუთხეში მაგიდასთან დიდძალი ღვინო იყიდებოდა. ვფიქრობ, ფარულად და, როგორც ჩანდა, მხოლოდ ამერიკელებს ჰქონდათ მის შესაძენად რუბლები. თანდათან ხალხმა ნაკადად დაიწყო შესვლა თეატრში, რომლის კარებზე რუსული და ქართულენოვანი დიდი ფირნიშები გაეკრათ. აღმოსავლეთში გასამგზავრებლად გამზადებული ამერიკელი ერთ ვინრო დერეფანში მოხვდა, სადაც მას მიმართეს როგორც ამერიკელ პოეტს და, ვიდრე გაიაზრებდა, ირგვლივ რა ხდებოდა, უცნაური ფორმის ოთახში სკამზე დამჯდარი აღმოჩნდა. სანამ ცდილობდა ვინმე ისეთისათვის მიეგნო, მისთვის გასაგებ ენაზე პასუხს რომ გასცემდა, ოთახის ერთი კედელი აინია და ხალხით გაჭედული უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე სცენაზე აღმოჩნდა. წინა რიგში, ამ საღამოს რომ ნახა იმ ნაცნობების ფართოდ მომღიმარი სახეები შეამჩნია, შემდეგ ვილაცამ ყურით ფრანგულად ჩასწურწრულა, რომ იგი პროლეტარიატის საერთაშორისო პოეზიის ფესტივალზე იმყოფებოდა და მის გამოსვლასაც ელოდნენ. ამის გაგონებაზე E.A.\*-ს კინალამ გული წაუვიდა. ჩინებული სანახაობა გამოდგა. იქ მყოფთაგან ათი კაცი თუ იქნებოდა აზრზე, რაც ირგვლივ ხდებოდა. ლექსებს წარმოთქვამდნენ, გალობდნენ და მღეროდნენ სომხურად, ქართულად, თურქულად, სპარსულად, რუსულად, გერმანულად და, ღმერთმა უწყის, კიდევ რა ენებზე. ყველაფერს უდიდესი ალტკინებით ეგებებოდნენ. ...მგნის ბორძიკით მოახერხა წარმოეთქვა უილიამ ბლეიკის საბავშვო ლექსი, როგორც საკუთარი. ერთადერთი, რომელიც იმ ნუთს გაახსენდა და რევოლუციური ალტკინებითა და მონონების შეძახილებით იქნა მიღებული. .. დაბნეული და ოფლში განუწული დაუბრუნდა თავის ადგილს იმ შეგრძნებით, რომ მონოდება არასწორად ჰქონდა არჩეული. უდავოა, „Oh Sunflower weary of time“\*\* ამგვარ უცნაურ გარემოებაში არასოდეს წარმოეთქვამთ. ვრცელი ლექსის შემდეგ, ახალგაზრდა, გამხდარმა, კონუსისებური ფორმის სუფთად თავგადაპარსულმა ჯარისკაცმა რუსულად რომ წაიკითხა, და რომლის გამოჩენამაც ისეთი სიცილხარხარი გამოიწვია, დარბაზი შეაზანზარა, დიდი ინტერნაციონალური მხიარულება და სიმღერა გაიმართა. ყველამ კუპრით ჩაბნელებულ ქუჩას მიაშურა. თეთრკიტელიანი და თეთრკაბიანი ახალგაზრდა გოგო-ბიჭები ლა-

\* Eastbound American (ინგ.) – აღმოსავლეთში მიმავალი ამერიკელი

\*\* უილიამ ბლეიკის ლექსი

ლად მისეირნობდნენ ამ ცარიელ სამყაროში, როგორც მიტოვებულ სახლში მოთამაშე ბავშვები, და თანდათანობით ყლაპავდა მათ უზარმაზარი, შავი ბარაკებისმაგვარი შენობები.

ალმართზე მიმავლებმა გზად ჩეკას შენობას ჩავუარეთ. მის ირგვლივ ტროტუარები გაჩახჩახებული იყო. ფანჯრებზე ეკლიანი მავთულები აეკრათ. მცველები წინ და უკან ბოლთას სცემდნენ. შენობას რომ მივუახლოვდით, სუნთქვა შევიკარით, რათა ციხის სუნი არ შეგვესუნთქა. იდილია ყურებში ქუხდა.

მალლა, მისიაში საკმაოდ აღელვებულები ჩანდნენ. ერთ-ერთი მშველელი საწოლში წრიალებდა, დანარჩენები პარტახტიანი ტიფისა და ქოლერის შესახებ საუბრობდნენ. ერთი მათგანი წრეს უვლიდა და მუჭში მოქცეულ მძიმე ვერცხლის კოვზებს აჩვენებდა ყველას: „ხუთი ამერიკული ცენტი ღირს. რა აზრისა ხართ ამაზე? როგორ ფიქრობთ, არ არის მოვერცხლილი?“ „ნაღდი ინგლისური ვერცხლის სტერლინგია, ლომის დამლიანი, უკეთესს ვერ იშოვი“; „ისე მაიორმა ვოუქსმა ბათუმში ყელსაბამი შეიძინა და უბრალო მინისა აღმოჩნდა“.

მოკუნტული ვნევარ ჩემს საწოლზე და ყველაფერ ამას მეზობელი ოთახიდან ვისმენ. ღია ფანჯრიდან ზაფხულის ღამის გამაბრუებელი სურნელი შემოვიდა და მთვარის შუქის ვერცხლისფერი ნათება შემოყვა. გარეთ ქუჩა ცარიელი და ბნელი იყო, თუმცა შორიდან ძლივს აღწევდა კონცერტინოს ხმა. კონცერტინოს გაბზარული ხმა ძლივს იკვლევდა გზას ჩაბნელებულ, ნახევრად უკაცრიელ ქვის ქალაქში, აღწევდა ბარაკების ფანჯრებში, შიშს გვრიდა ხანდაზმულ ხალხს, უკანასკნელ ნივთებთან ერთად დარაბებს მიღმა რომ ისხდნენ და ცახცახებდნენ, ჭკუაზე შლიდა ჩეკას სარდაფებში გამომწყვდეულ გაუბედურებულ ადამიანებს, რომლებიც რევოლუციის ჯაგერნაუტის ბორბლებში მოყვნენ, ისე, როგორც ადამიანები არსებობისათვის ბრძოლაში ხვდებიან ორთქლის სატკეპნის წალმა-უკუღმა ტრიალში. ციხე თავისუფლების ქვაკუთხედი, გაიფიქრა...-მ და ჩაეძინა.

ინგლისურიდან თარგმნა  
ვასტანა ამაღლოჯელმა

დიალოგი

რა მანძილია მსახიობიდან მწერლამდე?

\*

ივანე ამირხანაშვილის  
ესაუბრაება  
ბოგი ხარაბაძე

გოგი ხარაბაძე – საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი.

გზის დასაწყისი: 21 წლის ასაკში პირველი როლი გიორგი ქავთარაძისა და რობერტ სტურუას სპექტაკლში რუსთაველის თეატრის სცენაზე;

ერთი წლის შემდეგ – კინოდებიუტი ოთარ იოსელიანის ფილმში „გიორგობისთვე“.

შემდეგ – სამოცდაათამდე როლი რუსთაველის თეატრში, ოცდახუთამდე – კინოში; ერთი მსახიობის ტელეთეატრის შექმნა, ქართველი კლასიკოსების ეკრანიდან ამეტყველება.

50 წლის ასაკში, შემოქმედებითი და ფიზიკური ძალების გაფურჩქნის პერიოდში, ყველასათვის მოულოდნელად გოგი ხარაბაძე რუსთაველის თეატრიდან მიდის და ამ გადაწყვეტილების მიზეზს უკომენტაროდ ტოვებს. შემდეგ იგი, დღეს უკვე კარგად ცნობილ „სარდაფის“ თეატრს აფუძნებს, რომლის სცენაზე ფეხს არ დგამს, ახალგაზრდებს უთმობს სარბიელს და თავად ტელეთეატრს უბრუნდება. საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, წმინდა ოთხთავს უკითხავს საქართველოს.

შემდეგ კიდევ ერთი დაუვინყარი კინოსახე. გალაკტიონი – „მარტოობის ორდენის კავალერი“ და ხანგრძლივი დუმილი, რომელსაც ზედიზედ ხუთი წიგნი მოჰყვება.

ამას მოჰყვება ხანგრძლივი დუმილი და შემდეგ – ზედიზედ ხუთი წიგნი...

მსახიობის მეტამორფოზა ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ როცა ის მწერლად გარდაიხსება, მაშინ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: „რა ხდება?“

– მართლაც, ბატონო გოგი, რა ხდება მსახიობში, როცა იგი სცენას ტოვებს და საწერ მაგიდასთან ჯდება?

– ამ შეკითხვას უკვე არაერთხელ ვუპასუხე და გამოვაქვეყნე კიდევ: „მეოცე საუკუნეში მსახიობი ვიყავი, ოცდამეერთეში სხვისი აზრების გადმოცემას საკუთარის ჩანერა ვამჯობინე“-მეთქი.

ისე, ორივეს, თეატრიდან წამოსვლასაც და წერის დაწყებასაც თავ-თავიანთი მიზეზები ჰქონდა. პირველი – ნღების მანძილზე დაგროვილ ტკივილებსა და განცდებს მოჰყვა, ამაზე კომენტარი არც თავის დროზე გამიკეთებია და დღესაც არ ვუღალატებ „დუმილის“ პათეტიკას. მეორე კი ჩემს პირად ტრაგედიასთან იყო დაკავშირებული.

– კაცმა რომ თქვას, მსახიობობიდან მწერლობამდე არც ისე შორია, ეს არის მანძილი ასოდან ბგერამდე, მწერალი წერს, მსახიობი ამეტყველებს, ახმოვანებს. ორივე სიტყვითმოქმედია, მაგრამ სიტყვის გარდა ალბათ არის კიდევ რაღაც საერთო, რაღაც შინაგანი, ფარული კავშირი...

– ვფიქრობ, ამ ორ პროფესიას შორის, არანაირი კავშირი – არც ხილული, არც უხილავი – არ არსებობს.

მსახიობი რაც არ უნდა დიდი იყოს, მაინც ნედლეულია, თიხაა რეჟისორის ხელში. ის ძერწავს მისგან მხატვრულ სახეს. რეჟისორი მსახიობს ხედავს ან არ ხედავს, ირჩევს ან არ ირჩევს, ეკითხება აზრს, ან არ ეკითხება! მოკლედ, მსახიობობა – დამოკიდებული პროფესიაა.

რაც შეეხება მწერალს, რეჟისორს ის არის საკუთარი ნაწარმოებისა, მხატვარიც, გამნათებელიც და, თუ მოინდომა, შემსრულებელიც ანუ მსახიობიც თავადვე გახდება.

ახლა „სიტყვითმოქმედებას“ მივუბრუნდეთ.

სიტყვების ამეტიყველება, გახშიანება ერთია, მათი პოვნა, შეკრება, განლაგება – მეორე... ისინი ყველა ჩვენ-განისთვის – ერთნაირად ხელმისაწვდომად არიან დაფანტულნი ბუნებაში, მაგრამ, აბა ერთი შეკრიბე, დაალაგე...

**– ორ წელიწადში ოთხი წიგნი გამოაქვეყნეთ: „მოთხრობები და მიძღვნები“, „წყნარად, წარსულო, წყნარად“, „კოქსართროზი“ და „სისხლიანი მეოცე“. ოთხივე თხრობის სხვადასხვა ფორმით გაქვთ დანერგილი – პირველი წიგნი მინიატურებია, მეორე – მემუარები, მესამე – დღიურები, მეოთხე ისტორიული რომანი დიალოგებით. რატომ ცვლით ფორმას ასე მკვეთრად?**

– დიდი ტოლსტოი წერს: „მწერალი ან სიყვარულზე უნდა წერდეს ან სიკვდილზე“.

მე იმაზე ვწერ, რაზეც მენერება... მემინიატურება, მემემუარება თუ მერომანება. ამაზე წინასწარ არ ვფიქრობ.

დროს, დროს ვაფიქსირებ!

ახალი დეტექტიური რომანი, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა, რომლის რედაქტორიც შენ ხარ და რომელიც ჩამონათვალში არც კი ახსენე, სწორედ დროს აფიქსირებს.


საქართველო, მისი ურთიერთობები რუსეთთან, ამერიკასთან, აფხაზეთთან, თანამედროვე ქართველის სატყვივარი, რომლებიც მხოლოდ აქ და ახლა შეიძლება აფორიკებდეს მას. იქნებ მომავალში ვინმესთვის საინტერესო აღმოჩნდეს, რითი სუნთქავდა და სულდგმოლობდა XXI საუკუნის დასაწყისში ერთი ქართველი კაცი, რომელიც ექვსი ათეული წლის განმავლობაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების უშუალო მონაწილე და მონაწილე იყო.

**– ხშირად ვფიქრობ თქვენს ახალ რომანზე „პირველი“, რომელიც არ მიხსენებია...**

**იქ ერთ-ერთი მთავარი გმირი აფხაზია. მისი საქციელი პოლიტიკური ალევორია ხომ არ არის?**

– ცოტა შორიდან დავიწყებ. ამასწინათ დოკუმენტური ფილმი ვნახე გენიალური პიანისტის სვიატოსლავ რიხტერის შესახებ. ოთხი თუ ხუთი საათი საუბრობდნენ მის შემოქმედებაზე. ხან სხვები ჰყვებოდნენ, ხან თვითონ იხსენებდა წარსულს. თან აფასებდა საკუთარ შემოქმედებას. იცით, რა სიტყვებით დაამთავრა ფილმი? – ჩემი თავი არ მომწონსო.

იმედია, არ იფიქრებ, რომ ვინმეს მინდა შევედარო: არა, ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ რიხტერის პოზიციაა ჩემთვის ძალიან ახლობელი და გასაგები. დაუკმაყოფილებლობის განცდა აქვს იმიტომ, რომ უკეთესი უნდა, იმიტომ, რომ უკეთესად შეეძლო გაეკეთებინა, უნდა გაეკეთებინა. დიდ მოთხოვნას უყენებს საკუთარ თავს.



გიორგი ხარაბაძე

მიღწეულით კმაყოფილი კაცი ვერ უნდა იყოს მთლად სასიამოვნო საყურებელი. არც შექმნილით ტკობაა, ჩემი აზრით, სახარბიელო, საშური საქმე.

ეს სულაც არ ნიშნავს, პატივს არ ვცემდე იმას, რასაც ვაკეთებ, ჩემს საქმეს – ჩემი ცხოვრების აზრსა და ყველაზე დიდ სიყვარულს. მაგრამ განცდა, რომ უკეთესად შემეძლო გამეკეთებინა, მუდმივად მაქვს. ამიტომ არ მიყვარს ჩემი სპექტაკლებისა და ფილმების ყურება. ეს წიგნებსაც ეხება, რა თქმა უნდა.

ისე, მოსაწყენიც არის უკვე დასრულებულ ნამუშევართან მიბრუნება!

თანაც თუ ყველაფერი გითხარია, ნიგნს ვინლა ნაიკითხავს?!

**– არ გაქვთ ისეთი განცდა, თითქოს აფხაზეთის გარეშე საქართველო არ არსებობს?**

– რაც მე აფხაზეთში დრო მაქვს ნატარები... სინოპიდან სოჭამდე მთელი ტრასა ზეპირად ვიცი. წარმოიდგინე, არასოდეს არავისთან კონფლიქტი არ მომსვლია. ყოველთვის ჩემს სამშობლოდ მიმაჩნდა ეს მხარე.

დღეს რა განცდა მაქვს?

დღეს ბევრი რამ ნათელი გახდა. დაგეგმილი პროვოკაცია იყო. უფრო მაღლა და შორს დაგეგმილი, ვიდრე ამას მაშინ გამოუცდელი, პოლიტიკურ ინტრიგებში ჩაუხედავი ხალხი წარმოიდგენდა. აფხაზეთი მარტო ტერიტორია ხომ არ არის

– მოლივლივე ზღვა და სუბტროპიკული მცენარეები? ისტორიაა, წარსულია, რაც მთავარია, ადამიანები, მათი ბედი და საქციელია. რამდენი შეცდომის, სისასტიკის, ღალატის მომსწრენი გავხდით. წინ კიდევ რა თამაშია, არავინ იცის. უსუსურობის განცდა ყველაზე მეტად მიბლავს თავმოყვარეობას, ღირსებას. ამიტომ, სიმართლე გითხრა, იქით გახედვაც არ მინდა.

**– მამ, რა უნდა ქნას მწერალმა, როცა სამშობლოს ხელიდან აცლიან?**

– განა არსებობს ამის რეცეპტი? ნებისმიერი რჩევა, გინდა მოწოდება, გამოცდილების გაზიარება ფუჭად, უაზროდ მიმაჩნია.

ისე, ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როგორც ებრძოდნენ მწერლები, პოეტები გინდა გარეშე მტერს და გინდა შინაურს.

ანტიკური ხანის დიდი ლირიკოსი სოლონი საკუთარი ლექსებით ამხნევებდა ათენელების ჯარს, რომელსაც მერე სათავეში ჩაუდგა და გაამარჯვებინა კიდევ.

მსოფლიო სევედით შეპყრობილი დიდი რომანტიკოსი ბაირონი ბერძნების გამათავისუფლებელ მოძრაობას თანაუგრძობდა, მისოლუნგის დასაცავად ჩავიდა და იქვე დაიღუპა ცხელებით.

რედიარდ კიპლინგი ინგლისის კოლონისტური ჯარის ოფიცერი იყო და იმ ინდოეთის წინააღმდეგ იბრძოდა, რომელიც უკვდავყო თავის შესანიშნავ ნიგნებში.

თომას მანმა სამშობლო დატოვა და ასე აღიმაღლა ფაშიზმის წინააღმდეგ ხმა.

ტოლსტოიმ ფილოსოფიური მოძღვრება და „ტოლსტოველობის“ მთელი მიმდინარეობა შექმნა რუსეთის გადასარჩენად, პუშკინი დეკაბრისტების გვერდით იდგა „სამოდერნაჟიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაში. პასტერნაკი, მანდელშტამი, მაიაკოვსკი, ცვეტაევა, ბროდსკი – სიტყვით იბრძოდნენ საბჭოთა მონსტრის წინააღმდეგ.

ილიამ ყველაზე ძლიერი იარაღი – სიტყვა – გამოიყენა ერის გამოღვიძება – ამოქმედებისათვის, გალაკტიონმა ნილაბი მოიხრგო, უნიკალური ნილაბი...

მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება, თანაც ყველა განსხვავებული, თავისებური იქნება.

ჩვენ ხშირად შევნატრით არჩევანის თავისუფლებას. მისი გენიალურობა სწორედ ამაშია – ყველას თავისი არჩევანი, თავისი ნება უნდა ჰქონდეს.

**– არჩევანის თავისუფლება! თეატრში თუ გქონდათ არჩევანის თავისუფლება? შეგეძლოთ აგერჩიათ ის როლები, რომლებზეც ოცნებობდით?**

– რუსთაველის თეატრში თითქმის 35-წლიანი ყოფნის დროს არცერთი როლი არ მითამაშია, რომელზეც ვოცნებობდი... უფრო მეტიც, არცერთ რეჟისორს ჩემთვის სპექტაკლი არ დაუდგამს. დამეთანხმები, ძნელია ასეთ პირობებში თავის დამკვიდრება... იმ დროს თეატრებში საზოგადოდ რეჟისორების დიქტატურა იყო. ისინი, საკუთარი იდეების განხორციელებაზე ზრუნავდნენ და იმ იდეებს ურგებდნენ მსახიობებს. ხომ ხედავთ, ამან სადამდე მიიყვანა თეატრი.

**– სადამდე?**

– მსახიობის როლის, მნიშვნელობის უგულვებელყოფამდე.

ახლა თეატრი მარტო გართობის სახლია, ცეკვა-თამაშისა და სიმღერის გარდა, იქ თითქმის ველარაფერს ნახავთ. მე მგონი, ისიც კი აღარ ახსოვთ, რომ თეატრში ხანდახან შეიძლება დაფიქრდე ან თვალზე ცრემლი მოგადგეს. შოუმ ჩაყლაპა თეატრი.

**– მაინც რა არის ეს შოუ, – თეატრის კარიკატურა, კულტურის დეკადანსი თუ საზოგადოების გემოვნების გამოხატულება?**

– შოუ სანახაობა, მას-კულტურის ხერხემალია. ხალხის მასების მანიპულირებისათვის აუცილებელი იარაღი.

„დააოკებ ბრბო პურიტა და სანახაობით“, – რომის უძველეს იმპერიაში დასცინა პოეტმა-სატირიკოსმა იუვენალმა იმდროინდელ ბრბოსაც და იმპერატორსაც.

მას შემდეგ ოცი საუკუნე გავიდა. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ძალზე წინ ვიყოთ წასულები.

**– თქვენი რეჟისორი რომ გყოლოდათ, თეატრს მაინც მიატოვებდით?**

– თურმეობითის ფორმა მხოლოდ გრამატიკაში არსებობს. ადამიანმა არასოდეს არ იცის, როგორ მოიქცეოდა, ეს რომ ასე, ან ისე ყოფილიყო...

ხშირად გაიგონებთ, ეს იმის არტისტია, ეს იმის რეჟისორიაო. უნდა გითხრა, რომ არასოდეს არავისი არტისტი არ ვყოფილვარ. არ ვიცი, შეიძლება ვინმეს ეჩვენება, რომ ამით რაღაც დაეკარგე, მაგრამ პირადად მე, და განსა-

კუთრებით ახლა, ვამაყობ კიდეც, რომ ყველაფრის საკუთარი გულითა და ხელებით აშენება მომიწია.

**– მაშ, არც ოთარ იოსელიანია თქვენი რეჟისორი?**

– ოთარ იოსელიანი მარტო რეჟისორი არ არის. ის მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოღვაწეა საქართველოში და, ვფიქრობ, მის ფარგლებს გარეთაც. გულსატკენია, რომ ჩვენს ქვეყანაში ეს ბევრმა არ იცის.

1965 წელს ვითამაშე ჩემი პირველი როლი მის ფილმში „გიორგობისთვე“. მას შემდეგ მან 17 ფილმი გადაიღო უჩემოდ და აბა რა „ჩემს რეჟისორზეა“ ლაპარაკი. ის ჩემი მეგობარია, ნამდვილი, ღირსებით აღსავსე მეგობარი.

**– თეატრიდან ნელ-ნელა იმიტომ ხომ არ დაიწყეთ ნასვლა, რომ თეატრშივე მისულიყავით. ილიას, ვაჟას, აკაკის, კლდიაშვილის ტელემონოლოგები, „წმინდა ოთხთავი“ სხვა რა იყო, თუ არა თეატრი, ერთი მსახიობის თეატრი.**

– რა თქმა უნდა, ეს ის გენიოსები არიან, ვისითაც ვსულდგმულობდი და დღესაც სულს ვიბრუნებ. ტელევიზია ერთადერთი ადგილი იყო, სადაც მათთან მიახლოება და მათი განსახიერება შეეძლო. ამ გადაცემებმა რაღაც ნვლილი შეიტანეს ეროვნული შეგნების გაღვივებაში, მოგვიანებით, 1989 წელს, ასე მძლავრად რომ იფეთქა.

**– რამდენადაც ვიცი ამ საქმეში ისეთი წინააღმდეგობები გხვდებოდით, რომელთა მსგავსი დღეს სრულიად წარმოუდგენელია: გამზადებული მასალის წაშლა, უშიშროებაში დაბარება, სპექტაკლების აკრძალვა...**

– ცნობილი მოქანდაკის ერნსტ ნეიზვესტინის სიტყვებით გიპასუხებთ: „საბჭოთა პერიოდში დისიდენტი არასოდეს ვყოფილვარ, უბრალოდ ჩემს ღირსებას ვიცავდიო“.

ღირსების დაცვა კი არ იყო ადვილი საქმე. ჩემს შემთხვევაშიც ის პროფესიულ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ.

1972 წელს აკაკი ბაქრაძესთან ერთად მოვამზადე ტელეკომპოზიცია – გურამიშვილი, ილია, აკაკი. ხვდებით ალბათ, ეროვნულ თვითშეგნების გაღვივებას და საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის იდეას ემსახურებოდა, მათი ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი ფრაგმენტები – წაშალეს, ეთერში არ გაუშვეს...

1976-ში ილიას ვითამაშობდი რუსთაველის თეატრის სპექტაკლში „ჩემო კალამო“. ანტისაბჭოთა სპექტაკლად მონათლეს. ცკ-ს იდეოლოგიური განყოფილება ჩაერთო საქმეში. ახლა ადვილია ამაზე საუბარი, მაშინ?..

ჩემს მონო-ტელესპექტაკლებს – ილია, ვაჟა, აკაკი, კლდიაშვილი – ეთერში გასვლის წინ თამაზ კვაჭანტირაძე ჰყავდა ფარად აფარებული. „მეგობრებო, ყველა ეს უბედურება – ხალხის ჩაგვრა ეროვნული ნიშნით, ილიას მკვლელობა, ყაზბეგის შიმშილი, კლდიაშვილის გარუსება და ა.შ. მხოლოდ წინა საუკუნეში, საბჭოთა კავშირის შექმნამდე ხდებოდაო“. ამას გინდა ბრძოლა დაარქვი, გინდა ღირსების დაცვა, გინდა იდეალების ერთგულება, ადვილი ნამდვილად არ იყო...

80-იან წლებში კიევის საბაჟოზე ჩემს თეატრალურ კოსტუმში ცვეტაევას პროზა, ავტორხანოვის წიგნები

და ედპ-ის წესდება აღმომიჩინეს. ბენჯზე ვარ გადარჩენილი, ანტისაბჭოთა ლიტერატურის შემოტანისთვის რომ არ გამასამართლეს, ისე ბევრი კი მანონიალეს უშიშროებაში...

ეს ჩემს პოზიციას, პროფესიულ არჩევანს რაც შეეხებოდა. ახლა ორ სიტყვას თავად მსახიობის ოსტატობაზეც, გეტყვით.

მსახიობობა ითხოვს გონებას, სულს, ჯანმრთელობას... ყველაფერს... თუ ბოლომდე არ გაიღე მსხვერპლი, შედეგი არ იქნება...

საბჭოთა პერიოდს ერთი თავისებურება ახლდა, იდეოლოგიურად შეზღუდულები რახან ვიყავით, ხარისხის მიღწევაზე ვმუშაობდით და, მინდა გითხრათ, შედეგიც იყო.

შეხედეთ ჯარისკაცის მამას, სესილიას, ვერიკოს ნათამაშებ როლებს, სადღა ნახავთ ახლა ასეთ სრულყოფილ სახეებს. თითქოს იმ დიდ ხელოვნებასა და დღევანდელობას შორის ხიდია ჩატეხილი. ეს სხვა ჟანრია, შეიძლება ვილატ-ვილატებისთვის უკეთესიც კი, ოღონდ სახელი რა ჰქვია, არ ვიცი!

**– შემდეგ იყო სახარებანი... რამ გადაგანყვეტინათ ეს საქმე?**

– ღვთის სიყვარულმა.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ საქართველოში ბევრს არ ჰქონდა წაკითხული ეს უპირველესი წიგნი და ტელევიზიის მეშვეობით გავუადვილე გზა მისი შემეცნებისა. რას მივალნიე, ვერ გეტყვით.

ფირფიტებზეც ჩავენერე წმინდა ოთხთავი სულ ახლახან. ადამიანი ტელეეკრანს რომ არ ყოფილიყო მიჯაჭვული, საშუალება მიეცემა ყველგან მოესმინა მანქანაში, სახლში...

ვნახოთ, რა გამოვა.

**– რატომ „ვნახოთ“? ხომ გამოვიდა, ამ სიტყვის ყველანაირი მნიშვნელობით, პროექტი „29“, გოგი ხარაბაძის აუდიოიბლიოთეკა, ოცდაცხრა ფირფიტა, რომელზეც ოთხთავის გარდა ოცდაათამდე ქართველი პოეტის საუკეთესო ნაწარმოები გაქვთ ჩანერილი...**

ისე კი მიკვირს, რამ გაგაბედინათ ამ არალიტერატურულ დროში ამხელა ლიტერატურული პროექტის განხორციელება?

– სწორედ „არალიტერატურულმა დრომ“ გამაბედინა და გადამანყვეტინა ამ ნაბიჯის გადადგმა.

თუ საქართველოში აღარ წაიკითხავენ და აღარც მოუსმენენ შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონს, ის უკვე სხვა ქვეყანა იქნება...

მე ასეთ ქვეყანაში ცხოვრება არ მსურს... ამ მასალაზე მუშაობა ნამდვილი ნეტარება იყო. სწორედ ამ ყოფაში გახლდით მთელი ერთი წელი და თუ ჩვენი შრომისა და სიყვარულის ნაყოფი ადამიანებს, განსაკუთრებით, მომავალ ქართველებს, იმასვე განაცდევინებს, ბედნიერება იქნება.

**– 2006 წლის 22 დეკემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ პროექტს „29“ -ის პრეზენტაციაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ განაცხადა, გოგი ხარაბაძის ეს ნამუშევარი მაღლის მოფენაა...**

**არ გეუხერხულათ?**

– იმ წუთას ოფლმაც კი დამასხა. თქვენი არ იყოს, მეც კარგად მესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა. მაგრამ დღეს, როცა ჩემი ფიქრები მომავლისკენ არის მიმართული – დიდ პროექტზე მაქვს დაწყებული მუშაობა – უწმინდესისა და უნეტარესის უდიდეს შეფასებას „შთაგონებათა სკივრში“ მივუჩინე საგანგებო ადგილი, რათა დამემაროს ჩაფიქრებულის განხორციელებაში. ასეც იქნება ალბათ, ისეთი მაღლი გადმოდის ყოველი მისი ქმედებიდან და სიტყვიდან.

**– თუ საიდუმლო არ არის, რა პროექტზეა ლაპარაკი?**

– ჯერჯერობით დუმილს ვამჯობინებ. არ მიყვარს გეგმებზე საუბარი.

**– როგორ გგონიათ, საზოგადოება, რომელიც წიგნს აღარ კითხულობს, მსახიობის მიერ წაკითხულ ლიტერატურას მოუსმენს? დღეს ხომ მხოლოდ შოუს აქვს გასავალი, მხოლოდ შოუს ჰყავს მსმენელი.**

– მე აქ სიტყვა „მხოლოდ“-ის ნაცვლად, ვიხმარდი სიტყვას „უმეტესად“. რადგან „მხოლოდ“ გულისხმობს, რომ დღეს მკითხველი და მსმენელი აღარ არსებობს. „უმეტესად“ კი ნიშნავს, რომ ისინი უმცირესობაში არიან. ჩემი აზრით, ჭეშმარიტად ღირებული ლიტერატურისა და ზოგადად ხელოვნების დამფასებელი, არც ერთ ეპოქაში და არც ერთ ქვეყანაში ბევრი არ ყოფილა.

მკითხველის რაოდენობის შემცირებას კი თანამედროვეობის გარდუვალ თავისებურებებს – ინფორმაციის მიღების გაიოლებას, მისი გავრცელების უკიდევანო შესაძლებლობებს მივანერ. მათი გაუთვალისწინებლობა ან შეჩერება შეუძლებლად მიმაჩნია.

ისე კი ვიზიარებ ერთი ცნობილი იტალიელი კრიტიკოსის აზრს, „კარგი წიგნი მისტიკური აგენტია“ და ის მნიშვნელობას და ღირებულებას არასოდეს დაკარგავს.

**– როგორ იქნება, მოსკოვი არ გავისხენოთ. 2007 წლის 1-დან 5 მარტამდე სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის მიწვევით მოსკოვში, რუსული მართლმადიდებლური ენციკლოპედიის მე-13 ტომის პრეზენტაციაზე იმყოფებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია, რომლის წევრი თქვენც ბრძანდებოდით. საინტერესოა, რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდით?**

ისე, კაცმა რომ თქვას, ნაწილობრივ ვიცით თქვენი შთაბეჭდილებების შესახებ, 4 მარტს მოსკოვიდან გქონდათ პირდაპირი სატელევიზიო ჩართვა „რუსთავი-2“-ზე, რომლის ეთერში თქვენი გამოჩენა, მართალი გითხრათ, მოულოდნელი მეჩვენა, რადგან, თუ არ ვცდები, ამ არხზე არასოდეს გამოსულხართ...

– ნუ ჩაყვევებით სხვის მიერ გავლილ მოლიპულ გზებს, ჩემო ვანო, ჩვენთვისაც სახიფათოა...

რაც შეეხება 4 მარტის გამოსვლას... რამ მაიძულა? თემამ, პატრიარქის სიყვარულმა; ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მოსკოვის ბიუროს წარმომადგენლის ანი ცაბაძის არგუმენტირებულმა და დაჟინებულმა თხოვნამ.

სიმათლე გითხრათ, ვერ ვიხსენებ, რომ საქართველოსა და რუსეთის პარტიარქები, ნირვის შემდეგ, ერთად მდგარიყვნენ მრავალათასიანი მართლმადიდებელი

მრევლის წინაშე მოსკოვის საკათედრო ტაძარში და ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებზე ესაუბრათ, ერთმანეთისადმი პატივისცემა და სიყვარული გამოეხატათ.

ამ შესვენდრამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ისტორიული შემოქმედია ვუნოდო თითოეულ ფრაზას; ილია მეორემ ბრძანა: „ადამიანი გაღვიძებისას მზეზე ადრე მეზობელს ხედავს, განსაკუთრებული გაფრთხილება უნდა მეზობლობასო“.

მოგეხსენებათ, „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ გამოსვლა გახლდათ საბაბი ამ მოგზაურობისა. საქართველოს პატრიარქმა მიიღო ალექსი II მინვევა და პირველმა, თავისი მხლებლებითურთ, გაარღვია (დახურული, აკრძალული) საჰაერო სივრცე. მშვიდობის დესპანად ჩავიდა მეზობელ, ერთმორწმუნე ქვეყანაში.

აღბათ გახსოვთ ასეთი გამოთქმა:

„პოლიტიკოსები ომს იწყებენ და აგებენ, მოგებით კი...“

მე „მოგებისკენ“, „მოგვარებისკენ“, მშვიდობისკენ გადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია მოსკოვში საქართველოს პატრიარქის მინვევა და ჩასვლა.

„კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“ და ვფიქრობ, ეს „კარგი გამგონე“ უნდა გამოუჩნდეს უწმინდესის მიერ ღვთის სახლში გაკეთებულ, ვიტყვოდი, პოლიტიკურ განცხადებებს:

„საქართველო პატივს უნდა სცემდეს, აღიარებდეს რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას, ისე, როგორც რუსეთმა უნდა იზრუნოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე“ (შოკის მომგვრელი იყო მაცხოვრის ტაძარში, უმაღლესი სასულიერო პირებისგან აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემებზე საუბარი).

ან თუნდაც, ჩვენი მეზობლისათვის იმის შესხენება, რომ მათთვის გაცილებით მომგებიანი უნდა იყოს ძლიერი და გაერთიანებული ქვეყნის მეზობლობა.

დიდი კამათია, იმის თაობაზე, არსებობს თუ არა ორი რუსეთი. მათ გასაგონად, ვისაც მიაჩნია, რომ არ არსებობს, მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო ალექსი II სიტყვები:

„ამ მძიმე მარხვის დროს, თქვენმა ჩამობრძანებამ ისეთი ამაღლებული განწყობა შემიქმნა, თითქოს აღდგომა დღე გათენებულყოფს“.

არა მხოლოდ რუსეთის პატრიარქის გამოსვლით, საქართველოს დელეგაციასთან შესახვედრად მოსული უამრავი იქაურის დამოკიდებულებით, კიდევ უფრო გამომყარდა აზრი, რომ ორი რუსეთი ნამდვილად არსებობს. „მტერი“ და „მოყვარე“ რუსეთი. მოყვრისათვის არაფერი შეცვლილა, კეთილგანწყობა, სიყვარული, მეგობრობა დარჩა, „მტრის“ საკითხი კი, სამწუხაროდ, მოუგვარებელია.

არ შემოქმედია, ორი სიტყვა იქაურ ქართველობაზე არ ვთქვა. ეკლესიაში, „ბოლშაია გრუზინსკაიაზე“ შედგა მათთან შესვენდრა.

ამ ადამიანებისთვის ყველაფერს, რაც ჩვენთან ხდება, ყველაფერს ქართულს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იმისათვის, რომ თავი გადაიჩინონ და ქართველობა შეინარჩუნონ. ამიტომ, არ დაგიმალავთ და ძალიან მეამაყებოდა, როცა ჩემთან მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ:

„თქვენი ფირფიტები ჩვენს შვილებს ენის შენარჩუნებაში ეხმარება“, ან „თქვენი წაკითხული სახარებით ვათენებთ და ვალამებთო“.

რახან „29 ფირფიტას“ შევეხე, ერთ მათგანზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. „**Мне Тифлис горбатым снится**“, რომელზეც აღბეჭდილია პუშკინის, ლერმონტოვის, პასტერნაკის, მანდელშტამის, ბროდსკის, ახმადულინას და სხვათა შესანიშნავი ლექსები საქართველოზე. შეგიძლიათ, დამისახელოთ მსგავსი მოვლენა, როცა ერთი ქვეყნის უდიდესი პოეტები ასე ერთსულოვნები არიან მეორე ქვეყნის სიყვარულში? ასე გამოარჩევენ, ასე შენატრიან, ასე უმღერიან სხვა ხალხს, მათ ქალაქებს, კულტურას, ტრადიციებს? გაგიჭირდებათ! ჰოდა, მინდოდა შემეხსენებინა ჩვენი მეზობლებისათვის, მათი გამორჩეული შვილების დამოკიდებულება საქართველოსადმი. მოსკოვში ფირფიტები დაიტაცეს... არც ერთი ცალი არ დარჩენილა.

დასკვნის გამოტანა, თქვენთვის მომიხდევია!

**– ბოლო დროს ეკლესიასთან ძალიან ახლოს მიხვედით... დარწმუნებული ხართ, რომ ეს არის ის, რასაც ეძებდით?**

– ძალიან პირადულს, ინტიმურს საკრალურს შეეხეთ. ჩემი აზრით, ადამიანი ასეთ თემებზე ხმამაღლა არ უნდა საუბრობდეს, მით უფრო ინტერვიუებს არ უნდა არიგებდეს.

როგორც ყველა სფეროში, აღმსარებლობის საკითხებშიც გაუთვითცნობიერებლები ვართ. ან კი სხვაგვარად როგორ უნდა ყოფილიყო. 20-25 წელია ეკლესიასკენ შემობრუნება დაიწყო. ცოდნაც გვაკლია, მისი შექმნის წყურვილიც და სულიერებაც.

მაგრამ, მაინც ერთი პატარა ამბავი მახსენდება.

შარშან, წინასაშობაოდ, უწმინდესმა მოგვიწოდა, ფანჯარაში ანთებული სანთელი გადგით, როგორც სიმბოლო სიკეთისა და სტუმრის მოლოდინის სიხარულისაო.

თურმე, როცა ღვთისმშობელს მოლოდინების დრო დაუდგა, ბეთლემში არ აღმოჩნდა არც ერთი ოჯახი, მისთვის კარი რომ გაეღო. ამიტომ მარიამი და იოსები იძულებული გამხდნენ საქონლის მიტოვებულ ბაგაში დამდგარიყვნენ. იქ იშვა მაცხოვარი. იოსებმა ნიშნად იმისა, რომ იმჟამად იქ ადამიანები ბინადრობდნენ, სანთელი აანთო და სარკმელი გაანათა... ჩვენც, შობის დადგომისთანავე, სანთელი ავანთეთ და ფანჯრის რაფაზე შემოვდგით. ჩვენს პირდაპირ დიდი სახლი დგას, 30-40 ოჯახით დასახლებული. ხუთ-ექვსი ფანჯარაში სანთელი კიაფობდა.

ბეთლემთან შედარებით დიდი პროგრესია, არა?

P.S.

საუბარი დამთავრებული არ გვქონდა, რომ გოგი ხარაბაძემ კიდევ ერთი სიურპრიზი შემოგვთავაზა – ეს არის „სააღდგომო ზღაპარი“ ანუ სააღდგომო საჩუქარი ბავშვებისათვის: სტუდია „სანოსა“ და მხატვარ-დიზაინერ კოტე ჯაფარიძის მიერ ორიგინალურად გაფორმებული აუდიოჩანაწერი ოსკარ უაილდის ზღაპრისა „თავკერძა გოლიათი“.

მსახიობი გოგი ხარაბაძე აქაც მონოდების სიმალღეზეა, თუმცა უმჯობესია მსმენელებმა თვითონ შეაფასონ მისი ოსტატობა და თვითონვე განსაზღვრონ, რა მანძილია, ამ შემთხვევაში, მწერლიდან მსახიობამდე.

ფრანგი მწერალი (1849-1926), საფრანგეთის აკადემიის წევრი, ავტორი გალექსილი დრამების და კომედიებისა, რომანების და მოთხრობებისა. თავის ნაწარმოებებში ასახავდა თანადროულ ზნე-ჩვეულებებს, იყენებდა ისტორიულ სიუჟეტებსაც. ხარკი გადაუხდია სათავგადასავლო და დეტექტიური ჟანრისთვისაც.

ჟან რიშპენი

## სანიგუშო დანაშაული

ყველაფერი ისე აენყო, რომ ლიტერატურული წარმატების იმედი ერთი ბენოზეც არ კიაფობდა: ვულგარული გვარი ჰქონდა – ოსკარ რეგენი, ღარიბ- ღატაკი იყო და ნიჭის ნატამალიც კი არ გააჩნდა. და მიუხედავად ამისა, გენიალურ ადამიანად მიაჩნდა თავი.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლისას მისი პირველი საზრუნავი ის იყო, რომ აეღო ფსევდონიმი. მალე სხვა ფსევდონიმით შეცვალა იგი, მერე მესამე ფსევდონიმი მოიგონა და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლივ. მკითხველის ყურადღება რომ მიეზიდა, ყველაზე უჩვეულო, ღვლარაქნილ გვარებს ირჩევდა. მაგრამ მთელი მისი მცდელობანი უნაყოფო რჩებოდა: არც ერთ მეტსახელს მისთვის დიდება არ მოუტანია და წინანდებურად ბოგინობდა ყველასთვის უცნობ, გაჭირვებულ მჯღაბნელად.

– და მაინც აქ რალაც მიყრია, – ამბობდა თავისთვის და თითხ იკაკუნებდა თავის ქალაზე, რომელიც ძლიერ ბეგრას გამოსცემდა, რადგანაც ცარიელი იყო.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ ცდომილებამდე შეიძლება მიიყვანოს კაცი ლიტერატურულმა პატივმოყვარეობამ. არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე, რომ უეჭველად ნიჭიერი ადამიანებიც კი, ამ გრძნობის ზეგავლენით, გაუგებარ უაზრობასა და სამარცხვინო თუ აღმაშფოთებელ საქციელს სჩადიან. რალას უნდა ელოდო, როდესაც პატივმოყვარეობა შეიპყრობს არამზადას, სრული არარაობის განსახიერება რომ ბრძანდება! და არაფერია გასაკვირი, თუკი მსგავსი სუბიექტი, მოთმინება რომ დაეღვევა, თავმოყვარეობის ჩხვლეტებისგან რომ დაიტანჯება და დაასკვნის, ჩემი ცხოვრება გაცამტვერდაო, გამოსავლის ძიებისას ან თვითმკვლელობას ანდა დანაშაულს ჩაიფიქრებს.

ოსკარ რეგენი ძალზე მხდალი იყო საიმისოდ, რომ სიკვდილი აერჩია. გარდა ამისა, თავისი გონებრივი უპირატესობის რწმენა ძალას მატებდა და ათამამებდა დანაშაულის ჩასადენად. ცდილობდა თავი დაერწმუნებინა, რომ აქამდე მისი გენია ცრუ გზით მიდიოდა, რომ მისი ხვედრი სისხლიანი თავგადასავლებია და არა – პოეტური ოცნებანი. გარდა ამისა, სიმდიდრე შესაძლებლობას მისცემდა, რომ ფრთები შეესხა თავისი ბრწყინვალე ნიჭისათვის, სავსებით რომ ჩამკვდარიყო გაჭირვების უღელქვეშ. ამგვარად, როგორც ხელოვანი და როგორც ადამიანი, რომელსაც არ აღიარებდნენ გენიოსად, თვლიდა, იძულებული ვარ, დანაშაული ჩავიდინო.

და ჩაიდინა კიდევ. და, ბედის მწარე ირონიით, ამჯერად მან თავის სიცოცხლეში პირველად ჭეშმარიტად სანიგუშო რამ მოიმოქმედა.

ამ მოთხრობის დასაწყისამდე ათიოდე წლით ადრე ოსკარ რეგენი ცხოვრობდა სენ- დენის ქუჩაზე მდებარე ერთ- ერთი სახლის მეექვსე სართულზე. კაცმა არ იცოდა მისი არსებობა, თავისი მორიგი ფსევდონიმითურთ ჩაკარგულიყო სხვა მობინადრეთა შორის და უსაქმობისა გამო დაუახლოვდა ერთ ლაქლამა შუახნის მოახლეს, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა, გაენდო მისთვის მთელი თავისი ასავალ- დასავალი. ამრიგად, სხვათა შორის, ოსკარ რეგენმა შეიტყო, რომ ეს ქალი მსახურობდა მოხუცებულ ქვრივთან, რომელიც უაღრესად მდიდარი იყო და სუსტი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა. კავშირი ამ ქალთან ერთ თვეზე მეტხანს არ გაგრძელებულა და სხვა ბინაში გადასვლისთანავე შეწყდა.



ერთ საღამოსაც, როცა შინ ბრუნდებოდა თავისი ძმაცაცისგან, რომელსაც ინტერნის ადგილი ეჭირა მოწყალეობის საავადმყოფოში, გაიარა ერთ- ერთ პალატაში და საავადმყოფოს საწოლზე დაინახა თავისი ძველი მეგობარი ქალი, სიკვდილის პირას რომ მისულიყო.

გაესაუბრა და შეიტყო, რომ ის კარგა ხანს მსახურობდა იმავე ქვრივთან და მხოლოდ ბოლო სამი კვირა შეცვალა სხვა მოახლემ, ხოლო მისმა ქალბატონმა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო მისი მონახულება საავადმყოფოში და ეს სასონარკვეთაში აგდებდა.

– თქვენ გინდოდათ მისი ნახვა? – ჰკითხა ოსკარმა.

– მაგაში არაა საქმე. ვშიშობ, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ქალბატონი ჩემს წერილს ნაიკითხავს და შევზიზღდები.

– მაგრამ რატომ და რისთვის?

– აი, ყური დამიგდეთ. ყველაფერს გულახდილად გეტყვით. მართალია ერთხანს თქვენ ჩემი საყვარელი იყავით, მაგრამ ეს იმდენად დიდი ხნის წინათ იყო, რომ მშვიდად შემიძლია ვალიარო – თქვენს შემდეგაც არ გაგჩერებულვარ. ამის გამო ხომ არ მიწყრებით? მით უფრო, რომ თქვენთვის შეუფერებელი საყვარელი ვიყავი. მაგრამ იმავე სახლში ცხოვრობდა ერთი არამზადა, ხელობით მეტეტლე, ვისი გულისთვისაც ყველაფერს გავაკეთებდი, რასაც ინებებდა. შვილი მყავდა ამ არამზადისგან, თავგზა მთლად აბნეული მქონდა, სულ თავის ჭკუაზე მატარებდა. სულ მატყუებდა, ბავშვს ჩემს შვილად ვალიარებ და ცოლად შეგირთავო. უსინდისოდ გამაცურა! მაგრამ არა უშავს, ჩემს ბიჭიკოს რასაც ვუტოვებ, იმით თავს გაიტანს და, გარდა მაგისა, ჩემი ქალბატონი კეთილია და ზრუნვას არ მოაკლებს. ქალბატონს მივწერე, შვილი მყავს- მეთქი, წერილი აგერ აქ არის, ჩემს ბალიშქვეშ. მინდა, რომ ქალბატონს გადასცენ, როცა აღარ ვიქნები. მაგრამ მანამდე ჩემი ქალბატონი უნდა დაიწვას; უამისოდ, არაფრის გულისთვის ამქვეყნად, ამ წერილებს არ გავუგზავნი ქალბა-

ტონს. მან რომ გაიგოს, რა სისაძაგლენი გამიკეთებია, უნ-  
 ყალოდ მოექცევა ჩემს ბიჭუნას, დედა კახპა და ქურდი  
 ჰყოლიაო...

– დაიცა, გენაცვალე, – შეანყვეტინა ოსკარმა, – ყვე-  
 ლაფერი დალაგებით უნდა მიამბოთ. ძალიან ჩქარობთ და  
 ყველაფერი არეულ-დარეულია. თუკი გსურთ, რომ რაი-  
 მე გააკეთოთ თქვენთვის, ყველაფერი კარგად უნდა ამიხ-  
 სნათ.

იმ წუთას ოსკარ რეგვენი ჯერ კიდევ არ ფიქრობდა  
 დანაშაულზე. ქალის ნაამბობმა მხოლოდ ლიტერატორის  
 ცნობისმოყვარეობა აღაგზნო. საინტერესო სიუჟეტი იყ-  
 ნოსა და მზად იყო გამოეყენებინა.

– აი, რა მოხდა, – განაგრძობდა სნეული, – უეცრად  
 გავხდი ავად: ქუჩაში დამბლა დამეცა და პირდაპირ საა-  
 ვადმყოფოში გამაქანეს. ჩემმა ქალბატონმა აქ დამტოვა,  
 რადგანაც ჩემი შინ წაყვანა შეუძლებელი იყო. ქალბა-  
 ტონს ვწერდი ხოლმე და თავის ახალ მოახლეს გზავნიდა  
 ჩემს მოსანახულებლად. არც ქალბატონისთვის და არც ამ  
 ქალისთვის არ მითქვამს ის, რაც ყველაზე მეტად მანუ-  
 ხებდა. შინ დამრჩა პაკეტი, სადაც ამ მეეტლის, ჩემი შვი-  
 ლის მამის, წერილები ეწყო. ამ წერილებში ყველანაირი  
 სისაძაგლე ჩანერილი; გავსებულა რჩევებით, რომ უნდა  
 ვიქურდო, და მადლობებით – მისთვის ნაქურდალის გაგ-  
 ზავნის გამო. დიახ, მე ვქურდობდი! იმ კაცის გულისათვის  
 ვქურდავდი ჩემს ქალბატონს. არაერთხელ მომინდომებია  
 ამ წერილების დანვა, მაგრამ იქ ალერსიც იყო, ცოლად  
 შერთვისა და ჩვენი ბავშვის შვილად აღიარების დაპირე-  
 ბანი... ეს მაიძულებდა, რომ შემენახა ისინი. ერთხელაც  
 ფული არ მივეცი და ეს არამზადა დამემუქრა, წერილებს  
 ხელში ჩავიგდებ და თავს მოგჭრიო. საშინლად შევშინდი.  
 შენახვაც მინდოდა წერილებისა და, იმავდროულად, მეში-  
 ნოდა, ჩემთან რომ შემენახა. ერთ კონვერტში ჩავდე, დავ-  
 ლუქე და ქალბატონს ვთხოვე, დაემალა ისინი; დავარწმუ-  
 ნე, ჩემი საოჯახო ქალაღებია და ძვირად მიღირს – მეთ-  
 ქი. ქალბატონმა საწერი მაგიდის ერთ-ერთ უჯრაში ჩაკე-  
 ტა ისინი და ამ უჯრის გასაღები მომცა. რა თქმა უნდა, შე-  
 მძღო მიმეწერა ქალბატონისთვის, ეს ქალაღები დამ-  
 ჭირდა – მეთქი და თავის ახალ მოახლეს გამოატანდა. მაგ-  
 რამ მაგ ქალს არ ვენდობი. რაღაც – რაღაცეები წამოსცდა  
 და მივხვდი, რომ უკვე მოუსწრია კავშირის გაბმა მეეტ-  
 ლესთან. ნამდვილი ლაქუცაა! მეეტლემ, ეტყობა, იმიტო-  
 მაც მოჩანგლა, რომ დასტყუოს იმ წერილების პაკეტი,  
 რადგან იცის, სადაც ინახება. ახლა ხომ გესმით, როგორ  
 გასაჭირში ვარ. ოჰ, გეთაყვა! ვიცი, რომ ამგვარი წყალო-  
 ბა არ დამიმსახურებია, მაგრამ თქვენ სიკეთეს ჩაიდენთ,  
 თუკი ამ სამსახურს გამიწევთ...

– რა სამსახურს?

– მომიტანეთ ეს წერილები.

– მაგრამ როგორ ჩავიგდო ხელში?

– ძალიან მარტივად. საღამოობით, ათი საათის შემ-  
 დეგ, ქალბატონი, ჩვეულებრივ, ღებულობს ქლორალს და  
 მაგრად იძინებს. მოახლე ამ დროს იქ აღარ არის, შვიდ სა-  
 ათზე შინ მიეშურება. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ქალბა-  
 ტონს, იმის შიშით – არ გამქურდონო, მოახლისათვის არ  
 უთქვამს, ქლორალს ვღებულობო. აი, სწორედ ამ დროს  
 თქვენ გულარხინად შეგიძლიათ შეხვიდეთ ბინაში, ხელთ

იგდოთ წერილები და მომიტანოთ. კაციშვილი ვერ დაგი-  
 ნახავთ. ხომ გახსოვთ, სახლს ორი გამოსასვლელი აქვს.  
 თუკი უკნიდან გამოხვალთ, მეკარე ვერაფერს შეამჩნევს.  
 ღვთის გულისათვის, გამინიეთ ეს სამსახური!

– ჭკუიდან შეშლილხართ. ნეტავი როგორ გავაღებ სა-  
 წერ მაგიდას ანდა, ბოლოს და ბოლოს, ჩაკეტილ ბინაში  
 როგორ მოვხვდები?

– საწერი მაგიდის მეორე გასაღები მაქვს. შევუკვეთე,  
 რომ გამეჭურდა ქალბატონი. აგერ ისიც, აგერ მეორე გა-  
 საღებიც ჩემი უჯრისთვის. აი, სამზარეულოს გასაღებიც.  
 გვედრებით! არ ვიცი რატომ, მაგრამ სავსებით გენდო-  
 ბით; მჯერა, ამას გააკეთებთ და შემეწევით, მშვიდად რომ  
 მოგვკვდე.

ოსკარ რეგვენმა ხელი გაიშვირა გასაღებისაკენ და  
 უეცრად სახე გაუფითრდა, თვალები გაეყინა, ტუჩები აუ-  
 ცახცახდა: თავში გაუელვა ფიქრმა დანაშაულზე. მარ-  
 თლაცადა, ეს ქალი თუკი მოკვდება, საქმეც იოლად გაი-  
 ჩარხებაო.

– სული მეხუთება, სული, – წაიწურჩულა სნეულმა,  
 რომელსაც ხანგრძლივი ლაპარაკით ღონე გამოლოდა. –  
 წყალი, ღვთის გულისათვის, წყალი დამალევიანეთ!

პალატაში, სადაც მხოლოდ ღამის სანათური ენთო,  
 ბინდბუნდი სუფევდა. ახლომახლო სანოლებზე ყველას  
 ეძინა. ოსკარმა თავი აუწია სნეულს, ბალიში გამოაცალა,  
 პირისახეზე დააფარა და მთელი ძალ-ღონით ახრჩობდა.  
 ასე ადგა თავზე მთელი ათი წუთი და გამბედაობა ჰყოფ-  
 ნიდა, დრო ეანგარიშა იმ საათით, მეორე ხელში რომ ეჭი-  
 რა.

როცა, ბოლოს და ბოლოს, ბალიში მოაშორა, მის ძველ  
 მეგობარ ქალს უკვე დაელია სული. კრინტი არ დაუძრავს,  
 ისე მოკვდა. იფიქრებდი, მეორე დარტყმა მიენიაო. ოს-  
 კარმა ისევ თავქვეშ ამოუდო ბალიში მიცვალებულს, სა-  
 ბანი გაუსწორა და შეუმჩნევლად გავიდა პალატიდან. ტა-  
 ლანით ისე გაიპარა, არავის შეუნიშნავს, და ქუჩაში ამოჰ-  
 ყო თავი.

ათის ოცი წუთი იყო.

დრო არ დაუკარგავს, იმდენად სწყუროდა დაუყოფ-  
 ნებლივ შეესრულებინა თავისი ავი განზრახვა, აჩქარებუ-  
 ლი ნაბიჯით გაეშურა სენ-დენის ქუჩისაკენ და ჯერ ათი  
 საათიც არ იქნებოდა, როცა ნაცნობ სახლს მიადგა.

გზაში საფუძვლიანად მოიფიქრა მოქმედების გეგმა.

უწინარეს ყოვლისა შეიპარა საჯინიბოში, სადაც მეეტ-  
 ლის კუთვნილი ნივთები ინახებოდა. იქ აიღო ჰალსტუხი,  
 პანია ნაჭერი მოაგლიჯა და ჯიბეში უკრა თავი. მერე, ისე  
 რომ არავის შეუმჩნევია, სწრაფად ავიდა უკანა კიბით,  
 უჩუმრად გაალო სამზარეულოს კარი, საძილე ოთახში შე-  
 იძურნა, მიიჭრა სანოლთან, რომელზედაც მშვიდად ეძინა  
 ბებრუხანას და დახრჩობა დაუნყო. ამჯერადაც არ დაუ-  
 კარგავს მხნეობა და თავისი მსხვერპლის ყელი, მთელი  
 თხუთმეტი წუთის განმავლობაში, არ გაუშვია ხელთაგან.

ქალბატონს რომ ბოლო მოუღო, ახლა საწერი მაგიდის  
 დათვალიერებას შეუდგა. დიდ შუათანა უჯრაში აღმოჩ-  
 ნდა აქციები და ობლიგაციები, მარცხენაში – საბანკო ბი-  
 ლეთები და მარჯვენაში – ოქროს ზოდები. ამოარჩია ბი-  
 ლეთები წარმდგენზე და ხელი არ ახლო სახელობით ბი-  
 ლეთებს. საპროცენტო ქალაღებმა, საბანკო ბილეთებმა

და ოქრომ სულ შეადგინა ასორმოცი ათასი ფრანკი, რითაც ოსკარმა თავისი ჯიბეები დაიტენა.

ამის შემდეგ შეუდგა წერილების ძებნას. წააწყდა სწორედ იმ ადგილას, რომელიც მოკლულმა მოახლემ მიუთითა. ისინი დანვა ბუხარში, ოღონდ მოახერხა, ხელუხლებლად დაეტოვებინა რამდენიმე ნაკუნი, განსაკუთრებით რომ უტეხდა სახელს მეეტლესა და მოახლეს.

გარდა ამისა, ამოარჩია რამდენიმე წერილი, რომელთა მიხედვით შეიძლება აღდგენილიყო მთელი ამბავი მათი შვილისა, ნაქეზება ქურდობაზე, ჩადენილ ქურდობათა აღწერილობა, და ბუხარის ცხაურთან იმგვარად დაყარა, თითქოს ფაციფუციით მოისროლეს ცეცხლში, მაგრამ მთლიანად ვერ დაინვაო.

დასასრულ, ნაკუნ-ნაკუნ დახია ჰალსტუხის ნაგლეჯი, საჯინბოში რომ ანაპნა, და მკვდარ ბებრუხანას მოკრუნჩხულ მუჭში ჩასჩარა.

ბოლოს და ბოლოს ბინიდან გამოიძურნა, ჩრდილივით გაძვრა ქუჩაში, სადაც მყისვე მოირგო მშვიდი შესახედობა მეოცნებისა და ნელი ნაბიჯით შინისაკენ გაემართა.

ოსკარ რეგვენი ტყუილად როდი მიიჩნევდა თავს გენიალურ ადამიანად. მას მართლაც აღმოაჩნდა ნამდვილი ნიჭი დამნაშავისა და გამოცდილი ბოროტმოქმედივით განახორციელა სანადელი.

დანაშაული მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს წარმატებით შესრულებულად, როდესაც დაუსჯელი რჩება. ხოლო სრული დაუსჯელობა იმას ჰქვია, როდესაც მართლმსაჯულება სრულიად სხვას, უდანაშაულო პირს, დასჯის.

ოსკარ რეგვენს სრული დაუსჯელობა ერგო ნილად.

მართლმსაჯულებას სულაც არ გასჭირვებია მიგნება მკვლელისა. რასაკვირველია, ეს იყო ზემოხსენებული მეეტლე. წერილთა ნაკუნები უეჭველ საბუთად გამოიყურებოდა. გარდა მეეტლისა, რომელსაც ინტიმური კავშირი ჰქონდა მოახლესთან, აბა სხვას ვიღას ეცოდინებოდა ყველა გარემოება, ხელს რომ უწყობდა დანაშაულის ჩადენას? სხვას ვის უნდა მიეცა გასაღები დამნაშავისათვის? განა სწორედ ის, მოახლის მონაწილეობით, ადრეც არ ქურდავდა ქვრივს? ამიტომაც განა ბუნებრივი არ იყო ვარაუდი, რომ მანვე მკვლელობით დააბოლოვა ქურდობა? გარდა ამისა, ჰალსტუხის ნაფლეთი წარმოადგენდა უცილობელ სამხილს. ყველა უბედურებასთან ერთად, წარსული

მეეტლისა სულაც არ ყოფილა უმნიშვნელო. დასასრულ, მისი ბრალეულობა მტკიცდებოდა იმ გარემოებითაც, რომ მან ვერ განმარტა, თუ რას აკეთებდა იმ დროს, როდესაც ჩადენილ იქნა მკვლელობა.

რამდენიც გინდა უარზე დამდგარიყო, რამდენიც გინდა ემტკიცებინა, ამ დანაშაულში ხელი არ მირევიაო, რამდენიც გინდა ეფიცა, სრულიად უდანაშაულო ვარო, ყველაფერი მის წინააღმდეგ მეტყველებდა. სიკვდილი მიუსაჯეს და განაჩენი აღსრულებულ იქნა. მოსამართლენი, ნაფიცი მსაჯულნი, ადვოკატები, პრესა, პუბლიკა – ერთი სიტყვით, ყველა სავსებით დამსახურებულად მიიჩნევდა ამ სასჯელს.

გაურკვეველი რჩებოდა მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპარული ფული მანც ვერ იპოვეს. ბოლოს დაასკვნეს, არამზადამ საიმედო ადგილას გადამალო, მაგრამ იმაში კი არავინ დაეჭვებულა, რომ სწორედ მას ჰქონდა მოპარული.

ამბობენ, კეთილი საქმის ჩადენა ადამიანს სულიერ სიმშვიდეს ანიჭებსო. მაგრამ იშვიათად თუ ვინმე გაბედავს იმის მტკიცებას, რომ ავკაცობაც, თუკი დაუსჯელი რჩება, დაატკობს ადამიანს.

ოსკარ რეგვენი სრულიად მშვიდად სარგებლობდა ორმაგი მკვლელობის ნაყოფით. არც შიში აწუხებდა, არც სინდისის ქენჯნა.

ერთადერთი რამ აღელვებდა და ეს გრძობა, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო შლიდა ფრთებს. ეს გახლდათ სიამაყე, ჭეშმარიტი ხელოვანის სიამაყე. ყოველგვარი ზნეობრივი მოსაზრებანი განზე გადადო და მთლიანად განიმსჭვალა იმის შეგნებით, რომ თავისი საქმე შეასრულა მართლაც მხატვრულად, ნამდვილი ხელოვანივით. ამგვარად, მისი პატივმოყვარეობა სავსებით კმაყოფილდებოდა, მაგრამ – მხოლოდ ამ კერძო შემთხვევაში. სხვა მხრივ, იგი უწინდელივით დარჩა ისევ და ისევ უფერულ, ყველასთვის უცნობ ადამიანად. სარგებლობდა მოხვეჭილი სიმდიდრით და მრავალი ჟურნალ-გაზეთის რედაქციებს ამაოდ მიაზღვავა თავისი ნაწერები; ამაოდ ეკურკურებოდა კრიტიკას – მკითხველი იოტისოდენა ყურადღებას არ აქცევდა, რამეთუ ყველაფერს, რაც მის კალამქვემ იქმნებოდა, – ლექსებს, პროზას, თეატრალურ პიესებს – უნიჭობის დაღი ესვა.

ლიტერატურულ წრეებში რამდენადმე იცნობდნენ ანატოლ დეროზს, როგორც მწერალ-დილეტანტს, რო-



მხატვარი ლევან მუზაშვილი

მელსაც შემოსავალი გაცილებით მეტი ჰქონდა, ვიდრე ტალანტი, მაგრამ პუბლიკას არაფერი ესაქმებოდა მის შემოსავალთან და თავისი გულგრილობით დაუნდობლად სჯიდა. როგორც ჩანს, ბედს უნდა დამორჩილებოდა, საკუთარი უძლურება უნდა შეეგნო. მაგრამ რა დააშოში-ნებდა! ზოგჯერ ელვა გაუკრთებოდა თვალეში და თავისთვის ამბობდა: „ოჰ, რომ მოვინდომო და მოვყვე ჩემი სანიმუშო დანაშაული, რადგანაც ნამდვილად სანიმუშო დანაშაული იყო, ყველა უწყყმანოდ დამეთანხმებოდა. დაე, ყველას სულელი ეგონოს ანატოლ დეროზი, მაგრამ ოსკარ რეგენი, უდავოდ, გენიალური ადამიანია“. თრგუნავდა იმის გაფიქრება, რომ ასე ოსტატურად ჩაფიქრებული, ასე მარჯვედ დაგეგმილი, ასე ენერგიულად შესრულებული და, დასასრულ, ესოდენ სრული წარმატებით დაგვირგვინებული საქმე ყველასთვის უცნობი რჩებოდა.

„ჰო, იმ საღამოს, უეჭველია, ჭეშმარიტი შთაგონება მიძღვებოდა წინ, ის ძალა მამოძრავებდა, რომლის ზეგავლენითაც აღასრულებენ დიდებულ საქმეებს. მრავალ გენიალურ ადამიანს მარტოდენ ერთი სანიმუშო ნაწარმოები დაუნერია, მანამდე კი არაფრის მთქმელი აბლაუბდით აუჭრელებია ქალაქის მთები. მეც, ეტყობა, ამგვარ თავისებურ ტალანტთა რიგს მივეკუთვნები. მაგრამ ასეთი შესანიშნავი საქმე რატომ მოვიმოქმედე – ნაცვლად იმისა, რომ დამენერა იგი? თუკი დავნერდი, ამით უზომოდ გავითქვამდი სახელს. მსგავსი არაკი რომ შემეთხზა, ყველა დაუნაფებოდა, ვინაიდან ის ერთგვარად ერთადერთი იქნებოდა, მაგრამ ეს სანიმუშო დანაშაული ხომ სინამდვილეში ჩავიდინე!“ – ასე მსჯელობდა ოსკარ რეგენი და, დროთა განმავლობაში, ამ აზრმა მთლიანად შეიპყრო იგი.

მთელი ათი წელიწადი ებრძოდა ცდუნებას. თავიდან სინანული სტანჯავდა, რომ მთელი ეს ამბავი კი არ შეთხზა ქალაქზე, არამედ სინამდვილეში განახორციელა; მერე დაეუფლა ნადილი, მოეთხრო იგი მონაგონის სახით. ამასთან, მას მანკიერების ის სულისკვეთება როდი განაგებდა, რომელიც აიძულებს, მაგალითად, ედგარ პოს პერსონაჟებს თავიანთ საიდუმლოებათა გამხელას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული პატივმოყვარეობა, ასე ვთქვათ – საღერლელი დიდებისა.

და რატომაც არ უნდა აღწეროს ყველაფერი, როგორც მოხდა? ნეტა რისა უნდა ეშინოდეს? ანატოლ დეროზს მართლმსაჯულება იცავს. დანაშაული კარგა ხნის წინათ არის ჩადენილი და ყველას გადაავიწყდა იგი. დანაშაულის ჩამდენი ცნობილია; იგი მოკვდა ეშაფოტზე და დაკრძალეს. ყველაფერს ისეთი ელფერი ექნება, თითქოსდა მან ნიჭიერად გამოიყენა კარგა ხნის წინათ გამართული სასამართლო პროცესი. მორჩა და გათავდა. ამ მოთხრობაში გაამჟღავნებს თავის სანუკვარ ფიქრებს; აღწერს ყველა გასაჭირს, რომელთაც მიიყვანეს დანაშაულამდე; ყველა იმ ფანდს, დანაშაულის ჩადენას რომ ახლდა, ყველა ხელსაყრელ პირობას, რომელიც თითქოს საგანგებოდ მოუწყო ამ იდუმალმა თანაშემწემ, შემთხვევა რომ ჰქვია. „მარტოდენ შენთვის არის ცნობილი დანაშაულის საიდუმლო, – ეუბნებოდა თავის თავს, – და არავის თავშიც არ მოუვა, რომ შენ ნამდვილი ამბავი აღწერე. ამ მოთხრობაში დანაშავენ მხოლოდ მძლავრი ფანტაზიის ფრენას. და

მაშინ შენ მიაღწევ იმას, რაც ესოდენ დიდხანს გწყუროდა. შენ გახდები ერთ-ერთი იმ დიდ მწერალთაგან, რომლებიც გვიან გამოჩნდებიან ხოლმე, მაგრამ – ერთბაშად შესანიშნავი ნაწარმოებებით. ამრიგად, შენ გამოიყენებ შენს გაკეთებულ საქმეს ისე, როგორც აქამდე ამგვარი რამ არც ერთ ბოროტმოქმედს არ გამოუყენებია; იგი მოგიტანს არა მარტო სიმდიდრეს, არამედ სახელსაც. და ვინ იცის, ამ პირველი წარმატების შემდეგ, როცა სახელს გაითქვამ, ეგებ წაიკითხონ შენი უწინდელი ნაწარმოებებიც და შეიცვლება უსამართლო შეხედულება, რომელიც შენზე შეიქმნა. ხომ ცნობილია, რომ დიდების გზაზე მთავარია მხოლოდ პირველი ნაბიჯის გადადგმა. მაშ, შევუდგეთ საქმეს. იპოვე შენს თავში თუნდაც ნაწილაკი იმ გასაცარი გამბედაობისა, რაც გამოავლინე იმ დიდებულ დღეს. გაიხსენე, როგორი სამსახური გაგინია მაშინ; უეჭველია, ახლაც გაგიტანს. ნუთუ ხელიდან გაუშვებ ამ ერთადერთ შემთხვევას? შენ ხომ შეგნებული გაქვს, რომ საქმე ჩინებულად გაკეთდა – მაშ, აიღე და ყველაფერი მოჰყევი თამამად, დაუფარავად. უფრო მეტიც, შენი გამბედაობა მიიყვანე უკიდურეს ზღვრამდე, მთლიანად დაიკმაყოფილე პატივმოყვარეობა, ამჯერად უარი თქვი შენს ფსევდონიმზე, რომელიც შენი გვარი ჰგონიათ, მონერე ნამდვილი გვარი, რომელიც ფსევდონიმი ეგონებათ. საჭიროა, რომ სახელი გაითქვას არა ანატოლ დეროზმა, არამედ ოსკარ რეგენმა“.

ერთ მშვენიერ საღამოს ოსკარ რეგენი მიუჯდა სანერ მაგიდას და, მსგავსად დიდი პოეტისა, რომელიც ქმნის დიდებულ ნაწარმოებს, აცახცახებული ხელით, ავარვარებული პირისახით, ერთ დაჯდომაზე დაწერა ამბავი თავისი დანაშაულისა.

იგი აღწერდა ოსკარ რეგენის საცოდავ ლიტერატურულ ცდებს, მის ღარიბულ ცხოვრებას, წარუმატებლობას არჩეულ ასპარეზზე, რის შემდეგაც აშკარა შეიქნა მისი უნიჭობა; აღწერდა საშინელ გაბოროტებას, აღწერდა იმას, თუ როგორ დაიბადა მის თავში ჯერ ჩანაფიქრი თვითმკვლელობისა, მერე კი – ბოროტმოქმედებისა, რითაც შურს იძიებდა ცხოვრებაზე იმის გამო, რომ ოცნებამ მოატყუა, – ერთი სიტყვით, შეთხზა ნამდვილი ფსიქოლოგიური რომანი, რომელშიც ასახა საკუთარი სულის დახვეწილი ანალიზი. მერე პირქუში ფერებით, შემადრწუნებელი სიმართლით, აღწერა სცენა ჰოსპიტალში, აღწერა ყველაფერი, რაც კი მოხდა სენ-დენის ქუჩაზე, აღწერა სიკვდილით დასჯა ვითომდა დამნაშავისა და ზეიმი ნამდვილი დამნაშავისა. დასასრულ, ჯოჯოხეთური სიზუსტით გაარჩია ის მიზეზები, რომლებმაც აიძულეს ავტორი, საჯაროდ გამოეტანა თავისი დანაშაული და ბოლოს, ჯეროვანი მიუზღო ოსკარ რეგენის სახელს, რომელიც მონერა თავის აღსარებას.

„სანიმუშო დანაშაული“ გამოქვეყნდა და კოლოსალური წარმატება მოიხვეჭა, რაზედაც გარკვეული წარმოდგენა შეიძლება შეგვექმნას კრიტიკული სტატიებიდან ამოკრეფილი ნაწყვეტების მიხედვით, ამ ნაწარმოების გამოჩენას რომ მიესალმებოდნენ:

„როგორც ცნობილია, ოსკარ რეგენის ფსევდონიმქვემ (ამაზე სასაცილო გვარი ძნელია მოიფიქრო!) იმალება ავტორი, რომელიც განთქმულია თავისი ტრფიალით

ათასნაირი ფსევდონიმებისადმი, ბ-ნი ანატოლ დეროზი. აქამდე დეროზი თავის ტალანტს ხარჯავდა წვრილ-წვრილ საგაზეთო სტატიებზე, მაგრამ ახლავა გამოავლინა თავისი ნამდვილი ნიჭი. მისი ახალი ნაწარმოების თემად აღებულია სისხლიანი დრამა, ათიოდე წლის წინათ რომ გათამაშდა სენ-დენის ქუჩაზე; მაგრამ რომანისტი ფანტაზიამ უღიმღამო მკვლევობა გადააქცია უჩვეულო დანაშაულად, თავისი ჩანაფიქრით განცვიფრებას რომ იწვევს. თვით საბრალო გაბორიოც კი ვერ მოიგონებდა ამგვარ დამთხვევას, როგორც ბ-ნმა დეროზმა მოიფიქრა. „სანიმუშო დანაშაული“ გადმოიბეჭდება ჩვენთან უახლოეს, ორმაგ საკვირაო ნომერში“.

„ახალი ნაწარმოების ავტორს ვერ დავარქმევთ ლირიკულ ავტორს ამ სიტყვის საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით, მაგრამ ის არც რეალისტია, რამდენადაც მისი ფანტაზიის ფრენა, დროდადრო, პოეტური შემოქმედების სიმაღლეებს აღწევს... როგორც არ უნდა იყოს, ეს გახლავთ გენიალური ნაწარმოები“.

„ეს „სანიმუშო დანაშაული“ ჭეშმარიტად სანიმუშო ქმნილებაა... ავტორმა ჯოჯოხეთური სიმარჯვით ჩამოგლიჯა საბურავი იდუმალ დანაშაულს და კაცობრიობას აჩვენა ადამიანის სული მთელი თავისი გონჯი სიშიშვლით. ჩვენ მოგვწონს ბ-ნი ანატოლ დეროზი, თუმცა მისი ტალანტის სახეობას უფრო მოუხდებოდა, რომ მისი გვარი წარმოქმნილიყო არა სიტყვიდან „ვარდი“, არამედ სიტყვებიდან „ეკალი“ ან „ჭინჭარი“.

ერთი ყველაზე გამოჩენილი კრიტიკოსთაგანი „სანიმუშო დანაშაულის“ ავტორს უდარებდა ჰოფმანსა და ედგარ პოსს და აღიარებდა მის უბადლო ტალანტს.

ერთი სიტყვით, ქებანი იფრქვეოდა ყოველი მხრიდან, თუკი არ ჩავთვლით მეშურნეთა, ბრიყვთა, ნაფიც შემფასებელთა და ყველა ჯურის ლიტერატურული წვრილფეხობის ბუზლუნს.

მაგრამ ყველა გამოხმაურებაში, ყველაზე საამურშიც კი, შეხედებოდი ორ პუნქტს, სასტიკად რომ აღიზანებდა ოსკარ რეგენს. ჯერ ერთი, მისი ნამდვილი გვარი ეგონათ ფსევდონიმი და კვლავინდებურად უწოდებდნენ ანატოლ დეროზს, და მეორეც – ბევრს ენამჭევრობდნენ მისი მდიდარი წარმოსახვის თაობაზე და სინამდვილის იოტისოდენა გამოძახილსაც კი არ აღიარებდნენ მის მოთხრობაში.

ეს ორი პუნქტი ისეთ ტანჯვას აყენებდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, გაუქრა განცდა სიხარულისა თავისი ახლად აღმოცენებული სახელ-დიდებისაგან. ხელოვანი ასე არიან შექმნილნი, რომ კრიტიკამ თუნდაც ვარდთა სარეცელი გაუშალოს, მაინც გაანვალებთ უმცირესი ნაკეცი, ვარდის რომელიმე ფურცელს რომ გაუჩენია.

საქმე იმით დამთავრდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც რომელიღაც სუბიექტმა უაღრესად შეაქო „სანიმუშო დანაშაულის“ ავტორი, ამ უკანასკნელმა თავი ვერ შეიკავა და ანაზდად წამოისროლა:

– მონყალეო ხელმწიფევ, თქვენ სხვაგვარად ალაპარაკდებოდით, ამ საქმის თაობაზე ჭეშმარიტება რომ გცოდნოდათ! დაე, უწყოდეთ, რომ ჩემი უკანასკნელი ნაწარმოები რომანი როდია, არამედ ნამდვილი ამბავი. დანაშაული მოხდა სწორედ ასე, როგორც აღვწერე. და ეს

დანაშაული მე ჩავიდინე და ჩემი ნამდვილი სახელია ოსკარ რეგენი.

ყოველივე ეს წარმოთქვა სავესებით მშვიდად, დარწმუნებული კილოთი, სიტყვებს გამოთქვამდა მკაფიოდ, თითქოსდა სურდა ამით ეჩვენებინა, ძალზე სერიოზულად ვლაპარაკობო.

– მაგრამ ეს საუცხოოა, ეს უბადლოა, – წამოიძახა მისმა თანამოსაუბრემ. – თქვენი პირქუში ხუმრობა თვით ბოდლერს დაამშვენებდა!

მეორე დღეს ყველა გაზეთი იმეორებდა ამ ანეკდოტს. აღიარეს, ანატოლ დეროზის ფანტაზია მკითხველის მისტიფიცირებისა, მკვლელად რომ ასაღებდა თავს, ჭეშმარიტად შეუდარებელი არისო. უეჭველია, რომ ეს კაცი ორიგინალურია და იმსახურებს, მთელი პარიზი დააინტერესოსო.

საქმის ასეთმა შემობრუნებამ პირდაპირ გააცოფა ოსკარ რეგენი. პირველად რომ წარმოთქვა თავისი საზარელი აღსარება, იგი, რამდენადმე, ანგარიშიუცემლად იქცეოდა. ახლა კი მართლაც გაუჩნდა მოთხოვნილება, რომ ვინმეს დაეჯერებინა მისი ნათქვამი.

თავისი აღსარება გაუმეორა ყველა ძმაკაცს, ვისაც კი შეეჩხა ბულვარზე. პირველ დღეს თავშესაქცევი ეჩვენათ. მეორე დღეს დაასკვნეს, მისი ხუმრობანი ძალზე ერთფეროვანი არისო. მესამე დღეს გადაჭრით აღიარეს, ფრიად მოსაწყენი ვინმეაო.

ამგვარად, მან ვერ შეძლო თავი შეემაგრებინა დიდი ადამიანის სიმაღლეზე და მალე მისმა ყველაზე მგზნებარე მომხრეებმაც კი დაცინვა დაუწყეს.

დაცემის პირველმა ნიშნებმა სრულ გააფთრებამდე მიიყვანა. ერთხელ, რესტორანში ყოფნისას, დიდ ოთახში მის ნაამბობს უნდობლად რომ შეხვდნენ, ყველას გასაგონად განაცხადა:

– ეს კი აღარაფერს არა ჰგავს! არავის არა სურს დაიჯეროს ის, რაც არის ჭეშმარიტი სიმართლე; არავის არა სურს დაიჯეროს, რომ მე არათუ დაგწერე, არამედ მართლაც ჩავიდინე ეს სანიმუშო დანაშაული. კეთილი, მე ამას დავამტკიცებ! ხვალვე მთელი პარიზი შეიტყობს, ვინა ყოფილა ეს ოსკარ რეგენი.

და მართლაც, მოძებნა სასამართლოს გამომძიებელი, რომელიც სენ-დენის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეს იძიებდა, და განუცხადა:

– გთხოვთ დამაპატიმროთ. მე ოსკარ რეგენი ვარ.

– მეტს ნულარ გაირჯებით, მონყალეო ხელმწიფევ, – თავაზიანი ღიმილით შეანწყვეტინა გამომძიებელმა. – მე წაკითხული მაქვს თქვენი ნაწარმოები, და ვსარგებლობ შემთხვევით, რომ მოგილოცოთ. ის მისტიფიკაციაც მსმენია, რითაც მთელი ეს კვირა თავს იქცევთ. სხვა, ჩემს ადგილზე, ეგებ გაჯავრებულიყო კიდეც, სასამართლო ხელისუფლება რომ ჩაგებამთ თქვენს საქმეში, მაგრამ მე მიყვარს ლიტერატურა და სრულიადაც არ გემდურით, რომ თავში მოგსვლიათ, პირადად ჩემთვის გეცნობებინათ თქვენი გონებაზავილური მონაგონი, რადგანაც ამან მონანიჭა სიამოვნება თქვენი გაცნობისა.

– მონყალეო ხელმწიფევ, – წამოიძახა ოსკარ რეგენმა, რომელიც გამომძიებლის თავაზიანობამ მოთმინებიდან გამოიყვანა, – ეს სულაც არ არი ხუმრობა! ფიცსა ვდებ, რომ

მართლაც ოსკარ რეგვენი გახლავართ და მართლაც ჩავინდინე დანაშაული, რასაც დაგიმტკიცებთ კიდევ.

– მშვენიერია, მშვენიერი, – შეეპასუხა გამომძიებელი. – მე ხათრიანი კაცი ვარ და რომ გასიამოვნოთ, თანახმა ვარ, მონაწილეობა მივიღო ამ გართობაში. მე თქვენ გისმენთ და წინასწარ ვტკბები იმით, დახვეწილი გონება, მსგავსი თქვენისა, როგორ გაართმევს თავს ამოცანას – დაამტკიცოს შეუძლებელი.

– შეუძლებელი?! მაგრამ მე აღვწერე ნამდვილად მომხდარი ამბავი. მეჯინებ არ ყოფილა დამნაშავე. ეს მე ჩავინდინე...

– მე უკვე მოგახსენეთ, მონყალეო ხელმწიფევე, რომ თქვენი ნაწარმოები წაკითხული მაქვს. თუკი გნებავთ, პირადად მიაბოთ ეს ამბავი, რასაკვირველია, უაღრესად მოხარული ვიქნები, მაგრამ ეს ვერაფერს დამიმტკიცებს ანდა კიდევ ერთხელ დამიმტკიცებს, რაც უკვე დიდი ხანია საყოველთაოდ არის აღიარებული, სახელდობრ ის, რომ თქვენ დაჯილდოებული ხართ მდიდარი და ორიგინალური წარმოსახვით.

– ჩემი წარმოსახვა ეყო მხოლოდ იმას, რომ ჩამეფიქრებინა და ჩამედინა ეს მკვლელობა.

– კი არ ჩაგედინათ, მონყალეო ხელმწიფევე, არამედ აგენერათ, მხოლოდ აგენერათ. და თუ საქმე საქმეზე წავა, ნება მომეცით, გულახდილად მოგახსენოთ ჩემი აზრი ამის თაობაზე. თქვენ დიდი უფლებანი მიანიჭეთ თქვენს წარმოსახვას და გადააბიჯეთ იმ ზღვარს, რომელიც მწერლის ფანტაზიამ უნდა დაუშვას. ზოგიერთი თქვენს მიერ მოგონილ გარემოებათაგან გადაჭრით დაუფერებელია.

– მაგრამ ხომ გითხარით უკვე...

– მოიცათ, მოიცათ. დამეთანხმებით, რომ ამ დარგში ცოტათი მაინც კომპეტენტური ვარ; ასე რომ, გარწმუნებთ, თუ გულზე ხელს დავიდებთ, რომ თქვენი დანაშაული შეთხზულია ძალზე არადამაჯერებლად. შეხვედრა სწეულ ქალთან საავადმყოფოში წარმოადგენს მართლაც დიდ შემთხვევითობას. ამბავი ქლორჰიდრატისა დიხაბაც ძნელად მოსანელებელია. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ სხვა წერილმანზე. როგორც მხატვრული ნაწარმოები, თქვენი მოთხრობა მომხიბლავია, ორიგინალურიც არის, ჩაფიქრებულია ჩინებულად და იკითხება გატაცებით, დიდი ინტერესით. ვაღიარებ, რომ, როგორც მწერალს, სრული უფლება გაქვთ, ამგვარად უცვალოთ სახე ჭეშმარიტებას, მაგრამ თქვენი სანიშნო დანაშაული სინამდვილეში სრულიად შეუძლებელია. ძვირფასო ბატონო დეროზ, მომიტევეთ, თუკი გულსა გტკენთ, მე თავყანსა ვცემ თქვენს ლიტერატურულ ტალანტს, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, რომ თქვენ შეგწევთ დანაშაულის ჩადენა.

– აბა, მე შენ გიჩვენებ სეირს, – დაიღრიალა ოსკარ რეგვენმა და ეცა მართლმსაჯულების მსახურს. განრისხებული ძაგძაგებდა, პირზე დუჟი ჰქონდა მოსული და თვალები ჩასისხლიანებოდა.

კიდევ დაახრჩობდა გამომძიებელს, ამ უკანასკნელის ყვირილზე ხალხი რომ არ მოვარდნილიყო. ჭკუიდან შემლილ ოსკარს ხელი სტაცეს, გაკოჭეს და დაუყოვნებლივ ჩააყუდეს ციხეში, საიდანაც ხუთი დღის შემდეგ გადაყვანილ იქნა საციხეთში.

„აი, სადამდე მიჰყავს ადამიანი ლიტერატურით გატაცებას, – ნერდა მეორე დღეს ერთ-ერთი საგაზეთო მიმომხილველი. – ანატოლ დეროზმა თავის სიცოცხლეში ერთხელ, შემთხვევით, დაწერა კარგი წიგნი და ამან ისე ააფორიაქა, რომ, ბოლოს და ბოლოს, თავისი მონაგონი ჩათვალა სინამდვილედ. ეს ამბავი მოგვაგონებს ძველ იგავ-არაკს პიგმალიონზე, რომელსაც თავისი ხელით გამოძერწილი ქანდაკება შეუყვარდა...“ და ასე შემდეგ და ამის მსგავსი...

მაგრამ რაც ყველაზე საშიხელია, ის იყო რომ ოსკარ რეგვენს არც კი უფიქრია ჭკუიდან შემლა. დიახ, იგი სრულ ჭკუაზე იყო, რის გამოც ტანჯვა უათკეცდებოდა.

„ამრიგად, – ფიქრობდა იგი, – უბედურებანი თავს მატყუდება ყოველი მხრიდან: მათ არა სურთ დაიჯერონ არც ჩემი სახელი, არც ჩემი დანაშაული. როდესაც მოვკვდები, ვიქნები ანატოლ დეროზი, მწერალი, ვისაც ბედმა გაუღიმა – შეეთხზა მარტოოდენ ერთი მშვენიერი ზღაპარი. ოსკარ რეგვენი კი დარჩება მხოლოდ მოქმედ პირად რომანიდან, მაშინ როცა ესაა ცოცხალი არსება, აღსავსე ვაჟკაცობით, გამბედაობითა და ენერგიით; ესაა მძინვარე გმირი, რომელმაც არ უწყის სინდისის ქენჯნა. ოჰ, დაე თავი მომკვეთონ გილიოტინით, ოღონდაც შეიტყონ ჭეშმარიტება! თუნდ ერთი წამით, ვიდრე თავს დავდებდე საჯალათო კუნძუზე, თხემით ტერფამდე ხომ დავტკბები ჩემი დიდების შეგნებითა და უკვდავებაზე ოცნებით!“

მაგრამ ამგვარ აღტკინებათა დასაშოშმინებლად საციხეთში მიმართავდნენ მხოლოდ ცივ შხაპს.

გარკვეული ხნის შემდეგ თავისი აკვიატებული აზრით გატაცებისა და გიჟებთან ერთად ცხოვრების შედეგად ოსკარი მართლაც შეირყა ჭკუიდან.

მაშინ კი გამოუშვეს საციხეთიდან. გამოაცხადეს, გამოჯანმრთელდაო.

ამგვარად, ოსკარ რეგვენს საბოლოოდ დაეუფლა ფიქრი, მართლაც ანატოლ დეროზი ვარ და არასოდეს არავინ მომიკლავსო.

გარდაიცვალა სავსებით დარწმუნებული იმაში, რომ მან თავისი დანაშაული მხოლოდ აღწერა, მაგრამ არ ჩაუდენია.

თარგმნა  
თემურ ღვინაერიამ

აღმოსავლურ კაფეში  
„ქარავანი“  
კვირას, 29 აპრილს  
გაიმართება  
რატი ამაღლობელის  
პოეზიის საღამო  
დასაწყისი 14 საათზე  
ფურცელაძის 10

როსტომ ჩხეიძე

# მზის შვილები

## II მზა მტკვანში

თითქოს პირველად შეუცვნია მისი იდუმალებათ:

– თვალი ჩასულა მტევანში.

ესაა და ეს – ქართველ მევენახეთა მოარული სიტყვები ყურძნის მნიფობისას, კლიშედექეული ფრაზა რახანია, სა-უკუნეთა მანძილზე, როდესაც მთქმელი აღარც უკვირდება, თუ რას გულისხმობს, მისთვის ეს ყოველდღიური ჭეშმარიტებაა და წარმოთქვამს ისე, როგორც წყალს, მიწას, ზეცას... ისე, რომ მასში ჩამალულ სიმბოლურ შინაარსს ვე-ღარც წვდება.

მაგრამ ის პირველი მთქმელი?

სწორედ ის, ვინც ყურძნის მნიფობა მითოსურ წარმო-სახვას გაუტოლა?

იგი უთუოდ პოეტი იქნებოდა – ან სიმღერების მთხზვე-ლი ანდა პოეტური სულით გასხივოსნებული, სტრიქონს სტრიქონზე რომ ვერც მოაბამდა, მაგრამ სული ედგა შე-მოქმედისა და ყურძნის აღვსებაში მაცოცხლებელი წვენით ღრმა მისტიკის დაინახავდა.

მისტიკები განსაკუთრებით მოჰკიდებოდა გულზე გრიგოლ რობაქიძეს და ამიტომაც არ დარჩებოდა შეუნიშ-ნავი კლიშედექეული ფორმულის პოეტური შინაარსი, რამ-დენიმე სიტყვაში ჩაწნეხილი მითოსი, და თანაც ისეთ ფონ-ზე გამოჰკვეთდა მის პოეტურ გზნებას, სკეპტიკოსთათვი-საც სარწმუნო ყოფილიყო.

ეს არ ყოფილა მისთვის მხოლოდ ენათმეცნიერული თუ ფოლკლორისტული დაკვირვება. პოლიტიკური იერიც უნ-და მინიჭებოდა, საზოგადოებრივი ხომ თავისთავად, რად-განაც იმ ხილვას უნდა დაკავშირებოდა, ჰამადანში რომ მოვლენოდა და თანდათან მხატვრულ-იდუიურ მრწამსად ჩამოყალიბდებოდა.

ისეთ ფონზე გამოჰკვეთდაო...

პლოტინის მსოფლხილვას ამიტომაც გაიხსენებდა – თვალი მზიური.

და გოეთეს ერთ შაირსაც, თვალის მზიურობა შესანიშ-ნავ ხტილად რომ წარმოეჩინა:

– თუ არ იყოს თვალი მზიური, ვით შეეძლოს მას ხილვა მზისა?

და ამ რკალში, მხოლოდ ამ რკალში უნდა შემოვიდეს ქართველი მევენახის სიტყვები:

– თვალი ჩასულა მტევანში.

„თვალი“ აქ მზეს გულისხმობს.

და გრიგოლ რობაქიძის წარმოსახვაში გაიგივებულან პლოტინი, გოეთე და ქართველი მევენახე – ის, სულ პირვე-ლი, კლიშედექეული ფორმულის აღმომჩენი, და გაიგივე-ბულან იმ ნიშნით, რომ სამივე დიდ საიდუმლოს აცნაუ-რებს.

მაგრამ განსხვავებაც რომ შეინიშნება –

პლოტინისა და გოეთესათვის თვალი „მზიურია“, უც-ნობი ქართველი პოეტისათვის კი ის მზეა თვითონ.

გრიგოლ რობაქიძეს სულ არ უკვირს თავისი აღტაცება და იმასაც დასძენს: ხატული „სახეობის“ მხრივ ქართველი მევენახის თქმას თვითონ გოეთე არგუნებდა პირველობა-სო.

თვალი მზეაო, – ასე რომ ფიქრობს ქართველი, „ლონ-დას“ შემოქმედს იმიტომ უხარია ამგვარი გაიგივება, რომ სჯერა, უნებურად კი არ გაჩენილა ეს მეტაფორა, არამედ ქართული ენის მსოფლგანცდით „მზე“ და „მზერა“ სადღაც ეთანხმებიან ერთიმეორეს.

და საგანგებოდ გაიხსენებს სულხან-საბა ორბელიანის განმარტებას სიტყვისა „ღმერთი“:

– წვა და ხედვა.

რათა მოადევნოს: ეს განმარტება მზეზეა თითქო გა-მოჭრილი. მზე იწვის, არ იფერფლება, იწვის და „მზერს“ – ანათებსო.

და კვლავ უნდა განმეორდეს ჩვეულებრივ თქმად გა-დაქცეული მეტაფორა – „თვალი ჩასულა მტევანში“ – რა-თა უკვე უშუალოდ შეფასდეს მისი მნიშვნელობა ისე, რო-გორც ამ ფონის გარეშე გაუგებარი, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ბუნდოვანი იქნებოდა.

ახლა კი ეს ფრაზა:

– ნამდვილი პოემაა, პოემასთან ერთად „ირმის ნახტო-მი“.

სხვაგან („სათავენი ჩემი შემოქმედებისა“) პლატონსაც მოიხსენიებს: ეს ხილვა გაკვრით იმასაც აქვს გამოთქმუ-ლიო.

და თვალი რომ მზის სიმბოლო გახლდათ, ამის აღნიშ-ვნისას დასძენდა: მზე იქ, იმ თქმაში, მოძრაობაშია – მზე თვალად ისხმის მტევანში და თვალურ ავსებს მას, ამნი-ფებს. ეს პროცესია, ამბავია. ამბავი „მითოსია“ აქ, მითოსი მზისა და მტევნის ურთიერთქცევისა. აი, რა არის „სიმბო-ლო“, აი, რა არის „მითოსიო“.

კიდევ სხვაგან (გეორგი გამყრელიძისადმი გაგზავნილ წერილში) ამ გამოთქმას „მითიურ ხატად, თითქმის უმაგა-ლითოდ“ რომ მოიხსენიებს, ქართულ მწერლობას გადაავ-ლებს თვალს:

ასეთი ხატი – სიღრმისა და პლასტიკური სხმულობის მიხედვით – არ გააჩნია – არც მერჩულეს, არც რუსთა-ველს, არც სულხან-საბას, არც ბესიკს, არც ალექსანდრე ჭავჭავაძეს, არც ნიკოლოზ ბარათაშვილს, არც აკაკის, არც ილიას, არც ვაჟას, არც რომელიმე სხვასო.

მზიან ღამეს არ ჩაუკვირდებოდა, ამ რუსთველურ მე-ტაფორას ასცდებოდა მისი მზერა და „ჯვარი ვაზისას“ ამოატივტივებდა ფიქრსა და განსჯაში – ქრისტე მითიუ-რად არის მზე და მის მიმართ მევენახის ნათქვამი ასე გამო-დის: ძე ღვთისა „ჩასულა“ ვაზის ნახსებებში, ჩასულა ვითარ ვნებული. მითოლოგიაში აკი „ვნებულიც მზეც“ არსებობ-და. ხოლო ვნება ქრისტესი „ვაზის ჯვარში“ თითქოს ლერ-ნად იქცეოდა, რომელსაც მოჰქონდა „შეება“. ჯვარცმა იე-სოსი ხომ „ხსნას“ გულისხმობდა, „ჯვარი ვაზისასო“.

იქვე ჩაურთავდა: „შეება“, „ბადება“, „გათავისუფლე-ბა“, „სიხარული“ – აი, კიდევ ერთი საიდუმლო, ქართულ-ში „დამარხულიო“, იმ ჰიმნოგრაფიულ ძეგლზე მიანიშ-ნებდა მკითხველს – „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენი-

საი“, და დაბეჯითებით გაიმეორებდა, რაც არაერთხელ გამოეთქვა:

– ასეთი უნივერსალური რეალსიმბოლო მთელს საქრისტიანოში არ მოიპოვება. ეს სიმბოლო შეიძლება მხოლოდ იმ მხარეში წარმოშობილიყო, საცა მევენახე ამბობს: „თვალი ჩასულა მტევანში“.

არ გამიკვირდება, მისი უკანასკნელი ფრაზა, საიქიოსთან პირისპირ შეყრის წინა ამოლულულელება, იქნებ მის სარეცელთან დახრილი ადამიანისთვისაც გაუგებარი, ის სამად სამი სიტყვა რომ ყოფილიყო – რეალობაც, ირეალობაც, მითოსიც:

– თვალი ჩასულა მტევანში.

და გულის მხერაში ერთხელ კიდევ გათამაშებულიყო მზის მისტერია.

არაერთხელ რომ უბრუნდება ამ სიტყვებს, ერთ ესეის – „მზის ხანა ქართველთა“ – სულაც მის ქარგაზე გაშლის, და საერთოდაც თავს მოუყრის ყველა იმ დაკვირვებას, რაც ამ სახესა თუ მოტივს ეხმაურება და განაზოგადებს ერის ემბლემად; და თუმცა ემბლემა აქ უშუალოდ არ არის გამოცხადებული, საიმისოდ ყველაფერი შემზადებულია. ამ ესეის მეორე საუბრად სახავს, ეტყობა, მთელი ციკლი ჩაეფიქრებინა და ამ მეორეზე კი გაუწყდებოდა, ხოლო პირველი საუბარი კარდუსთან აქვს გამართული, ქართული შაირის ფესვებს რომ ეძიებს, კარდუს მიმართავს და კიდევ ბუნებრივად და ლოგიკურად მოადვენებს მზის სიმბოლიკის გახსნასაც ეროვნული მსოფლხედვის ქრილში.

თეზისებად ჩამოეწერა მზის თემატიკა და იმ „ნამდვილი პოემით“ რომ გახსნიდა ესეისაც და ქართველთა მზის ხანის კარსაც, ახლა უკვე სვასტიკაზე ჩამოაგდებდა სიტყვას, მზის სათაყვანო სიმბოლოზე უძველესი დროიდან – კაკვიან ჯვარზე, ბორბალში მოქცეულზე. ბორბალს უნდა ენიშნებინა მნათობის კოსმიური ბრუნვა და ეს მაშინ, როდესაც ნივთიერ კულტურაში ურემი ჯერ არ გამოგონებულყო.

ქართული სახელი „ურმის თვალი“ რალას ნიშნავდა? ბორბალს გულისხმობდა აქ თვალი.

და ავტორი ახლა იმ გარემოებას ჩაუკვირდებოდა: აქვს ბორბალს ისეთივე მსგავსება თვალთან, როგორც წყაროს ძირიდან მოჩუხჩუხე ნაკადს ვუნოდებთ წყლის თვალსო?

გარდა სიმრგვალისა, არავითარიო, – თვითონვე პასუხობდა თავისივე შეკითხვას და მოჩვენებითი საერთოს ნაცვლად წარმოაჩენდა ნამდვილ მსგავსებას: ქართულ ხილვას შერჩა სახელობა სვასტიკისა და რადგან ამ ხილვაში მზე თვალად იყო ცნეული, ურმის გამოგონებისას ბორბალი ჯვრისა ურმის თვალში გადმოვიდა საგნურადო.

ჰიპოთეზა იყო?

დაე ჰიპოთეზა ყოფილიყო, მთავარია დიდრონი თუ წვრილმანი ერთად დალაგებულიყო და მწყობრი სისტემა აგებულიყო. და უკვე მიხილ წერეთლის დაკვირვებასაც შემოიტანდა თავის კონცეფციაში, რომელშიც მზე სიცოცხლის თესლად სახელდებოდა და ბარემ უკვე გახსენებულიყო, რომ ქართულ ენაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფესვს „ცხ“. „მუცელის“ პირვანდელი ფორმა „მუცხელი“ უნდა ყოფილიყო და „ცხ“ აქ ისევე გახლდათ საყრდენი, როგორც სიტყვაში „სიცოცხლე“. ასე აღმოჩნდებოდნენ „სიცოცხლე“ და „ცეცხლი“ სიტყვიერი ტყუებები და გრიგოლ რობაქიძეს პერაკლიტე ეფესელის ლანდი ამოუჩნდებოდა თვალწინ: როგორ გაიხარებდა, რომ სცოდნოდა, რომელიც ენაში „სიცოცხლე“ ნაზრევი ვითარ „ცეცხლი“. სამყაროს საწყისი ცეცხლიაო, – აკი ასე სწამდა და მის ფილოსოფიურ მრწამსს ასე ესადაგებოდა ქართული ენის მსოფლგანცდა.

მიხილ წერეთელი ნიშანდობლივად მიიჩნევდა, რომ ფესვი „ცხ“ შეიმჩნეოდა ცხენშიც – ცხოველთა შორის ყველაზე უფრო ცეცხლოვან არსებაში, და გრიგოლ რობაქიძისათვის ეს სწორედ მიგნება გახლდათ.

მზისაგან იშვებოდა სხივი და ნივთიერი იღებდა „სახეს“ – ხდებოდა სხივმფენი. მხოლოდ სხივის გამოკრთობით ეზიარებოდა ნივთიერი ღვთიურს, სახიერდებოდა.

არცერთ ენაში არ იხმარება ზედმესრული „სახიერი“ ღვთის მიმართ ისეთი ღრმა მნიშვნელობით, როგორც სწორედ ქართულში. რაც სახიერია, ღვთიურიცაა – ასე ვგონებთ ქართველნიო, – მეხუთე თეზისად ეს ჩანიშნულიყო.

საუბრისას დაფიქრება რომ დაგვჭირდებოდა და ფორმულად ამ თქმას ვიყენებდით: „ჩემმა მზემ“ თუ „შენმა მზემ“, ისე გამოდიოდა, თითქოს ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი მზე ჰქონოდა. „ვეფხისტყაოსანში“ ეს მზეთანაზიარობა პირდაპირ კოსმიურ ყალიბს რომ იღებდა? ძალაუნებურად ჩნდებოდა ხსოვნაში ნესტანის წერილი, ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილი ტარიელთან, და ნუგეშად ეს სიტყვები: მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი ნილიო.

და შემდგომ ეს სტრიქონები რომ მოსდევდა – „განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი! მუნა განხო, მანდვე გასხო, განმინათლო გული ჩრდილი“ – და ნიკო მარი რუსთველის ამ პოეტურ წარმოსახვებში ნეოპლატონიზმის გამოძახილს ხედავდა, გრიგოლ რობაქიძე აკადემიკოსს მონაფესავით აუხსნიდა: როგორ ვერ ხვდები, რომ თვითონ ნეოპლატონიზმში ეს გზნება მზიურობისა ჩვენი ოქროს ხანიდანაა გადასულიო:

– მარადიულ განსხეულებას მზიურში აქ კიდევ უფრო აძლიერებს გენიალური ხტილი ქართული ზმნისა: მარადი მყოფადი. მითიურმა დრომ მხოლოდ აბსოლუტური ანწყო იცის, რომელიც წარსულად არ იქცევა და „მომავალი“ შინაგან აქვს უკვე, ნესტანი არ ამბობს „განახავ“, „დაგახავ“, „განმინათლებ“, არამედ: „განახო“, „გახახო“, „განმინათლო“.

მზე სინათლეს სათავედ რომ დადგენილიყო და სიბნელესთან ბრძოლაში წარმოშობდა „ფერს“, „გველის პერანგის“ შემოქმედი თავისი გადასახედიდან ფერს უბრალო „ჩვენად“ ველარ აღიქვამდა, ეთერტალღების რხევათაგან გამოწვეულად.

რას ნიშნავდა, რომ ბრმადშობილს გამოცდისას შეეძლო სწორი ფორმულა გადაეცა, ვთქვით, ნითელი ფერისა? ნითელი მისთვის მაინც უხილავი რჩებოდა, რადგანაც ფერი „თვისება“ გახლდათ და არა „ოდნობა“.

ასე ესმოდა ფერი გოეთეს და ინდოელებიც ასე გაიაზრებდნენ?

გრიგოლ რობაქიძე ფერის ასეთ გაგებას ქართულყოველდღიურ მეტყველებაში დაადასტურებდა და მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებდა, რომ ხშირად „ყველას“ მაგიერ ვიყენებთ სიტყვას „ყველაფერი“, „არარას“ მაგიერ კი სიტყვას „არაფერი“. შემთხვევით ვითომ? ფერი აქ რაობად წარმოდგებოდა, რაც ამ გამოთქმაში კიდევ უფრო ნათელი ხდებოდა: რაფერ გააკეთე? დიალექტიზმის სახე-

ლით იოლად ნუ მოვიცილებდით ამ თქმაში შენივთებულ მხატვრულ-ფილოსოფიურ შინაარსს, და რობაქიძე აქ აღარც დაახანებდა, რადგანაც უეცრად აფოფინდებოდა – აუხსნელი რომ გვეგონია სახელი „სწორფერი“, რომელსაც ხევსურეთში მეტრევეს უწოდებენ, უსათუოდ ასე უნდა განიმარტოს: სწორფერი ანუ შესაფერი, სიყვარულში მეორის სადარმხვედრიო.

ბაგრატიონთა საომარი ალამი ამოიჭრებოდა თვალწინ, მენამული, შუაში თეთრი ალი რომ განვდილიყო.

შემთხვევით არჩეულიყო ფერი?

ცხადია, არა, ოღონდ გრიგოლ რობაქიძეს უპირველესად ინდოელთა ვედანტა გაახსენდებოდა – სამფერი ასახვა ყოფისა. ძირი ფენაბნელი გახლდათ და ქაოტური და შავი ფერი შეესატყვისებოდა; შუანა ფენა ჭიდილს, ბრძოლას, შებმას გამოხატავდა ნათლისა სიბნელესთან, წყობისა და რიგისა – ქაოტურთან, და წითელ ფერსაც გაუიგივებოდა; ზედა ფენა ღვთიურ სისრულესა და მყუდროებას გულისხმობდა და თეთრი დაჰფენოდა.

და ამ ფონზე რას გვამცნობდა ბაგრატიონთა ალამი?

– მენამული ფერით ალამის ამმართველი ჯერ კიდევ შუანა ანუ ადამიანურ ფერშია მოქცეული, ხოლო თანვე თეთრი ზოლით მას თითქო წინასწარ აქვს მობმული ზედა ანუ ღვთიური ფენი.

განა საგულისხმო არ იყო რენე გენონის მონიშნა, ფრანგ მეფეთა საომარი ალამი მენამული იყო? თეთრი ზოლი მას არ გააჩნდა.

და ფრანგი მკვლევარი ამ მოვლენას ასე გაიაზრებდა:

– გარეგნული ჩანაცვლება თეთრისა წითლით; სამეფო ფერი ვითარცა ნიშანი დიდმპყრობელობის; ავტორიტეტულობის ნიშანი ერთ-ერთი.

ქართველი მწერლისათვის ეს სხვაობა ერთს ადასტურებდა, უდავოდ და უცილოდ: ბაგრატიონთა ალამი თავისი სიმბოლიკით აღემატებოდა ფრანგ მეფეთა ალამს.

დიდხანს ვერც აქ შეყოვნდებოდა, თეზისური ჩამონათვალი ვერ იგუებდა მსჯელობის გაშლას და უშუალოდ ამიტომაც გადაინაცვლებდა წმინდა გიორგიზე, ნათლად ჩანს ისიც, თუ რად უწოდა ქართველმა ხალხმა თავის მცველს „თეთრი“:

– უკანასკნელი – როგორც გმირი და წმინდანი – მიქცეულია ყოფის ზედა ფენში, ჰინდოელთა თქმით: „სატ ტვა“-ში. ქართველთა ხილვა აქ ჯეროვნად ეთანხმება „ვედენტას“ სიბრძნეს.

როდესაც მზიური ხანის გააზრებას ლამობ, სხვაგვარად არც გამოვა – რელიგია მხატვრულ ენას უნდა შეეხაცვლოს, ფილოსოფია – ყოველდღიურ მეტყველებას... ერთმანეთი განმსჭვალონ, შეავსონ, განმარტონ და ის მარცვლებიც გამოდნეს ფიქრისა და აზროვნების სიმხურვალედან, შუამდინარეთის საზღვართან და ჰამადანის ხილვასთან რომ დაგაბრუნებს და იდუმალი განცდისათვის სახელის დარქმევას უფრო გაგაიადვილებს.

არ უკვირდა გრიგოლ რობაქიძეს, სახელის დარქმევა რალაც გადაუჭრელ სიძნელედ რომ არასოდეს არ გადალობებია წინ და იმ იდუმალ განცდასაც იმიტომ მიადევნებდა თვალს, რომ ქართველები ჩვენი ხალხის პირველმდგენსაც ვარქმევდით სახელს – კარდუს, ბერძნულ ყაიდაზე ქართლოსს; და მისი წმინდა საფლავი იქ გვეგულებოდა და მისი დატირებაც ყოველწლიურად იქ იმართებოდა, სადაც:

„... ოდესღაც მზეს განდობილნი საკულტო სალოცავებს აგებდნენ, რათა მედიტაციისათვის გამოეყენებინათ ამ ადგილის უჩვეულო გამოსხივება“.

ვინ შეიძლება შეინარჩუნოს კარდუს კულტი, თუ არა მათ – მზეს განდობილებმა.

ეს ხომ მცხეთაა.

თბილისის მახლობლად, უცხოელ მკითხველს დაუზუსტებს მწერალი და დასძინს: ეს ის ადგილია, სადაც მეოთხე საუკუნის დამდეგს წმინდა ქალწულმა წინომ ვაზის ნახსლევისაგან საკუთარი თმით შეკრული ჯვრით გვაზიარა ქრისტიანობასო.


უცხოელ მკითხველს იმიტომ, რომ იმ წიგნაკში ჩართულა ეს პასაჟი, 1938 წელს რომ შექმნილა გერმანიაში და ასე დასათაურებულა: „ადოლფ ჰიტლერი. უცხოელი მწერლის თვალთ“.

იმედი, რომელიც საბჭოთა იმპერიის დამხობასა და კომუნისტური იდეალის დასამარებას ანიშნებდა, ასე გადაეჯაჭვებოდა ჰიტლერის – როგორც ამ იმედოვნების ყველაზე რეალური აღმსრულებლის – სახელს, და მის პიროვნებას მითოსურ შარავანდში რომ გახვევდა, ქართველი ხალხის ტკივილებსაც ძალდაუტანებლად შეურევდა ამ პოლიტიკურ პამფლეტში. თუმცა შეურევდა კი არა, სულაც ეს ტკივილები განმსჭვალავდა წიგნაკის შინაარსს და, ეროვნული სულიერების დაშრეტაზეც რომ ჩამოვარდებოდა სიტყვა, ამ მღელვარე მონაკვეთში თავისთავად ჩნდება მზეს განდობილთა საკულტო სალოცავების სხენებაც.

უამისოდ წარმოუდგენელია გრიგოლ რობაქიძისათვის ქართული მოდგმაც, მცხეთაც, პირველმდგენის საფლავიც და ქრისტიანობასთან ზიარებაც... მაგრამ ისერიგად რომ ვერ დაიპოშმინებდა გულს მზისა და მზიურობის სხენებით, თვითონ როგორც ეწადა, და ამ წიგნაკს ასეთივე ყაიდის თხზულებას მოადევნებდა ბენიტო მუსოლინიზე, ქვესათაურად ნაანერდა: მზიურნიშნეული, – და მზიურობას დაუდებდა ქვაკუთხედად ლიტერატურულ-ფილოსოფიურ მსჯელობას.

ჟანრობრივად, აღნაგობით სწორედ ლიტერატურულ-ფილოსოფიური ქმნილება გვიპყრია ხელთ, იდეური სულისკვეთებით – კვლავ პოლიტიკური პამფლეტი, რომლის შუაგულიდანაც ამოიზრდება მზის ადამიანი.

ამიტომაც აღტაცებულია მისით გრიგოლ რობაქიძე, წამდაუნუნმ ახსენებს მის მზესთან ბუნებას და იმ ეპიზოდსაც სწორედ მზიური მისტერიის თავისებურ ნაირსახეო-



მხატვარი ავთანდილ პოპიაშვილი

ბად მიიჩნევს, ერთხელ მუსოლინი ქვისმთელს რომ ჩამო-  
უჯდება გვერდით, შეენაცვლება და რიყის მძიმე ლოდების  
მტკრევას დაიწყებს. ქვისმთელი აფრთხილებს: თქვენო  
ბრწყინვალეზავ, ვერ მოერევი, ლოდი მეტისმეტად მაგა-  
რიო, – მაგრამ დუჩეს პასუხად ჩაეცინება: ასეთი ქვები  
დამიმტკრევი? მთავარია კაცმა ძარღვი უპოვნოსო.

მერედა, ასე ადვილია იმ ძარღვის პოვნა?

მზიური ბუნების ადამიანი სიძნელეს არ დაგიდევთ და  
ამიტომაცაა, რომ იმ წუთას მუსოლინის ერთი ძლიერი,  
ზუსტი დარტყმით ლოდი ორად იპობა.

ქართველი მწერალი ისედაც მოიხიბლებოდა ამგვარი  
გადმოცემით, მაგრამ მისთვის მთავარი და უმთავრესი  
ისაა, რომ ქვის ძარღვის მპოვნელ კაცს სრული უფლება  
აქვს თავდაჯერებით განაცხადოს იტალიაზე: ქვეყანაში,  
სადაც ასე უხვად იფრქვევა მზე, ბოლშევიზმი ვერ შემოაღ-  
ნევსო.

სხვის ბაგეთაგან წარმოთქმული ეს ან ამგვარი სიტყვე-  
ბი შესაძლოა მხოლოდ ოცნებად აღექვა გრიგოლ რობაქი-  
ძეს, არარეალისტურ ფიქრად, პოეტურ სტრიქონად, რომე-  
ლიც ვერ გაუძლებს სინამდვილის მკაცრ შემოტევას და გა-  
იფანტება... მაგრამ იმიტომაც წარმოსახება წიგნაკში ბე-  
ნიტო მუსოლინის მონუმენტური სახება, რომ იგი მარ-  
თლაც გადაულახავ ბარიერად აღემართა წინ ბოლშევიზ-  
მის სამხედრო ექსპანსიას ევროპის სამხრეთში და იმედის  
საძირკვლად იტალიელთა მზიური გარემო მოიშველია,  
მზით გაბრწყინებული გარეგნულადაც და, კიდევ უფრო  
მეტად, სულიერადაც.

ქვეყანაში, სადაც ასე უხვად იფრქვევა მზე, ბოლშევიზ-  
მი ვერ შემოაღნევსო...

თუკი მზე უნდა გადალობებოდა ბოლშევიკურ ტალღას,  
ყველასა და ყველაფერს შთანთქმით რომ ეშუქებოდა, მამ  
საქართველოც აუცილებლად დააღწევდა თავს ამ უღმობ-  
ბელსა და დამორგუწველ რეალობას, სადაც ბედისწერას  
მოექცია. წესით, შემოღწევიოთაც ვერ უნდა შემოაღწია ამ  
ტალღას, მაგრამ რაკილა დრო ეშოვნა და თვით მზით გას-  
ხივოსნებული სამყაროც თავის სტომაქში მოექცია, იმდენს  
მანაც ვერ შეიძლება, რომ წარეხოცა მისი მზიური ბუნე-  
ბა, დაემინებინა და გადაეგვარებინა მზის ადამიანები და  
სამუდამოდ დამკვიდრებულიყო ამ მიწა-წყალზე.

მთავარი იყო, ძარღვი გვეპოვნა და... ეს დრო და ჟამიც  
დადგებოდა.

დაპკრავდი ძლიერად, ზუსტად და ორთავიანი არწივიც  
გადაიხლიჩებოდა.

ქვეყანაში, სადაც ასე უხვად იფრქვევა მზეო...

### III

## უღარდლობა – მზიური ჯიში

– ქართველნი გულმავინწყნი არიან.

არა ერთი თუ ორი კაცი, არა ერთი თუ ორი წრე, არა ერ-  
თი თუ ორი ფენა, არამედ სწორედაც ქართველნი ყველა  
ერთიანად.

ამკარაა, ეს დაკვირვება ეროვნული ხასიათის თვისე-  
ბად განზოგადდება.

ნაკლის, ხარვეზის აღნიშვნას არ ერიდება გრიგოლ რო-  
ბაქიძე?

თითქოს ასეცაა, რადგანაც დაწყებული ფრაზა ასე  
გრძელდება?

– გულმავინწყნი – რადგან უღარდელნი.

მაგრამ შემდეგ კი... ფრაზა ჯერ არ დასრულებულა და  
ისე მოულოდნელად უნდა მოთავდეს, ნაკლის მაგივრად  
ღრმა და უღრესად მნიშვნელოვანი თვისება აღმოჩნდეს,  
ნათლის ჩქერალში გახვეული და შარავანდდადგმული,  
ძალზე შორეულიც და უღრესად ახლობელიც ერთსა და  
იმავე დროს, გულისგულში გამოტარებული და შემდგომ-  
შიც საიმედო და სანდო საყრდენი:

– უღარდელნი – ვინაიდან მზიური ჯიშისა.

მზე აქაც გადმონვდენილა, უშუალოდ მის სხივებში  
განბანილა ეროვნული ხასიათის ეს თვისება თუ ნიშანი და  
უკვე სულ სხვაგვარად გაიაზრება გულმავინწყობაც და  
უღარდლობაც.

ხედვის კუთხე ერთბაშად შემოტრიალებულა და ზერე-  
ლე თვალით დანახულ ნაკლში რალაც ძვირფასი და სანუკ-  
ვარი ჩაფესვილა.

განმარტება ზედმეტიც კი არის, დაე ფრაზის უცნაურ-  
მა (თუ პირიქით – ძალზე საცნაურმა?) შემობრუნებამ  
თვითონვე აგრძობინოს მკითხველს საიდუმლოს დაფა-  
რული შინაარსი... მაგრამ გრიგოლ რობაქიძე, ყოველთვის  
მომხრე მინიშნების, ნართაულის, ქარაგმის, ნახევარზო-  
მის, გადაკერის, ამჯერად ბოლომდე შიფრავს სათქმელს,  
ფეხისმოსაკიდებელს უქმნის მკითხველსაც და... საკუთარ  
თავსაც. ფეხის მოსაკიდებელს თუ ერთგვარ მოსაჩრდილე-  
ბელს, სულის მოსათქმელს ძიებათა უშორეს და განსაცდე-  
ლიან გზაზე – ეროვნული ფესვების ჩხრეკა არავისთვის  
ყოფილა იოლი და მითუმეტეს საბედისწერო ჟამს, როდე-  
საც გულდინჯად კი არ განსჯი იმ ნამცეცებს, რისი გამო-  
წურვაც ხერხდება ისტორიული ანალებიდან, გადმოცემე-  
ბიდან, კოლექტიური ცნობიერებიდან თუ საკუთარ სულში  
ჩაძირვიდან, არამედ მოსწრებაზე ხარ – ვაითუ დაგვიანე-  
ბამ, ცოტა მერე ახსნამ ასახსნელისა უკვე ავად გადანყვი-  
ტოს ქვეყნის სვედრი.

და ამიტომაც:

– „გულმავინწყობა“ არც ისე დასაძრახისია. ეს რომ არ  
გვექონოდა, შესაძლოა, ვერც გადაგვეტანა ამდენი უბედო-  
ბა, საუკუნოებში თავსდატეხილი!

ტფილისი პოეტების ქალაქი გახდებოდა.

დაუმთავრებელ რომანში – „ფალესტრა“ – ჩაერთვოდა  
ეს პასაჟი, სახელთა მაგიის, ითქვას პირდაპირ – თვითგან-  
მადიდებელი მითოსის გამოძახილი – მხოლოდ ესენი არიან  
მწერლები, ცისფერყანწელები და მათი ორდენის მეთაური  
გრიგოლ რობაქიძე, მხოლოდ მათი კვალი აღიბეჭდა ლან-  
დმაფტზეც და ისტორიულსა თუ ირეალურ სივრცეშიც,  
სხვა არავისა. თვითონ ვერავის ხედავენ, გარშემო არავის  
აღიარებენ შემოქმედთაგან და ეს საკუთარი შეხედულება  
გაუიგივებიათ ლიტერატურის ისტორიის განაჩენთან. ლი-  
ტერატურის ისტორიას თავის ნებაზე შეტრიალებას უპი-  
რებენ. ნეტარ არიან ეს მორწმუნენიც!..

ეს განწყობილება აღბეჭდილა რომანის ამ პასაჟშიც და  
ისედაც მისახვედრი გახლდათ, ტფილისი – პოეტების ქა-  
ლაქიო, ითქვა თუ არა, ვინ იგულისხმებოდნენ იმ პოეტე-  
ბად. და შემდეგ ეს ფრაზები რომ მოჰყვებოდა: კაფე „ინ-  
ტერნაციონალში“ ის კიდევ გამოცხადდებოდა პოეტების  
ქალაქად, და გაიძახოდნენ, პოეზია მარტო ტფილისშიაო, –

უკვე გრძობ, რომ განწყობილება დითირამბში გადაიზრდება და სახელდებითაც წარმოდგებიან „პოეზიის მამები“, ამაღლებული შარავანდით გარემოსილნი.

უნებური გადახვევა ხომ არ გამოგვდის თხრობის გეზიდან?

არა, და ეს იმიტომ, რომ დითირამბი იმ თვალსაზრისით უნდა დაბოლოვდეს, ეროვნული ხასიათის იმ თვისებას რომ წარმოაჩენს – უდარდელიობად მონათლულს, ოღონდ არა ზადსა თუ ნაკლს. ეგაა, განზოგადებულ მსჯელობას ცოტა უხეშად დატყობია სახელთა მაგიის კიდევ ერთხელ გახშიანება. შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, ერთი და იგივე სახელები გაუთავებლად ატრიალონ და ხან სად აგაფარონ თავიანთი კვალი. აქაც კი, რომანში კიდევ ერთხელ უნდა შეგახსენონ თავიანთი სახელები და ღვანლი. და ყურს გჭრის ეს მომავლებლობა. მთავარი მაინც ისაა, რომ „სიუხეშეს“ გადავწმენდთ თუ არა, კვლავ თავი უნდა ამოჰყოს იმ დაკვირვებამ, რაც რომანის შემოქმედისათვის არსებითი ნიშანია ქართული ხასიათის.

ტფილისი პოეტების ქალაქი გამხდარა და კიდევ გამოუცხადებიათ კაფეში პოეტების ქალაქად.

პაოლო იაშვილი სწორედ იმ ხანებში დასცემია თავს ტფილისს, როგორც არტურ რემბო პარიზს, ეგაა, ჯერ კიდევ არ იცის, რომ ტფილისის აღება ბოჰემითა და ლექსით უფრო ძნელია, ვიდრე პარიზის.

ტიციან ტაბიძე ორპირის ჭაობსა და მალარიაში ლაფორგის მთვარის სიყვითლეს ხედავს და ლექსებში მასავით უყევს ამ ყბადაღებულ მნათობს. მას ისიც ჰგონია, რომ ორპირის ყანჩა ლოტრემონის „მალდორორივით“ დაინყებს დითირამბულ მონოლოგებს.

და საკუთარი თავიც უნდა შემოიყვანოს პერსონაჟად: გრიგოლ რობაქიძეს ამ დროს მხოლოდ ორი რამ აწვავდა – აპოკალიფსი და დიონისო. რალაც ავბედიით იჭრება აპოკალიფსის გაღვლებით, რაც კიდევ უფრო უნდა გაამკვეთოს იმ ლექსების ხსენებამ – „ორლობის ეშაფოტი“ და „პატრონის რიტმები“ – ავტორის განწყობილებანი და მსოფლგანცდა სრულად რომ გამჟღავნდებოდა.

დარწმუნებულია:

ეს სამი სახელი სავსებით კმარა, რათა ტფილისი პოეტების ქალაქად დამკვიდრდეს საზოგადოებრივ ცნობიერებაში – გრიგოლ რობაქიძისა და მის თანამზრახველთა სურვილი რეალობას გაუთანაბრდეს.

დრამატულია მათთვის ეს პასაჟი, რომელიც სადღეისო გადასახედიდან – რა დრამატიზმი და რომელი დრამატიზმი – ცოტა ირონიულადაც კი აღიქმება, სამწერლო პროცესისათვის საკუთარი ნების თავზე მოხვევის გულუბრყვილო მცდელობად; ოღონდ ძალიანაც ნუ გავყვებით იმ შინაგან წინააღმდეგობას, დრამატულისა და ირონიულის შეჯახებად რომ მოგვეჩვენება. მთავარია, რომ საქართველოს ძველი სატახტო მართლა შებურვილა პოეტების ქალაქის იერით – არა სამი ან ხუთი პოეტის წყალობით, ცხადია.

და ასეთ დროს ხელმესახებია კონტრასტი, რომელიც მწერლის მზერას არაფრისდიდებით არ უნდა გამოეპაროს:

– ქვეყანა მართლაც იქცეოდა – და მხოლოდ ტფილისი იყო ერთადერთი ქალაქი, რომელიც ამ „ქცევას“ პოეტური მღერით ხვდებოდა.

კონტრასტი, რომელსაც ძალდაუტანებლად მოჰყვება მიზეზის გამორკვევის ამგვარი განმარტება:

– უდარდელიობით ხომ არ აიხსნება, აღმოსავლურით თუ ქართულით?

კითხვის ნიშანმა არ შეგაცდინოთ და გაფიქრებინოთ, დაეჭვებულა ავტორი, ყოყმანობს, ამ კუთხით კვლავაც გააგრძელოს ფიქრი თუ არაო.

მოჩვენებითია აქ კითხვის ნიშანი... მეტიც, დაბეჯითების სტილური ხერხია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს მხოლოდ ამიტომ მომხდარა და ნამდვილად რომ მომხდარა, თქვენც დაგვეთანხმებით, თუკი მოვლენის არსს ჩაუკვირდებით და არა ზედაპირსო.

ეს სწორედ ის სტილური ხერხია, ილია ჭავჭავაძე ერთი ნოველის („სარჩობელაზე“) ასე მარჯვედ რომ გამოიყენებდა:

– მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...

სხვას გეუბნება ფრაზის ინტონაცია, სულ სხვას გამცნობს მისი ქვეტექსტი, იმ ნამდვილ შინაარსს, რაც „ფალესტრამიც“ ასე მკაფიოდ გამოსჭვივის და საყოყმანოს აღარ გიტოვებს:

– უდარდელიობით.

აღმოსავლური სინამდვილიდან შეთვისებულა ხასიათის ეს ნიშანი ქართველობისათვის, ისტორიულ თანაცხოვრებას საზიარო გაუხდია ეს თვისება და ორ ზღვას შუა რომ შემოჭედილა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შემაერთებელი ხიდივით გადებულა, ეს ნიშანი კვლავაც შეუნარჩუნებია ჩვენს ქვეყანას, თავის ქურაში გამოწრთობილი, უმძაფრეს ეპოქებში გამოტარებული და ათასფერ ნახნაგადაც დაშლილი და ხელახლა აღდგენილი, მაგრამ შუამდინარეთისა თუ მცირე აზიის მზე სწვავდა ამ თვისებასაც, ჰამადანის ხილვა ათვალსაჩინოებდა მის გამორჩეულ მნიშვნელობასაც და გრიგოლ რობაქიძე გაიხარებდა, პოეტთა ქალაქის სიმბოლური ხატი თვითონვე რომ მოიყოლებდა თან უდარდელიობის განცდასაც, როგორც მკვეთრად ჩენილს სწორედ საბედისწერო ჟამს.

ქვეყნის დაქცევას პოეტური მღერა უნდა შეჯახებოდა. პოეტთა თუ სულით პოეტთა მღერა.

მღერა უდარდელიობის, რომლის გაორებული ბუნებაც ერთგვარ ნაკლსაც ითავსებდა და გამძლეობის საყრდენსაც ქმნიდა. ნაკლი ჰგონებოდათ თუნდაც, გამძლეობას უფრო მოჰგავდა, და გამძლეობა კი გადაგვარება-გადაშენებისაგან გვიფარავდა და სულიერი ენერჯის იმ მინავლებულ ნიშატს აგვიდორძინებდა, რომელიც აღარ გვანებებდა ხელის ჩაქნევასა და ბედისათვის მორჩილ მიხელებას.

უდარდელიობა გარეგნულად სწორედ ხელის ჩაქნევას ჰგავდა, მაგრამ მართლა ასე რომ ყოფილიყო, უიმედობისაგან გულგამოჭმულთ დიდი ხნის გამოტირებული გვეყოლებოდა საკუთარი თავი, ყოველ შემთხვევაში, იმ კიდევ ერთ სახიფათო მოსახვევს ველარ გამოვივლიდით, გრიგოლ რობაქიძე რომელსაც შესწრებოდა.

კარგი რამ არის ქართველი კაციო, – ილია ჭავჭავაძე სწორედ უდარდელიობის ანალიტიკურ განსჯას მოინდომებდა „კაცია-ადამიანში“, თუმც თვითონ კმაყოფილების სახელით მოიხსენიებდა, – ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე. არც ერთისთვის გაიხეთქს

თავს და არც მეორისთვის დაინწყებს ბრძოლასა, და არის ისე ყველგან გულგრილი და შეუპოვარიო.

ირონიულია ეს პასაჟი, ისევე, როგორც მთელი მოთხრობის სტილისტიკა, ეს ის დროა, როდესაც იყოფა ილიას მსოფლმხედველობა და რევოლუციურ განწყობილებას თანდათან გადაძლევს კონსერვატორული ბუნება. ჯერ გაორებულია მისი თვალთახედვა და „კაცია-ადამიანისათვის“ ნიშნულია ეს გაორება. უდარდებლობასა თუ კმაყოფილებასაც ამიტომ ნაპყრავს ირონიულ ნესტარს.

კმაყოფილება ბედნიერება არისო, ესეც უმტიციცებიათ მისთვის და დარბაისელ მოხუცებულთ ბევრჯერ უთქვამთ: ახალ თაობას იმითი მაინც ვჯობივართ, რომ ჩვენ ცოტას კმაყოფილებიცა ვართო. და თუმც ეს შეპასუხებას მორიდებია დარბაისელთათვის, გულში მაინც უფიქრია: კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა ის კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუა სადმე, ამაში უნდა იყოს: უმადლონი სჯერდებიან მას, რაც არის, იმიტომაც იმათში უფრო ბევრია ბედნიერი, მადლიანნი კი ძნელად: ამათ ყოველთვის უკეთესი უნდათ იმითომ, რომ კარგს უფრო კარგი მოსდევს თანაო.

ცვლილებებისთვის, გარდაქმნებისთვის შემართულიყო და გეზსაც თვითონვე სახავდა, მაგრამ ის გულისტყვილიც სულ უფრო და უფრო ძლიერად დარევედა ხელს, რაღაც ძვირფასი და სანუკვარი თვალსადახელშუა რომ ქრებოდა ცვლილებათა კვლდაკვალ და ეს შინაგანი ჭიდილი ლუარსაბ თათქარძის ტრაგიკომიკურ ფიგურაშიც გადაინაცვლებდა და „კაცია-ადამიანის“ თხრობის დრამატულ-ირონიულ მანერაშიც.

ასეა თუ ისე, თვითონ ფორმულა თვალსაჩინოდაა გამოკვეთილი: ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ვემორჩილებითო.

უკვირდა „ლამარა“ რა მალე დავენერე – შთაგონებიდან თვენახევარშიო. და ეს მაშინ, როდესაც 1917 წლის ზაფხულში შთაგონებული „გველის პერანგი“ მხოლოდ 1925 წლის შემოდგომის დამდეგს გადაიქცა რეალობად, ახალა მოექცა ფიქრი კომპოზიციურ ქარგაში.

გახსოვთ, სადაც მოუწია 1917 წლის ზაფხულმა – ჰამადანში. და ის განწყობილება, რაც „ლონდაში“ დატრიალდება, გაუნელებელი მღელვარებით იჩენს თავს ამ რომანშიც.

რომც არ მოგვეპოვებოდეს ეს დოკუმენტური ცნობა – დაზუსტება „გველის პერანგის“ შთასახვის ადგილისა – რომანის განწყობილება და მზის სიმბურვალის მღელვარე შეგრძნება ისედაც მიგვანიშნებდა, რომ ჰამადანი ეგზოტიკისათვის კი არ არის ნახსენები დასაწყისშივე, არამედ გახსნა გრიგოლ რობაქიძის სულისა სამყაროსა და ისტორიის წინაშე. ხოლო არჩიბალდ მეკემის მიერ საკუთარი ფესვების ძიება მხატვრული გარდასახვაა გრიგოლ რობაქიძის სწრაფვისა ქართული მოდემის გარიჟრაჟისაკენ.

ამიტომაცაა მისი წარმოსახვითი წინაპარი ირუბაქ ირუბაქიძე, წარმოსახვითი, მაგრამ... რეალურზე უფრო რეალური – ქალდეადან მოკიდებული გვარი ამიტომაც მოდის თამაზ და არჩილ მაყაშვილებამდე და იმოსება იმ ლეგენდებითა და შარავანდით, რაც ნიშანდობლივია გამორჩეულ გვართათვის.

არჩილ მაყაშვილი დროებით არჩიბალდ მეკემად გარდასახულა?

მაინც იპოვნის თავის ნამდვილ ვინაობასაც და გვარ-სახელსაც და უთვისტომო ჭაბუკი ქართველობას უბრუნდება.

რეალისტურ გარემოში რასაც აღწევს რომანის გმირი, იმასვე უნდა მიაღწიოს მისმა პროტოტიპმა, თვითონ ავტორმა, ირეალურ, მისტიკურობით შემოზღუდულ სინამდვილეში, იმ სივრცეში, რომელიც შორს განფენილა დრო-ჟამშიც და ტერიტორიულადაც, მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს ვედარაფერი შეაკავებს – ჰამადანის ხილვა მთელი ცხოვრება უნდა გამოჰყვეს და ასაზრდოოს მისი წარმოსახვა, დრამატული ბედისწერისაგან უღვთოდ გამეტებული.

რომანის პირველივე თავში საცნაურია ის ლანდშაფტი, რომელიც „ლონდაში“ ძველი კოლხეთის სახელით მოინათლა, არადა, პირდაპირაა გადატანილი მუსელაჰის სერის პეიზაჟიც და მზის საკურთხეველიც, ის, რაც არსებობდა ოდესღაც, ახლა კი, მინგრეული, ნაშთადღა დარჩენილა. თუმც დანგრევით, გინდ იმ ნაშთის გაქრობითაც ის სული არ ამოიძირკვება, კვლავაც მზის სადიდებლად შემართული, მის გულზე გადაშლილი და მის სიმბურვალეში გამოქერნილი.

თან მისწრაფის მისკენ ყოველი, თან შიშიც ასდევნები – აღმურში გახვევისა და ამოზუგვის.

ეს ორმაგობა ხელშესახებად გამოიკვეთებოდა „ლონდაში“.

„გველის პერანგის“ დასაწყისი თავისებურ განმარტებადაც კი გამოდგება „ლონდას“ მხატვრულ-იდუური მრწამსის ასახსნელად.

თვითონ ამ რომანის კონცეფციის წარმოსაჩენადაც, რასაკვირველია.

და ამოსავალი იქნებ ის ფრაზაც იყოს, რომ მზის საკურთხეველის დანგრევა გრიგოლ რობაქიძეს არამცთუ არ აკვირვებს, საკმაოდ ბუნებრივად აღიქვამს და აუცილებელიც კი ჰგონია, რადგანაც:

– ჰამადან თვითონ არის საკურთხეველი მზის.

და თხრობა იწყება იმ განწყობილებით, ხილვა რომ მოჰგვარა ავტორს:

„სერიდან სამხრით დიდი ქვის ლომი წითური: თითქო მზით ნაყვავილევი. ქვის ლომი: კირსილისაგან ჩამოსხმული. კირში – მზის ხურუში და სილაში – მზის თესლები. ქვის ლომი ფარია ქალაქის. სპარსეთის ტიტველ ნაპრალებიდან, საცა გახელებული მზე ავხორცობის ჟინს იკლავს, ხანდახან ლომის გრგვინვა გადავარდება სუნთქვაშეკრულ ხეებში და გრიალის ბრაზიანი ღვარი შორს-შორს დიდ მანძილზე არღვევს ირანის მყუდროებას. არის ამ გრიალში უცნაური სითავადე: უტეხი და ზვიადი. ქვის ლომი ხმალია ჰამადანის“.

ერთმანეთს გადაჯაჭვია მზისა და ლომის ხატებანი და სნეულნი თუ იმიტომ მოისწრაფიან აქეთ, რათა დიდი შუადლის ჟამს გახურებული ქვის წყალობით აღიდგინონ ნაყოფიერება, მწერლის სულში იჭრება იდუმალი ძალა, მინისქვეშა სამყარო არქეოლოგთა დაუხმარებლად გადაიხსნება და ის ფესვები ამოჩნდება, ქართული მოდემის წინაპრებს რომ ჩაუტოვებიათ.

დიდი შუადლე მხოლოდ რეალისტური დრო არ არის, ის მისტიკური ჟამიცაა, ფრიდრიხ ნიცშე ზარატუსტრას დიდ სულიერ აღმაფრენას რომ დაუკავშირებდა და, როდესაც ქართველი მწერალი იმ გახელებულ აღმაფრენას შეიგრძნობს საკუთარ არსებაში, რა გასაკვირია, დროჟამული განზომილება ნიცშეს სიმბოლიკას გაუიგივოს. ასეც შეა-

ზავოს, შეანივთოს რეალისტური და მისტიკური შრეები და ერთ მთლიანობად წარმოსახოს. სხვაგვარად მხოლოდ ალტერნატიული ტურისტის პათეტიკური შეძახილი იქნებოდა:

– ჰამადანის მიდამო – თვითონ სასწაული საარაკო.

და გვერდით დარჩებოდა ყოველგვარი ხილვანი, არამცთუ ეროვნული ფესვების აღმომჩენი.

„მზე“ და „მზერა“ სადღაც ეთანხმებიან ერთიმეორესო...

მზე რომ თვალთა, ეს მხატვრულ ქმნილებაშიც უნდა გათამაშებულიყო უსათუოდ, მზე და მზერა შეთანადებოდა ერთმანეთს. ცხადია, უნდა გათამაშებულიყო ისე, რომ თვალმისაცემი ყოფილიყო და თხრობაში არ ჩაკარგულიყო.

ამიტომაცაა შერჩეული მისთვის „გველის პერანგის“ ფინალური სტრიქონი.

ბაბუა სარიდანი მზის ჩასვლასთან ერთად უნდა გამოეთხოვოს წუთისოფელს, გამოეთხოვოს მშვიდად, უდრტვიველად, თითქოს მიიძინაო. და მზეც გაქრეს ცის კაბადონიდან.

ამ საბედისწერო ჟამს ბერიკაცის ცხოვრებაში ყველა მწერალი თავთავისებურად გამოხატავდა.

ხოლო გრიგოლ რობაქიძე:

– მზის მენამული თასი აღარ სჩანს: თან თუ ნაილო ბაბუა სარიდანის მზერა.

აგერ „მზე“ და „მზერა“, ფრაზის თავსა და ბოლოში.

ერთმანეთს გამოსცქერიან, ორივე ერთად კი ჰკრავს იმ დრამატულ ვნებებს, ჰამადანის თავარა, გადახრუკული მიდამოდან რომ დანყებულა და მზის საკურთხევლით მოშარავანდებულა.

\*\*\*

მეორე მსოფლიო ომი გადაივლიდა და გრიგოლ რობაქიძე, ვიდრე შევიცარიას ჰპოვებდა უკანასკნელ თავშესაფრად, გიგო დიასამიძესთან ერთად საფრანგეთში, კლამარში ესტუმრებოდა კედეების ოჯახს. სპირიდონი მისთვის ყოველთვის გამორჩეული პიროვნება იყო, ვისთან საუბარიც არასოდეს მოწყინდებოდა, და ახლაც მონატრებას ჩაეყვანა საფრანგეთის ამ მიყრუებულ სოფელში.

რას წარმოიდგენდა, თუ ნახევარი საუკუნის შემდეგ სპირიდონ კედიას მეუღლის, სოფიო ჩიჯავაძის მემუარულ წიგნში – „ნასმენ-ნახული“ – ამოჰყოფდა თავს.

ამ იშვიათი მანდილოსნის მიმართაც ღრმა პატივისცემით აღვსილიყო და რარიგ ალტაცდებოდა, სადილისას სადღეგრძელოს ის ამ სიტყვებით რომ დაიწყებდა:

– მზის შვილო!

ათწლეულები რომ ჩაივლის, მერეც მორიდებით გაიხსენებს ამგვარ მიმართვას და თავს იმით იმართლებს: ალბათ ღვინით შეხურებულმა ვერ მოვზომეო.

რადღაც ეუხერხულება, თუმც კარგად ახსოვს, რომ გრიგოლი დიდი სიამოვნებით უგდებდა ყურს და დარწმუნებულია, ურიგო ექსპრომტი არა ყოფილაო, ეგაა, სადღეგრძელოდან ამ მიმართვის გარდა აღარაფერი აგონდება.

იმ სურათსაც რა დაავიწყებს, გიგო დიასამიძე რომ წამოდგებოდა, ხელზე ეამბორებოდა და დითირამბად დაიღვრებოდა:

– სალამი, ქართველო მანდილოსანო! არ მეგონა, თუ ამ პატარა, მივარდნილ საფრანგეთის სოფელში ნამდვილი საქართველო დამიხვდებოდა.

ადვილი ამოსაცნობია სადღეგრძელოს ზოგადი შინაარსი და პათოსი, და თუმც მხოლოდ ეს ნატეხი გადარჩენილა მისგან, სწორედ ის ღირს ერთ რამედ, როგორც გრიგოლ რობაქიძის ყველაზე ზუსტი ეპითეტი.

თვითონ შეერქმია საკუთარი თავისათვის მზის შვილი, გუნებაში ელოლიავებოდა, გნებავთ ელაციცებოდა ამ თიკუნს და ენატრებოდა, ისე მიწებებოდა მზის შვილობის თიკუნი მის გვარ-სახელს, ვერაფრისდიდებით ვერ გაეხლიჩათ. ცისფერყანწელთა ორდენის წევრები სხვაგვარად არც მოიხსენიებდნენ დღეგრძელობისას, და არც ეს არის ძნელი მისახვედრი, თუმც მათი სადღეგრძელოებიდან ერთი ნამსხვრევიც არ გადარჩენილა. წარსულში ჩარჩენილიყო ეს მიმართვა, შორეული მოგონებათ თუ ამოიტანდა დროდადრო და აღარავინ ეგულებოდა ამ ეპითეტის გამმეორებელი.

მაგრამ ყველაფერს უნდა ელოდე ადამიანი. მოგენატრება სპირიდონ კედიას, მძაფრი ნადილი გამოგიძღვება გერმანიიდან წამიერი სულისმოთქმისათვის, რადგანაც არ იცი, რას გადაგიწყვეტენ ჰიტლერსა და მუსოლინიზე შექმნილი წიგნაკებისათვის, დათრგუნული ხარ, სულიერდაც გატეხილი, საქართველოს გამოხსნა რომ გეოცნებებოდა და ისე იმპერიის კაბალაში ჩარჩენილს შეჰყურებ, აღარც მზე გაგონდება და აღარც მესოპოტამიის ზღურბლი, შენი ცხოვრების შემობრუნების წერტილი, საუკუნეთა სვლაში დაკარგული სამშობლო რომ ჰპოვე და, პირველსამყაროს სურათებში, საკუთარი პოეტური ფესვები იგრძენი.

ყველაფერი გაფერმკრთალებულა, გაცრეცილა და უეცრად გადმოგადგება თავზე მზე, უფრო კოსმიური, ვიდრე ასტრონომიული, გაგთანგავს, გაგავარჯერებს და, ნუ გაიოცებ, თუ ისე მესოპოტამიის ზღურბლთან გადაგისვრის.

შენს წინ ოჯახის დიასახლისი ზის და ჭიქა ოდნავ აუნეკია.

მზის შვილო, – შენ მოგმართავს.

და გონებაში რეკს და რეკს ზარი: მზის შვილო... მზის შვილო... მზის შვილო...

და ჩერდება წუთი, საათი, დრო-ჟამი...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

აღმოსავლურ კაფეში  
„ქარავანი“

კვირას, 12 მაისს  
გაიმართება

ჯემალ ქარჩაძის  
ხსოვნის საღამო

დასაწყისი 15 საათზე  
ფურცელაძის 10

ეკა ბუჯიაშვილი

# ჰეროიკული საბა, გალადა შეთქმულეზაზა და...

## ქრონიკები თეატრის ცხოვრებიდან

სულ მალე კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მაყურებელს შესთავაზებს პრემიერას „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, ლევან ნულაძის რეჟისორობით. ამას გარდა, თეატრი კიდევ რამდენიმე ახალ სპექტაკლს წარმოგვიდგენს და სეზონის მეორე ნახევარს საკმაოდ აქტიურად გაასრულებს. თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „ქაქუცა ჩოლოყაშვილზე“ მომუშავე შემოქმედებითი ჯგუფი მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა და მათ სეზონის ბოლომდე განზრახულ პრემიერებზე და სამომავლო პროექტებზე მოუთხრო.

**ეკა მაზმიშვილი, თეატრის დირექტორი:**

– ვიდრე უშუალოდ „ქაქუცა ჩოლოყაშვილზე“ გეტყვოდეთ, მინდა გაცნობოთ, რომ თეატრი კიდევ ხუთ პრემიერას შესთავაზებს თავის მაყურებელს. ესენი იქნება: **ნაომი უოლსის „ჩიტი“** (რეჟისორი **ნინო ახვლედიანი**); **მოლიერის „ძალად ექიმი“** (რეჟისორი **გიზო ყორდანი**); **ბულგაკოვის „მორფი“** (რეჟისორი **ზაზა სიხარულიძე**); გარდა ამისა, მცირე სცენაზე დაიდგმება **ჯერომ სელინჯერის „თამაში ქვავის ყანაში“** და **ბერნარდ შოუს „პიგ-მალიონის“** გადმოქართულებული ვარიანტი (რეჟისორი **ლევან ნულაძე**).

**ხათუნა ნულაძე, თეატრის მუზეუმის დირექტორი:**

– გარდა ამისა, თეატრი მაყურებელს სთავაზობს მომსახურების ახალ პაკეტს. შეიქმნება „მაყურებლის კლუბი“, საუკეთესოს სახელისა და საპრემიერო აბონემენტის მოსაპოვებლად. გვაქვს სიახლეები ელექტრონული სერვისის სფეროშიც და, ასევე, პროექტი „სპექტაკლის შემდეგ“, რომელიც ითვალისწინებს დისკუსია-შეხვედრებს შემოქმედებით ჯგუფთან.

**ლევან ნულაძე:** ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პროექტია ახალკურსდამთავრებულებთან მუშაობა. ეს იქნება ერთგვარი ლაბორატორიული სამუშაო, რომელშიც სხვადასხვა თეატრის მსახიობებიც მიიღებენ მონაწილეობას. ვინცებთ სელინჯერით. გვინდა, რომ ეს იყოს სპექტაკლი, ორიენტირებული არა მხოლოდ მაყურებელზე, არამედ მეთოდზეც – ვგულისხმობ პროფესიულ სამსახიობო სკოლას, გნებავთ, თუნდაც მიხეილ თუმანიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ მეთოდს, რომლის დაკარგვაში მეც მიმიძღვის გარკვეული ბრალი და ახლა ვცდილობ გამოვასწორო, აღვადგინო, გავისხენო ის, რასაც მასწავლიდა ჩემი პედაგოგი და ეს ყველაფერი ახალგაზრდებთან ერთად გავაკეთო.

ამ ექსპერიმენტში ნელ-ნელა ჩაერთვებიან ახალგაზრდა რეჟისორებიც. აი, სელინჯერზე ჩემთან ერთად იმუშავენ ლელა ლაშხი.

ახლა კი რაც შეეხება პირველ პრემიერას:

\*\*\*

– ავტორი პიესისა „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ არის გურამ ქართველიშვილი, ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე და დრამატურგი. მისი პიესა „ქართული ისტორიის ქრონიკები“ წარმატებულად განხორციელდა ვაკის სარდაფის სცენაზე, ოთარ ეგაძის რეჟისორობით...

– **სხვათა შორის, მაშინ ითქვა, რომ სპექტაკლს გაგრძელება უნდა მოჰყოლოდა, მეორე ნაწილის სახით...**

**გურამ ქართველიშვილი:** – მეორესაც ვაპირებდით და მესამესაც. ჩაფიქრებული ასე იყო, მაგრამ ვერ მოხერხდა რაღაც მიზეზების გამო. ვფიქრობ, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ შეიძლება „ქრონიკების“ გაგრძელებადაც მოვიაზროთ. ისე, „ქრონიკების“ მეორე და მესამე ნაწილი დაწერილია, პიესა არსებობს და იმედი მაქვს, ოდესმე დაიდგმება.

რაც შეეხება ქაქუცას... მისი ცხოვრება და, საერთოდ, ის ეპოქა, ბურუსით არის მოცული. ეს იყო საშინელი პერიოდი, განსაკუთრებით 1921-24 წლები, როცა რუსეთმა გენოციდი მოგვიწყო, თუმცა, სპექტაკლი ასეთი დაძაბული ხაზით არ განვითარდება. ლევანმა, თავიდან, ბალადა დაარქვა, მე დავურთავდი, რომ ეს უფრო საგისა და ბალადის ნაზავი იქნება.

– **ქაქუცა ჩოლოყაშვილის თემა მეტად მნიშვნელოვანია ქართველებისთვის, ეპოქაც ძალზე საინტერესოა, თუმცა, საკითხავია როგორ განხორციელდება ეს ყველაფერი სცენაზე... ხომ არ ფიქრობთ რომ ცოტა ძნელი იქნება, სპექტაკლი საყურებლადაც საინტერესო იყოს და, ამასთანავე, დოკუმენტური ხაზიც არ გაუფერულდეს?**

**ლევან ნულაძე:** – სხვათა შორის, ცოტა არ იყოს გვეშინია, მეც და გურამსაც, ზედმეტმა ისტორიულობამ მაყურებლის ინტერესი არ გაანელოს და მთავარი სათქმელიც არ დაიკარგოს, მაგრამ ვფიქრობ, ისეთი თემაა, გამომხაურება აუცილებლად მოჰყვება. გურამი ამ თვალსაზრისით, ძალზე სკრუპულოზურად უდგება საკითხს. იმ პერსონაჟსაც კი, უბრალოდ, ხალხის მასიდან რეპლიკას რომ წამოიყვინებ, თავისი რეალური სახელი და გვარი აქვს, ავტორს მისი ბიოგრაფიაც კი მოუძებნია. შესაბამისად, შემთხვევითი პერსონაჟები პიესაში არ არის. ასე იქმნება სპექტაკლი, თუმცა ეს, ერთი მხრივ, საშიშროებასაც ბადებს – შენ კი იცი ეს პერსონაჟი, მისი ბიოგრაფია და მის როლსაც აცნობიერებ, მაგრამ მაყურებელმა შეიძ-

ლება არ იცოდეს, ვერ მიხვდეს და არ მიიღოს იგი სპექტაკლში. ამიტომ პიესის წერა მეტად რთულად მიმდინარეობს. გურამი ორას გვერდს რომ დაწერს, ვთქვათ, ას ოცს მე ამოვიღებ... იცით, მესმის, როცა წერ, ყველაფერი მნიშვნელოვანი გგონია და, ცხადია, უთუოდ საინტერესოც არის, მაგრამ სპექტაკლს, შესაძლოა არ წაადგეს. ისე, ეპოქა, თავისთავად, საინტერესოა. ბევრი რამ ხელახლა აღმოვაჩინე, არადა, ეს ხომ ის დროა, ის მოვლენებია, მეტ-ნაკლებად თითოეული ჩვენგანის ოჯახს რომ შეეხო. პირადად მე ბებოსგან მსმენია ეს ამბები, ისიც მახსოვს, ცრემლს რომ გამოურევდა ხოლმე თბრობისას...

სპექტაკლის პირველი აქტი უფრო რომანტიკული იქნება და ქაქუცას ბიოგრაფიას შეეხება. შევეცდებით მისი პორტრეტი შევქმნათ, ერთგვარი პეროიკული საგა ქაქუცას შესახებ. მეორე ნაწილი კი უფრო მძიმე იქნება და 1921-24 წლის ამბებს მოიცავს.

**- დღეს რეჟისორები ხშირად მიმართავენ სპექტაკლში თანამედროვე ელემენტების შეტანის მეთოდს. საინტერესოა ამ შემთხვევაში როგორ იქნება საქმე, თუნდაც კოსტიუმები როგორი ეცმევით მსახიობებს... ან დეკორაციებზე და მუსიკაზე რას იტყვით...**

**ანკა კალატოზიშვილი, მხატვარი:**  
- სპექტაკლი მთლიანად დოკუმენტური იქნება. კოსტიუმებიც იმ ეპოქისათვის შესაბამისი იკერება.

**ლევან ნულაძე:** - სხვათა შორის, სამუშაო ჯგუფში აქტიურად ჩაერთო თავდაცვის სამინისტროც. მათ ნამდვილი თოფები გვაჩუქეს. ტყვია-წამალიც ვთხოვეთ, მასრებში ჩასადებად და ორი ყუთი მოგვცეს... ოღონდ გასროლილი. რაც შეეხება დეკორაციას, განსაკუთრებულად გამოკვეთილი არ იქნება, თუმცა გარკვეული ელემენტებით ეპოქას შევქმნით. მხატვრის გადაწყვეტილებით გაღრმავდა სცენა - გაიხსნა უკანა ჯიბე, რომელიც საერთოდ, სასცენო სივრცე არ არის, შესაბამისად, დიდი პერსპექტივა გამოჩნდა. ქორეოგრაფიაზე ბატონი **გია მარღანია** მუშაობს, მუსიკას კი სპექტაკლისთვის საგანგებოდ წერს **ვატო კახიძე**.

**- თქვენ აღნიშნეთ, რომ ის ეპოქა ბურუსით არის მოცული. პიესის დასაწერად საჭირო მასალების მოძიებაც, უთუოდ, დიდ სირთულეს უკავშირდება...**

**გურამ ქართველიშვილი:** - ქაქუცა ჩოლოყაშვილი სამხედრო პირი იყო. სერიოზული კარიერაც ჰქონდა ამ სფეროში, იმპერატორის ხმლით იყო დაჯილდოებული და წმ. გიორგის ორი ჯვარაც ჰქონდა. მერე კი დაიწყო ბრძოლა სამშობლოსთვის. სწორედ ამიტომ სდევნიდნენ, ქაქუცას სახელის ხსენება აიკრძალა და ცდილობდნენ მისი



ლევან ნულაძე



გურამ ქართველიშვილი

კვალი ყველგან და ყველაფერში წაეშალათ. მე ისტორიკოსი ვარ და გეტყვით, რომ მის შესახებ ცნობების შეკრება სადღაც მეშვიდე საუკუნეში მცხოვრები პიროვნების ისტორიულ წყაროებში ძებნას ჰგავს. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც გადმოცემით ახსოვთ გარკვეული ამბები ქაქუცას შესახებ.

**ლევან ნულაძე:** - ჩვენ პირველ რიგში ოჯახის წევრებს მივმართეთ. მეტად დაგვეხმარა ბატონი **კოტე ჩოლოყაშვილი**. მან თავისი ცხოვრების ტრაგიზმზე გვიამბო: ბავშვობაში აკრძალული მქონდა ჩემი გვარის ხსენება, უნდა მეთქვა, რომ ჩერქეზიშვილი ვიყავიო.

**გურამ ქართველიშვილი:** - პიესის პირველი ნაწილი მოგონებების საფუძველზე დაინერა, მეორე ნაწილი კი ემიგრანტული ლიტერატურაა. აქაც ძალიან რთული არჩევანის წინაშე ვიდექით - მოგვხსენებათ, ქართველები, ცოტა არ იყოს, ფხუკიანი ხალხი ვართ, ერთმანეთის კბენა გვიყვარს, ეს იმდროინდელ ემიგრანტულ ლიტერატურასაც ემჩნევა და ძალზე სწორად უნდა შერჩეულიყო პასაჟები. ამ ყველაფრის გამო მუშაობა გაგვიგრძელდა, თუმცა, ვფიქრობ, შედეგებიც მალე იქნება და სპექტაკლი საინტერესო გამოვა.

**- მთავარი როლი შემსრულებელი მსახიობი უკვე შეარჩიეთ?**

**ლევან ნულაძე:** - ცხადია - ქაქუცას როლს **ნიკა თავაძე** შეასრულებს. დანარჩენებს კი ვერ ჩამოვთვლი ერთი უბრალო მიზეზის გამო - ეს არის მთელი დასი. სპექტაკლში დაახლოებით ორმოცამდე მსახიობი მონაწილეობს. სირთულე უკეთ რომ აგიხსნათ, გეტყვით, რომ ას ოცამდე კოსტიუმი იკერება და სამუშაოც მასშტაბურია.

**- შემდეგი პრემიერა რომელი იქნება?**

- დაჩქარებული ტემპით ვმუშაობთ „პიგმალიონზე“, რადგან ცოტა არ იყოს შერცხვენილები ვართ დედაქალაქის მერიასთან. მუნიციპალიტეტი ამ სპექტაკლისათვის გარკვეული თანხით დაგვეხმარა და პრემიერაც კარგა ხნის გამართული უნდა იყოს, მაგრამ... ქაქუცა ჩოლოყაშვილის იდეის შემოჭრამ გეგმები შეგვიცვალა, რალაცეები ერთმანეთს ჩაანაცვლა, თუმცა „პიგმალიონსაც“ მალე წარვუდგენთ მაყურებელს.

**- ეს ნაწარმოები აკა მორჩილაძემ გადმოაქართულაო, - რომ თქვით, ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ გარკვეული ნიუანსები ქართული ნიშნით შეიცვალა?**

- განსაკუთრებული არაფერი, უბრალოდ, სიტუაცია, რომელიც „პიგმალიონში“ ვითარდება, გადატანილია მე-19 საუკუნის თბილისში...

**- სხვა პრემიერებზე რას გვეტყვი? როდის უნდა ველოდეთ?**

- „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ შემდეგ, მაყურებელს ახალ სპექტაკლებს ორკვირიანი შუალედით შევთავაზებთ. უკვე დანყებულია რეპეტიციები სპექტაკლებისა: „ჩიტი“ და „მორფი“. აქტიურად მუშაობს გიზო ჟორდანიაც მოლიერის „ძალად ექიმის“ დადგმაზე. ამ სპექტაკლში მოვიწვიეთ ცნობილი მსახიობი **ამირან ამირანაშვილი**, რომელიც საფრანგეთში მოღვაწეობს. ჩემი აზრით, ეს წარმოდგენა თუნდაც მხოლოდ ამ ფაქტის გამო იქნება მეტად საინტერესო. ასე რომ, მარჯანიშვილის თეატრი თავის მაყურებელს სეზონის აქტიურ დასასრულს ჰპირდება. ამ ყველაფერში კი უთუოდ დიდია ჩვენი სპონსორების წვლილი.

\*\*\*

**თათა შავდია**, ბანკი „რესპუბლიკა – ჯგუფი სოსიტე შენერალი“-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:

- ჩვენი ბანკისთვის ქართული ხელოვნების მხარდაჭერა ყოველთვის პრიორიტეტული იყო. მარჯანიშვილის თეატრთან ურთიერთობა კი სტრატეგიის ერთ-ერთი ნა-

წილიც კი გახდა. გასულ წელს თეატრის გენერალური სპონსორები ვიყავით და სამომავლოდაც ვგეგმავთ გავაგრძელოთ ეს კონტრაქტი. თანამშრომლობისას ბევრ საქველმოქმედო პროექტშიც მივიღებთ მონაწილეობას. მაგალითად, შარშან პატიმარი ბავშვებისთვის ჩატარდა აქცია – 50 არასრულწლოვანი მოვიწვიეთ თეატრში და დავასწარით სპექტაკლს. ასეთი ურთიერთთანამშრომლობები კვლავაც გაგრძელდება და, ვფიქრობ, წარმატებულიც იქნება.

**ლევან ნულაძე** – ეს ბავშვები რომ მოვიდნენ სპექტაკლზე, ძალზე ამაღელვებელი სანახაობა იყო. გარდა იმისა, რომ თეატრში ისინი მშობლებს შეხვდნენ, წარმოდგენასაც საოცარი ემოციებით უყურეს. რამდენიმე ხანი ჩვენი დასი ამ ემოციებით სუნთქავდა.

**რამაზ ოქროპირიძე**, კომპანია „ვისოლის“ წარმომადგენელი: – საერთოდ, ჩვენ ყოველთვის ჩართულები ვართ საქველმოქმედო აქციებში, განსაკუთრებით კულტურის სფეროში, რადგან ვთვლით, რომ ხელოვნება არის ის, რითაც ახალგაზრდობას ნამდვილი ღირებულებები უნდა მივანოდოთ. ამ თვალსაზრისით, მარჯანიშვილის თეატრთან ურთიერთობისას ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ.

ჟაკლინ სირაძე

# ინტელექტუალის სოლფეჯიო

## ანეკდოტი – თანამედროვე ხელოვნების სარკველი

- ადამიანი იქ გაჩერდა, და რას ნიშნავს ეს?  
- ან, რას ნიშნავს, რომ ეს შეჩერება უმაღლესი ძალებისგან აკრძალული ჰქონდა?

როცა გოგოლის გენიალურმა, ირაციონალურმა ვიზიონმა დაჰბადა „შინელი“ სასწაული აღსრულდა. ყველამ იგრძნო, რომ დედამიწის მოძრაობას სხვა მიმართულება მიეცა. ამ ნაწარმოებით მან ხელოვნებას, მის სულისმიერ თვალს ის „ჭუჭრუტანა“ დაანახა, საიდანაც კაცობრიობამ თავისთავში ვილაც უცხო, და რაღაც სხვა აღმოაჩინა და ასე გზები გაუხსნა თანამედროვე ლიტერატურის სიშლევებს.

- მაგრამ, რაში მდგომარეობს ლიტერატურის ეს სიშლევე?

- ან, რისი თქმა მინდა იმით, რომ დედამიწის მოძრაობას სხვა მიმართულება მიეცა?

ლიტერატურის სიშლევე იმაში მდგომარეობს, რომ საშუალო ნიჭის მწერლების ტექსტებში ამ გაუგონარი, თავზარდამცემი ხელოვნების მიერ ბიბლიისა და ახალი აღ-

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №7-8

თქმის ტექსტების დამახინჯება პირდაპირ და სწორხაზოვნად ამოეფინა. მაგრამ ისეთი სახის გენიალური მწერლები, როგორცაა გოგოლი და ფრანც კაფკა, ეპოქის სუნთქვას მიდევნებულნი, გარდაუვალი კანონზომიერების წყალობით თავის სათქმელს „ტრანსცენდენტალურ ანეკდოტად“ გარდასახავს და შეიძლება კატეგორიული ტონითაც კი განგვეცხადებინა, რომ a priori თანამედროვე ხელოვნებისთვის ობიექტური რეალობა ანეკდოტური ამბების უსასრულო რიგად იქცა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ რომანის კლასიკური კომპოზიცია სრულიად შეიცვალა. როცა სარტრი ფოლკნერის თანამედროვე ახალ რომანში „ხმაური და მძვინვარება“ ცენტრის გააზრებას ან თუ გინდათ, დაფიქსირებას გადაწყვეტს საგონებელში ვარდება. ეს უცნაური „ცენტრი“ თანამედროვე ეპოქის ავადმყოფური, აჩქარებული მაჯისცემისგან არის გამოხმობილი. მაშინ როცა ცენტრი კლასიკურ რომანში უძრავი და ერთია, ანუ ყველა ამბის შემკრები მარყუჟია. თანამედროვე რომანში კი ეს უძრავი მარყუჟი, უცნაურ, ყველა საგანზე მოძრავ ნერტილად გვევლინება. ეს იმასაც ნიშნავს, რომ შეიძლება რომანში მოცემული საგნებიდან ყველა გამოდგეს ცენტრად და არც გამოდგეს. დიახ, **ცენტრი ყველგანაა და არც არსად არის**. მოდით, შეცბუნებული სარტრის ჩამონათვალს მივყვეთ:

- „ეს ცენტრი ბენჯის სიჩქუნგაა? ან, კედის უილბლო სამიჯნურო თავგადასავალი? ან ქვენტინის თვითმკვლელობა? ან ჯეისონის მტრობა თავისი დისშვილისადმი?“ და სარტრი ამ კითხვებს ფიქრებად დააღაგებს:

- „თითოეული ეპიზოდი (ცხადია, ფოლკნერის რომანში), როგორც კი ჩავწვდებით მეორეს გაგვახსენებს, ფაქტიურად ყველა დანარჩენი ეპიზოდი მასთან არის დაკავშირებული“.

ჟან პოლ სარტრის დასაზღვრა უცნაური და გამაოგნებელია, მასში წვდომა გონებით შეუძლებელია და არა მგონია ღრმა გრძობამაც იქ შეაღწიოს. აქ უფრო ინტუიცია თუ შეგვეშველება გაანათოს ასე ღრმად დაფარული და ჩაბნელებული სამყაროს კუთხეები. რადგან ეს არის სწორედ იმ ტრანსცენდენტალური ანეკდოტის ადგილსამყოფელი, ანუ ადგილი სადაც თანამედროვე ხელოვნება თავისთავსა და ცხოვრების გაგებას პარალელურ ხაზებად დააღაგებს. შეიძლება ეს ფოლკნერის ენით, ასე გამოვთქვათ:

– „გალილევას მიმავალმა იესომ ზღვა ფეხით განვლო და ვაშინგტონს არც არასდროს უთქვამს ტყუილი“.

არ არსებობს ცენტრი? ანუ, ყოველი ეპიზოდი თავად ცენტრია და არც არის ცენტრი?

ამით, ისევე ტრანსცენდენტალური ანეკდოტის უცნაურ ადგილსამყოფელს მოვინიშნავთ, ნიცშემ თავის მხრივ რომ ასე დასაზღვრა:

– „სამად სამი ანეკდოტი იკმარებდა ფილოსოფოსის დასახსნაობლადო“

მაგრამ აზრობრივად იმას, რომ ჩავენვდეთ, თუ რას ნიშნავს ლიტერატურის სიშლეგე, რომელიც „ტრანსცენდენტალური ანეკდოტის“ უსასრულო რიგებს გვისახსოვრებს, ალბათ ფრანც კაფკას შემოქმედება უნდა შევაფასოთ.

სწორედ მან შეძლო ხელოვნების მისია წმინდა ფორმით შემოეთავაზებინა თავის ნაწერებში და ასე უმაღლესი სასამართლოს ხმა მოგვასმენინა და იმასაც მიგვახვედრა, რომ ხელოვნებამ თავისი მისია ამოწურა.

და მე სულაც არ გაეუოცებებარ ნაბოკოვის სიტყვებს:

– „თ. მანი და რ. მუზილი ფრანც კაფკას გვერდით თაბაშირის წმინდანებს მოჰგვანან“.

და ეს იმ აზრით ითქვა, რომ ფრანც კაფკამ თავისი ცნობილი „წერილები მამისადმი“ კაცობრიობას ისეთივე ძეგლი დაუდგა როგორც ჩარლზ დარვინმა „ევოლუციის თეორიით“, ა. აინშტაინმა „ფარდობითობის თეორიით“, თუ ი. კანტმა „წმინდა გონების კრიტიკით“. ეს წერილები თანამედროვე ლიტერატურის სულისმიერი რუკაა, სადაც მოჩანს რომ ათი მცნება და ახალი აღთქმა სულ ახლებურად ნაიკითხეს და თითქოსდა ვხედავდეთ თუ როგორი ბუმერანგის პრინციპით მიმართავს იესო ფარისევლებს და ყველა ცილისწამებას ერთი და იგივე ფრაზით ეპასუხება:

– შენ ამბობ ამას!

ფრანც კაფკა იქ ჩერდება, სადაც კანონიკური ტექსტი გაჩერებას გვიკრძალავს, და მას ყოველი მცნებისა თუ მარხვის დამრღვევს გაღვიძებული სულის თავისუფალ მოძრაობას უპირისპირებს. თუ რომანი „პროცესი“ უმაღლესი სამსჯავროს თარგმანის ნარუმატებელი მცდელობაა, რადგან კაფკა ხელოვანს ამ ნაწარმოებში კაფკა- კრიტიკოსმა სძლია და სამსჯავრო მკაცრად და სისხლიანი ფაქტებით წარმოგვიდგინა. „მეტამორფოზაში“ კი არაფერი ხდება. ეს გაეღვივებული, ფანტასტიკური და სიღრმისეული აზრების მოხელთების მცდელობაა, რაზედაც რელიგია მკაცრად და ცივად შეგვაგონებს, რომ აქ შეყოვნება დანაშაული და ცოდვაა.

მაგრამ ფრანც კაფკამ თავისი მაღალი სულიერებით, თავისი სიწმინდით ამ გაეღვივებული ფიქრების, დაფარული ცოდვების იმდენად მტკივნეული აღქმით შექმნა ახალი ადამიანი, რომელსაც ამბავი კი არ გარდახდება თავს, არამედ ამბავი თავად მისი ფაქიზი სულის განწირული კივილია, ხან კი ჩუმი გოდებაა. თუმცა ამ გოდების გამოსახვით

ფრ. კაფკა თავის განუზომელ სიყვარულს გაამჟღავნებს სამყაროსადმი.

და თუ მაინცდამაინც წინასწარმეტყველური ტექსტი გვინდა მოვიძიოთ, რომელიც „ტრანსცენდენტალური ანეკდოტი“ – ს სივრცეში ბინადარ პერსონაჟებს წაგვაკითხებს, ეს უპირველესად გენიალური წინასწარმეტყველის და ნათელმხილველის ნაწერებია. ცხადია, მე ვსაუბრობ დოსტოვესკიზე და მის ცნობილ ფრაგმენტზე „ჩანაწერები იატაქვეშეთიდან“:

„მე ვერ შევძელი რაიმეს დავმსგავსებოდი, ან რაიმედ ჩამოვყალიბებულიყავი.

ბოროტი – მე ვერ შევიქმენი, კეთილი – მე ვერ შევიქმენი, ნაძირალა - მე ვერ შევიქმენი, გმირი - მე ვერ შევიქმენი და თვით მწერი რომ არის, თვით მწერადაც კი ვერ მოვევლინე ამ სამყაროს... რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანის ჭეშმარიტი ზნეობრივი სახე - მის უხასიათობაში ძევს“.

ამ ფრაგმენტით გოგოლის „შინელის“ გმირს აკაკი აკაკივიჩს და კამიუს „უცხო“ გმირს, ბრბოს ამ უსახო პერსონაჟს და მათ უსასრულოდ გამრავლებულ პერსონაჟებს დოსტოვესკიმ მსოფლიო მოქალაქის უფლება და პირადობის საბუთი პატივისცემით უსახსოვრა ლიტერატურაში, რითაც ხელოვნების ნებისმიერ დარგშიც შეიძლო დამკვიდრება.

შეიძლება ასეც კი ითქვას, როცა დოსტოვესკიმ ეს ფრაზა გაახშიანა, კაცობრიობამ უფრო მეტად აიკვირათა გოგოლის „შინელში“ აღწერილი პატარა, უსახო კაცის შეშლილობა თავისი უსახური და უსარგებლო ოცნებით ასე რომ აკნინებს და ამასხრებს კაცობრიობის სულიერებას.

და თუმცა მეშჩანის ნებისმიერი ოცნება შინელზე ოცნებაა და სხვა არაფერი, მაგრამ როცა ოცნების საგანი მოჩვენებით მომხიბლაობას იძენს – ეს იქნება სახლი, მანქანა, აგარაკი, ლამაზი ცოლი და ა.შ. ა.შ.

სიბრმავეც გარდაუვალი ხდება, რადგან საგნის გარეგნული „ბრწყინვალეობა“ მეშჩანის უსუსურ ოცნებას ოქროსფრად ავარაყებს, რისი წყალობითაც აზრის სიღატაკე შეიძლება სულიერ სიმდიდრეთაც მოგვეჩვენოს.

შინელმა გააშიშვლა საგანთა სილამაზითა და სიმდიდრით შენიღბული მეშჩანის ოცნება. დიას, როცა გოგოლმა „შინელი“ დაწერა კაცობრიობას დაანახა პატარა ადამიანის ოცნება, ასე უაზრო და ამოო და კაცობრიობას ჩაესმა გენიოსის ხარხარი.

მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ კაცობრიობა გენიოსის ხარხარის ნაცვლად ტექსტის მოსმენას ამჯობინებდა, – და ეს მან მოახერხა ფრიდრიჰ ნიცშეს თავისი მოძღვრად არჩეული შემწეობით – რისი დახმარებითაც მან „შინელში“ გოგოლის თანაგრძობობა, ის თანაგრძობობანი და ცრემლწარევი ლიმილი ამოიკითხა, ნებისმიერ არსებასთან და საგანთან ყურისგდებით რომ შეყოვნდება.

ამ უცნაური მოსმენის ფორმამ გაამჟღავნა, რომ ტექსტი იკითხება იმ ჭუჭრუტანიდან, რასაც „ტრანსცენდენტალური ანეკდოტი“ ეწოდება და რომელიც ლიტერატურის სიშლეგეს ქმნის – ადამიანს იქ რომ შეაჩერებს, – რომელიც მას უმაღლესი ძალებისგან აკრძალული ჰქონდა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი, სწორედ ამ ბოლო კითხვაზე პასუხის გაცემაა:

– რას ნიშნავს, რომ ეს შეჩერება უმაღლესი ძალებისგან აკრძალული ჰქონდა?

ვანო ჩხიკვაძე

# მცირე პროზა

## ორნი უანჯარაში

– ხო ამოუყარა, ქალო, ძველი ბოლმები. ვენაცვალე გამჩენსა, ხო ამოუსხა ოფოფები... აღარც მეგონა ძველი წყენა თუ კიდევ ახსოვდა! ამ დაბდურასა, ამასა, ამდენი წელიწადია ამისი ცოლი ვარ და, ძლივს არ გავიგე ენა რო ჰქონია? მარტო ჩემთან არის მაგარი, მარტო მე და ჩემი შვილები დაგვიბრწყვან... ესენიცა რა, გერებია? თან ხო არ მომყოლიან, ამათები არ არიან, განყდა ამათი ქოქი... თუ რამე გვაქ, მამაჩემისგანა, იმისი სული უნდა ვლოცოთ – ხის მასალაო, შიფერიო, ალიბასტრიო – ერთ ყაზარმას ეყოფოდა... საჭმელი თუ სასმელი... ბაღებია და ჩვენ არ დაგვიტოვა?... ანაღლე, ყველაფერს მოასხდნენ და... რას გვაყვედრიან, რასა, თითზე გადასახვევი რამე გვარგუნეს?... ჰოოდა, ამ უნდილმა ეგრე მოიქაჩლა თავი, ჩამოუთვალა ყველაფერი ჩემ ბოგირა მაზლსა... მამამთილი ხო იცი რა ხეკაცაც არის, გადარძევა და მაინც შხამი და დარიშხანია – ბიძა ჰყავთ, ქალო, ერთი გაქირა და ღეთისცეცხლი, გამოცხადებული ის არის... ჰო, ჩემი მაზლი... რასაც თვითონ ლაპარაკობს, მარტო ის ესმის, შენსას არა და არა, იმის წინ თავი რო მოიკლა, ვერ იგებს, ვერა...ეს, ჩემი, ძან ნასვამიც არა ყოფილა, სასმელს ვერ დავაბრალებ... რო მოჰყვა და სტოლს მუშტიც დასცხო, თევშებმა ზრიალი დაიწყეს...

მაინც რა გამოვიდა, გული მოვიოხეთ, ეგ იყო და ეგა, კრება დარჩა მხიარული, ოცი წლის წინ სათქმელს ეხლა რო იტყვი... მაზლის ცოლი ეგრე იჯდა, გაქვავებული, განუწული ქილყავივითა...

თუნუქზე გაზაფხულის პირველი წვიმა ხმაურობს.

ერთი ლაპარაკობს.

მეორე მოთმინებით უსმენს, უსმენს...

## მეზობალი

სადარბაზოსთან მიყენებული, ნომენკლატურული მანქანის მძღოლი, საკიდით ჯერ მხარზე შავ კაშნეჩამოფენილ პალტოს გამოიტანს, მანქანის უკანა კარს შეაღებს, პალტოს სავარძელზე ფრთხილად, ციმციმ მისვენებს, კალთებს შეუკეცავს, სახელოებს, ძირს რომ არ აითრიოს, ჯვარედინად გულზე დაუკრფვს, კაშნესაც ხელისგულით ჩამოასწორებს და კვლავ აკრეფილი, ფრთხილი ნაბიჯით, თითქოს რაღაცას ეპარება, სადარბაზოში შევა. მალე, ისევ საკიდით, ახლა გახამებულ-გატკიცინებულ პერანგებს გამოიტანს, მანქანას მეორე მხრიდან მოუვლის და უკანა კარს ზემოთ დამაგრებულ სახელურის კაუჭზე ჩამოაკონიალებს, ამათაც ფრთხილად, ერთგვარი მონინებით...

სადარბაზოში, კვერნასავით ნახრილი, ხელახლა შეკუნკულებული, ერთხელაც გამოხედავს, როგორც სასი-

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №8

ძო საპატარძლოს, შეყვარებული თვალებით შეათვალერებს შორი მგზავრობისთვის გარეცხილ-გაკრიალებულ შავ „ვოლგას“...

როდის-როდის ისიც გამოდის, ვისაც მთელი ავლადი-დება, მძღოლიან-მანქანიანად, ეკუთვნის.

ხვეულად დაყრილი ჭალარა თმა მაინც ვერ მალავს პატრონის ასაკს, ბოლო საფეხურზე ნაბორძიკებული წელში სწრაფად სწორდება და ეზოში გამოსვლისას, მართალია ახლო-მახლო კაციშვილი არ ჭაჭანებს, მისალმების ნიშნად თავს მაინც ოდნავ დახრის – ჩვევას, თანამდებობის კაცის მედიდურ თავმდაბლობას არ ღალატობს.

უკან, შავი ტყავის საქალაღით, მძღოლი მოჰყვება, რომელიც ისე მოუხერხებლად უჭირავს, უცხოც შეატყობს, საქალაღდესთან ანდა შიგ მოთავსებულ „საქმიან“ ფურცლებთან რომ არაფერი აკავშირებს

მანქანას მოუახლოვდებიან, მძღოლი აჩქარდება, დანინაურდება, კარს გამოუღებს და მარჩენალიც სასწრაფოდ სალონში სტუტავს თავს, საქალაღდეს გამწყრალივით ჩამოართმევს, მუხლებზე დაიდებს და, რატომღაც პირგამეხებული მიაჩერდება საქარე მინას...

ნავლენ და ეზოში უხარისხო ბენზინის ნამწვის უსიამოვნო სუნს დატოვებენ.

სხვა რა რჩება, ტიალ წუთისოფელს, მავანთა წასვლის შემდეგ?

## ბელადს აბანავებენ

ადმინისტრაციული სახლის წინ, კიბესთან, რეგიონისა და რაიონის წვრილ-წვრილი ფუნქციონერები ირევიან. იქვე, ნაძვებთან, წითელი სახანძრო მანქანა თუხთუხებს. მეხანძრეებს მსხვილი შლანგები ჩაუბლუჯავთ და ამოხეთქილი წყლის „ჯვარედინ ცეცხლში“ ბელადის ძეგლი მოუქცევიათ.

ბელადს ღონიერი ჭავლი ეხეთქება კეფაზე, ნაყვავილარ, დიადი მომავლისაკენ მიქცეულ სახეზე, მტრედების დასკინტლულ მხრებზე. მოდის ჭუჭყიანი ნაკადი, ჩამოაქვს მტვერი, ჩამოსდევს შინელის მუხლებსკვემოთ ჩამოგრძელებულ კალთებს, დედამინის ერთ მეექვსედს და უფრო მეტს რომ ჰქონდა გადაფარებული – წურწურით მოიწურება კვარცხლბეკიდან, ასფალტზე უწესრიგო ნაკადულებად გარბის, ეძებს საკანალიზაციო ჭას.

– არ გააცივდეთ! – ვეუბნები ბელადის „განბანვის“ ორგანიზატორებს.

ზოგი ილიმება, ზოგსაც ვერ გადაუწყვეტია, სერიოზულად მიიღოს ჩემი ნათქვამი თუ ხუმრობად და გაიცინოს.

წყალი წყდება. ბოლო წვეთები შლანგის პირზე ნარბენი, მოქასქასე ძაღლის ენაზე ჩამოწეული ნერწყვივით ჰკიდია.

მალდა, ბელადის თავზემოთ, ორი მტრედი ტრიალებს და გაგრილებულ მხრებზე ჩამოსასხდომად ემზადებიან.

## მეტამორფოზა

– გასაოცარია, ბავშვობაში წიგნის გმირები, ფილმების დადებითი პერსონაჟები გვიყვარს, თანაუფრძნობთ,

ვბაძავთ... დიდობაში კი უარყოფით როლებს ვასრულებთ, მოგვწონს, ვამართლებთ ჩვენს ბილნ სულისკვეთებას და საქმიანობას...

იცი, რა მოვიფიქრე? სანთლის დანთება და ეკლესიაში მონაწილეობა არ კმარა, - ჩვენს შვილიშვილებს ფიცი უნდა დავადებინოთ, რომ ყველანი, ვინც კი მემკვიდრეობად შთამომავლებს ეს გაძვალტყავებული, გასხვისებულ-დაქცეული ქვეყანა დაუტოვებთ, საფლავებიდან ამოგვყარონ.

- ახლა თქვენი მძორით ააქოთეთ ქვეყანა! - ჩაილაპარაკა ვილაცამ და პირმოქცეულმა ისე მოუწყუროვა სანთელს, თითქოს ბავშვი ამზრუნუნ სანახაობას მოარიდა.

**ბიჭები**

მომყვებიან, როგორც ორი, ცინცხალი ნაკადული, მოდიან დილის მშვენიერებით მოხიბლულები, გახალისებულები.

რალაცას შემეკითხებიან, ამომხედავენ დაბლიდან მოლოდინით - მათ თვალბში, ხან სიხარული, ხანაც სევდა რომ აცისკროვნებთ, გამჭვირვალეა ყველაფერი, ბავშვური, ალალი, თვითნაბადი, ქვეტექსტების, ეჭვების, ბოლმის მინარევების გარეშე.

მივდივართ, მიგვეჩქარება პარკში, დილის ვარჯიშზე, ერთი ფეხბურთზე და ფეხბურთელებზე მელაპარაკება, მეორე ფლორასა და ფაუნაზე.

კანტიკუნტად გამვლელები ჩერდებიან და გვიყურებენ - ამ ჩვენს მონყენილ ქვეყანაში თუ კიდე ვინმე რაიმეს ხალისობს, აღარ სჯერათ.

- მამი, მამი, ყიფიანი მაგარი იყო თუ ზიდანნი?

- იცი, ზოოპარკში პატარა პანდა დაბადებულა... ხო მიყიდი პანდას, ჰა, იცი რა საყვარელია?..

მომდევნ, მომყვებიან, მუჭში მოქცეული პატარა ხელებით ვგრძნობ მათი სუნთქვის, ფიქრების, გულბრყვილობის სიანკარეს და, ასე მგონია, მათი „დინება“ რომ არა, კარგა ხნის წინ ჩავმრებოდი, როგორც უწყლოდ დარჩენილი, ბებერი კალაპოტი.

ხან ბიჭები პატარა, მოუსვენარი კვიციები მგონია, ერთფეროვანი, მოსაწყენი დარიგებებით ადვილად რომ არ იხედნებიან და თავანულები, ჩემი ნაპირების გასწვრივ მირბიან, მისძახიან, მისჭიხვინებენ აბალახებულ, გაურკვეველ მომავალს.

**მთავარი ქუჩა**

სიჩუმეა. გამთენიის სიჩუმე. მალე შეირხევა ჩიტების ფრთებით ამოძრავებული, ჩაგუბებული ჰაერი.

მაფხიზლებს პირველი სტვენის, სირენის, ნაბიჯების ხმის მოლოდინი.

ბაცდება სიბნელე. პირქუშები აღარ არიან ანონილი სახლების სილუეტები. აქვე, ახლოს, მთავარ ქუჩაზე, იღვიძებენ თავჩაქინდრული ხეები. მალე, მოსახვევიდან დიდი, წითელი ხარით გამოიზლანება ავტოსადგურიდან მომავალი „იკარუსი“ - პირველი რეისის ავტობუსი. გზაჯვარედინთან თუ არავინ დაემგზავრა, რქებივით დააღირებს აბრღლეიალებულ ფარებს და დედაქალაქისაკენ წავა.

სალონში გაილანდებიან კანტი-კუნტად ჩარიგებული, ცივ სავარძელში მოზუზული, მგზავრების გამოუძინებელი სახეები...

მიდიან, მიდიან... საით, რატომ, რისთვის... რამდენი საფიქრალი, საზრუნავი დააქვს ამ მოუსვენარ, ბორბლებზე შემდგარ რკინის კოლოფს, ათუხთუხებულ მოტორში ჩატუმბული ათეულობით ცხენის ძალა რომ მიაქანებს და უკან, სპეციფიკური სუნის მახრჩობელა კვამლის შლიეფს სტოვებს.

შლიეფი იშლება, იძენძება, ადის მალა-მალა და ტოტებში ჩათვლემილ ფრინველებს აფრთხობს.

ამ „წითელ ხარს“ ზოგჯერ მეც მიყვები. ფანჯარასთან ჩამომჯდარი, ფეხებთან ხელჩანთას ჩავიდგამ, თან ქურისპირზე ჩარიგებული სახლების „ლრიჭოდან“ ვცდილობ თვალი მოვკრა ჩემი ბინის აივანს.

უფრო ხშირად, ავტობუსს, მხოლოდ ჩემი ფიქრი მისდევს. ფიქრი დედაქალაქის ძველ უბნებში სახეტილოდ, ნაცნობ-ახლობლების სანახავად მიემგზავრება. წავა და უკან აღარ ბრუნდება და მერე კარგა ხანს ვდარდობ, რა დამართა, გზა რატომ ველარ გამოიგნო...

დღესაც, ძრავის ხმაურზე, მონოტონურ ბლუილზე ვხვდები, რომ ავტობუსი შორეული მგზავრობისათვის არის შემართული, საბურავებზე მყარად დგას და გვერდებში სათბურასავით ამოღებული „ბენზინის მუთაქებიც“ სავსე აქვს სანვავით.

ჭადრების გაღვიძებული ჩიტები საბოლოოდ გამოფხიზლდებიან, მალე დილის მატარებელს ჩამოყოლილი მგზავრებიც ახმაურდებიან, ქუჩაზე დაბარგულ ურიკებს აახრიგინებენ.

მოგვიანებით, პარკითა და დაბალი სკამით, მზესუმზირის გამყიდველი, მეზობელი ქალიც ჩამოვა. სკამს ტროტუარზე, სახლის კუთხეში, კედელთან მიდგამს, პარკს პირს გადაუკეცავს, ღამით მოხალულ, ჯერ კიდევ თბილ-თბილ მზესუმზირას მოხერხებულად მუხლებთან მიიდგამს. შეცივრულ ხელებს სახელოებში შემალავს და ამვლელ-ჩამვლელს მომლოდინე მზერას მიაცეცებს.

**გაზრობა**

ქალაქის თავში, გზასთან მომდგარი დახლები. გამვლელ-გამომვლელ მანქანებს, თუკი არ შეჩერდებიან, ნაწყენ, გაბრაზებულ მზერას მიაყოლებენ მოვაჭრეები.

ერთ-ერთ დახლთან, საჩრდილობლად წაფარებულ შიფერქვეშ ჩამომჯდარი ქალი, ახალშემოსული, ქართული ბალის კუნწულებს, ჯონის წვერზე თაიგულივით მოუყრის ხოლმე თავს და, რომ არ დაიშალოს, ყუნწებზე ძაფს ახვევს.

- მოკლედ, ამ საქმიდანაც არაფერი გამომდის... მორჩა, ჩემი პატიოსნება ვის რაში სჭირდება - ფულზე უნდა ვიარო...

- რას ამბობ, როგორც იქნა, გადანყვიტე?.. აჰა, შენ თუმანი, - მიუცუცქდა ღრეჯვა-ღრეჯვით ვაშლის გამყიდველი ბიჭი და დახლზე ათლარიანი დაუდგო.

– ე, არა გრცხვენია, ეგ უნდა მაკადრო? – შეჭყრის გაზაფხულის მწველი მზით გახუნებულ წარბებს.

– რა ვქნა, აკი თქვი, ფულზე უნდა ვიაროვო... ესეც, ფული!

– მერე, ის კი არ მითქვამს, ჩვენებურებთან – მეთქი.

– ნეტავი შენა, ფული ფულია, რა მნიშვნელობა აქვს, აილე და მოათავე...

– თანაც, ნუ გაახმაურებ თორემ მაშინვე საგადასახადო მოგადგება...

– ახლა, ლეგიონიო, პოლიციასო...

– უცხოები დაგინდობენ? სოფელი შეგინახავთ, შინაურებში იტრიალე, იმუშავე, ასე გიჯობს, – ამუნათებენ, არიგებენ აქეთ-იქიდან სიცხით და მუშტარის მოლოდინით გულგანყალბებული თანამოსაქმენი.

– რა ვუყო ამ თუმნიასს, ჰა, ხო იცი, სხვებიც იხვენებიან, – არ ეშვება ბიჭი.

– დავფიქრებდი... რაკი ყველანი მირჩევთ... მოდი, ლამაზო, მოდი, ნახე, შენსავით კუნწულაა, – პირში დნება! ეპატიჟება ტუჩებდალუებულ, მანქანიდან გადმოსულ გოგოს და როგორც მისრის სარკინიგზო ალაში, ეგრე უჭირავს ჯოხზე ასხმული მისის ბალი.

ბიჭი:

– აბა, ამას უყურე, ეტყობა იცოტავა!... – უკან აიღებს ათლარიანს და, თავისი დახლისაკენ, თეძოებში ამოვარდნილივით ზღაზვნით მიდის.

**შისანდობარი**

– მამაჩემი რომ გარდაიცვალა, დედაჩემმა დაატირა, ორი-სამ წელიწადში შენთან ვარო.

ორი-სამი რა არის, ღმერთს ნუ დააბნევ, ან ერთი თქვი ან მეორე – მეთქი...

საქმეში ხარ? გავიდა ორიც, სამიც, სამჯერ სამიც, თოთხმეტიც... რამდენჯერ გავეხუმრე, დედაჩემო, პირობა პირობაა, იმ კაცს ამდენ ხანს რომ ალოდინებ, სადაური წესია, მერამდენე წელიწადია, პაემანზე დგას-მეთქი...

– ალბათ, სამოთხის ყვავილებით...

– რა თქმა უნდა... აქეთობას მამაჩემს ყანნი არ გაუშვია ხელიდან და, ალბათ, ყვავილებს იქ მაინც დაიჭერდა... ჰოო, ეგრე იყო ეგ საქმე, მეთხუთმეტე წელსლა მიაკითხა თავის კაცს – ოთახში რალაცას საქმიანობდა, უცებ უთხრა ჩემს დას, ეხლა მე მივიღივარ, აგერ ტახტზე წესიერად დამანვინე, გამასწორე და, ხომ იცით, როგორ მეჯავრება ნირპვლა-ტირილი, არ შექმნათ დიდი ალიაქოთიო.

არც შეგვიქმნია, ოთხმოცდაშვიდის იყო... აბა, გაანათლოს ჩვენი მშობლები... ისე, რა ბევრი მეგონა, ოთხმოცდაშვიდი წელი... რა ვიცოდი, რომ ადამიანისათვის ათჯერ ოთხმოცდაშვიდიც არაფერია...

**მარტის თოვლი**

კამკამა, კრიალა, მბზინვარე თოკებად ჩამობმულ თოვლს მგონია ციდან სასწაული უნდა ჩამოჰყვეს. ანდა მეტი რალა სასწაული გინდა, მარტია, მარტის ოცდასამი,

ამ დროს ხეხილი უკვე საყვავილოდ იღერდება, ნვალობს, ებუშტება კვირტები, ზოგან კი, ჩამყუდროვებულ მზისგულეებში, სულსწრაფი ტყემალი და ალუბალი იელვებს კიდეც, გადაერკალება თეთრად ტოტები.

ახლა კი... გუშინ მზიანი ამინდი იდგა, თბილი, შემპარავი, კვირტების ნამქეზბელი, გამომტყუებელი, გათენდა და, კარგა ღონიერი თოვლი იდო, ფაფუკი, მშვიდი, გუნების დამწყნარებელი. ყინვით შეკრული ფიფქები ტოტებზე ასხმულიყვნენ, მრჭყვიალებდნენ, გეგონებოდა ახალი წელი მოდისო...

ორლობეში პროცესია გაინწელა. წინ – ქალები და სურათმიხუტებული ბავშვები მიაბიჯებენ, უკან – კაცები, თავდახრილები მიჰკვალავენ ბილიკებს და ხანდახან თუ გადაულაპარაკებენ ერთმანეთს.

პირგამეხებული დედა ვერავის ამჩნევს, გაკერპებული გაიყურება სოფლის თავისაკენ. ფიფქები თეთრად უზარნიშებენ შავ თავსაფარს, ჩამოჰყვებიან, ძაძებს პეპლებით მოურთავენ, თითქოს თამაშობენ, ლალობენ იმ ატაცებული ბავშვებით, პატარაობის გამო რომ ვერ გრძნობენ ტრაგედიის სიმძიმეს და სიმწარეს.

ორლობეს ამოათავებენ, ამოსცდებიან სოფელს და, სასაფლაოც აქვეა – შავი რკინის მესერით შემოკავებული სამოსახლოები, დამეზობლებული, ნაკოდი ქვები, ფერდობზე შეფენილი მეორე სოფელი, სადაც არც კვამლი ადის, არც მამალი ყვირს და არც ძალლი ყვეს. ყველაფერი თეთრ დუმილში გახვეულა, ჩამუხლული ჯაგები ფეხისხმას აყურადებენ და... მიდის ქარავანი, უწესრიგოდ, მძიმედ, უხალისოდ, უნადინოდ, ოხვრით, ბორძიკ-ბორძიკით, თითქოს დამძლეული წრთენიდან ბრუნდებიან ჯარისკაცები...

– ხედავ, კაცო, ამ ჭყაპებით აზინზოლულ მარტში, როგორი თოვლი მოიყვანა, თავისი სულივით სუფთა, სპეტაკი. აბა, აქ როგორი ტალახი იცის და, ფეხიც კი არ მოგვეთხვარა, საყვედური არავის ათქმევინა, – მესმის უქნიდან.

ახალ საფლავზეც თოვლი დევს, უფრო სუფთა და სიცივით გალურჯებული.

საფლავს ძაძიანი ქალები შემოურიგდნენ, ქოლგასავით გადაეფარნენ.

„არ მომწონს შენი ახალი სახლი, ბიჭოო... წამო, სახლში, გენაცვალოს მამიდა“..

„აქ რამ მოგიყვანა, ცოლ-შვილზე თვალდარჩენილო..“

„სახლში პურ-მარილი იშლება, შენ აქ რა გინდა, შვილოო..“

მარმარილოდან ჩემი მეგობარი მიყურებს და თითქოს მეკითხება, რა ამბავში ხართო.

თვალეებზე ცხვირსახოცი ავიფარე. ვილაცამ იდაყვიში მომკიდა ხელი.

– გაიგე? თანასოფელე ამხანაგებს გვინდა, ჩვენს წილად, სამახსოვრო ქვა დავადოთ, სურათით, რა თქმა უნდა, და იქნებ ერთი პატარა ლექსი...

შეხვებდე. ვერ ვიცანი, მგონი პირველად ვხედავ. – რა ბრძანეთ?

– ლექსიც მოუხდება... თქვენებურად, კარგად... უკეთესად ვინ იცნობდა, ერთი ოთხი სტრიქონი მაინც, მოკლედ, შიგ ჩვენი მწუხარება რომ იყოს გამოხატული... თქვენ გვარსაც მივანერო! – არც „საავტორო უფლებებს“ მიკარგავს.

დავიბენი.

– რა ვიცი, შეიძლება, მაგრამ... თვითონ არ მოეწონებოდა... აბა, შეხედე, როგორ დამცინავად გვიყურებს, ეგ ქვაზე ამოკანრულ ლექსს აიტანდა?.. – ვეუბნები, მაგრამ ვიცი, რომ არ დამიჯერებს, მაინც ვერ გაიგებს.

ჩემი მეგობრის პატარა ბიჭები შორიახლო დგანან და ჩამქრალი ღიმილით მიყურებენ.

**ფანჯრიდან**

მერამდენე წელიწადია, საძინებელის ფანჯრისწინ, აყინრულ სინათლის ბოძს ვუყურებ. ფრინველები იშვიათად აკითხავენ, ზოგჯერ ბებერი ყვავები თუ ჩამოსხდებიან, გულის მოსაფხანად თავში ნისკარტს ჩაუკაკუნებენ. სხვამხრივ დგას ქარსა და წვიმაში, მზესა და თოვლში, არავისთვის საინტერესო და საყურადღებო.

ბოძი ბოძია, მორჩა და გათავდა, მისი ფესვები არ ფართხალბენ მინის უბეში, არ ამოაქვთ მაცოცხლებელი წვენი და თეთრად აფეთქებულ კვირტებს არ დაბზუის ფუტკარი, არც ალტაცებული მზერა შეაცოცდება ნაყოფით დახუნძლულ მის ტოტებს.

დგას თავისთვის, აბლაბუდასავით გაბმული დენის მავთულებით განამებული, ყველა მხრიდან რომ მოხვევიან, გაუყოჭავთ.

იქნებ წამოწოლაც უნდა, მაგრამ ვინ გაუშვებს, ისე ჰყავთ ჩაბლუჯული, გასაქანს არ აძლევენ, ჩაჰკვრიან, ჩაუყელიათ მავთულის სრეებს.

ბოძი მაშინ ახსენდებათ, სადენი თუ განყდება, ანდა გამორჩდება კიოსკიდან „დენის გადაყვანის“ ახალი მსურველი – მოვა წინააღმდეგობა, ხმაჩახრინწული, ხავილა მონტიორი, კიოსკზე გამოაბამს, გაშლის მავთულის ხვეულას, ბოძის ძირში ფეხსაცმელს გამოიცვლის, რეზინის მალაყელიან ჩექმებს ჩაიცვამს, კლანჭებივით „კოგტებს“ მოირგებს, ხვეულას მკლავს გაუყრის და აჰყვება ბოძს.

ეჩხვლიტება ისედაც დამსკდარ-დახეთქილი ტანით.

ნახალწლევს, ალბათ, ვერავინ შენიშნა, თოვლი თეთრი, კახური ქუდივით რომ მოიგდო, ცოტა გვერდულად, დაუდევრად გადაფერდილი, თითქოს ღამის ქეიფიდან მოდიოდა.

ყოველ დილას ინტერესით ვუყურებთ ერთმანეთს – ხომ არ ველოდებით, პირველი რომელი ნავიქცევით?

**სოფლის ავტოპუსი**

ქუჩაზე გადავივარ. გზაჯვარედინს მოადგა მგზავრებით სავსე, შენი სოფლის ავტობუსი.

მახსენდება, რომ დღეს პარასკევია. პარასკევს კი, თითქმის ყოველთვის, ნაშუადღევს, ამ ავტობუსს მიჰყვებოდი ხოლმე, მიდიოდი იქით, გზის მეორე ბოლოში, კარებწინ, ძელსკამზე ჩამომსხდარი, მოხუცი მშობლებისაკენ, უკვე რომ ლელავდნენ, ბიჭმა რატომ დაიგვიანაო...

თებერვლის ერთ სუსხიან დღესაც სამუდამოდ დაგავგიანდა – მდინარის პირას, ღამში ჩამხოხობილს,

წყლის თხელი, ცივი დინება გილოკავდა შავი ფეხსაცმლის ძირებს.

იქიდან მოყოლებული, პარასკევსაც, შაბათსაც, კვირასაც და ასე უსასრულოდ, უშენოდ ივლის სოფლის ავტობუსი... მძლოლსაც, მგზავრებსაც თანდათან მიავიწყდები, გაფერმკრთალდები და გაქრები მათი სსოვნიდან, მხოლოდ ამათთვის გამძაფრდები, გამოიკვეთება შენი ტკივილიანი სახება, ამ მოხუცებულებისთვის, საძირკველგამოცლილი კედლებით რომ ეყუდებიან, იმაგრებენ ერთმანეთს...

ყოველ პარასკევს, მზე საშუადღეოდან ჩასასვლელად რომ გადაიხრება, ღორღიან აღმართში ბლუილი ამოქაქანდება, გამოასწრებს ავტობუსს, მოაღწევს მშობლების ყურთასმენამდე, და ესენიც შეჩქვიფდებიან, შეფრთხიან ალდებიან, როგორც მავთულზე ჩამომსხდარი, სველი, შავი ჩიტები – ალბათ ბიჭი მოჰყვებაო, წამით გაუნათდებათ ჯავრით შეწუხებული სული.

სიგნალის ხმა მაფხიზლებს – შუა ქუჩაში გახვევებულს ზედ მომდგომია მსუბუქი ავტომანქანა, ფანჯარაში თავგადმოყოფილი მძლოლი მიმტვევებელი ღიმილით მიყურებს და ხელით მანიშნებს – გადაბრძანდით, არა უშავს, ყველაფერი ხდებაო...

**ლიზა**

ღია კარში ჩამდგარი, ჩარჩოზე ხელმიყრდნობილი, გასაფრენად ფრთებგაშლილსა ჰგავდა.

იმედგაცრუებული სახით გაიყურებოდა სოფლის გადაღმა, სასაფლაოს ნისლში შეყუყული აღმართებისკენ, ელოდა ნაცნობ ფეხის ხმას, მაგრამ, სანაცვლოდ, ხის მოკლე, მორყეულ კიბეზე დეკემბრის სუსხი ამორბოდა, დაუნდობლად იკბინებოდა.

– ხან რომელი ეპიზოდი გამახსენდება, ხან – რომელი... ამ დილით ფეხის ადგმა მომაგონდა:

დაბლა, სახლსუკან, ბოსტანში, აბალახებული ბილიკით გაყოფილი, ნიორი გვეთესა. სოსო იმ ბილიკის თავში იჯდა, სითბოში ღულუნებდა, ჭყლოპინებდა გაზაფხულის მერცხალივით. მე ცოტა ქვემოთ, პატარა თოხით, ნიორს ვმარგლიდი, თან ბიჭს ვაქებდდი: – აბა, გენაცვალე, რა თქვა ნიორმა, რაო, რაო, ადგეს და პატარა ბიჭმა გამოიაროს, დედასკენ გამოცუნცულდესო?.. მოდი, ჰა, მოდი, ჩემო სისხარულო...

დამიჯერა, ხელებს დაყრდნობილმა წამოიწია, რამდენჯერმე ნაქანდა, ნასაქცევად ნაბორძიკდა, მაგრამ თავი შეიკავა, ხვნიშით წელში გაიმართა და ხელებგანვდილი ჩემსკენ წამოვიდა... ვუყურებდი შემკრთალი ღიმილით და ცისქვეშეთში ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა...

დილასაც თვალწინ დამიდგა ის დღე, ავტირდი, ავქვითინდი, წავიშინე თავში ხელები...

ვაიმე, უშენოსა, შვილო, როგორ მომენატრები ხოლმე, ბიჭო, როგორა! – გამწარებული თითებით ჰაერი მოფხოჭნა, მუხლის თავებს დააფრინდა და ზედ კლანჭებივით დაასო...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# დეკემა თურქეთიდან

ბატონი ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან თოთხმეტი წლის შემდეგ საქართველოში გადმოსვენება და მშობლიური მიწისათვის მიბარება დიდი მოვლენაა. მისი შეფასება ერთი სახის ემოციური დამოკიდებულებით შეუძლებელია. თუ ეს ფაქტი, ერთი მხრივ, ტრაგიკულია და დიდი გლოვისა და ღრმა მწუხარების საგანია, მეორე მხრივ, როგორც ყველა მაღალი ზნეობის გმირის ტრაგიკული აღსასრული, საზოგადოების კათარზის მოასწავებს.

აქედან გამომდინარე, ბატონი ზვიადის ცხედარის საქართველოში მობრძანება დიდებული, ამალღებულია და შესაბამისად ქართველი კაცის სულიერი აღდგომის, მისი ზეობის საწინდარია.

ლარსიდან გადმოსვენების შემდეგ მის დამხვდურ მოხვევთა შორის ერთმა ჭარმაგმა კაცმა ბრძანა, ბატონი ზვიადის სულმნათ ცხედართან ერთად საქართველოში სიცოცხლე ბრუნდებო.

ამ პარადოქსულ ნათქვამში სულიერი სიცოცხლის აღდგომა-გაბრწყინებას გულისხმობდა ალბათ მთქმელი. თითქოს განგების ნებით, მისი ნეშტის შემობრძანება საქართველოში ჯვრის უღელტეხილის გადმოსვლით მოხდა.

ღამე, წყვილიაღმე, მთის კალთებზე მომავალ კორტეჟს, წმინდა სანთლების მოლიცლიცე შუქზე აკიაფებული ჯვრების უწყვეტი ხეივანი ეგებებოდა. იქნებ ისიც სიმბო-

ლურია, რომ კავკასიონის მაღალი ქედიდან დაბლა, თბილისისკენ ეშვებოდა მისი უკანასკნელი გზა, ქალაქისკენ, რომლის მოქალაქეთა გარკვეული ნაწილის საზოგადოებრივმა აზრმა და ქმედებამ განაპირობა ძირითადად თოთხმეტი წლის წინათ მისი ამ ტრაგიკული გზის დასაწყისი. დღეს კი იგივე საზოგადოება, გვჯერა, თვითონვე ინანიებს რა, ამ საბედისწერო შეცდომას, ალაზევეს მის ნეშტს მამა დავითზე და იქ დაუმკვიდრებს საუკუნო განსასვენებელს სხვა დიდ მამულიშვილთა გვერდით. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ეს კათარზის „ხვალ“ მაინც გაამთლიანებს გაბზარულ ეროვნულ თვითშეგნებას, რომელიც ჭეშმარიტად თავისუფალ, მაღალზნეობრივ მცნებებზე დაფუძნებულ საქართველოს გააბრწყინებს.

ჩვენ ვუერთდებით სრულიად საქართველოს, ერთი მხრივ ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ დიდი მამულიშვილის გარდაცვალების გამო, მეორე მხრივ კი ბედნიერნი და დამშვიდებულნი ვხარობთ ბატონი ზვიადის ნეშტის საუკუნო განსასვენებლის საქართველოში დამკვიდრებით, რადგან სული მისი იმთავითვე მიგვანჩნდა ზეციურ საქართველოში, ჩვენს დიდ წინაპართა სულთა თანამდგომად.

წმინდათა თანა განუსვენე ქრისტე ღმერთო გარდაცვალებულსა მონასა შენსა ზვიადს.

30/III – 2007 წ.  
ანკარა.

## ანკარა, ბილკენტის უნივერსიტეტის მუსიკისა და სასცენო ხელოვნების ფაკულტეტზე მოღვაწე ქართველი პედაგოგები და მათი ოჯახები:

**ცოტნე ნაკაშიძე** (რეჟისორი, პედაგოგი), **ნათია სეზისკვერაძე** (დიზაინერი), **შოთა სხირტლაძე** (მსახიობი, სასცენო, მოძრაობის პედაგოგი), **ლალი ბარათაშვილი** (ფილოლოგი), **გიორგი სხირტლაძე** (სტუდენტი, არქიტექტურის ფაკულტეტი), **ანზორ შამუგია** (თურქოლოგი), **მერაბ ლორია** (მუსიკოსი), **მანანა ლორია** (მუსიკოსი), **ნინო ლორია** (მუსიკოსი), **ლულუ პაიჭაძე** (ფილოლოგი), **გიორგი ანთაძე** (რეჟისორი, პედაგოგი), **მარინა ჩერქეზიშვილი** (ფილოლოგი), **გურამ აფხაზავა** (თურქოლოგი), **მზია ჯილიტაშვილი** (ფილოლოგი), **ზურაბ ნინუაშვილი** (მუსიკოსი), **შალვა გაგუა** (მუსიკოსი), **ნინო სხვიტარიძე** (მუსიკოსი), **ნელი გაგუა** (მოსწავლე), **ზურაბ სიხარულიძე** (რეჟისორი, პედაგოგი), **თამარიკო ხორავა** (მსახიობი)

**P.S. შეიტყვეს რა, ამ მომართვის შესახებ, ჩვენმა ნაცნობმა აქაურმა ქართველებმა და აქ დროებით მოღვაწე საქართველოს მოქალაქეებმა, მათაც გამოთქვას სურვილი თანადგომისა:**

**ქვესერ რუჰი** – ქეთინო ხანთაძე (მწერალი), **იუკსელ ოზბაში** – მალაყმაძე (ექიმი), **ნიმეთ ოზბაში** – მალაყმაძე (დიასახლისი), **ასლან გორელი** – გვარიშვილი (ინჟინერი), **ემინე გორელი** (დიასახლისი), **მურად კაკაბაძე** (სტუდენტი), **ალი რიზა კაკაბაძე** (ელექტროინჟინერი), **რაფეტ თანთანიძე** (ელექტროინჟინერი), **ბიარ შაჰინი** – გუნდარიძე (მომღერალი, კომპოზიტორი), **გიუნალთაი აჯარალიოღლუ** – დუმბაძე (ელექტროინჟინერი), **ილქნური აჯარალიოღლუ** – დუმბაძე (დიასახლისი)

## თურქეთში დროებით მოღვაწე ქართველები:

**დავით უგრელიძე** (მხატვარი), **გიული ჩიტინაშვილი** (ბიოენერჯის სპეციალისტი), **დიმიტრი ცეცხლაძე** (ავტორი წიგნისა „მეგობრობა გრძელდება“), **მანანა ხარატი** (რედაქტორი)

(ეს ადამიანები სწორედ თურქეთ- საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე მუშაობენ, აღნიშნულ წიგნში ამის ამსახველი მასალები შეიკრიბება, და ამდენად აქ, თურქეთში მოღვაწეობენ).

**ტოფიკ მირზაევი** – რადიო „თურქეთის ხმის“, ქართულენოვანი რედაქციის რედაქტორი.

მაია ჯალიაშვილი

## მზის ლოტოსები

„ბრუნავს სამყარო! – ჭვრეტით მისით გული ვინ იძლო“, – წერს ერთ ლექსში პოეტი და მისი პოეზია სწორედ ამ სიტყვების დასტურია. „გაუმადლარი ჭვრეტა“ გულისხმობს დაუსრულებელ სწრაფვას სამყაროს მრავალფეროვნების ჩასანვდომად. იქნებ სწორედ ამიტომაც დაარქვა დავით აგმონმა, თანამედროვე ებრაელმა პოეტმა, 2003 წელს ხაიფაში გამოცემულ თავის ლექსების წიგნს „ვიზიონები“. პოეტი სიტყვებით, პოეტური სახეების გამუდმებული მედიტაციებით ცდილობს უხილავ და უცნობ სამყაროთა მოხილვას. მისი აზრით, თუ პოეტი ხარ: „ეს სული შეშლილი დასცხრა და მინაზდა, რომელიც მარტოდენ სიზმრებს თუ ენდობა“, მაშინ „შენ გვედრი: მიმიხარ, მიხსენ და მიშველე, წმინდაო, წმინდაო, წმინდაო ვიზიონ!“ („ვიზიონი“). ამ შემთხვევაში, სიზმარი თუ წარმოსახვა მეტაფიზიკისკენ უკვალავს გზას. პოეტი ცდილობს რეალობას ახადოს საბურველი და დაინახოს მისი ნამდვილი სახე, ამიტომაც მოუხმობს „ვიზიონს“. ჭვრეტა, ხილვა, ძილ-ღვიძილი თუ ექსტაზი, ერთგვარი ქანაობა ფიზიკურსა და სულიერ სამყაროს, გულსა და გონებას შორის მისი პოეზიის შინაარსისა და სახისმეტყველების, სურნელისა და მუსიკის განმსაზღვრელია.

მშვენიერებასთან შეხვედრა გულს ყოველთვის უცნაურად ათრთოლებს, გონებას განწმენდს, სულს აღამალ-ლებს და თვალს უცნობ სანახებს გადაუშლის. სწორედ ამგვარი განცდები აღმიძრა ამ ლექსებმა. მათში იგრძნობა სწრაფვა მშვენიერისა და ამაღლებულისკენ. პოეზია ხომ ყველგანაა, სადაცაა ბუნების გულისფეთქვას მიყურადებული კაცი, რომელსაც შეუძლია ყოფითისა და ერთფეროვანის მიღმა მარადიულისა და მრავალფეროვანის განჭვრეტა და შემდეგ სიტყვიერ სამოსელში იმგვარად მოქცევა, დატყვევება, რომ სამყაროს უჩინარი ხმები და ფერები სხვათათვისაც მისანვდომი გახადოს.

**მთები მოსჩანან, როგორც ბუხრები,  
ნისლთა ფოლადით თეთრით, ხალიბით,  
და ალიონი – დრო ნამწუხრევი –  
კრთის მოელვარე გალავანივით**

(„ქებრონის მიმართ“).

დავით აგმონის პოეტურ წარმოსახვას ქართულ-ებრაული კულტურული ფესვები ასაზრდოებს. იგი ახლა ისრაელში ცხოვრობს, მაგრამ, ეტყობა საქართველოზე ფიქრი

დავით აგმონის პოეტური კრებულები: „ვიზიონები“ (ხაიფა, 2003); „იდუმალება“ (ხაიფა, 2005)



დავით აგმონი

არ ასვენებს. მისი სული კვლავაც აქ ტრიალებს, რადგან აქ დაიბადა და გაიზარდა, პირველი სიტყვაც ქართულ ენაზე წარმოთქვა, სამყარო მასში ქართული სიტყვით შეიჭრა და პირველი შთაბეჭდილებებიც აქ ჩაესახა. აქ გაატარა ბავშვობა, როგორც თვითონ ამბობს: „ძველი, ანგელოსური და დიადი დრო“ („რამდენი მახსოვს“), აქ აგრძნობინეს, გალაკტიონმა, გიორგი ლეონიძემ, ვაჟამ... ქართული სიტყვის ძალა და სურნელი.

ძიება ფესვებისა დავით აგმონის პოეზიაში ორი გზით წარიმართება, ერთია ცა, ღმერთის საუფლო, ბიბლიური სანახები, მეორე ქართველთა უძველესი საცხოვრისი – ქალდეა (ამ შემთხვევაში პოეტი ეხმიანება უპირველესად ტიცთან ტაბიძეს, რომელმაც ყველაზე ხშირად და მძაფრად გაიხსენა ქალდეა). იგი ამაცობს თავისი ტომითა და წარმომავლობით, ამიტომ ლექსებში ხშირად გაიელვებს წინაპართა ნაკვალევები.

**მიყვები ლანდეთს თუ ნალანდეთარ  
ტბას, რომ თვით ამ ტბის ლამით შევლამდე...  
ქალდეაში ვარ, მაგრამ მანდედან  
მაინც ვერ ვაღწევ სასუფევლამდე...**

(„ხსოვნა – ქალდეა“)

**ლილისფერია ჩემი ქრონიკა,  
ჩემი ვნებებიც – ლილისფერივე.  
ამ ვიზიონებს უნდა ვემონო,  
რომ სინამდვილე მექნეს იოლი...**

(„სადღეობო ვიზიონი“)

ამ ვიზიონებს უპირველესად წარსული კვებავს და ფრთებს აშლევინებს.

ამ პოეზიაში იგრძნობა ქართული სიტყვის თავდავიწყებული სიყვარული, სიტყვებით თამაში ოსტატობის რანგშია აყვანილი. გამოთქმის სინატიფე და დახვეწილობა ამ ლექსთა გამოკვეთილ ნიშნად შეიძლება დასახელდეს. პოეტი დაეძებს და პოულობს სიტყვებს, ძველებს, ახლებს, მერე ერთმანეთს უწყვილებს და ნაცნობ სიტყვათა უცნობი კავშირებიდან ქმნის დაუფინყარ განცდებს.

**ამ სულს ცა შარშან ვარდებს უფენდა,  
უკანასკნელად რით გავზვიადდი.  
ლამით ღრმავდება ღრმული ღრუბელთა,  
ფრენს სერაფიმი, ფერად ცრიატი**

(„მთვარის აფსიდა“)

ეს არის საოცარი ენერგიით სავსე ლექსები. ამ ენერგიის განცდას უპირველესად სიტყვები ბადებენ. მას სწორედაც რომ, „სიტყვები წერენ“. საგულისხმოა, რომ პოეტი ტრადიციული ქართული რითმიანი ლექსის უღალატო ერთგულია. მისი რითმა მკვირვია, საგანგებოდ გამოჭე-

დილი, თითქმის ყველა ლექსი ჯვარედინი რითმითაა და-  
წერილი, რაც პოეტისგან დახვეწილ პოეტურ სმენას მო-  
ითხოვს:

**კლდე სჩანს დამსხვრეული ფრეგატივით,  
დროა – უბასრესი სატევარი,  
მთვარე ცის ფითრდება ნეგატივით,  
უცხო და ღამეებნათევარი.  
მწირთ რამ გითვალთვალებს სამეული,  
ვინც კრავთ, – გელანდება, – აბალახებს  
და შორს სერაფიმი ღამეული,  
ღრუბლის ეფარება ყაბალახებს.**

არის ცთუნება ამ მშვენიერი ლექსის ბოლომდე ციტი-  
რებისა. აქ ვიზუალური ხატები და მუსიკალური რიტმები  
ოსტატობითაა ჩანწული ერთმანეთში, სახეების ფიერ-  
ვერკი უნებურად გიტაცებს, თანვე ფორმა აზრს როდი  
შთანთქავს და აფერმკრთალებს, პირიქით, გამოკვეთს  
სამყაროს იდუმალებას, შემოქმედ სამებას, წუთისოფლის  
კრავებს სიყვარულით რომ აბალახებს, და მფეთქავი სივ-  
რცის შორეულ იდუმალებაში იქარგება ღამეული სერა-  
ფიმი, ღრუბლის ყაბალახებს მოფარებული, მშვენიერებას  
მიყურადებული, სიცოცხლეს რომ იცავს და მფარვე-  
ლობს. პოეტი უბიძგებს მკითხველს წარმოსახვის უკიდე-  
განო დრო-სივრცულ სანახებში სამოგზაუროდ. გამოთ-  
ქმის ფორმას ამ პოეზიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭე-  
ბა, ამიტომაც უყვარს სონეტები, ტრიოლეტები. ამ მხრივ,  
ის ენათესავება ქართველ სიმბოლისტებს და გალაკტიონ  
ტაბიძეს, სწორედ მისი პოეზიის რემინისცენციები არაერ-  
თხელ გაიღვლებს ამ ლექსებში. არაერთი სტრიქონი მოგა-  
გონებთ გალაკტიონს, უპირველეს ყოვლისა, ფრაზის მუ-  
სიკალობითა და გამოთქმის დახვეწილობით:

**მელიან მთვარეულ კორდებზე ვარსკვლავთა  
ბალიშნი  
და მრკალავს მთვარის და პოეტის ბექედი ნანიშნი**  
*(“მთვარეულ კორდებზე“)*

**ცა სჩანს... დაღლილი დაფნა-პრინცესა –  
ოჰ, ამ ზეცაში სად დავაძინო?..**  
*(„მსხვერპლი“)*

პოეზია მისი მთავარი საქმეა, ბედისწერაა:

**ჰა, ლექსი, რისი თხზვაც ღმერთებმა მე დამავალეს**  
*(„მინა – სამარე“)*

დავით აგმონის პოეტური კრებულები მისი ცხოვრე-  
ბის მატთანაა, ამ ლექსებში ასახულია მისი ნანახ-განცდი-  
ლი, აღბეჭდილი რეალური თუ წარმოსახული დრო-სივ-  
რცეები, ასე რომ, ამ ლექსებით იხატება მისი გუმინდელი  
დღე თუ დღევანდელობა, მისი სიხარული და წუხილი. პო-  
ეტი მკითხველს წარუდგება თავისი პოეტური ქონებით  
და გულუხვად მასპინძლობს:

**იუდეაში დრო-ჟამს ავებენ,  
მე დამწვა სილამ-ფხვიერმა კვარცმა,  
და სსოვნას მაგ შენ დამაბრმავებელ  
სილამაზეზე დავარქვი ჯვარცმა**

*(„იუდეაში დრო-ჟამს ავებენ“)*

დავით აგმონი 1973 წელს გაეგზავრა ისრაელში საც-  
ხოვრებლად. ორივე კრებულში წარმოდგენილია ლექსები  
1966 წლიდან დღემდე, ე. ი. წასვლამდე და მას შემდეგ. რა  
ცვლილებები გამოიწვია სივრცის ამგვარმა შეცვლამ?  
უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა პოეტის პოეტური სისტე-  
მა უკვე აქ ჩამოყალიბდა, ამ თვალსაზრისით მხოლოდ არ-  
სებულის შემდგომ დახვეწაზე შეიძლება ვისაუბროთ,  
ვგულისხმობთ ლექსის ფორმას, რითმას, რიტმს, ტრო-  
პებს. რაც შეეხება თემატიკას, ამ თვალსაზრისით უფრო  
გამრავალფეროვნდა, პასტორალებს ჩაენაცვლა ევროპის  
ურბანისტული სურათები, თვით ეს გამგზავრებაც აისახა  
ლექსებში, რა თქმა უნდა, სხვაგვარად წარმოუდგენელიც  
იქნებოდა, პოეტი თითქოს ფესვებიანად ამოიღეს ხესა-  
ვით და სხვაგან გადარგეს, მაგრამ იმ მიწის მონატრება  
სამუდამოდ ჩარჩა გულში.

**გახსოვს ის ჩვენი ბალი, ბოსტანი  
და მომღერალი ვაჟი, ნინველი,  
ან კიდევ – ფრთენი ანგელოსთან  
და ტყე მოგვი და ნათელმხილველი?  
აქ ცრის ახლა და ფოთლის ნახარში  
სითხის ფერია ღრუბელთ ტივ-ნავი,  
რით ნიავი სწუხს ნავენახარში,  
ერთ დროს ფერადი და მომხიბლავი**

*(„ნავენახარში“)*

უფრო ზუსტად, აქაურობა მისი ცხოვრების ისეთივე  
განუყოფელი ნაწილია, როგორც ჩავლილი დრო. შემოიჭ-  
რა იერუსალიმური საღამოების ციკლი, პოეტმა მიაყურა-  
და ლეგენდებს, სული შეუშფოთა უცხო განცდებმა:  
„ოდეს ლოცვანი სიმშვიდეს მოგგვრის მჭმუნვარ ტაძარ-  
თან“ („ოფორტი“), და მოსალოდნელი საფრთხის მოლო-  
დინი: „რას მოასწავებს სისხლით დაწინკლული ყვავი-  
ლი“. ეს არის ჯერ კიდევ 1973 წელს პოეტური ინტუიციით  
განჭვრეტილი დღევანდელობა. პოეტური გადაძახილია  
მურმან ლებანიძის ცნობილ სტრიქონებთან: „უფლისცი-  
ხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი არა დაღვრილის,  
დასაღვრელის ალბათ მაცნეა“.

მერე იყო პარიზი და რომი, რომელმაც განაცდევინა  
სხვანაირი „პოეტური წვა და ბნედა“ (გალაკტიონი: „ნახე  
პარიზი და დაგმე“).

მეორე კრებულში, სახელწოდებით „იდუმალება“ პოე-  
ტი წარმოსახვით კვლავ გაარღვევს რეალობის სამანებს  
და ეზიარება ნაოცნებარს. ამ ლექსებში გაისმის ხან ტკი-  
ვილი და ოხვრა დაკარგული სიყვარულის, ჩადენილი შეც-  
დომების, ჩავლილი დროისა და მიტოვებული სანახების  
გამო, ხანაც სულიერი ობლობით გამონვეული კვნესა, აბა  
სხვა რაზე უნდა წეროს პოეტმა, რომელსაც აფიქრებს ყო-  
ფის წარმავლობა და მარადისობის იდუმალება. „ამაოება

## პრიტიკა

ამაობათას“ ბიბლიური სატიკვარი მის ლექსებსაც გამ-სჭვალავს, ჩნდება დაკარგული სამოთხის მონატრების განცდა, მისკენ სავალი გზების მოძიების წყურვილი. ლექსებმა, რომელთაც ამგვარი ფიქრები აღმიძრეს, გამახსენეს შესანიშნავი წიგნი „შუა საუკუნეების ებრაული პოეზია“, რომელიც ჯემალ აჯიაშვილმა შთამბეჭდავად თარგმნა. პირველად სწორედ ამ წიგნით გავიცანი ებრა-ელ პოეტებს: შემუყელ ჰანაგიდს, შელომო იბნ გებროლს, მოშე იბნ ეზრას, იეჰუდა ჰალევეს, ბრაჰამ იბნ ეზრას და სხვებს. არასოდეს დამავინწყდება მაშინდელი აღტაცება და გაოცება, რომელიც ამ ლექსების ნაკითხვისას განვი-ცადე. ეს იყო სრულიად ახალი პოეტური სამყარო, თემა-ტიკითა და, უპირველესად, გამოთქმის თვალსაზრისით. ამ თარგმანებში მკითხველმა შეიგრძნო ძველი და ახალი აღთქმის ქართული თარგმანებისა და ჰიმნოგრაფიის სურნელი. მახსოვს, როგორ ვიზუპირებდით და ვტკებო-დით შელომო იბნ გებროლის „იეჰუთიელის დატირების“ საოცარი სტრიქონებით. ალბათ, შემთხვევითი არც ის უნ-და იყოს, რომ დავით აგმონის ნამდვილი გვარი აჯიაშვი-ლია. ეტყობა, ამ გვარის გენში არის მძლავრი წყურვილი პოეზიისა. შუა საუკუნეთა ებრაულ პოეზიას ეხმიანება სტრიქონები:

**ღამის სუფევია კმა  
არს, ან შემოჰკრავენ ძელს,**

**მესმის სერაფიმთა ხმა,  
ცა პურს საკურთხისთვის ზელს**

(„მესმის სერაფიმთა ხმა“)

ან კიდევ:

**მენატრები! ჩემს მფარველ და მწყემს  
ცას შევყურებ მე ზალიდან შელმა**

(„გიგონებ“)

საგანგებოდაა აღსანიშნი – ორივე კრებული, საკმაოდ მოზრდილი, გამოირჩევა იმით, რომ თითქმის არ არის სუსტი ლექსები და არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ პო-ეტმა რაც დანერა, ყველაფერი შეიტანა, ან ეს კიდევ ერ-თხელ მონაშობს მის მაღალ ოსტატობაზე, როცა ლექსის ნერა ხელობას ნიშნავს.

„გთხოვ, ცრემლო, შეგწვედეს, – ღირაზე მარადის ეჟონო“ („მთვარეულ კორდებზე“), – წერს პოეტი ერთ ლექსში. აქ ჩანს წყურვილი, რომ მისი პოეზია მუდამ იყოს შიშველი ნერვივით მგრძნობიარე, სიტყვა – ცოცხალი და ვნებიანი, სული – ტანჯული და მგლოვიარე, გული კი და-უღვეველი და უზვი სიყვარულით სავსე. მკითხველი კი ასეთ პოეზიას, მზის ლოტოსებით გასხვივოსნებულს, ყო-ველთვის სიხარულით შეხვდება.

## პრონიკა

13 აპრილს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუ-ზეუმში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც მიეძღვნა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, ჟურნალისტის, ნავ-თობის მრეწველისა და მეცენატის იაკობ მანსვეტაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავს.

უპირველესად, სჯობს ითქვას, რაც გაკეთდა ამ თვალსაჩინო მოღვაწის მო-საგონებლად: სერიით „ქართული მემუ-არული ლიტერატურა“ შარშან გამოიცა მოზრდილი კრებული იაკობ მანსვეტაშ-ვილისა, სადაც თავმოყრილია სანდო მოგონებანი XIX საუკუნის კორიფეებზე, აგრეთვე გამოქვეყნებულია მემუარისტის მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები.

წიგნი დასაბეჭდად მოამზადა იაკობ მან-სვეტაშვილის ერთ-ერთმა უმცროსმა მემკვიდ-რემ დავით ცერცვაძემ, ვისი მზურნელობითაც სახლს (ოთარ ქინქლაძის ქ. 1/2), სადაც 1928-44 წლებ-ში ცხოვრობდა იაკობ მანსვეტაშვილი, გაუკეთდა მემო-რიალური დაფა.

... თავბრუდამხვევი, მღვრიე ქალაქური რიტმიდან მყუდრო გარემოში შეყოვნებულს სიამეს გვგრის გაცხადებული ერთგუ-ლება ტრადიციებისადმი, როცა მადლს მადლიერებას უზღავენ.

ითქმის გადაუჭარბებლადაც, მიგება სიკეთისა გიორგი ლეო-ნიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის კედლებში არასო-დეს ავინყდებათ. თუკი ოდესმე მანაც შესწრებიხართ მათი გუ-ლითადობით გამორჩეულ ლიტერატურულ საღამოებს, ღამაზ



**იაკობ  
მანსვეტაშვილი**

მოგონებადაც გაიხანგრძლივებდით... ეს შეხ-ვედრაც არანაკლები იყო.

...საუბარი XIX საუკუნეიდან.

სახელდახლოდ განყობილი სცენა ოთხ ახალგაზრდა მსახიობს – დეკლამა-ტორს – დაეთმო: მარინე კურტანიძე, თა-მარ ხმელიძე, კოტე მუჟავია და გოჩა ხმა-ლაძე შთამბეჭდავი სახიერებით კითხუ-ლობდნენ ფრაგმენტებს იაკობ მანსვე-ტაშვილის მოგონებიდან. ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზ-ბეგის, აგრეთვე მათ თანამედროვეთა ძვირფასი სახელები ხან ხალისიანად გაკრთებოდა, ხანაც სევდას მოიყოლბდა.

სიტყვით გამოვიდნენ გურამ შარაძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ცისანა გენძეხაძე, დავით ცერცვაძე.

გამომსვლელებს, იაკობ მანსვეტაშვილის დამსახურებული ღვაწლის აღიარებასთან ერთად, მუზეუმის სიცოცხლისუნარიანობაზეც არ დანანები-ათ მადლიერი სიტყვების გამოხატვა. მათ სასურველად მიიჩნიეს ამ ღონისძიების განმეორება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რათა ახალმა თაობამ უფრო უკეთ განიცადოს XIX საუკუნის სურნელი და სულისკვეთება.

„ლეონიძელთა“ საქებრად უნდა ითქვას გაზეთზეც, სპეცია-ლური ნომერი მომზადდა იაკობ მანსვეტაშვილის საიუბილეოდ. პროექტის ავტორი ქალბატონი იზა ორჯონიკიძეა, მუზეუმის ენერგიულ და პროფესიონალ გუნდთან ერთად.

ეს მშვენიერი საჩუქარი ყოველი სტუმრისათვის სათითაოდ იყო განკუთვნილი.

## რა არის ღირებულება

გამარჯობათ.

დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმ საქმისათვის, რაც ხელს უწყობს ჩვენი საზოგადოების განვითარებას და მისი განათლების დონის გაზრდას.

დღესდღეობით წინა პლანზე წამოწეულია ისეთი თემები, რომლებიც ჩვენი საზოგადოების გადაგვარებას უწყობს ხელს. სწორედ ტელევიზიის საშუალებით ცდილობენ ქართული საზოგადოების ცნობიერების დამახინჯებას და საექსპოზიციო ზნეობის ადამიანების მისაბაძ ნიმუშებად დასახვას. არსებობს რეალური შოუები და დაუსრულებლად განელილი სერილები, რაც უდიდეს ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობაზე და მათი გონების დაკნინებას განაპირობებს.

ილიას, აკაკის, გალაკტიონის სამშობლოში ლიტერატურა თითქოს დაიჩაგრა, რადგან ნებისმიერმა ახალგაზრდამ რომელიღაც შოუში მონაწილის სახელი უფრო კარგად იცის, ვიდრე რომელიმე თანამედროვე მწერლის სახელი და გვარი...

ვალდებულ ვართ დღევანდელ საქართველოში არსებობენ მწერლები, რომლებიც ნამდვილად არ იმსახურებენ ამ სახელს, რადგან მათ დაავიწყდათ, რომ ლიტერატურა ადამიანის გონებაზე და მის განვითარებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს. ისინი კი მდარე ნაწარმოებებით ახალგაზრდა თაობაზე უარყოფით გავლენას ახდენენ.

ძალიან მომწონს „ჩვენი მწერლობის“ რუბრიკა „კრიტიკა“, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ საზოგადოებამ დაინახოს, რა არის ღირებულება და რა – უხარისხო... ეს კი კვალიფიციურმა და პროფესიონალმა კრიტიკოსებმა უნ-

და შეაფასონ, რასაც მშვენივრად ართმევს თავს „ჩვენი მწერლობის“ კრიტიკოსთა ჯგუფი.

არ ვიცი, რა უნდა ვთქვა ქალბატონ მაკა ჯოხაძეზე, რომელიც მართლაც დიდებული მწერალია... მისი ესეი „სამშობლოდ ქცეული ბავშობა“ ჩემთვის მართლაც აღმოჩენა იყო...

აღბათ ამ მწერლის დამსახურებაა ის, რომ არსებობს საპატრიარქოს რადიოში ასეთი გადაცემა „საუბრები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე“. ჩემთვის უდიდესი სიხარულია ასეთი ტიპის გადაცემები და მათი მოსმენა... როცა არ არსებობს სატელევიზიო სივრცეში არცერთი ლიტერატურული გადაცემა... ეს მართლაც შემამოთხლებელია...

სამწუხაროა, რომ „ჩვენი მწერლობა“ შედარებით მცირე ტირაჟით გამოდის... მე სპეციალურად ვაბარებ გაზეთების გამყიდველს, რომ მომიტანოს ეს ჟურნალი... და ზოგჯერ ვერც ვასწრებ შეძენას...

ერთხელ, მახსოვს, თავისუფლების მეტროდან ამოვდიოდი და დავინახე „ჩვენი მწერლობის“ ახალი ნომერი. მაშინვე ვიყიდე, თუმცა ეს ნომერი ჩემთვის საგანგებოდ ექნებოდათ შენახული...

დიდი გულისყურით ვადევნებ თვალს თქვენი ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებს და ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ საზღვარგარეთული ლიტერატურის შესახებაც წერთ და გვაცნობთ საინტერესო მწერლებს...

გისურვებთ წარმატებებს.

თორნიკე თევზაძე,  
15 წლის

## „ქარაგმა“ არ უნდა ჩაიკარგოს

ამასწინათ, როცა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ახალი ნომერი შევიძინე და გადავფურცლე, თავდაპირველად, „ნიგნის თაროზე“ წარმოდგენილ ნიმუშებს გადავაველე თვალი, სადაც, ჩემთვის მოულოდნელად, ნაცნობი ნიგნის გარეკანი დავლანდე:

„ქარაგმა“.

რადგან ამ ნიგნის ავტორთან, ზვიად კვარაცხელიასთან, დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს (ჩვენ ერთად ვიღებდით მონაწილეობას მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ სამეცნიერო-ლიტერატურულ კონფერენციებზე და სხვადასხვა სახის სემინარებში), ძალზე გამიხარდა მისი გამოჩენა აქ, ამ მართლაც გამოჩენილი ჟურნალის ფურცლებზე.

„ქართულ-ევროპული ინსტიტუტის“ მიერ გამოცემული ეს ნიგნი ჩემი ერთ-ერთი უახლოესი მეგობრის წყალობით ჩამივარდა ხელში, რომელიც, თუ არ ვცდები, ეს-

წრებოდა ზუგდიდში „ქარაგმას“ პრეზენტაციას და, შთაბეჭდილებათა გაზიარების შემდგომ, მისი ნაკითხვაც მირჩია.

ჯერჯერობით, როგორც ვიცი, თბილისში არ გამართულა ნიგნის წარდგინება და ბევრისთვის უცნობია ზვიად კვარაცხელიას მიერ საკმაოდ ორიგინალურად დანახული და აღქმული სამყარო, „გიჟის კონსტიტუცია, წერად ნაწარმოები გაურკვევლობის დრო-და-სივრცეში, გადაშენებისა და გადაგვარების ნიალ...“

მოხარული ვიქნები, თუ მოხერხდება „ქარაგმას“ დროული შეფასება და მინიჭება მისთვის ლიტერატურული სიცოცხლისუნარიანობისა, რათა არ გაიზიაროს იმ ნიგნების ბედი, რომლებიც მავანთა გულგრილობით ჯერაც დაუფასებელია.

პატივისცემით,

თამარ გენაძე

# აქემენიდურ წარწერათა ფრაგმენტები

\*

ციკლიდან: „აქემენიდთა დიღება“

## კარის სახელურები

1  
ძვირფასი ქვისგან გამოჭრილი კართსახელურნი აჰა, დარაიავაჰუ მეფის სრას ამშვენებენ!

*პერსეპოლისი*

2.  
კეთილშობილი ქვისგან თლილი სახელურებით ნშიარმა მეფის სრა-სასახლე დამშვენებულა

*პერსეპოლისი*

## ფანჯრის რაფები

დარიოს მეფის სასახლის სარკმლებში ჩასმულა რაფები, ქვისგან გამოთლილი.

*პერსეპოლისი*

## სასახლეები

1.  
დარაიავაჰუს, დიად ხელმწიფეს, მეფეთა მეფეს, მხარეთმეუფეს. ვიშტასპას წულს და ჰახამანიანს, ეს სრა-სასახლე აქ აუგია, ტაჩარად თქმული.

*პერსეპოლისი*

2.  
მე ვარ დარიოს, დიდი ხელმწიფე, მეფეთა მეფე, მეფე ქვეყნების, ამ მინა-წყლის მპყრობელი ერთი. ვიშტასპას ვაჟი, აქემენიდი. აცხადებს მეფე დარაიავაჰუ: „აჰურამაზდას ნება-სურვილით, აქ ამიგია ეს ძვირფასი სასახლე ჩემი“.

*სუზა*

3.  
დარაიავაჰუ ვარ, დიადი მეფე, მეფე მეფეთა, მხარეთმპყრობელი, ამ სამფლობელოს მეუფე სრული. ძე ვიშტასპასი, ჰახამანის ჩამომავალი. ამბობს ხელმწიფე დარაიავაჰუ: „ჩემს სასახლეში, აჰა, დავდგი სვეტები ესე!“.

*სუზა*

4.  
დარაიავაჰუ ვარ, მეფე დიადი, მეფეთა მეფე, ამა მინა-წყლის ხელმწიფე, ვიშტასპას ვაჟი, აქემენიანთ გვარისა. აცხადებს მეფე დარაიავაჰუ: „ეს რაც აღვასრულე, წინასწარი განზრახვით როდი გამიკეთებია, არამედ აჰურამაზდას ბრძანებისაებრ მოვიმოქმედე. აჰურამაზდა იყო ჩემი შემწე და მწყალობელი. რაც აღვასრულე, ის ყოველივე კეთილად იქმნა. იტყვის ხელმწიფე დარაიავაჰუ:

„აჰურამაზდას მალალი ნებით, ვინც კი იხილავს ჩემს აგებულ ამ სრა-სასახლეს, დაე შეიტკბოს თვალმა მისმა მშვენება ესე! დე, დამიფაროს აჰურამაზდამ და დაიფაროს სამეფო ჩემი!“

*სუზა*

## მეფე და სამეფო

1.  
დარაიავაჰუ ვარ, მეფე დიადი, მეფეთმეფე, პარსას მეფე. მეფე ქვეყნების. ძე ვიშტასპასი, არშამას შვილიშვილი, აქემენიდი. წარმოთქვამს ხელმწიფე დარაიავაჰუ: მამარჩემი ვიშტასპაა, ვიშტასპას მამა არშამაა, არშამას მამა არი-არამნაა, არიარამნას მამა ჩიშპიში იყო, ხოლო ჩიშპიშის მამა -ჰახამანი. აცხადებს დარაიავაჰუ მეფე: აი ამიტომ ვინოდებით ჩვენ ჰახამანიანებად! ოდითგანვე წარჩინებულნი ვართ, კეთილშობილნი. ძველთაგან მეფობდა გვარი ჩვენი. აცხადებს მეფე დარაიავაჰუ: რვა ჩემი საგვარეულოდან იჯდა აქ მეფედ. მე მეცხრე ვარ. და განვიყოფებით ჩვენ ორ სამეფო შტოდ. და განიყოფება ჩვენი საგვარეულო ორ სამეფო შტოდ.

*ბაგასტანა (ბისუთუნი)*

2.  
დიდმა, მალალმა აჰურამაზდამ, ღმერთთა უფალმა, გაახელმწიფა დარაიავაჰუ. მანვე გადასცა ეს სამფლობელო..

აჰურამაზდას სურვილით მეფობს დარაიავაჰუ, დიადი მეფე.

აცხადებს მეფე დარაიავაჰუ: „ამა სამეფოს, სახელად პარსას, აჰურამაზდამ რომ ჩამაბარა, კეთილსა, ამოს, ცხენმშენიერსა, დასახლებულსა მშვენიერ ხალხით.

აჭურამაზდას წყალობითა და ჩემი, დარიოს მეფის  
ნადილით, –  
არ აქვს მტრის შიში!

ამბობს ხელმწიფე დარაიავაჰუ:  
„ო, მეოხ მეყოს აჭურამაზდა, სამეფო სახლის  
ღმერთებთან ერთად!  
დე, დაიფაროს ეს ქვეყანა აჭურამაზდამ!  
მტრისგან, ჭირისგან, შიმშილისგან, ტყუილისაგან!  
ველარ შეეხოს ამ მინა-წყალს ვერცა ლამქარი,  
ვერც ბოროტება, ვერცა ავი, უკულმართობა!

აი ამ წყალობას ვევედრები აჭურამაზდას,  
სამეფო კარის მფარველ ღვთაებებს.  
ჰოდა, მომადლოს წყალობა ესე აჭურამაზდამ,  
სამეფო გვარის მფარველ ყველა ღმერთებთან ერთად“.

*პერსეპოლისი*

3.  
დარაიავაჰუ ვარ, დიადი მეფე, მეფე მეფეთა,  
მეუფე, მპყრობი მრავალ მხარეთა,  
ვიშტასპას ნული, ჰახამანის შთამომავალი.

აცხადებს მეფე დარაიავაჰუ:  
„აჭურამაზდას ნება-სურვილით, აი ქვეყნები,  
სადაც მე ვუფლობ

სპარს ხალხთან ერთად, –  
მოშიშნი ჩემნი, ვის ჩემ წინაშე მოჰქონდა ბაჟი,  
ვინც ხარკს მიხდიდა რიდიტ და კრძალვით:  
„ელამი, მიდნი, ბაბილონი, არაბეთი და ასურეთი,  
მისრეთი, სპარდა, არმინა და კაპადოკია.  
იონიელნი, ხმელეთის მკვიდრნი, და ზღვისპირელები;  
და ზღვისიქითა ქვეყნების რიგი:  
ასაგარტია, პართავა, ზრანკა;  
ჰარაივა, ბაქტრი და სოლდი;  
ხვარაზმი, თატაგა, ჰარაუვატი,  
ინდო, განდარა, საკა და მაკა“.

იტყვის ხელმწიფე დარაიავაჰუ:  
„თუ შენ იფიქრებ: „დაე, არ მექნეს მე ვისმეს შიში!“ –  
მას, დაიფარე ეს სპარსი ხალხი!  
თუ ერი სპარსი დაცულ იქნება, დღევრძელი, მტკიცე,  
შეურყვეველი, –  
ბედნიერება დაისადგურებს: კეთილდღეობა  
მრავალჟამიერ!

სწორედ ეს მადლი მოუვლინოს აჭურამაზდამ  
ამ სამეფო კარს-გვარს ჩემსას მეფურს!“

*პერსეპოლისი*

4.  
დარაიავაჰუ, დიდი ხელმწიფე,  
მეფე მეფეთა, მინათმპყრობელი.  
ვიშტასპას ვაჟი, აქემენიდი.

ნარმოთქვამს მეფე დარაიავაჰუ:  
„აი ეს სამეფო, რომელშიც ვუფლობ:  
სოლდსიქით საკნი-ვიდრე კუშამდე,  
ინდოეთიდან-ვიდრე სპარდამდე.  
აი, ეს მიბოძა აჭურამაზდამ, – მან, ღმერთთა შორის  
უზენაესმა

დაე, მფარავდეს აჭურამაზდა;  
დე, მფარველ ექმნეს აჭურამაზდა  
ჩემი სახლს სამეფოს!“

*პერსეპოლისი*

5.  
ვარ დარიოსი,  
დიდი ხელმწიფე,  
მეფე მეფეთა,  
ვიშტასპას ნული.

*სუზა*

6.  
დარაიავაჰუ ვარ, დიდი ხელმწიფე, მეფეთმეუფე,  
ქვეყნების მეფე,  
ყველა მინა-წყლის მპყრობელი ერთი,  
ვიშტასპას ნული, აქამანიდი.

*სუზა*

7.  
აი სპარსი, აი მიდი,  
ეს არს უვჯელი, ის პართაველი,  
ესეც საკელი წვეტიან ქუდით,  
ბაბილონელი, და ასურელი,  
ეს კი მაკელი, – ქვეყნიდან მაკა.

*ნაყშეროსთამი*

**აჭურამაზდა და მეფე**

1.  
მე დარაიავაჰუ ვარ, დიდი მბრძანებელი, ხელმწიფეთა  
ხელმწიფე, მეუფე ქვეყანათა, ვიშტასპას ვაჟიშვილი, აქა-  
მანიანი. აცხადებს ხელმწიფე დარაიავაჰუ: „აჭურამაზდას  
ნება-სურვილით აღმისრულებია ყოველივე, რაც კი აღ-  
სრულებული მაქვს. ჩემი აღსრულებული კი არის ყველას  
მონონებული“.

*სუზა*

2.  
მე ვარ დარაიავაჰუ, დიდებული მეფე, ხელმწიფეთა ხელ-  
მწიფე, მინათმეუფე, მპყრობელი ამა ქვეყნისა, ძე ვიშტას-  
პასი, ჰახამანის შთამომავალი. იტყოდა მეფე დარაიავაჰუ:  
„მას შემდეგ, რაც აჭურამაზდამ გამახელმწიფა ამ მინა-  
წყალზე, აჭურამაზდას ნადილისამებრ ყოველივე მოვი-  
მოქმედე ოდენ სიკეთით, კეთილადქმნილი“.

*სუზა*

3

მე ვარ დარიოს, მეფე დიადი,  
მეფეთა მეფე, ერთამეუფე,  
ვიშტასპას ვაჟი, ჰახამანიდი.

ამბობს მეუფე დარაიავაჰუ:  
„აჰურამაზდამ, აჰა, მიბოძა  
სამეფო დიდი კარგხალხიანი,  
ხელმწიფედ დამსვა ამ ქვეყანაში.

აჰურამაზდას მაღალი ნებით,  
აი, ერები, რომელთა ზედაც  
დავჯექი მეფედ, გავმეფდი სრულად:

პარსა და უვჯა, ბაბილონი და ასურეთი;  
არაბეთი და მისრეთი, სპარდა;  
იონიელნი, მიდნი, არმინა;  
კატპატუკა და პართავა, ზრანკა;  
ჰარაივა და ხვარაზმი, ბაქტრი;  
სოლდი, განდარა, თატაგიდია;  
ჰარაჰუვატი, ჰინდუ და სკუდრა;

და ფაროსანი იონიელნი“.

სუზა

4.

მაღალმა ღმერთმა აჰურამაზდამ,  
უზენაესმა ღვთაებებს შორის,  
დარაიავაჰუ გაახელმწიფა.  
მანვე უბოძა სამეფო ესე, –  
ქვეყანა კარგი, კარგეტლიანი,  
კარგცხენიანი,  
კეთილი ხალხით.

სუზა

5.

ნარმოთქვამს მეფე დარაიავაჰუ:  
აჰურამაზდას მაღალი ნებით,  
რაც განვიზრახე აღსასრულებლად,  
სრულად ყოველი მომეველინა  
კეთილად ქმნილი.

სუზა

6.

მე ვარ ხელმწიფე დარაიავაჰუ, მეფე დიადი, მეფეთა მეფე,  
მინათმეუფე – ქვეყნის მპყრობელი, ვიშტასპას ვაჟი,  
ჰახამანიდი.

იტყვის ხელმწიფე დარაიავაჰუ  
„ჩემი შემწეა აჰურამაზდა, და მეც ვეკუთვნი  
აჰურამაზდას.

აჰურამაზდას ვეთაყვანები,  
ვემსახურები თაყვანისცემით,  
დე, მეოხ მეყოს აჰურამაზდა!

სუზა

### მეიარაღენი

1.

გაუბარევა პატიშუვრელი,  
არს შუბოსანი დარიოს მეფის.

ნაყშეროსთამი

2.

ასპაჩანაა ეს მშვილდოსანი,  
მეიარაღე დარიოს მეფის,  
ხელთ რომ უპყრია შუბმტყორცნი მშვილდი.

ნაყშეროსთამი

### გარელიეფები

1.

ამ კვეთილობის გამოჭრა ბრძანა მეფეთამეფემ  
დარაიავაჰუმ

დაე, ჰფარავდეს აჰურამაზდა  
დარაიავაჰუს, ხელმწიფეს დიადს.  
და ნამოღვანარს, – ამ ღვანლსა მისას.

სუზა

ქველსპარსულიდან თარგმნა  
მანია სახოკიამ



მთარგმნელისაგან

თქვენს წინაშეა აქემენიდური წარწერების, ანუ ძველსპარსული ტექსტების შერჩეული მცირეტიანი ნიმუშები. მცირეტიანიანობის მიუხედავად, ამ ნიმუშებში ირეკლება მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გამოგნებელი უძველესი ცივილიზაციის მთელი ეპოქა; აისახება ზოროასტრული რელიგიის სამყარო – სინათლისა და სიკეთის უზენაესი ღმერთის აპურამაზდას კულტითა და გრანდიოზული მატერიალური კულტურით, რომლის ოდენ ნამსხვრევებს მოუღწევიათ ჩვენამდე; და ეს ნამსხვრევები დღესაც გვიხბლავენ და გვაჯადოებენ: ვის არ გაუგია ლეგენდარული პერსეპოლისი, სუზა, ნაყშეროსთამი, იაზდი... აქემენიდები ან აქამანიანები (სახელიდან ჰახამანი, – აქემენი) – ძველი ირანის ძლევამოსილი სამეფო დინასტია, რომელიც მართავდა უზარმაზარ იმპერიას VI-IV ს.წ.-ში, – დაახლ. 550-330 წ.წ.-ში – ქრისტეს შობამდე. ეს იმპერია აერთიანებდა იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს უამრავი სხვადასხვა ქვეყნის კულტურას და დაგვიტოვა კიდევ დიდი კულტურული მემკვიდრეობა მატერიალური ძეგლებისა და წერილობითი საბუთების სახით.

აქ წარმოდგენილია აქემენიდურ წარწერათა ნიმუშები, რომელიც მხატვრული ღირებულებებით ხასიათდება. შინაარსობრივად არსებითად ეს სამეფო ქრონიკებია, მაგრამ წარწერათა შთაგონებული პათოსი, ამაღლებული (მაღალი) სტილი, სტილისტური თავისებურებანი და პოეტიკური მახასიათებლების ნიშანთა ერთობლიობა – როგორცაა მეტრი და რიტმი, სხვადასხვა მხატვრული ხერხების გამოყენება (მაგ., ეტიმოლოგიური ფიგურები, საკრალური ფორმულები, გამოკრება, პარონომასია და სხვ.), – მხატვრული ნაწარმოებების ტოლფარდ ლიტერატურულ მოვლენად აქცევს მათ. ღვთის წყალობით ჩვენამდე მოღწეული, ლურსმული დამწერლობით შესრულებული ეს საოცარი უწყებანი საუკუნეთა სიღრმიდან გვაგრძნობინებენ ამაღლებულ სურნელსა და წარსული დიდების თვალისმომჭრელ ფერადოვნებას.

ძველსპარსულ ენაზე შესრულებულ ამ აქემენიდურ კორპუსს უანრობრივად შეიძლება ვუწოდოთ მხატვრული ქრონიკები, ხოლო პოეტიკურად ეს რიტმული პროზაა. სწორედ ამიტომ ქართველი მთარგმნელები ძველსპარსული ტექსტების გადმოღებისას ბუნებრივად და უნებლიეთ მიიღვივან ლექსითყოფისაკენ, თუმცა ტექსტები ორგვარად შეიძლება ითარგმნოს: პოეტურადაც და პროზაულადაც. ყველა შემთხვევაში, ძველსპარსული წარწერების შინაგანი მეტრიკა და რიტმული

დამუხტულობა, დინამიკა, ქვეშეცნეულად ზადებს მთარგმნელის ცნობიერებაში შინა-

გან მუსიკას, ტექსტის მუსიკალობას, რაც ზოგჯერ ვერლიბრის, თეთრი (თავისუფალი) ლექსის სახესაც იძენს. ქართულ ენაზე ძველსპარსული წარწერების ორივე მთარგმნელი: მზია ანდრონიკაშვილი და წინამდებარე სტრუქტურის ავტორს, მთლიანობაში ყველა დასახელებული მთარგმნელობითი ფორმა აქვთ ნაცადი: აქემენიდური ქრონიკები ითარგმნება რითმულ ლექსად, გალექსილ პროზად, ვერლიბრად, რიტმულ პროზად და მისთ. (იხ.: არმალანი – 3,1982, არმალანი – 4,1988, შემდგ. მ. თოდუა, თბილისი, გამომც. საბჭოთა საქართველო; ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, რედ. გრ. გიორგაძე, გამომც. მეცნიერება, 1990, თბილისი). აქ წარმოდგენილი ნიმუშები ამდენად იმ დასახელებული ციკლის გაგრძელებაა, რომელიც წინა ეტაპზე ყველაზე ფრადტანინან აქემენიდურ წარწერებს მოიცავდა. წინამდებარე ფრაგმენტები პირველად ითარგმნა და პირველად ქვეყნდება.

მთარგმნელმა ნიმუშები დააჯგუფა თემატურად და თავადვე მოუგონა თემატური დასათარებები, რითაც შეეცადა უფრო საინტერესო გაეხადა მასალა ქართველი მკითხველისთვის. მთარგმნელმა შეგნებულად შეუნარჩუნა შეძლებისდაგვარად ძირითადად საკუთარ სახელებს (პირის და გეოგრაფიულ სახელებს) ძველსპარსული ფერადობა, და არა ბერძნულ-ლათინური ან ევროპულ-რუსული; თუმცა ზოგჯერ მრავალფეროვნებისათვის უკანასკნელ ფორმებსაც იყენებს. მაგ.: დარაიავაჰუ//დარიოსი, ჰახამანი//აქამანი/აქემენი, ხშა-იარშა//ქსერქსე, პარს//სპარსეთი, პართა(ვა)//პართია, უჯა//ელამი, კატპატუკა//კაპადოკია და ა. შ. სხვ. მისთ.

ამჯერადაც მხატვრული ღირებულებების მიხედვით შერჩეულ მცირეტიანი წარწერათა თარგმანის ნიმუშები სხვადასხვა ფორმითაა შესრულებული, – მთარგმნელის შემოქმედებითი მუშის კარნახით: არის ლექსი, არის პროზაც, თავისუფალი ლექსიც და რიტმული პროზაც. ეს ავტორისიული თარგმანია. ამავდროულად, ორიგინალის მიმართ უმეტესწილად დაცულია სრული სიზუსტე, მაგრამ ზოგან მცირე მხატვრული დამატებებიცაა. დაკლებული კი არაფერია!

იქვე მითითებულია ყველა ნიმუშის გეოგრაფიული წარმომავლობაც.

იმედი გვაქვს, ქართველი მკითხველისთვის ეს იქნება ირანულ კულტურულ სამყაროსთან კიდევ ერთი შეხვედრა.

ქრონიკა

კურტ ვონეგუტის საიუბილეო საღამო, რომელიც მის მშობლიურ ქალაქ ინდიანოპოლისში უნდა გამართულიყო 2007 წლის 27 აპრილს მწერლის ხსოვნის საღამოდ გადაიქცევა.

„ნომერ მეხუთე სასაკლავოს“ ავტორს ამ შეხვედრაზე ლექცია უნდა წაეკითხა, მაგრამ 11 აპრილს მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ ორგანიზატორებს გეგმები შეაცვლივინა. მის ნაცვლად სიტყვით გამოვა მარკ ვონეგუტი, მწერლის ვაჟი. სწორედ მას მოუწევს მამისათვის განუთქვნილი ჯილდოების მიღება – იტყობინება „ასოშეითედ პრესა“.

2007 წლის იანვრიდან ინდიანოპოლისში „ვონეგუტის წლის“ ფარგლებში იმართება საჯარო ლექციები, კინოჩვენებანი და თეატრალური წარმოდგენები. მწერლის ოჯა-



კურტ ვონეგუტი

ბი ამ ქალაქში XIX საუკუნიდან ცხოვრობდა. მამაცა და პაპაც არქიტექტორები იყვნენ და ქალაქის განვითარებისათვის ბევრი რამ გააკეთეს. დედა კი შტატების ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული ოჯახის წარმომადგენელი იყო.

ვონეგუტმა, ბავშვობაზე თბილი მოგონებანი რომ შემორჩინოდა, იანვარში, საიუბილეო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ინდიანოპოლისი – სახლია. მე მყავდა და და ძმა, ძალი და კა-

ტა, დედა და მამა, ბიძები და დეიდები, მრავლად ბიძაშვილები... აქ იყო ყველაფერი – მუსიკა, მეცნიერება, საოცრად ჭკვიანი და სულელი ადამიანები, დაუჯერებლად კარგები და ასეთივე ბოროტნი.“

მარიო ბენედეტი

# ორი ნოველა

\*

რეკვიემი  
გახსუსული პურები

ჰო, ასეა, ედუარდო მეკია. ამას ალბათ იმიტომ მეკითხებით, რომ ჩემთან გამოლაპარაკება გინდათ. მართალია, შორიდან, მაგრამ მე უკვე კარგა ხანია გიცნობთ, სწორედ იმ დროიდან, „ლარანიას“ და „რივერას“ კაფეში დედაჩემს რომ ხვდებოდით. არ იფიქროთ, თითქოს გჯაშუშობდით. არა, ასე არ ყოფილა. მაგრამ ასეთი რამ, თუ მაინც გაიფიქრეთ, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი ეს ამბავი არ იცით. ანდა შესაძლოა დედა უკვე მოგიყვასთ კიდევ. დიდი ხანია მინდოდა დაგლაპარაკებოდით, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა. ამიტომ დღევანდელი გულისხმიერებისათვის მაღლობა მინდა გადაგიხადოთ. მაგრამ იცით, რატომ მინდა თქვენთან ლაპარაკი? პირველ რიგში იმიტომ, რომ კარგი ადამიანი ჩანხართ; იცით, დედაჩემიც კარგი ადამიანი იყო. ბევრი ლაპარაკი არც ერთს არ გვიყვარდა; ჩვენს სახლში ან სამარისებული სიჩუმე იდგა, ან მხოლოდ მამაჩემი ლაპარაკობდა. ისიც მაშინ, როცა მთვრალი მოდიოდა; ეს კი ყოველ ღამე ხდებოდა, თუმცა ამას ლაპარაკს ვერ დავარქმევდი, რადგან მამა ამ დროს ღრიალებდა და ყვიროდა. დედას, ჩემს დას მირტას და მე მისი ძალიან გვეშინოდა. ახლა მეთორმეტე წელში გადავდექი და ბევრ რამეს მივხვდი. ჩემი აზრი მაქვს ისეთ ტიპებზე, მუდამ რომ ყვირიან, გარშემომყოფთ შეურაცხყოფას და ტკივილს აყენებენ. ისინი ხომ შინაგანად უბადრუკი, სუსტი ადამიანები არიან?! მაგრამ იმხანად ეს ჯერ არ ვიცოდი, რადგან პატარა ვიყავი. მირტა დღემდე ვერ გარკვეულა ბევრ რამეში. ის ჩემზე სამი წლით პატარაა და ვხედავდი, ყოველ ღამით ტირილით როგორ იძინებდა. იცით, რა არის შიში? ჩემს დას კი გამუდმებით ეშინოდა, რომ მამა მთვრალი დაბრუნდებოდა შინ, ქამარს შემოიხსნიდა და ცემას დაუწყებდა. ბავშვი ჯერაც ვერ შესჩვევია თავის ახალ მდგომარეობას. მე კი პირიქით, ადვილად შევეჩვიე. თქვენ, აი, ეს ერთი წელია, რაც გამოჩნდით, მამაჩემმა კი სმა დიდი ხნით ადრე დაიწყო. დაავლებდა ხელს ქამარს და მე და მირტას გამეტებით გვცემდა. ამით საშინელ ტკივილს გვაყენებდა. დედას კი მუშტებს ურტყამდა, და საამისოდ არანაირი საბაზი არ სჭირდებოდა. ისიც კმაროდა, თუ წვნიანი ზედმეტად ცივი ან ცხელი მოეჩვენებოდა, დედა დილის სამ საათამდე თუ არ დაელოდებოდა, ან თუ შეამჩნევდა, რომ ტირილისაგან თვალები დასიებოდა. მერე დროთა განმავლობაში დედა ტირილს შეეშვა. დღემდე არ ვიცი, როგორ ახერხებდა ამას, მაგრამ როცა მამა ურტყამდა, აღარ ტიროდა, ის კი არა, წარბსაც არ იხ-

რიდა. ის მტარვალი ამაზე კიდევ უფრო ცოფდებოდა. დედა ამას ხვდებოდა და მაინც არ ტიროდა. როცა ის გაიცანით, უკვე ნატანჯი და დაბეჩავებული იყო, მაგრამ ოთხი წლის წინათ ჯერ კიდევ ლამაზი ქალი ეთქმოდა (კარგად მახსოვს). ლამაზი ფერები ჰქონდა და გარეგნუ-



ლადაც ძლიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩხუბისა და აყალმაცალის შემდეგ, როცა მამა ბოლოს და ბოლოს იატაკზე მოადენდა ბრაგვანს და ხვრინვას ამოუშვებდა, მე და დედა საწოლამდე ძლივს მივათრევდით ხოლმე. მიცვალებულივით მძიმე იყო და ამ სიმძიმის თრევა ძირითადად დედას უხდებოდა. ამ ავლადიდებიდან მე მისი ცალი ფეხი მებარა, დათუთხნული შარვლითა და ზონარგახსნილი ყავისფერი ფეხსაცმლით. ალბათ გგონიათ, რომ მამა ადრეც ასეთი იყო, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამ მდგომარეობამდე დედაჩემის ერთ-ერთი ბიძაშვილის მუხანათურმა საქციელმა მიიყვანა. ვიცი, რომ ის კაცი მუნიციპალიტეტში მუშაობდა, მაგრამ, თუ რა მუხანათობა ჩაიდინა ან რა სიბინძურეში იყო გახვეული, ამაზე არასოდეს არაფერი არ მსმენია. მაგრამ იმას კი ვხედავდი, რომ დედა მამაჩემს ყველაფერს პატიობდა. ალბათ იმიტომ, რომ თავს გარკვეულწილად დამნაშავედ გრძნობდა თავისი ნათესავის საქციელის გამო, რომელმაც ქმარი ამ დღეში ჩაუგდო. თუმცა მაინც ვერ ვხვდებოდი, ისეთი რა უნდა დაეშავებინათ მისთვის, რომ ლოთობა დაიწყო და დედაჩემი განტევების ვაცად აქცია. ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, ასე თუ ისე ბედნიერები ვიყავით. აქ იმდენად ფულს არ ვგულისხმობ, რადგან მე და ჩემი და დაბადებიდან ამ სახლში ცხოვრობდით და მამაჩემის ხელფასი არასოდეს არ გვეყოფნიდა. დედა რაღაც საოცრებებს სჩადიოდა, რომ ჩვენთვის საჭმელი ეშოვა და დროდადრო მაინც ეყიდა ახალი ტანსაცმელი. ბევრჯერ მშვიდრებიც ვყოფილვართ, (შეგიძლიათ ამის წარმოდგენა?) მაგრამ იმ დროს მშვიდი ცხოვრება მაინც გვქონდა. მამა არ სვამდა, არც გვცემდა, და როცა ფული ჰქონდა, გასართობადაც კი დავყავდით. ვფიქრობ, ჩემს მშობლებს ერთმანეთი არასოდეს ჰყვარებიათ. ისინი ძალიან განსხვავებული ადამიანები იყვნენ. მამა ადრეც არ გამოირჩეოდა კარგი ხასიათით. შეეძლო შუადღემდე სძინებოდა, მერე კი, როცა გაიღვიძებდა, არავის არ გველაპარაკებოდა. მაგრამ იმხანად არ გვცემდა მაინც, და დედასაც შეურაცხყოფას არ აყენებდა. ნეტავ მთელი ცხოვრება ასე ყოფილიყო! მერე ის ამბავი მოხდა, და მამაჩემსაც ყველანაირად ბოლო მოელო. კეგლის ბარში დაიწყო სიარული, შინ შუალამისას ბრუნდებოდა და არყის სუნად ყარდა. ბოლო დროს კი მთლად აუტანელი გახდა. ახლა უკვე ყოველდღე სვამდა და მოსვენებას არ გვაძლევდა. დარწმუნებული ვარ, მეზობლებს ყველაფერი ესმოდათ, მაგრამ ამ ამბავში ჩარე-

ვა არავის არ უნდოდა. ალბათ იმიტომ, რომ მამა ფიზიკურად ძლიერი იყო და მისი ემინოდათ. მეც მეშინოდა მისი, მაგრამ არა საკუთარი თავის, არამედ ჩემი დისა და დედაჩემის გამო. ხანდახან გაკვეთილებსაც ვაცდენდი. სკოლაში სიარული არ მეზარებოდა, მაგრამ იძულებული ვიყავი, შინ დავრჩენილიყავი და მედარაჯა. სულ იმის შიში მქონდა, შესაძლოა, მამაჩემი დღისით შინ მთვრალი დაბრუნდეს და დედას ცცემოს-მეთქი. მე მისი დაცვა არ შემეძლო, ხომ ხედავთ, როგორი გამხდარი და სუსტი ვარ, იმ დროს კი უფრო პატარა ვიყავი, მაგრამ შინ იმიტომ ვრჩებოდი, რომ პოლიცია მაინც გამომეძახა. შეიძლება იცით კიდევ, რომ ჩემი მშობლების ასეთ ურთიერთობას გარემო პირობებიც ხელს უწყობდა. ვერ ვიტყვოდი, ბებიები და ბაბუები ორივე მხრიდან მდიდრები არიან-მეთქი, მაგრამ საკმაოდ ნორმალურად ცხოვრობენ. მშვენიერი აივნისანი სახლები აქვთ, სააბაზანოში კი პირსაბანი და ბიდეც უდგათ. ყველაფერი რომ დამთავრდა, მირტა ხუანა ბებიამ ნაიყვანა თავისთან, მე კი დედაჩემის დედამ – ბლანკამ. ახლა ისინი გამუდმებით იმაზე დავობენ, ვისთან უნდა ვიცხოვროთ მე და ჩემმა დამ. ჩემი მშობლები რომ დაქორწინებულან, მათ ჩვენთან ყოველგვარი ურთიერთობა გაუნყვეტიათ, რადგან ამ ქორწინების წინააღმდეგნი ყოფილან (ვინ იცის, იქნებ მართლებიც იყვნენ); ყოველგვარი ურთიერთობა განწყვიტეს ჩვენთან-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ დედა და მამა რომ დაქორწინდნენ, მე უკვე ექვსი თვისა ვყოფილვარ. ერთხელ ეს ამბავი სკოლაშიც წამომამახეს და ისე გავბრაზდი, რომ ამის გამო ბეტოს ცხვირიც კი გაუუტეხე, მაგრამ როცა დედას ამის შესახებ ვკითხე, მითხრა, ეს სიმართლეაო. ძალიან მინდოდა დაგლაპარაკებოდი. დიდ პატივს გცემთ, რადგან დედა ძალიან გაფასებდათ. ძალიან მიყვარდა; ეს რა თქმა უნდა, ბუნებრივია, მაგრამ ამის თქმის საშუალება არასოდეს მომცემია. გამუდმებით შიშში ვცხოვრობდით და იმის დროსაც გვექონდა, მშვიდ გარემოში მოვეფერებოდით ერთმანეთს. როცა ვერ მხედავდა, მალულად ვუყურებდი და ვაკვირდებოდი დედაჩემს და ვერ გეტყვით, რა გრძობა მეუფლებოდა იმ დროს. ეს არ ყოფილა არც სიბრალული და არც თანაგრძობა, უფრო სინაზისა და სიბრაზის ნაზავი იყო. დიახ, სიბრაზისა, იმიტომ, რომ ვხედავდი მას, ჯერ კიდევ ასეთ ახალგაზრდას და ჩამქრალს, ასეთ დათრგუნულს, იმ დანაშაულისათვის რომ ისჯებოდა, რომელიც მისი ხელი არ ერია და იმ სასჯელს იხდიდა, რომელიც არ დაუმსახურებია. შესაძლოა, არ დამეთანხმობთ, მაგრამ დედა საკმაოდ განათლებული ადამიანი იყო, მამაზე ბევრად გონიერი. როცა ამაზე ვფიქრობ, მთლად მერევა გონება. საშინელია იმის გაცნობიერება, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, დედა ამ ცხოვრებას მაინც ფართოდ გახელილი თვალებით უყურებდა, იმიტომ, რომ ვერც გაჭირვებამ, ვერც შეურაცხყოფამ და ვერც შიმშილმა მას ადამიანური სახე ვერ დააკარგვინა და მასში ეს ყველაფერი მხოლოდ მწუხარებად აღიბეჭდა. დიახ, სწორედ ასე იყო. ხანდახან თვალები ამოულამდებოდა ხოლმე და სწყინდა, როცა შეწუხებული ამის მიზეზს ვეკითხებოდი. ისეთი გრძობა მქონდა, რომ მუდამ რალაცაზე ნაწყენი იყო. მაგრამ მე ყოველთვის კეთილგანწყობითა და ალერსიანად მექცეოდა. თუმცა რას ვამბობ; ყველას მიმართ ასეთი იყო. თქვენი გამოჩენის

შემდეგ კიდევ უფრო გულდამძიმებული და დათრგუნული, სულ უფრო დაბეჩავებული და მარტოსული ჩანდა. შესაძლოა, იმიტომ, რომ გრძობდა, როგორი სხვაობა იყო თქვენსა და მამაჩემს შორის.

ერთ საღამოს ცოტა შეაგვიანდა, თუმცა შინ, ჩვეულებებისამებრ, მამაზე ადრე ბრუნდებოდა. უცნაურად მიყურებდა, ისე უცნაურად, რომ მივხვდი, რალაცის თქმა უნდოდა. დედა თითქოს მხოლოდ მაშინდა მიხვდა, რომ ჩემი ნდობა შეიძლებოდა, რომ მის გაგებას შევძლებდი. დარცხვენით მომიახლოვდა, გულში ჩამიკრა და გამიღიმა. მაშინ მისმა ასეთმა საქციელმა საშინლად ამაფორიაქა და ორჯერ თუ სამჯერ სამსახურიც კი გავაცდინე (იმ დროს მალაზიაში ვმუშაობდი), რომ გამეგო რაში იყო საქმე. მერე კი ერთად გნახეთ და კმაყოფილი დავრჩი. ზოგი ალბათ იტყვის, რომ უსამართლო ვარ.

როგორ უნდა გამხარებოდა, რომ დედაჩემი მამაჩემს ლალატობდა?!

მაგრამ გულახდილად შემიძლია გითხრათ, თქვენ სხვა ხართ, თქვენ ის გიყვარდათ და ეს ჩემთვის უკვე დიდი ბედნიერება იყო. ბევრჯერ მინახიხართ ერთად, და ამაში ეჭვი არ მეპარება. დედა იმსახურებდა სიყვარულს. ვცდილობ მამასაც გავუგო, ძალიან მიჭირს, მაგრამ მაინც ვცდილობ, იმიტომ, რომ ვიცი, ვერასოდეს ვერ შევძლებ მის შეძლებას. იგი მამაჩემია. მახსოვს, როცა მე და მირტას გვცემდა, და დედაჩემისკენაც მიინევდა, მის მიმართ შიშთან ერთად თანაგრძობაც მიპყრობდა. თანაგრძობა მირტას გამო, დედაჩემის გამო და საკუთარი თავის გამოც. ჰოდა, ახლაც, როცა მან დედა მოკლა, და, ვინ იცის, რამდენი ხანი მოუწევს ციხეში ჯდომა, ისევე იმავეს განვიცდი. თავიდან მინდოდა, იქიდან არასოდეს არ გამოსულიყო, მაგრამ ერთი თვის წინათ რომ მოვიხიხულე, გაკვირვებული დავრჩი, ახლა იგი ბუნებრივად გამოიყურებოდა.

იმას ვგულისხმობ, რომ ფიზიკური იყო. მიყურებდა და ხმას არ იღებდა. იქიდან რომ გამოვა, იმედი მაქვს, რომ აღარ მცემს. თანაც, იმ დროისთვის მეც უკვე კაცი ვიქნები, შეიძლება ცოლ-შვილიც კი მყავდეს. მაგრამ ჩემს შვილებს მე არასოდეს არ ვცემ. თქვენ როგორ ფიქრობთ? მამა რომ არ გალოთებულყო, არც ის ჩაიდენდა ამას. ამაში დარწმუნებული ვარ. როგორ გგონიათ, მთვრალი რომ არ ყოფილიყო, იმ საღამოს დედას მაინც მოკლავდა, როცა იგი ყველაფერს მოუყვა? ალბათ არა. მერე სიფიზილემი თქვენთვისაც ხომ არაფერი არ დაუშავებია?! ვფიქრობ, მამა მშვენივრად გრძობდა, დედას ალერსი და სიყვარული რომ სჭირდებოდა, ის კი მხოლოდ ცცემდა და სცემდა. დედა კარგი ადამიანი იყო. ეს ჩვენ ორივემ ვიცით. ამიტომაც, რამდენიმე წუთის წინათ სწორედ აქ, ამ კაფეში რომ შემოხვედით, სადაც დედას ხვდებოდით, მე კი ახლა კაპუჩინოზე და გახუხულ პურებზე დამპატიჟეთ, ვიგრძენი, რომ თქვენთვის ყველაფერი უნდა მეთქვა. დარწმუნებული ვარ, ჩემი მონაცოლიდან ბევრი რამ ახალი გაიგეთ. დედას ლაპარაკი მაინცდამაინც არ უყვარდა, მითუმეტეს, საკუთარ თავზე. ახლა თითქოს გულიდან ლოდი ჩამომხსნესო. კი მაგრამ თქვენ რალა გატირებთ? დიახ, დედა მოკვდა და ეს სიკვდილი მისთვის ერთადერთი ხსნა იყო, რომ აღარასოდეს აღარ ეტირა.

უპანკოვა

ფანჯრის კარნიზზე რომ გადავძვერით და ქუჩას გავ-  
ხედეთ, ზედმეტად გადახრაც კი არ დაგვჭირვებია, სად-  
ღაც შორს, მამაკაცი დავინახეთ, ლამპიონის ქვეშ რომ იდ-  
გა და სიგარეტს ეწეოდა. წამდაუნუნე კეფის მოსაფხანად  
ქუდს იხდიდა და იფურთხებოდა. იქიდან ჩემი და ხორდა-  
ნის დანახვა თავისუფლად შეეძლო. ის წყეული ქალი  
უცებ თავზე თუ დაგვადგებოდა, იმის დრო კი გვქონდა,  
რომ ფანჯრიდან გადავმხტარი-

ყავით, ტერასაზე გავსულიყა-  
ვით და ლიუკი გვეპოვნა. ბერ-  
დესმა ამ ადგილას ერთხელ აკი  
გამოგვიჭირა კიდეც, როცა ფი-  
ზიკის გამოცდაზე ჩავიჭერთ  
და ეშხში შესულები ღამის პირ-  
ველ საათამდე ერთმანეთს ჭი-  
ქებს ვუჭახუნებდით; ბოლოს კი  
ისე გავიღეშეთ, რომ სმისგან  
კანკალმა აგვიტანა. სინამდვი-  
ლეში ბერდესს არაფერი არ უნა-  
ხავს, ეს ამბავი არტეაგამ უამბო  
და ჩოფურა სოლერსაც კი შეატ-  
ყობინა. სოლერმა მოახერხა და  
ჩვენ სამალავში შემოაღწია, თან  
გაგვაფრთხილა, ლიუკს თვალი  
არ მოაცილოთ, თორემ თუ დაი-  
ხურა, შიგნიდან ვეღარ გააღებ-  
თო. მერე თებერვალში ჩოფურა  
გარდაიცვალა, მაგრამ მისი  
რჩევის უგულბელებოფა არაფ-  
რით არ შეიძლებოდა. სულ ხუთ-  
მა ბიჭმა ვიცოდით ამ საიდუმ-  
ლო გასასვლელის ამბავი, პირ-  
დაპირ კლუბში რომ გადიოდა.  
უფრო სწორად, ეს ის ადგილი  
იყო, საიდანაც გოგოების საშხა-  
პე კარგად მოჩანდა. ეს ჩვენი სა-  
მალავი სამოცი სანტიმეტრი სი-  
განისა და თხუთმეტი სანტი-  
მეტრი სიგრძისა თუ იქნებოდა; გოგოების დანახვა გისო-  
სებიდან შეიძლებოდა, მაგრამ უნდა ითქვას, ამ ადგილს  
ჩემი და ხორდანის გარდა არავინ არ დაუინტერესებია.

კარნიზზე გავედით თუ არა, დავინახეთ, ლამპიონის  
ქვეშ მდგარმა კაცმა ჩხუბით როგორ მიაშურა ვიღაცა  
ქალს, რომელსაც, როგორც ჩანს, შეხვედრაზე დააგვიან-  
და. ქალი უცებ ისე შეჩერდა, თითქოს ტრაექტორიის შერ-  
ჩევას ცდილობსო, მერე კი კაცს სილა გაულანუნა, და ეს  
ხმა სიჩუმეში თოფის გასროლასავით გაისმა. ჩვენდა გა-  
საოცრად, კაცს ხმა არ ამოუღია, და უკან გაჰყვა ქალს,  
რომელმაც ხელი ჩაავლო და ქუსლების ბაკი-ბუკით ქუჩის  
კუთხემდე მიიყვანა. კარნიზზე ნელ-ნელა წინ მივიწვევით  
და ისეთი მოლოდინით ვიყავით აღსავსე, რომ თავბრუს-  
ხვევის შეგრძნებაც კი არ გვქონია.

ბერდესისაგან ვიცოდით, რომ სავენტილაციო ლიუკი  
აქვე გამავალ გრძელ მილს უერთდებოდა. ქუჩაში კაციმ-

ვილი არ ჭაჭანებდა. ახლა ფანჯრიდან ძირს უნდა ჩავ-  
მხტარიყავით.

– ძალიან კარგი. – თქვა ხორდანმა. – მთავარი სიძნე-  
ლე გადავლახეთ!

უცებ გამახსენდა, ბრჭყვიალალილებიანი თეთრი პე-  
რანგი რომ მეცვა.

– ტანსაცმელი დაგვესვრება. – ძლივს ამოვღერდე.

– დედალი ნუ ხარ! – მითხრა ხორდანმა. – გართობა  
თუ გინდა, ასეა!



მხატვარი მალხაზ იაშვილი

კი გავიფიქრე, ჩასაცმელი გა-  
მიხრდებოდა-მეთქი, მაგრამ ჩვენ  
ხომ გასართობად მივდიოდით,  
ამიტომ პერანგი უნდა გამეფუჭე-  
ბინა. ჩიტი ბღღენად ღირდა.

– ტანსაცმელზე ტყუილად  
დარდობ, ჩაცმულები იქ მაინც  
ვერ შევალთ. – მითხრა ხორდანმა.

– აბა, ეს ყველაფერი სად დავ-  
ტოვოთ? – ვკითხე მე.

– აქ. – მიპასუხა მან.

ლიუკთან რომ მივედით, და-  
ხურული დაგვხვდა. ორივე მხა-  
რეს სპილენძის სახელური კი  
ჰქონდა, მაგრამ თითონ სახურავი  
ძალიან მძიმე იყო. არ მეგონა, თუ  
მის დაძვრას შევძლებდით. ტან-  
საცმელი გავიხადეთ, და, ახლალა  
შევნიშნეთ, რომ საკმაოდ ციოდა.  
სხვა დროს ხორდანი ამ ადგილას  
ტრუსებში რომ დამენახა, ბევრს  
ვიცინებდი, მაგრამ, სამწუხა-  
როდ, ახლა ამის გუნებაზე არ ვი-  
ყავი. ძალიან მციოდა და თავსაც  
ცოტა არ იყოს უხერხულად  
ვგრძნობდი. თან წვიმდა. წვიმდა  
და მეშინოდა, რომ ტანსაცმელი  
დამისველდებოდა. დიახ, ამიტომ  
ლიუკის თავსახური აუცილებლ-  
დად უნდა აგვეხადა.

ხორდანი პირველი შეძვრა  
ლიუკში. მერე მთვარის შუქზე კარგად ვხედავდი, ფოფ-  
ხვა- ფოფხვით როგორ მიათრევდა ტანს სიღრმეში. ვხე-  
დავდი მის ფეხებს, მუხლებს, უკანალსა და კეფას. სიღ-  
რმიდან უსიამოვნო სიციხე გამოდიოდა. შუამდე რომ მი-  
ვალნიეთ, უფრო დაცხა. საზიზღარი, გულისამრევი სუნი  
მცემდა ცხვირში, მაგრამ უფრო სწრაფად ვერ მივიწვევდი  
წინ, ხორდანის ფეხები მიშლიდა ხელს. ვგრძნობდი, რომ  
ტრუსი მძვრებოდა, მერე ფეხი რაღაცას წამოვკარი და  
გავიკანრე, მაგრამ არაფერს ვეპუებოდით და წინ მივი-  
წვევდით. მივიწვევდით, იმიტომ რომ იქ გასართობი გვეგუ-  
ლებოდა. უნდა გვენახა, სინამდვილეში როგორები იყ-  
ვნენ. შვიდ-რვა მეტრში ეს ცხელი, უხილავი ჰაერი განა-  
თებულ ბურუსად გადაიქცა და გისოსებიც დავინახეთ.

– როგორც იქნა მოვედით! – თქვა ხორდანმა. მეც ჩემ-  
დაუნებურად იგივე გავიმეორე. ისეთი შეგრძნება დამეუფ-  
ლა, თითქოს სადღაც მინისქვეშეთში ვიმყოფებოდით, რო-

მელიც ძალიან ჰგავდა ჯოჯოხეთს. ხორდანი ისევ შეჩერდა, რადგანაც ისევ დავეჯახე ტერფზე. მერე თმით ფეხის-გულზე მოვულუტუნე, რომ ფოფხვა გაეგრძელებინა და გისოსებამდეც მივალნიეთ. ხორდანი სიღრმეში შეძვრა, რათა წინა გისოსთან ჩემთვის ადგილი დაეთმო. მაგრამ საშხაპეში არავინ ჩანდა. ამხელა საფრთხეში იმიტომ ჩავიგდეთ თავი, იმისთვის გადავძვერით იმ საშიშ კარნიზზე, რომ აქ არავინ არ დაგვხვდებოდა?! მთლიანად გალუმპულეები გახლდით. ამ ფიქრებში ვიყავი, რომ უეცრად ხორდანმა თქვა: ერთი შეხედე! გავიხედე და კარლოტა დავინახე. ის ვიცე-პრეზიდენტი იყო მაგიდის ჩოგბურთში. ტანზე პირსახოცი შემოეხვია. მერე შხაპთან მივიდა, წყლის ტემპერატურა შეამოწმა, პირსახოცი შემოიხსნა და ყველაფერი დავინახეთ. – აჰა ესეც შენ! კიდევ რა გინდა? – თქვა ხორდანმა. ხმა არ ამოიღია. ძალიან მინდოდა ისინი შიშვლები დამენახა, მაგრამ ასე როდი მინდოდა. ახლა საკუთარი თავის მცხვენოდა. კარლოტა ჩოგბურთის თამაშის დროს ბევრად სასიამოვნო სანახავი იყო, ვიდრე ახლა, მთლად დედიშობილა, შორტისა და ყველაფრის გარეშე. მერე ვილაღის სიმღერა თუ შეძახილი გაისმა. კარლოტამ რაღაც უპასუხა. ორი შიშველი გოგო, პირსახოცები მხრებზე რომ გადაეკიდათ, ხტუნვა-ხტუნვით საშხაპეში შემოვიდნენ. ერთი ქერათმიანი და მსუქანი აიღო იყო, მეორე, გამხდარი კი ანა-კრისტინა. გოგოები იქვე გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ და კარლოტას დაუწყეს ლოდინი. ცხელი წყლის ორთქლი ჩემს ოფლს ერწყმოდა და სახეზე ღვარად ჩამომდიოდა. გოგოებში ყველაზე ლამაზი ფეხები კარლოტას ჰქონდა.

– ერთი შეხედე, რა ძუძუები და რა უკანალი აქვს! – წაიჩურჩულა ხორდანმა. მართლაც რომ კარგი იყო, მაგრამ მისთვის პასუხი არ გამოიცია. უეცრად გამხდარმა ცეკვა დაიწყო; მსუქანი მას ჯერ ცხვირაბზუბუბული ათვალღერებდა. მერე თითონაც შეუერთდა და ერთად აცეკვდნენ. კარლოტა უყურებდა მათ და აფრთხილებდა, ახლავე გაჩერდითო: უეცრად ემი თუ შემოვიდა გაჩვენებთ სეირსო. აიღო არა, მაგრამ ანა-კრისტინა კი მომწონდა. თან ვფიქრობდი, რა სულელები არიან, რა ცეკვა აუტყდათ-მეთქი. ყველაზე მეტად მაინც ემი მიზიდავდა, მაგრამ მისი ნახვა აქ ნამდვილად არ მინდოდა.

– წავედით! – დავიჩურჩულე.

– რა? – გაკვირვებით მკითხა ხორდანმა. – ამათ შემყურეს წასვლა როგორ მოგინდა?

– მაშინ ჩემს მაგივრადაც შენ დარჩი. – ვუთხარი და გასასვლელისაკენ გავვეშურე. ახლა უკვე ვიცოდი, როგორები იყვნენ. ეს საკმარისი იყო. უეცრად საშინელი ზიზლის გრძნობა დამეფულა. თან სირცხვილი და სიცხეც მტანჯავდა. მარჯვენა ხელის ცეცებით ლიუკის სახურავს დაუწყე ძებნა. ვერ ვიპოვე. უკან გავბრუნდი და პირდაპირ კედელს დავეჯახე. მერე ისევ ლიუკისკენ წავედი, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. მერე ისევ და ისევ. მოუთმენლობა ხელს მიშლიდა იმის გაცნობიერებაში, რომ ლიუკი ვილაღის დაეხურა. გისოსებთან გავფოფხდი და ხორდანს ჩუმად გავძახე.

– აი, ხედავ, მაინც დაბრუნდი! – მითხრა კმაყოფილმა.

– ხორდან! – ისევ გავიმეორე და მისი თვითკმაყოფილი სახის დანახვაზე უსიამოვნო გრძნობა დამეფულა. ის ახლა ანა-კრისტინას უყურებდა, რომელიც ზურგს ისაპნავდა.

– ლიუკი! – ვთქვი ჩუმად. ხორდანი ჯერ დაბნეული მიყურებდა, ვერ მიმხვდარიყო, რა მინდოდა.

– რაო? – მკითხა გაკვირვებულმა.

– ლიუკი დაკეტილია, პირუტყვიო! – ხრინჩიანი ხმით ვჩურჩულე, ორივე შიშმა შეგვიპყრო. ხორდანი სასონარკვეთილი ჩანდა. გონება მთლად არეოდა. ვერც კი აღვწერ, ისე უცნაურად იქცეოდა.

– კი მაგრამ ვის უნდა დაეკეტა? – ბუტბუტებდა იგი. პირადად ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. გისოსებიდან ვხედავდი, აიღო თავს როგორ იბანდა. საზიზლარი, დამჭკნარი, ჩამოძაძული ძუძუები ჰქონდა. ძუძუსთავები შავ ქლიავებს მიუგავდა. უცებ სინანულმა შემიპყრო. განა ღირდა კი ამ ყველაფრის გამო ამ დღეში ჩავარდნა. მართლაც რომ გულისამრევი სანახაობა იყო!

– გამატარე! – მითხრა ხორდანმა. შიშისაგან მთლად შეცვლილიყო. მაიმუნს დამსგავსებოდა, გარყვნილ და შეშლილ მაიმუნს.

– შეუძლებელია ასე იყოს. ახლავე მე თვითონ ვნახავ.

ალარ დავეწყე გადარწმუნება, რადგან ვიცოდი, ამას აზრი არ ჰქონდა. ლიუკი მართლაც დაკეტილი იყო. ხორდანს ხმა ალარ ამოუღია, ისევ გისოსებთან მიფორთხდა. მუხლები მეკვეთებოდა, მაგრამ ხორდანი ჩემზე უარეს დღეში იყო. ახლა უკვე ნამდვილად ვიცოდი, რომ აქედან ცოცხალი ვერ გავიდოდა. აქ დაილუპებოდა. ტირილი აუვარდა. მაიმუნის სახეზე ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა და მთლიანად ცახცახებდა. მისი გამხნელება არ შემეძლო, რადგან მეც ჭირის ოფლი მასხამდა.

– დავიყვიროთ. – წაიჩურჩულა ხორდანმა. ვიცოდი, რომ ეს არაფრით არ შეიძლებოდა. რაიმე სხვა გამოსავალი უნდა გვეძებნა.

– არა, ამას ვერ ვიზამთ! – ვუთხარი მე.

ნაბიჯების ხმა გაისმა. ხორდანმა ტირილი შეწყვიტა. სიჩუმეში ორივე ერთ წერტილს მივშტერებოდით. საშხაპეში ემი შემოვიდა. არ მინდოდა მისი ნახვა. მისი ასე ნახვა არ მინდოდა. მაგრამ მან ეს არ იცოდა, წყალი მოუშვა და შხაპის ქვეშ დადგა. უცებ მივხვდი, რომ ხორდანი დაყვირებას აპირებდა და პირზე ხელი მივაფარე. იმ წუთას რაღაც საშინელება დამემართა, ეს ნამდვილი სიგიჟე იყო. აკანკალებული ხელებით მის ყელს ვწვდი. ეს უკვე დასასრული იყო. მალე მას მაიმუნის სახე დაუმშვიდდა და ისევ ძველ ხორდანად გადაიქცა. თხუთმეტი წლის უსიცოცხლო ხორდანად. ტვინი მთლად ამერია. მარტო ის ვიცოდი, რომ ემი საშხაპეში იყო და დაყვირება არ შეიძლებოდა. არ მინდოდა, რომ მას თავი იქ მარტოდ, დაუცველად და ამავე დროს უსაზღვროდ უცოდველად ეგრძნო. ნამდვილი იდიოტი ვიყავი და ამის გამო აუცილებლად დავისჯებოდი. მერე პირი თითქოს თავისით გამელო და დავიყვირე. შემზარავი და არაადამიანური ხმა აღმომხდა. იდიოტი ვიყავი და იმიტომ. გავარვარებული, სველი ემი ჩემი ხმის გაგონებაზე ჯერ გამეშდა, მერე კი აღფრთოვებული გავარდა საშხაპედან. მე კი ისევ ვყვიროდი. ვყვიროდი ისე, როგორც ხორდანს უნდა ეყვირა.

**ადარბდენე  
თომას მანს და დოსტოევსკის**

ახალი ფილმის ჩანაფიქრი უფრო და უფრო მნიშვნელობა, ერთიმეორის მიყოლებით ხორცს ისხამდნენ მთავარი თუ მეორეხარისხოვანი პერსონაჟები. რეჟისორი გატაცებით ჰყვებოდა დაქვრივებული როზარია პარონდისა და მისი ოთხი ვაჟის თავგადასავალს, სამხრეთიდან ჩრდილოეთ იტალიაში რომ გადმოსახლდნენ. მსახიობთა შერჩევა თითქმის დამთავრებულიყო, ოღონდ ჯერ არსად ჩანდა მთავარი როლის შემსრულებელი. არსად ჩანდა ის კაცი, ვისაც უნდა ეთამაშა როკო, ყველაზე მგრძნობიარე და ყველაზე რთული ხასიათი.

კინოსახიობთა იმპრესარიო ოლგა ჰორსტიგი ალტაცებით უსმენდა ლუკინო ვისკონტის, უსმენდა და, იმავდროულად, თავისთვის ფიქრობდა ახალგაზრდა ალენ დელონზე. დარწმუნებული იყო, ალენი სწორედ ისაა, ვინც ვისკონტის სჭირდება.



ალენ დელონი

მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს. რამდენიმე დღის შემდეგ შეახვედრა ისინი ერთმანეთს და არჩევანმა გაუმართლა.

ოლგა ჰორსტიგი იხსენებს: „ლუკინომ შეხედა ალენს და ყოველგვარი შესავლის გარეშე, უბრალოდ და დარწმუნებით, წარმოთქვა: ეს როკოა! მე და ალენი სიხარულისგან ჭკუაზე აღარ ვიყავით“.

დაიხ, სწორედ ის იყო, ვინც სჭირდებოდა ვისკონტის. რეჟისორი გულახდილად გვიმხელს: ჩემთვის სხვა მსახიობი რომ დაეძალეზინათ, ფილმის გადაღებაზე, ალბათ, უარს ვიტყვოდიო. მაშინვე დაინახა დელონის ერთგვარი მელანქოლიურობა, ამქვეყნიური განდგომილება. ეს როკო იყო, როკო! აინტერესებდა, ასეთ ადამიანში როგორ დაიბადებოდა სიძულვილი, რასაც როკო ინსტინქტურად უკუაგდებდა.

სიმპათიები ორმხრივი იყო. ალენი თურმე გამუდმებით ხოტბას ასხამდა სახელოვან კინორეჟისორს: „როგორი ადამიანია! როგორი რეჟისორი! როგორი არტისტი!“

პროდიუსერებს რატომღაც არ ეჭაშნიკებოდათ ფილმი ანი ჟირარდოს მონაწილეობა. ბრიჟიტ ბარდო ან პასკალ პეტი ერჩივნათ. მაგრამ ვისკონტიმ განაცხადა: მაგათ შემოძლია მივცე მხოლოდ მანიკიურის ოსტატთა როლები, მთავარი გმირი-ქალისთვის კი ერთადერთი, ვინც გამომადგება, ჟირარდო არისო.

ანი ჟირარდო ამბობდა: „ვისკონტი – საოცარი რეჟისორია. იგი ახერხებს გაიყოლიოს მსახიობი. მისი როლი, მისთვის შეუმჩნეველად, გადააქციოს მისივე ცხოვრების გაგრძელებად. ის მოქმედებს თითქმის ქვეცნობიერის დონეზე და მსახიობისგან აღწევს უფრო ინსტინქტურ, ვიდრე გაცნობიერებულ რეაქციებს, გმირის ხასიათთან სრულ თანხმობაში რომ არის. მე დარწმუნებული ვარ, რომ მსახიობისთვის, რომელსაც საქმე აქვს ისეთ დიდებულ, სამიწელ და მხიარულ რეჟისორთან, როგორც გახლავთ ვის-

კონტი, უმჯობესია „ყოფნა“, ვიდრე „გაგება“.

ახლა ყური ვათხოვოთ ალენ დელონს: „როკოს ხასიათი ყველაზე რთულია იმათგან, ვინც მითამაშია მანამდე თუ მერემე ძალიან კმაყოფილი ვარ ვისკონტის რეჟისურით. ჩემს ნაცნობ რეჟისორთა შორის ლუკინო ყველაზე ყურადღებიანი და გულისხმიერია. იგი ისე ზრუნავს მსახიობებზე, რომ მათ ეჩვენებათ, თითქოსდა რეჟისორისთვის ისინი უფრო ძვირფასნი არიან, ვიდრე თვით ფილმი. ამასთან, იგი ბრწყინვალე მსახიობია და კარგად გვიჩვენებს იმას, რაც უნდა გავაკეთოთ. ასე რომ, ხასიათები ძალზე მკაფიოდ იხატება. მე არასოდეს დავბნეულვარ, ისევე, როგორც ყველა, ვისაც მასთან უმუშავია, ქუჩიდან მონვეულთა ჩათვლით“.

იღებდნენ სცენას, სადაც როკო ზეიმობს თავის გამარჯვებას რინგზე და სადღეგრძელოს წარმოთქვამს.

ნალვლიანად იხსენებს მშობლიურ სამხრეთს, ზეთისხილისა და ცისარტყელების მხარეს. „გადასაღებ მოედანზე ყველა შეიპყრო მლეღვარებამ. ვისკონტი, თითქოს ჰიპნოზის ქვეშ მყოფი, ალტაცებას ვერ მალავდა და განცვიფრებით უსმენდა, როგორ წარმოთქვამდა ტექსტს (ლუკანურ დიალექტზე) გაფთრებული ალენი“, - იხსენებს თვითმხილველი.

პროდიუსერებმა დაუნდობლად შეამოკლეს სცენა, როცა როკოს უფროსი ძმა სიმონე (რენატო სალვატორე) როკოს თვალწინ აუპატიურებს ნადიას (ანი ჟირარდო), სხვათა შორის, ცხოვრებაში ისინი მეუღლენი იყვნენ.

ალენ დელონი ასე აფასებდა პროდიუსერთა თვითნებობას: „პირველ ვარიანტში სცენა გაუპატიურებისა უფრო გრძელი და რეალისტური იყო, რაც გაცილებით საზარელ და უღმობელ ელფერს ანიჭებდა ძმების დაპირისპირებას. სიმონე როკოს ცხვირწინ უფრიალებს ნადიას საცვლებს, აბუჩად იგდებს უმცროს ძმას. ეს გამოწვევაა, დამტკიცება ძალისა და დაუსჯელობისა. პროდიუსერებმა დაასახიჩრეს საკვანძო ეპიზოდი“.

შეფასებანი ერთგვაროვანი არ ყოფილა. გაზეთი „ფიგარო“ მკაცრად ასკვნიდა: „ფილმი ისევე გრძელია, როგორც გზა საჰარას უდაბნოში. ფილმში არის სცენები, რომლებიც ჯანსაღ ადამიანს გულს ურევს“.

სხვები აქებდნენ, სახარბიელო პარალებებს ავლებდნენ – ადარებდნენ თომას მანს და დოსტოევსკის. განსაკუთრებით გამოჰყოფდნენ ჟირარდოს და დელონს, რომელიც ახალი იერით მოეცლინა მაყურებელს.

ალენი უსაზღვროდ იყო გახარებული, რადგან აქამდე კრიტიკოსები აღნიშნავდნენ ხოლმე მის „სიმპათიურ სიფათს“, ახლა კი ნამდვილ მსახიობად აღიარეს.

ალენ დელონი თავის სიცოცხლეში პირველად გამოჩინდა ჟურნალ „პარი-მატრის“ გარეკანზე. შემდგომში არათხელ დაუმსახურებია ეს პატივი.

ერთი ჯაშუში უღრის ცხრა გენერალს

ისრაელის დაზვერვას ანუ „მოსადს“ თავის ხანმოკლე ისტორიაში ზოგჯერ მწარე მარცხი უგემია, მაგრამ ახსოვს ბრწყინვალე გამარჯვებანიც - ვთქვათ, პალესტინელ ტერორისტთა მიერ გატაცებულ თვითმფრინავში დაკავებულ მძევალთა გათავისუფლება ისრაელიდან 3 ათასი კილომეტრით დაშორებულ ენტებეს აეროპორტში, უგანდის ტერიტორიაზე (1976 წ.), ანდა მოპოვება სკკპ XX ყრილობაზე წაკითხული ნიკიტა ხრუშჩოვის საიდუმლო მოხსენების ტექსტისა „პიროვნების კულტის“ შესახებ (1956 წ.).

„მოსადის“ რიგებს ამშვენებდნენ ისეთი გამოჩენილი მზვერავნი, როგორიც იყო, მაგალითად, ელიაჰუ კოენი, რომელიც ჩანერგეს სირიის საზოგადოების მაღალ ფენებში და, ვიდრე ჩავარდებოდა, დიდი სარგებლობა მოუტანა სამშობლოს. 1965 წელს კოენი საჯაროდ ჩამოახრჩეს დამასკოში. ისრაელის ხელისუფლება, კოენის დასახსნელად, მილიონ დოლარს სთავაზობდა სირიის ხელისუფლებას, მაგრამ ამაოდ...

„მოსადის“ შეფმა ერთ-ერთ ინტერვიუში ამაყად განაცხადა: „მინდა მოგასხენოთ, რომ ჩვენ არაერთი ასეთი კოენი გვყავს და, თუკი ბედი გაუღიმებთ, მსოფლიო ვერასოდეს შეიტყობს მათ სახელებს“.

ვოლფგანგ ლოტცს (1921-1995) კარგა ხანს უღიმოდა ბედი, მაგრამ ერთხელაც ზურგი შეაქცია და... მსოფლიომ შეიტყო მისი სახელი.

ლოტცი დაბადებულა გერმანიაში. დედა ებრაელი ჰყავდა. გერმანელი მამა ბავშვობაშივე გარდაეცვალა. 1937 წელს ნაცისტთა ტერორისგან თავის გადასარჩენად დედა-შვილი პალესტინაში გადახვეწილან. როდესაც დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ლოტცი მოხალისედ ჩაენერა ბრიტანეთის არმიაში. ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიაზე იბრძოდა სადესანტო ნაწილის რიგებში. 1945 წელს დაბრუნდა პალესტინაში და მონაწილეობდა ისრაელის დამოუკიდებლობისათვის გაჩაღებულ ომში (1948-1949), რომელიც მაიორის წოდებით დაამთავრა.

„მოსადმა“ მალე დაადგა თვალი ვოლფგანგ ლოტცს და გადაიბირა. ტანმაღალი, ქერათმიანი ვაჟკაცი, თავისუფლად რომ ლაპარაკობდა გერმანულს, იდეალურ აგენტად გამოდგებოდა კაიროში არსებულ გერმანულ კოლონიაში ჩასანერგად.

ლოტცს ასეთი „ლეგენდა“ შეუთხზეს: ვითომდა ის იყო ჰიტლერელთა არმიის ყოფილი ოფიცერი, რომელიც ეკუთვნოდა ფელდმარშალ ერვინ რომელის აფრიკულ კორპუსს და იბრძოდა ეგვიპტის უდაბნოებში, ომის შემდეგ კი ცხოვრობდა ავსტრალიაში, სადაც გამდიდრდა. მეტი დამაჯერებლობისათვის – ეგვიპტეში ჩასვლამდე – ლოტცმა ერთი წელიწადი გერმანიაში გაატარა.

კაიროში ცხენსაშენი და ცხენოსნობის სკოლა გახსნა. გერმანულ კოლონიაში შეუპოვარი ნაცისტის სახელი მოიხვეჭა. დაუმეგობრდა ეგვიპტის პოლიციის უფროსს და მეცნიერებს ყოფილ ნაცისტთა წრიდან. ისრაელის ხელისუფლებას ძალზე აწუხებდა ის გარემოება, რომ ეგვიპტეს შეეძლო ესარგებლა გერმანელი სამხედრო სპეციალისტების (მეიარაღეთა) სამსახურით, განსაკუთრებით – რაკეტმშენებლობის დარგში.

1964 წლამდე ცხოვრობდა გაორებული ცხოვრებით. ამ დროისათვის ეგვიპტეში ჩამოყალიბდა საკმაოდ ეფექტური საიდუმლო სპეცსამსახური, რომლის თანამშრომლებს ამზადებდნენ ბრიტანელი, ამერიკელი და საბჭოთა სპეციალისტები. სწორედ ამ უკანასკნელთა მეოხებით შეძლეს ეგვიპტელებმა „დაეჭირათ“ ლოტცის გასვლები ეთერში და მის იატაკქვეშა რადიოგადამცემსაც მიაგნეს.

ლოტცი დააპატიმრეს. აწამებდნენ. აცხადებდა, გერმანელი ვარო, სულმოკლეობის გამო დავთანხმდი, ისრაელისათვის მემუშავო. ამ ვერსიის მტკიცებისას დიდად დაეხმარა ის ფაქტი, რომ თავის დროზე მისთვის არ ჩაუტარებიათ წინადაცვეთის პროცედურა. თუკი ეგვიპტელები ჩათვლიდნენ, რომ საქმე ჰქონდათ ებრაელთან, ლოტცს სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა. როგორც გერმანელს კი სამუდამო კატორღა აკმარეს.

1968 წელს ეგვიპტის ხელისუფლებამ ლოტცი გადაცვალა ეგვიპტის არმიის ცხრა გენერალზე, ებრაელებს რომ დაეტყვევებინათ ექვსდღიან ომში (1967 წ.). ლოტცი დაბრუნდა ისრაელში, გაეყარა ცოლს და გერმანელი ქალი შეირთო. თავისი ფათერაგებიანი თავგადასავალი აღწერა წიგნში „ჯაშუში შამპანურით“. ეს სათაური იმეორებს ლოტცის მეტსახელს, რომელიც კოლეგებმა შეარქვეს კაიროში მისი ხელგაშლილი ცხოვრების გამო. 1973 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ლოტცი გადაბარგდა გერმანიაში და სიკვდილამდე კიდევ ორჯერ მოასწრო დაქორწინება.

ქრონიკა

2007 წლის პულიცერის პრემია (აშშ) ასე განაწილდა: პროზა – კორმაკ მაკკართი რომანისათვის „გზა“ დრამა – დევიდ ლინდსი ებეარი პიესისათვის „კურდღლის სორო“ ისტორია – ჯინ რობერტსი და ჰენკ კლიბანოფი ნიგნისათვის „რასობრივი თემა: პრესა, ბრძოლა სამოქალაქო უფლებებისათვის და ერის გამოღვიძება“ ბიოგრაფია – დები ეპლგეიტი ნიგნისათვის „ამერიკის ყველაზე ცნობილი ადამიანი“ პოეზია – ნატაშა ტრეთუევი პოეტური კრებულისათვის „აქაური დაცვა“

დოკუმენტური რომანი – ლოურენს რაითი ბესტსელერისათვის „კოშკი მირაჟი“ მუსიკა – საქსოფონისტი ორნეტ ქოულმანის საკონცერტო ფორფიტისათვის „მუსიკალური გრამატიკა“ განსაკუთრებული მადლობა – რეი ბრედბერის, სამეცნიერო და ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებების უზადლო მწერალს, გამორჩეული, ნაყოფიერი და ღვაწლმოსილი კარიერისათვის საგანგებო ჯილდო კომპოზიტორ ჯონ კოლტრენის (გარდაცვალების შემდეგ) ოსტატური იმპროვიზაციის, უდიდესი პროფესიონალიზმისა და ჯაზის ისტორიაში შესრულებული მნიშვნელოვანი როლისათვის.